

114
1941/2



მნათობი

3

ა ბ გ დ ე

თბილისი
1941



მნათობი



სრულიად საქართველოს საშჩქოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიცერაცურთ,
სასელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიციუთ
ქერნალი

წელიწადი მითვრამებო

3

3847 14365

19 მ ა რ ტ ი 41
ს ა ხ ე მ ბ ა მ ი
33638068
33638068
33638068
33638068

პ/მგ. რედაქტორი ალიო გაშაშვილი.

ზეღმოწერილია დასაბეჭდად 19/IV-41 წ. ში18337. ანაწყოების ზომა 7×12. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10%. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50688. სააგროო ფორმათა რაოდენობა = 12.2. სტამბის შეკვეთის № 455, ტირაჟი 2600.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ფორესის ქ. № 5.

სვალინური პრემიის პირველი ლაურეატები

საბჭოთა კულტურის მოწინავე მოღვაწეებმა მიიღეს სტალინის სახელობის პრემიები. მთელი საბჭოთა ხალხი უღრმესი სიხარულით ზედება ამ აქტს და წრფელი გულით მიესალმება სტალინური პრემიის პირველ ლაურეატებს.

სტალინის სახელობის პრემიის მიკუთვნება ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შემოქმედებითი ძალებისათვის ნათელი გამოხატულებაა საბჭოთა კულტურისადმი პარტიის განუსაზღვრელი მზრუნველობისა, ყველაზე უძლიერესი ღონისძიებაა იმ ღონისძიებათა შორის, რომელთაც ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი მიმართავენ და მიმართავენ ახალი სოციალისტური კულტურის შესაქმნელად და ასაყვავებლად.

ისტორიას არ ახსოვს სტალინურ პრემიაზე უმაღლესი ჯილდო. კულტურის შემომქმედისათვის არც შეიძლება არსებობდეს იმაზე უფრო საამაყო დაფასება, როგორც არის სტალინის სახელობის პრემიის მინიჭება. ეს არის პრემია იმ ადამიანის სახელობისა, რომელიც თავით არის უბადლო შემომქმედია ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისა, ახალი სახელმწიფოებრივი წყობილებისა, მეურნეობის ახალი სისტემისა, გეზის მიმცემი მთელი მშრომელი კაცობრიობისა, შთამფრინებელი და ორგანიზატორი მოწინავე კულტურის ყველა დარგის შემომქმედებითი ძალებისა; ეს არის პრემია იმ ადამიანის სახელობისა, რომელმაც დიდ ლენინთან ერთად საფუძველი ჩაუყარა კაცობრიობის ახალი ისტორიის დასაწყისს.

არ არის საბჭოთა მეცნიერების, საბჭოთა ტექნიკის, საბჭოთა ხელოვნების არც ერთი სფერო, რომელსაც არ აჩნდეს დიდი სტალინის შთაგონების, მისი გენიალური ხელმძღვანელობის კვალი. უფრო მეტი: საბჭოთა კულტურის უდიდეს მონაბოვართა შორის ვერ დავსახელებთ ვერც ერთ ისეთ კონკრეტულ ფაქტს, რომელიც დაკავშირებული იყოს სტალინის სახელთან და რომელიც მისი თაოსნობიდან, მისი ხელმძღვანელობიდან არ გამომდინარეობდეს.

კრემლი ის ცენტრია, სადაც სისტემატურად თავს იყრიან ჩვენი მეცნიერების, ჩვენი ტექნიკის, ჩვენი ხელოვნების მოწინავე ძალები და სადაც

დიდი სტალინის უშუალო მონაწილეობით გენიალურად დაწესებულ ლებულობენ საბჭოთა კულტურის ურთულესი პრობლემები.

დაუკავშირა რა მეცნიერება და ხელოვნება სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკას, დიდი ბელადის ბრძულმა ხელმძღვანელობამ მათ უდიდესი სამოქმედო სარბიელი გაუხსნა, შეუხერხებელი განვითარების შესაძლებლობა შეუქმნა. ამით და მხოლოდ ამით აიხსნება საბჭოთა მეცნიერების, საბჭოთა ხელოვნების გოლიათური წინსვლა, ის ფაქტი, რომ მეცნიერების და ტექნიკის მთელი რიგი დარგები უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებიან საბჭოთა კავშირში, ვიდრე ტექნიკურად დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სტალინის სახელობის პრემია უდიდეს სტიმულს წარმოადგენს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის, რადგან არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო ძლიერი მორალური წახალისება, რომელსაც შემოქმედდს აგრძობინებს სტალინის სახელობის პრემია. ჩვენთვის ცნობილია ბურჟუაზიულ მეცენატთაგან დაწესებული პრემიების იდეურ-მორალური დანიშნულება. კაპიტალისტურ ქვეყნებში დაწესებული პრემიების მისაღებად მთავარია ნაწარმოების არა მეცნიერული მნიშვნელობა ან იდეურ-მხატვრული ღირებულება, არამედ ის, თუ საპრემიოდ წარდგენილ შრომებს შორის რომელი უფრო მეტად ეთანხმება ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობას, რომელი უფრო მეტად ემსახურება შეძლებული კლასების ინტერესებს, რომელი უფრო მეტად უწყობს ხელს კაპიტალისტური სისტემის დაცვასა და განმტკიცებას. ამ და არა რაიმე სხვა გარემოებით აიხსნება, მაგალითად, ის, რომ ნობელის პრემია ერთხელაც არ მიუკუთვნებიათ არც ტოლსტოისთვის — გასული საუკუნის ამ ყველაზე გენიალური მწერლისათვის, და არც მაქსიმ გორკისთვის — ახალი სოციალისტური ლიტერატურის ამ უნიჭიერეს ფუძემდებლისათვის.

მწერალს ან მეცნიერს, რომელიც ბურჟუაზიული მეცენატთაგან დაწესებულ პრემიას ლებულობს, არ შეიძლება, თუ კი იგი ნამდვილად მოწინავე ადამიანია, გული არ ეთანაღრებოდეს იმის გამო, რომ მის ნაწარმოებში აღმოუჩენიათ ისეთი რამ, რაც ბურჟუაზიის წარმომადგენლებს გამოსადეგად უცვნიათ თავიანთი კლასობრივი ინტერესების, თავიანთი იდეურ-პოლიტიკური პოზიციების დასაცავად. აი რატომ არ შეიძლება კულტურის მოწინავე მუშაკმა იგრძნოს სრული მორალური კმაყოფილება ბურჟუაზიულ-მეცენატური პრემიის მიღების გამო.

სულ სხვაა, როცა კულტურის შემოქმედი ლებულობს საბჭოთა პრემიას, განსაკუთრებით ისეთ პრემიას, როგორიც არის სტალინის სახელობის პრემია. მიიღო სტალინური პრემია — ნიშნავს იმას, რომ შენ შეგიტანიან შენი წვლილი ახალი სოციალისტური კულტურის საგანძურში, რომ შენ შენი შრომით დახმარებისხარ მილიონებს სოციალიზმის შენებაში, რომ

შენ შენი შემოქმედებით გაგიფართოვებია მშრომელი ადამიანის განებრივი პორიზონტი, ინტელექტუალურად და მორალურად ავიმადლები ქვეყნის სიტყვით, შენ პასუხი გაგიცია იმ დიდი ამოცანებისათვის, რომლებიც კულტურის წინაშე აყენებს ლენინ-სტალინის პარტია.

მართლაც, თავი რომ დავანებოთ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში გაკემულ სტალინის სახელობის პრემიებს, და გადავხედოთ ამ პრემიის ლაურეატებს მხოლოდ ხელოვნების დარგში, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ეს დიდი ჯილდო დაიმსახურეს იმ მოღვაწეებმა, რომლებიც თავიანთ შემოქმედებით ღრმად ჩასწვდენ ლენინ-სტალინის ეპოქის სიღიადეს, ამ ეპოქის ადამიანის მოთხოვნებს, საბჭოთა ადამიანის მისწრაფებებს, მის მაღალ მორალურ თვისებებს: სტალინის სახელობის პრემია მიიღეს იმ შემოქმედმა მოღვაწეებმა, რომლებმაც გულწრფელი პათოსით და ღრმა მგზნებარებით წარმოგვისახეს მილიონების თავდადებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იმ მუშაკებმა, რომლებმაც გვიჩვენეს საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი წარსული, ამ ხალხთა თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, სამშობლოს საუკეთესო მერმისისათვის და ამით გააღვივეს, გააძლიერეს სოციალისტური ქვეყნის მოქალაქეებში უკეთილშობილესი გრძნობები საბჭოთა პატრიოტიზმისა.

სტალინური პრემია დაიმსახურეს იმ შემოქმედებთმა ძალებმა, რომლებმაც ხორცი შეასხეს დიდი ბელადის მიერ ხელოვნების და ლიტერატურის დარგში მოცემულ გენიალურ მითითებებს.

მხატვრული ლიტერატურიდან პრემიები მიიღეს პროზაიკოსებმა: ა. ტოლსტოიმ „პეტრე პირველისათვის“, ს. სერგეევ-ცენსკიმ „სევასტოპოლის ცხარე დღეებისათვის“, მ. შოლოხოვმა — „წყნარი დონისათვის“, ნ. ვირტამ — „მარტოობისათვის“, ლ. ქიჩილმა — „გვადი ბიგვასათვის“, ა. ნოვიკოვ-პრიბოიმ — „ცუსიმასათვის“, პოეტებმა: ნ. ასეევემა პოემისათვის „მაიაკოვსკი იწყება“, იანკა კუპალამ ლექსთა კრებულისათვის „გულიდან“, პავლო ტიჩინამ ლექსთა კრებულისათვის „ერთიანი ოჯახის გრძნობა“, ჯამბულმა — საყოველთაოდ ცნობილი პოეტური ნაწარმოებებისათვის, ვ. ლებედევ-კუმაჩმა — ცნობილი სიმღერების ტექსტებისათვის, გიორგი ლეონიძემ — პოემისათვის „ბელადის ყრობა“, ს. მიხალკოვმა — ცნობილი საბავშვო ლექსებისათვის, ა. ტვარდოვსკიმ — პოემისათვის „მურავიის ქვეყანა“, დრამატურგებმა: კ. ტრენევა — პიესისათვის „ლიუბოვ იაროვაია“, ა. კორნეიჩუკმა — პიესებისათვის „პლატონ კრეჩტი“ და „ბოგდან ხმელნიცი“, ნ. პოგოდინმა — პიესისათვის „თოფიანი კაცი“, სამედ ვურგუნმა — პიესისათვის „ვაგიფი“, პ. კრაპივემა — პიესისათვის „ვინ იცინის უკანასკნელად“, ვ. სოლოვიოვმა — პიესისათვის „ფელდმარშალი კუტუზოვი“, და კრიტიკოსმა იგორ გრაბარმა — კრიტიკული მონოგრაფიისათვის „რეპინი“.

ქართული საბჭოთა მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის სამაჟოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სტალინის სახელობის პრემიის ლაურეატთა

შორის აღმოჩნდა თუთხმეტი ქართველი შემომქმედი: ცნობილი მეცნიერები, — აკადემიკოსები ნ. მუსხელიშვილი და ივ. ბერიტაშვილი, ტელეფონების და ლიტერატურის მოღვაწენი: აკაკი ხორავა, მ. ჭიაურელი, ლევან ჩინჩილაძე, გ. ლეონიძე, ნ. შენგელაია, გ. კილაძე, ვახტ. ჭაბუკიანი, ა. ქურდიანი, მ. გელოვანი, ნატო ვაჩნაძე, სილოვან კაკაბაძე, ი. თოიძე და ს. ბაღაშვილი.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა კულტურის თუთხმეტმა ქართველმა შემომქმედმა სტალინის სახელობის პრემია მიიღო, ქართული საბჭოთა კულტურის საერთო აღმავლობის მაჩვენებელია. ეს ფაქტი წარმოადგენს ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ნაყოფს და იმ ღონისძიებათა უშუალო შედეგს, რომლებსაც ქართული საბჭოთა კულტურის ასაყვავებლად მიმართავდა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა.

დიდი სტალინის იდეებით შთაგონებული, სტალინის სახელობის პრემიით გამხნეებული საქართველოს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი უფრო მეტად დაძაბვენ თავიანთ შემოქმედებით ენერჯიას ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში.

მხატვრული ლიტერატურა

ქართული
ლიტერატურა

გალაქიონ ტაბიძე

პარიზის ქოხენა

აჰ, მოედო ხალხი ქუჩებს და ყველა მღერის,
პირველად მღერის გამარჯვება და პოეზია.

ე ე ე ნ პ ო ტ ი ე.

ამგვარად სავსე
დღის საწყაული,
რომ ის აღავსოს
ახალ ნათებით —
არასდროს მსგავსი
დღესასწაული —
პარიზს არ ახსოვს
ბარიკადების!
ოქროს და ფარჩებს
აქ რომ მონებდნენ
მწყობრად ჩამჯდარი
ეწყო ვაზნები
მსგავს გამარჯვებებს
ვერ იგონებდნენ
მონ-მარტრზე მდგარი
თოფ-ზარბაზნები.
ფერს იალებდნენ,
გზას ასრულებდნენ,
თუ ტრიალებდნენ
დროშები ქარზე —
არ შრიალებდნენ,
არ ჩურჩულებდნენ,
არ ფრიალებდნენ
არასდროს ასე!
იქცა სინაზეთ
ფერად ღრუბლებით,
თითქოს ბროლია
და არა სძინავს —
არასდროს ასეთ
თავისუფლებით
არ უქროლია
პარიზის წიავს.

არასდროს სიტყვა
ამგვარი სახის
არ განიცდიდა
ისეთ სიმართლეს —
როგორც ეს იყო
ხალხთ იარაღის
თავდაცვისა და
გამარჯვების დღეს!
უნახავს ვრცელი
საუკუნის მზე,
და ბევრი შორი
გზა გადულახავს —
ასე ნათელი
და მზიანი დღე
პარიზს მეორე
ჯერ არ უნახავს!
თითქო დილებით
ირთვის პარიზი,
რა ხმოვანებით,
რა უზრუნველით!
და ყვავილები
უნარნარესი
აღფრთოვანების
ფშვენენ სურნელით.
მოდის ურიდი
სიახლის გრძნობა,
ახალი ქროლა
ახალი ქარის,
ასეთი დიდი
სიცოცხლით თრობა,
ასეთი თრთოლა
არ ახსოვს პარიზს.

კომუნა მოდის
 ისხნას მამული,
 აელეებული
 ეძახის გუშაგს.
 აი, ოქროთი
 და მეწამულით
 გადანთებული
 ელავს რატუშა.
 წირვათა წესი —
 ბაირაღებში
 ასცილდა ზემოს,
 მონახა ზეცა.
 და უდიდესი
 ტაძრის თაღებში.
 ეხლა ზეიმობს
 მარსელიეზა.
 ახალ ზარებით
 ევსება უბე
 სხივთ ათეთრებით
 წიაღი ბრწყინავს.
 კომუნარების
 საესება კლუბი
 და ორკესტრები
 ქუჩაში გრგვინავს.
 იღვრება შექად,
 შექათა მარულად,
 მუსიკის ხმაზე
 თრთის ალიონი.
 რაღაც მსუბუქად
 და მზიარულად
 მიდის ლამაზი
 ბატალიონი.
 და მუნდირები
 ფედერატების
 განაალები
 მოჰგავენ ზეიმს,
 რა მშვენიერად
 მორთულან ქალნი,
 მათი თვალები
 აფრქვევენ მზეებს!
 გაჰქრა ღრუბელი
 და ტვირთი ჭვარის
 სხვაგვარი ზრუნვა
 მზარეზე ბრუნავს:
 თავისუფალი
 შრომა ჰფლობს პარიზს...

გვინდა კომუნა...
 ვაშა კომუნეს!
 თუ მაინც ბედი გიგაღიწმინდა
 იცვალა ბნელით,
 და გრძნობა მშვენი
 მიეცა დროს შავს —
 ჩვენს სისხლის წვეთით
 უკანასკნელით
 დავიცავთ ჩვენი
 კომუნის დროშას.
 აჰა, განგაში!
 მიფრიალებენ
 და მიღელავენ
 ისევ დროშები,
 მებრძოლნი მაშინ
 ხმალს აელეებენ.
 ელვა იელეებს
 დროგამომშვებით.
 წინ, მოწინავე
 პოზიციისკენ!
 ფორტები. თხრილი.
 ათასეული.
 თვალნი ბრწყინავენ
 ელვარე მზისგან.
 აგერ, აჩრდილი
 მოსჩანს გრძნეული.
 ესმის არეებს
 რა ხმა გუგუნებს,
 რა ზეციური,
 რა მიწიერი...
 ტიერს ფრანგ ტყვეებს
 რისთვის უბრუნებს
 რკინის კანცლერი,
 ბნელი კანცლერი.
 რა სიხარბეა,
 რა მოწყურება,
 რა ნდომის ალი,
 რა ასპარეზი —
 რათა დარბევა —
 განადგურებას —
 თავისუფალი
 მისცეს პარიზი.
 კლდეს გაარღვევენ!
 სად ბრძოლის მდომთა
 და შემტველთა
 გულის სივრცეა.

ქალთა ძარღვებში
ჩქეფს სისხლი ლომთა,
რომ მებრძოლებთან
ერთად იბრძვიან.
მოიღებს გრიალს
კედლების ნგრევა,
განუწყვეტელი
ქუხილით მკლერი.
ისე ვით ფიალს
ალავსებს ელვა,
სწყდება კედელი
და რჩება მტვერი —
მტვერი, ვით ნისლი
ავის ღროსანი.
სულ სხვა კედელი
სხვანაირ ტალღის,
იღვრება სისხლი
პატიოსანი
და გულკეთილი
მშრომელი ხალხის.
როგორც ძმა ძმასთან
მებრძოლნი იყვნენ
მხნე და გამგონე...
ბრძოლა ძნელია...
აჰა, თანდათან
დაჰკარგეს სიმხნე,
დასუსტდნენ, ღონე
გამოეღიათ.
ვერსალის მტვერი
მიადგა პარიზს,
მიადგა რისხვით
და დაქადებით.
და ყველაფერი
გათავდა მაშინ,
დაეცნ მაშინ
ბარიკადები...
განაჩენები
და დახვრეტები
და სასიკვდილოდ
განწირულთ რიგი.
გზებს ამშვენებენ
მთები ცხედრების,
გადასარჩენი
არ სჩანს ბილიკი.
სისხლიან კვირის
უსიტყვო ფერფლი,

წამი, საათი —
ყოფნის მიმტაცი.
მაისის კვირის
უნუო მსხვერპლი
ის... ოცდაათი
ათასი კაცი.
რა ნიაღვრად
გამოიხატა
იმისი ზეცა,
იმისი ბრუნვა.
ასე, ამგვარად
დაიბადა და
ასე დაეცა
იგი კომუნა.
იგი ღიადი
წინამორბედი
ხალხთა მომავალ
ბედნიერების,
მომავლის მნათი,
მომავლის ბედი
კომუნა — შრომა,
კომუნა შევების.
იგი აანთო
ღროშების აღმა,
მისი ნათელი
ხალხებს ჰფენია,
აღფრთოვანებით
მას მიესალმა
დაუცხრომელი
მარქსის გენია.
მან გზა უჩვენა
პროლეტარიატს
საიმედო და
აუცდენელი,
დიდება ჩვენი
ღიადი ღროის
მედგარად ვიღოდა
ამ გზით ლენინი.
ამ გზით გვინათის
მზე იგი ეხლაც, —
ამ გზით ბნელს არღვევს
გენიის ძალით,
მუდამ მარადის
მშვიდობის ქვეყნად
ხალხთა მშობისკენ
მივეყვართ სტალინს!

კონსტანტინე გამსახურდია

მშენებელი

ნოველა *

1

იყო ერთი დიდი და სვიანი ციხე-ქალაქი აყვავებული ზღვისპირა ქვეყნისა.

შველ თარინგზელს დაუარსებია იგი უხსოვარ დროს.

ამ ქალაქს და მის მიმდგომ სანახებს განაგებდა დედოფალი მაგდანა ოდესლაც.

აღრე დაქვრივებულს, უსააკო შვილი ჰყავდა ერთი, მზექაბუკი.

უცნაური სიკვდილი წილად ხედომია ვაჟის მამას — როსტომ მეფეს.

მრავალი ომი გადაუხდია მას გოგ და მაგოგის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ უვნებელი დაბრუნდა ბრძოლის ველიდან მუდამ.

ლომგულოვანს უწოდებდნენ როსტომს მეტ სახელად, რადგან არც კი იცოდა, თუ რა იყო სიკვდილის შიში.

თუმც სიბერეში გადამდგარს, მაინც ჭარმაგ მეფეს საკუთარი ძმა შემოაკვდა ნადირობის დროს.

ეს ამბავი ხელზე დაიხვიეს ხუცებმა, იმდენი უჩიჩინეს სულის ამოხედომის საშინელებისა და მომავალი განკითხვის გამო, სიკვდილის შიშმა შეიპყრო, შემზარავმა, მრავალნაცადი გმირი და უეცრად გარდაიცვალა.

მაშინ ბრძანა თურმე დედოფალმა მაგდანამ, უფლისწულისათვის არ გაემხილათ ეს.

შზრდელსა და ეზოს მოძღვარს, მანდატურებსა და სეფექალებს, ყველას, ყველას აღუკვეთეს სიბერის, შიშისა და სიკვდილის ხსენება.

უსასტიკესი ტაბუ დაადევს ამ სამ სიტყვას ზღვისპირა ქალაქში და მთელს სამეფოში, რომელიც გოგ და მაგოგის შემოსევისაგან იცავდა სამხრეთს.

გარდაიცვალა თუ არა როსტომ მეფე, გადაეგო ამ საბრძანისში სახსენებელი მისი.

მოკვდებოდა ვინმე სასახლეში, ან სატახტო ქალაქში, ვერავინ ბედავდა ძაძის ჩაცმას, აღაპები აკრძალული ჰქონდათ ხუცებს, ლოცვების აღვლენა მიცვალებულთა სულების სალზენად, არც თუ ვინმეს შეეძლო ამ სოფლიდან გასულთა ხსენება.

*) ნოველების ციკლიდან: „ქართული მითოსი“. ამ სერიიდან პირველია: „ზოგაის მენდია“.

II



ნებიერად აღზრდილს წადილს უსრულებდა მშეკაბუღარს
დღედა.

უღრტვინველად იზრდებოდა ყრმა სეფეწული, მოკეთეთა სასო და ქვე-
გამხედვართა რისხვა მომავალი.

წამოიზარდა მშეკაბუღი, გაძლიერდა, ვითა ბოკვერი ლომისა, და გაბ-
რწყინდა როგორც თავით მზე.

მზისფერი კულულები გადმოეღვარა შუბლზე — სწორუპოვარ მოისარს
და მეჩანგეს იგავითუწვდომელს.

ყოველივე კეთილად მიმდინარეობდა იმ ქვეყანაში, რომელიც გოგ და
მაგოგის შემოსევისაგან იცავდა სამხრეთს.

ამწინედა ქერივი დედოფალი: დაღვრემილი დადიოდა სეფეწული მაინც.
მშვილდი და ისარი მოიძულა ყაბახის მოყვარულმა ვაჟმა, აღარც ჩანგს
ახლებდა ხელსა, არც ცხენზე ჯდომა და ჯირითი ახარებდა, არცა ნავით გას-
ვლა კვლავინდებურად ზღვაში, არც ღვინის სმა ტოლებთან, არცა კამათ-
ლების მღერა.

III

დარდობდა დედოფალი მაგდანა.

ვინ იცის, სეფეკალთაგანს რომელიმეს გაუმეჩნურდა ყმაწვილი იდუ-
მალ, სამაგიერო არ მიუზღვეს, დარდობდესო იგი ამაღაც.

უკვირდა დიახაც:

ვინ უნდა იყოსო ჩემს შემუნვართა შორის, ან მახლობელ სამთავროებ-
ში ისეთი, ვინც არ შეიშნობდესო მზისფერ კულულებიან სეფეწულის
აღერსს.

გამოჰკითხა დედოფალმა სეფეკალებსა და კარისკაცებს.

ჯერ დიაცთან დალაპარაკებულის არ გვინახავსო ტახტის მემკვიდრე.

ეგებ მახლობელნი არ მოსწონდეს, შორიელის ტრფიალი აწუხებდეს
კაბუტს?

ესა სთქვეს მცოცნებმა კარისკაცებმა, რომელნიც სამეფურო საქმეში
დიახაც ჩახედულნი იყვნენ.

მაშინ აწვიეს უტურფენი დიაცნი ზღვის ამიერ და იმიერ სამეფოებისა
სრულად.

მეფეთა, მთავართა, ერისთავთა და დიდაზნაურთა ქალ-რძაღნი.

ვარდობის თვეში იზეიმეს ვარდობა.


ვარდზე უტურფენი დიაცნი შეჰყარეს როსტომ მეფის სასახლეში იმ
დღეს.

ჰკრეს ქოსსა და წინწილს მარმარის სასახლის განიერ თაღებს ქვეშ, ჩან-
გნი და ჩონგურნი ტბილად აამღერეს.

მთელი საღამო უთვალთვალებდა დედა, მაგრამ დიაცთაგანს უბრალოდ
არავის შესიტყვებია მშეკაბუღი.

სუფრის ბოლოს იჭდა ნაღვლიანად და სვამდა ქარმაგი კაცივით დაზაფ-
რული ღვინოს...

IV



მეორე დღეს მონადირეთუხუცესი წარუდგა დედოფალს მარხსენა: მე ვიციო სეფეწულის დარდიანობის წამალი.

მეგობრული

თავგადაგებული მონადირე იყო როსტომ მეფე, ამასიაც მას ემგვანებაო მემკვიდრე.

სამეფო ნაკრძალებში ისე გაზულუქდა ეშვი და დათვი, ნათესები გაგვიობრაო ნადირმა, ნახირში ერევაო მშველი და ჭეირანი, რადგან როსტომ მეფის შემდეგ კაცს არ გაუსვრიაო ამ ტყეებში ისარი.

თან წარვიტანო სანადიროდ სეფეწულს, გავუქარებო გულისჯაერს უთუოდ.

მოიწონეს ვაზირებმა ეს აზრი, მაგრამ დედოფალმა უარყო მონადირეთუხუცესის თათბირი.

ეგ როგორ იქნება, ნადირობა თუ დაიწყო, ხომ გაიგებს მზეჭაბუკი, თუ რას ნიშნავს შიში და სიკვდილი?

V

ასე ურჩიეს ვაზირთა და გადასწყვიტა დედოფალმა თავათ ეკითხა დაღვრემილობის მიზეზი ძისთვის. მზეჭაბუკი გაწითლდა და არა მიუგო რა.

VI

მესამე დღეს თავათ შემოვიდა დედოფლის საწოლ-დარბაზში მზეჭაბუკი და ეუბნება დედას:

— „გინდა გაიგო დედი, თუ რადა ვარ დაღვრემილი? სიტყვა მომეცი გულ-ახლილად მომიგო კითხვაზე.“

მეფური სიტყვა მისცა მბრძანებელმა.

„მამ ეგ მითხარი, რა იქნა მამაჩემი?“

მამა შენი მოკვდაო, შვილო.

მოკვდაო?

გაოცდა ყმაწვილი.

„ახლა ეგ მამცნე, რას ნიშნავს მოკვდაო?“

„მამაშენი მიწაში დაემარხეთ და ამას ეწოდება ჩვენს ენაზე მოკვდა.“

თუ მოვაო ოდესმე მამამ?

არა, არ მობრუნდებო არასდროს იგი. სიკვდილი მოგვდგამსო ყველას. მტრად ვიქცევიოთ, ერთხელაც იქნება, რადგან მიწის ვალი მართებსო სული-ერთაგანს ყოველს.

ვაჟი ეკითხება ისევე დედას:

„ნუ თუ მეც მოკვდები და დამმარხავენ მიწაში, დედილო?“

ღმერთმა ნუ ჰქნასო, შვილო.

ამის მეტად ვერ ანუგეშა დედოფალმა ჭაბუკი.

აიმღერა მზეჭაბუკი.

„მე არ მინდა სიკვდილი, დედილო, მე ხომ არ მითხოვნია სიცოცხლე ლეთისათვის, მამ რად მართმევს თავისგანვე ნაბოძებს?“

ახლავე უნდა გადავიკარგო აქედან და ვიპოვნო ისეთი ქვეყანა, სადაც მიწა არ დაუტორავს ჭერაც სიკვდილს.“

ესა სთქვა მშეკაბუქმა, გამოაყვანიდა სამეფო თავლიდან თავისი ფეხ-
კავში ულაყი, თავათ შეკაზმა, ჭაჭვი და ჭური მოსძებნა თავისი, სამასი /სა-
რი ჩაიწყო სამ კაპარქში. არ ინდომა ამაღა.

დაიბარა: სამ წელს თუ არ მოვბრუნდი, ფლასით შემოსენო მარმარის
სასახლე, ძაძა ჩაიცივითო და სულის ჩემის სალხენად აღავლინეთო ლოცვები.
იმ საღამოსვე დაავდო ზღვისპირა ქალაქი და საბრძანისი თავისი.

VII

იარა,

იარა,

იარა,

სამი ტრამალი, სამი მთა გადაიარა, მაინც ვერ მიავნო უკვდავთა ქვეყანას.
დაბობლავდა კლდესა და ღრეში, ნადირი ბევრი ხედებოდა გზაში და ვე-
ლურ ფრინველთა გუნდი, ესროდა მშეკაბუქი, მაგრამ რაკი შიშისა და სიკე-
დილის ამბავი არავის უსწავლებია მისთვის, ისეთ ყვივლს ასტეხდა მათ და-
ნახვანე, თავათვე აფრთხობდა წინასწარ ტყიურს, ბოლოს უთუოდ დააცდენ-
და ოტებულს ისარს.

VIII

სამმა წელმა განვლო, და შეიკრა დედოფალმა მაგდანამ ძაძა. გამოიტა-
ნეს ნიშანი: მშეკაბუქის საცმელი ბისონისა და ზეზისა, ხმალი და აბჯარი
ოქროცურვილი, მუზარადი და უნაგირი ვერცხლისა. ფლასით შემოსეს მარ-
მარის სასახლის თეთრი სვეტები, ტაძარში ლოცვები აღავლინეს სეფეწუ-
ლის სულის სალხენად ხუცებმა.

IX

ისრები შემოაკლდა უსაზმოდ მონადირეს, გულს არ იტეხდა მაინც,
პანტიოთა და ლოლოთი იკვებებოდა, მიდიოდა დაუტყრომლად უკვდავთა
ქვეყნის საძებნელად ველად გაჭირილი რაინდი.

ერთ ტყეში ერთი შავი მელა შემოეყარა.

იფიქრა: ამას მაინც მოგვლავო უკანასკნელი ისრით.

მიუხვდა საწადელს მელა.

დაცუქდა კორდზე და ეუბნება:

გირჩევ ნუ გასწირავ უკანასკნელ ისარს, გამოგადგებაო უთუოდ.

არ დაიშალა სეფეწულმა თავისი.

უკანასკნელი ისარი ესროლა, ისევ მოეცარა ხელი.

ხელში შერჩა ცალიერი მშვილდი და კაპარქი და თავის სიცოცხლეში
პირველად იგარძნო უიარაღომ შიში.

გაქუსლა დანდობილად ცხენი, მთელი დღე მიდიოდა ჭენებით.

ლიკიანებში შემოაცვდა სამოსი, ქუში შეეყარა ცხენს, ფლოკეები და-
უსქდა ლორლიან გზებზე ჭენებისაგან.

ერთ მუხის ქვეშ გადაიჩრდილა მგზავრმა, კვლავ შეჯდომა რა დააპირა,
წაიქცა ცხენი და

ამოხდომა

დაიწყო

სულმა

ცხენის თეთრ გუგედან შეიცნო სიკვდილი მზეჭაბუკმა თავის სიციცხლეში პირველად.

მიჰყვებოდა ბილიკებს სეფეწული ფეხით, მიდიოდა ოფლში გაღვარული, ერთ უდაბურ ტევრს შეაფარა სიკვდილისაგან შეძრწუნებულმა თავი. იფნის ქვეშ წყაროს თვალს მიადგა მოწყურებულნი. დაიჩოქა წყლის დასაღვეად.

თვალი ჰკიდა:

სავესებით გათეთრებოდა თმა-წვერი.

ახლა სიბერეც შეიცნო მზეჭაბუკმა, მაინც მოიკრიბა უკანასკნელი ძალა.

X

შვიდმა წელმა განვლო.

ალარ თავდებოდა სამშენო მაინც.

უკანასკნელ ტრამალს მიადგა ერთს, ოხჰანისაგან გადარუჯულს.

ჰინჭველი რომ ჰინჭველია, იგიც არ ღიმილამობდა არსად.

ჩრდილოეთისაკენ გაიხედა მზეჭაბუკმა, აღარაფერი მოსჩანდა ველზე.

სამხრეთისაკენ მიაშტერა მზერა, არც იქიდან მოდიოდა ჩქამი.

ახლა დასავლეთისაკენ მიბრუნდა, არც მანდ სჩანდა სიციცხლის ნატამალი.

მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ,

შორს,

ძლიერ შორს ბუნდოვნად რიალებდა უცნაური ჩვენება.

მიუახლოვდა მზეჭაბუკი და ხედავს:

დაჩოქილიყო ველზე ირემი, დრუნჩი დაედო თავჩაქინდრულს მიწაზე. ცრემლები სდიოდა მჭმუნვარეს, ხოლო ქორბუდიანი რქები ღრუბლებს მისწვდენოდა მისი.

ინანა მზეჭაბუკმა: რად დავხარჯე უკანასკნელი ისარი უსაზმნოდ?

თავი აიღო ირემმა და ეუბნება:

„უც ცალიერი კაბარკები რომ დაგიკიდნია, რად არ შემოინახე უკანასკნელი ისარი ჩემთვის?“

გაოცდა მზეჭაბუკი: თუნდაც ერთი სულიერიც რომ ნატრობდა ამ ქვეყნად სიკვდილს!

ახლა ეს ჰკითხა ირემმა მგზავრს:

საიდან მოსულხარ, ან საითკენ გიძევსო გზა?

„ზღვისპირა ქვეყნიდან, ძმაო, როსტომ მეფისეულ საბრძანისიდან. რომელიც გოც და მაგოგის შემოსევისაგან იფარავს სამხრეთს.

სიკვდილის შიშისაგან გული გაუსქდა მამაჩემს, მე კი ისეთ ქვეყანას დავეძებ, რომელიც ჯერ არ დაუტორავს სიკვდილს.“

„მადლი უფალს, — მიუგო ირემმა, — ისეთი ქვეყანა რომ არსად არსებობს, სადაც ჯერ არავის სმენია სიბერე, შიში და სიკვდილი.“

„რამ მოგაბეზრა სიციცხლე, ძმობილო?“

შეეკითხა მზეჭაბუკი ნადირს.

„მე ბედმა დამწყველა ასე: ამ უწყალო ტრამალზე ვიცხოვრო, ვიდრე ცას არ მისწვდენია ჩემი ქორბუდიანი რქები.“

დარჩი თუ გინდა ჩემთან და შენც იცოცხლებ, სანამ მე ვქა ვარ“
 „არა, ჩემო კეთილო, მე არ მინდა დღენიადაც შენს ტანჯვას ვუყურო, თავათაც ვიტანჯო სიკვდილის ლოდინში.

მე მინდა ისეთ მხარეს მივავნო, რომელიც ჭერ არ დაეტორავს სიკვდილს“.

ეს უთხრა მგზავრმა და გაეცალა ირემს.

XI

იხეტიალა, იხეტიალა მგზავრმა და გამოჩნდნენ ცისფერი მთები.

მიეახლა და ნახა კლდოვანი ქვეყანა, მიწისძვრებისაგან დახეთქილი ფლატეებითა.

მიჰყვა ბილიქს დაცერებულს და მიადგა ერთ ძერასფერს მწვერვალს, სა-
 მი მხრიდან უფსკრულებით შემორაგულს.

არც კაცი, არც ნადირი, არც ფრინველი არსად ჰქანებდა, მხოლოდ მთის
 ზეთავიდან ისმოდა უმცირესი ჩქამი.

მზერა დაძაბა მზეჭაბუკმა, ნახა: ყორანი დამჭდარიყო კლდეზე და ჰკორტ-
 ნიდა ნისკარტით ქიმს.

„მგ ვერცხლის მშვილი დაგიკიდნია, მონადირეც, და ეგ ცალიერი კა-
 პარტები ამოად, ჩემთვის რად არ შეინახე უკანასკნელი ისარი, ძმაო?“
 ეუბნება ყორანი მგზავრს.

გაუვირდა მზეჭაბუკს, ახლა მეორე სულიერს რომ შეეყარა სიკვდილის
 მონატრულს, დუმილი არჩია თავათ.

საიდან მოდენილხარ, ან საითკენ გიძევსო გზა?

„ზღვისპირა ქვეყნიდან, ძმაო, იქითკენ, სადაც არ ახსენებენ სიბერეს,
 შიშა და სიკვდილს“.

მიუგო მზეჭაბუკმა ცნობისმოყვარეს.

ყორანს გაეცინა ამის გამგონეს.

„შლეგი ყოფილაო, იფიქრა, თმებში ჰქალარა გარეგია და ერთხელაც არ
 მონატრებიაო სიკვდილი!“

ამის თქმა არ აკადრა სტუმარს, თავაზიანად უამბო იგავი:

სად გაგონილა, ძმაო მთაზე თოვლი მოსულციყოს და ზამთარს გაურბო-
 დესო მთიელი?

მზეჭაბუკმა ვერ გაიგო ჭარაგმულად ნათქვამი და ისევ გზას ჰკითხავდა
 შავოსანს.

შენიშნა ჰქვიანმა ყორანმა: ირიბული ვერ გამიგოვო და პირდაპირ ეუბ-
 ნება სეფეწულს:

„ამდენი საუკუნეა ამ მთაზე ვცხოვრობ და არაოდეს მსმენია ისეთი ქვე-
 ყანა, რომელიც ერთხელაც არ დაეტორნოს სიკვდილს.

თუ გინდა დარჩი ჩემთან, ძმაო, გადაიჩრდილე.“

„სანამდის იჯდომები მაგ მთაზე ყორანო?“

„ბედმა დამწყველა ასე: ვიდრე ნისკარტით არ ამოგკორტნი ამ მთას და
 ამ უფსკრულებს არ ამოვაქსებ, ვერ ველირსები სანატრელ სიკვდილს.“

ბრიყვი ყოფილაო, გაიფიქრა მზეჭაბუკმა და ასე მიუგო ყორანს:

„არა ძიაკაცო, ეგ ის არაა, რასაც მე ვეძებდი აქამდის.“

რა ლხენაა ჩემთვის, დღენიადაგ აქ ვიჯდე შენთან და ვუცადო ვიდრე შენი ნისკარტი მოჰკორტნიდე ამ მთას და იმ უფსკრულებს წამუსრევით ამოავსებდე.

რა ლხენაა ჩემთვის, ყური ვუგდო, შენი ნისკარტის წამკუნძინებელი მო-
მიახლოებს სიკვდილს!"

ეს უთხრა და გაეცალა მგლოვიარე შავოსანს.

XII

ცხრა წელს იარა მზეჭაბუკმა და მიადგა ბნელეთის კიდეს, სადაც არც დღეა და არც ღამე, არც თოვლია და არც ქარი, არც ბალახი იზრდება ოდეს-მე, სადაც ადამიანის და ნადირის ნაკვალევიც არ აჩნდა მიწას.

თეთრი მეთოლიები დასტრიალებდნენ თვალშია ზღვას, ვიშვიშით აყრუებდნენ მანდაურობას.

მეთოლიები გაყუჩდნენ ერთბაშად და უცნაური რაწყენი მოისმა მალ-ლიდან.

ზეიხედა მზეჭაბუკმა და დაინახა ოქროს ჭაქვი, დაკიდებული ციდან. თვალი ააყოლა და ნახა კლდე იდგა მალალი, მალალი.

კლდეზე კოშკი გადმოკიდებულიყო აღმასისა და ლაპლაპებდა უცნაურის ციავით.

აჰყვა მზეჭაბუკი ამ ჭაქვს.

დანდობილად გაიღო სპილენძის კარი აღმასის კოშკისა.

ქუდი მოიხადა გაოცებულმა და უკითხავად შევიდა შიგ.

იფარა კარი მანვე, ვინც თავათ გაუღო, და მიიძახა უხეშად სტუმარს: „ხმა არ გაიღო, ბერიკაცო, არაფერი თქვა, რადგან კაცთა სიტყვას არ გააჩნია ბგერა იმის აღსაწერად, რის ლაპლაპიც მზის ელვას ჩრდილავს.

მარცხნით იარე, მარჯვნივ არ მიიხედო და პირდაპირ შეაღე სპილოსძელის კარი.“

ეწყინა მზეჭაბუკს, ახლა სხვის ნათქვამიდანაც რომ შეიცნო უკვე სიბერე.

სპილოსძელის კარი შეაღო მზეჭაბუკმა.

უზარმაზარ დარბაზში ტახტი იდგა ოქროსი, მზეთუნახავი ზედ იჯდა, უთეთრესი თოვლისა. გაუღიმა ქალმა და ეუბნება სტუმარს:

აქ რამ მოგიყვანაო, კაბუკო?

გაოცდა მზეჭაბუკი:

„როგორ თუ კაბუკოვო? აქი შენმა მეკარემ ასე მიიხრა, ბერიკაცოვო?“

„ამას კარის ზღურბლზე გეტყოდა სახლთუხუცესი, ამ პალატებში ვინც ფეხს შემოდგამს, ბერიკაციც რომ იყოს, გაჭაბუკდება და მოკვდავი გაუქვდავდება, რადგან ჩემს საუფლოში ჭერ არავის სმენია სამი რამ: სიბერე, შიში და სიკვდილი.

თუ არა გჭერა, ჩაიხედე, ე, მანდ სარკეში.“

მზეჭაბუკი გახარებული მიეჭრა ვერცხლის სარკეს, კედელზე დაკიდულს, და გაიხარა, თავისი მზისფერი კულულები რა კვლავ იხილა.

გულმოცემული სტუმარი მიეახლა მზითუნახავს და ეუბნება:

„მე არ ვიცი ვინაობა, თვალმშვენიერო, შენი, მაგრამ ასე მგონია რატომღაც, ეგ შენა ხარ, ვისთვისაც ვჭმუნავდი მამისეულ მარმარის სასახლეში,

ვისთვისაც დავაგდე სკიპტრა და გვირგვინი და საბრძანისი, რომელიც გოგ და მაგოგის შემოსევისაგან იცავდა სამხრეთს.

„შენ თუ უკვდავებას ეძებდი, ჭაბუკო, ეს მე ვარ, — მშენებელი ჩემი სახელი, რადგან ყველა ფერს და ყველა ხმას, ყოველივეს, ჩემს გარდა, წარხოცავს უამი.“

ასეთი ვარ, შექმნის პირველივე დღიდან და ასეთი დავრჩები უკუნიით უკუნისამდე.

მე ვარ თავით ბედნიერება და უკუნობი სიცოცხლე სამყაროსა.

თუ გინდა დარჩი სამუდამოდ ჩემთან, მაგრამ...“

„მაგრამ რაო?“

მოუთმენლად მიამახა მზეჭაბუკმა.

„... მაგრამ მერწმუნე, მოკვდავო, შენ უკვდავებაც რომ მოგანიჭო, ოდესმე სანატრელი გაგიხდება სიკვდილი“..

უარესად გაოცდა მზეჭაბუკი.

ტანტი, გვირგვინი დამიგდია უკვდავების მაძიებელს, ამდენი მივლია ტყესა და ღრეში, სიბერე, შიში და სიკვდილი საკუთარი თვალთ ვიხილე და კიდევ როგორ ვინატრებო სიკვდილს?

გაიღიმა მშენებელი და მიუგო სეფეწულს:

„უთუოდ მოგვინატრება, ჭაბუკო, სიკვდილი და მიწა, აღმასის კომპიაც, რადგან სხეული შენი თიხისაგანაა შექმნილი, ამიტომაც ვალი გაწევს დღე-მიწისა.“

თუ გინდა, დარჩი ჩემთან, ოღონდ არ ახსენო შიში და სიბერე, ხოლო სიკვდილის ნუ გეშინია, იგი ვერასოდეს გადმოაბიჯებს სპილენძის ზღურბლს აღმასის კომპიაცს.

მზეჭაბუკი ფერხითით დაუვარდა მშენებლებს. მუხლს უკოცნიდა, აღტყინებული შესცქეროდა სიზმარეთის ჩვენების სადარს.

XIII

ათასმა წელმა ისე განვლო, როგორც ერთმა დაფახულებამ თვალისამ.

შენიშნა ბოლოს მზეთუნახავმა: დარდობდა ჭაბუკი იდუმალ.

„თვალმშენებელი, ეუბნება ერთხელ მზეჭაბუკი მზეთუნახავს, გულწინად ვლიანობის მიზეზს ნულარ მკითხავ ამერიდან. ან როგორ გაიხაროს გულმა, როცა ამდენი ხანია საყვარელი დედა აღარ მინახავს, არც მეგობრები, მოკეთენი და საბრძანისი მამის ჩემისა, სადაც ვშობილვარ და სიყრმიდანვე გავზრდილვარ სადაც.“

ნება მიბოძე, მცირე ხნით, სულ მცირე ხნის განშორებისა, მერმე მოვბრუნდები და სამარადისოდ დავრჩები შენთან“.

ღიმილით უთხრა მზეჭაბუკს მშენებლებამ:

„მე ხომ მკვდინია, რა ძალა აქვს მიწას. წა, შე საცოდავო, და ეწიე ყოველი კაცისა და ყოველი არსის უცილო ხვედრს.“

გახსოვდეს ოღონდ: შენ დაჰყავი ათასი წელი აღმასის კომპი, ერთი შეათასედი მარადეამობის ერთი წამისა, მეექვსება, შენთანები დაგიხვდნენ ცოცხალნი.

აჰა ორგვარი ყვავილი, ეს მინდა გაგატანო იმ სოფლად“.

ეს უთხრა და გაუწოდა ორი ყვავილი, ერთი — სისხლივით წითელი, მეორე — უთეთრესი თოვლისა.



... „ვინძლო, შენს საბრძანისში მისულს, კვლავ მოგინდეს თუცხოლო ათასწელს, უყნოსე წითელს, ხოლო უკეთეს სიკვდილის ფასი შეგნო, მაშინ თეთრი მოიშველიე. არ შეგეშალოს ეს ამბავი ოღონდა.“ *ერკინული შიხლიჩოშეკა*
 ეს დააბარა მშვენიერებამ ჭაბუკს.

XIV

როცა კვლავ მიწაზე ჩამოვიდა მზეჭაბუკი, აიყარნენ მეთოლიები ზღვიდან, გადაფოფრნენ მიწას, უკან მისდევდნენ და მიპყვიოდნენ:

„მშვიდობით, მშვიდობით!“.

იარა მზეჭაბუკმა.

იარა,

და მიაღწია მთის მწვერვალს.

მაგრამ სადღა იყო მწვერვალი?

მთა და ბარი გაესწორებინა შავოსანის ნისკარტს, კლდეთა ნამუსრევებით ამოევსო უფსკრული.

თავათ ყორანი მუშტისოდენა ქვაზე დაყუყულიყო, ფრთებს ქვეშ ამოედო თავი.

მწუხრი მშვიდობისაო, ყორანო, ბატონო!

მიესალმა მგზავრი.

არ გაიღო მძინარემ ხმა.

ხელი შეახო მზეჭაბუკმა ნაკრტენს და მტვრად იქცა ყორანი.

თურმე მიწის ვალი მოეხადა შავოსანს და მოეხვეჭა როგორც იქნა სიკვდილი.

ტრამალს ჩაუარა მზეჭაბუკმა უკაცრიელს, აქ ირმის ძვლები და დაუხვდა, მიმოფანტული მიწაზე.

თავის ქალაც მუნვე ეგლო შუაგაპობილი, ზეცას მისწვდენოდნენ ქორბუდიანი რქები.

გადახდენოდა უკანასკნელი გადასახდელი ირემსაც.

XV

მღელვარე გულით მიეახლა მზეჭაბუკი თავის საბრძანისის სამანებს.

აჰა, სანახები მშობელი მხარისა.

გორაკები და გორმახები კვლავინდებურად მიგნავდნენ ველებსა და კაპანებს.

მთებიდან დაძრულნი წყალნი ძველ კალაპოტებს მიპყვებოდნენ, ზღვისკენ გავაკებულ ბარს.

ასე უცვლელი დარჩენილიყო ყოველივე ბუნებისმიერი.

ზღვიდან და ტბებიდან ჭაობის ფრინველები დგებოდნენ ხშილით. ჯიხვისა და არჯვის ჯოგები ჩამოდიოდნენ მკავე წყლებზე ბლავილით, მშველი და ჭეირანი ერეოდა ნახირში.

ახოებიდან, ღიჭიანებიდან აფრენილი ხობბები ახარებდნენ თვალს, გნოლის გუნდები დაგოგავდნენ ფლატეების ძირას. ყოველივე ისევე დაუხვდა სეფეწულს, როგორც სიჭაბუკეში ენახა ოდესღაც.

რა მიეახლა სატახტო ქალაქის სანახებს, აქ ყოველივე შეიცვალა ანაზღად.

ტრამალები და ველები მოეხნათ, ტყეები გაეკაფათ, ახოვებსა და/ეწერებში ბაღნარები გაეშენებინათ, მდინარეებზე ხიდები აეგოთ, ხოლო იმ ნაკრძალებში, სადაც როსტომ მეფეს ნადირობა უყვარდა, გუთნისდღეობი სიმღერით უკან მიჰყვებოდნენ გუთნეულებს. მხიარულად ლილინებდნენ მებრძებნი.

ბექობებზე შემდგარი მწყემსები მზეჭაბუკისათვის უცხო ენაზე უყვიოდნენ ერთი მეორეს.

ადამიანები შეცვლილიყვნენ გამოუცნობლად.

ეუცხოვა სეფეწულს ტანისამოსი და საქციელი მათი.

ყურს მიუგდებდა წინ შემომხვდარ გამვლელებს, აღარ ესმოდა მზეჭაბუკს ნირშეცვლილი მეტყველება მშობლიური ენისა.

ეს მთები, მხოლოდ მთები არ შეცვლილიყვნენ, ეს საყვარელი მწვერვალები, ეს შრიალა ჩქერალები, ეს ჭაჭვისფერი ფლატეები და გვირაბები თვალჩაშავებული.

ამ მინდორზე ყაბახი იყო ოდესლაც. აქ უსვრია ისარი მზეჭაბუკს, ტოლებთან მოჯიბრეს.

ამ მდინარეში უბანანია, ამ ციცაბოდან გადაუხედავს შვის ჩასვლისას და დამტკბარა, თუ როგორ მოსავდა ოქროცურვილი სხივებით მზე მამისეულ მარმარის სასახლეს, რომელიც იმ ბექობზე იდგა, საბრძოლო გოდოლებით გარს შემორავებული.

ეჭ, სადღა სვიანი ქალაქი ან მშენება ამაყი სასახლისა, რომლის ზეთაზე ფრიალებდა ოდესლაც დროშა ლომისპირიანი!

აგერ ნაცნობი ქუჩები და შუკები.

ესალმება მზეჭაბუკი გამვლელებს, ეკითხება, რა მომხდარაო ჩემს საბრძანისში, ან სად არისო დედოფალი მაგდანა, მისი ტაძრული, მოკეთენი მისინი?

შესდგებოდნენ გამვლელები, მაგრამ არავის ესმოდა მზეჭაბუკის ნაუბარი, შეხედავდნენ გაოცებულნი და გაეცლებოდნენ უცხოთაგანს აბეზარს.

იავარქმნილიყო ყოველივე ძველი. საბრძოლო გოდოლები შეუმუსრავთ, ახალი სრასასახლენი აუგიათ ზღვისპირად.

ჭოტი იგლოვდა ნანგრევსა და ნატამალს. ხვლიკები დანაეარდობდნენ სამეფო პალატების, საჯინიბოების და ასპარეზების ბალავარებზე.

სურო და ხვიარა ვასულიყო ტაძრებისა და სასახლეების სვეტების ნამუსრევებზე.

ერთადერთი გუმბათმორღვეული სამრეკლო-და დარჩენილიყო თავის უჩინარობის წყალობით.

მოხუცი ბერი იჭდა მახლობელ ლოდზე და ფურცლავდა ჩალისფერ ხელნაწერს.

მზეჭაბუკი მიეჭრა ბერიკაცს და ეუბნება შეძრწუნებული:

„ეს მარქვი, მამაო, სადღაა როსტომ მეფისეული მარმარის სასახლე ან სად წასულა დედოფალი მაგდანა, ტაძრული და მოკეთენი მისი?“

მთელი ქალაქი შემოვიარე, არავის ესმის ჩემი ნაუბარი, ეგებ შენ იცოდე რამე?“

თავი აიღო ბერმა, თვალი მოიფშენიბა და გაოცებული მიაშტერდა მგზავრს.

„მე ძლივსღა ვგებულობ შენს ნათქვამს და ამ ქალაქის მკვიდრნი როგორ მიგიხედებოდნენ?“

შენი ენა აწ ამ ძველ ხელნაწერშია დარჩენილი, შენს ჩიტყვივებს ჩვენი წინაპრები ხმარობდნენ თურმე ათასი წლის წინად და მე მაოცებს, რომ თუნდაც ერთი კაცი დარჩენილა ეგრე მეტყვილი!“

„რას კითხულობდი, მამაო?“

„შეეკითხა მზეჭაბუკი ბერს.“

„ამ ფოლიანტში ასეთი ამბავი ამოვიკითხე, შვილო: ათასზე მეტი წლის წინად ვიდრე გოგ და მაგოგი შემუსრავდნენ ჩვენს ქვეყანას და ციხე-ქალაქს, სეფე წული მზეჭაბუკი გაპარულა სასახლიდან და მისი ამბავიც არავის სმენია მას შემდეგ.“

იღმა გაოგნებული მზეჭაბუკი. სმენადამაბული ყურს მიუგდებდა ბერის ბლუქუნს.

მიახლოვებით მიუხედა ნათქვამს, რადგან მზეჭაბუკი ახსენა მოხუცმა, და ეს ლაპარაკი გაუგებრად ეჩვენებოდა.

არა ნაკლებად გაოცდა ბერი, მზეჭაბუკის ნათქვამი ეუცხოვა, ვითა ფრინველთა მისანის ძახილი ტყეში.

ეს მე ვარო მზეჭაბუკი სამგზის გაუმეორა სეფეწულმა ბერიკაცს.

ბერი ზეწამოიჭრა, ხელები აღაპყრო დატყეობულმა ცისაკენ.

„აჰ, ვაჟ, მისტერივე ეამთუხანობის?“

„შემუსერილია ციხე-ქალაქი, იავარქმნილია ნატახტარი მამიჩემისა.“

რალა ვარ მე აწ, თუ არა მტკნარი ჩვენება, მხოლოდ-ღა ლანდი გადმოხვეწილი იმ ქვეყანაში, სადაც ყოველივე შეცვლილა, ყოველივე, გარდა მთებისა.“

ესა სთქვა მზეჭაბუკმა, ამოიღო გულიდან ყვაელი თეთრი და ვნებიანად უყნოსა.

XVI

როდესაც იგი წაიქცა, შეძრწუნებულმა ბერმა ყვირილი მორთო.

მოგროვდა ხალხი და მთელმა ქვეყანამ ირწმუნა ბერის ნაამბობი:

ლეგენდის წიგნს ვკითხულობდი ძველს, ვინმე მზეჭაბუკის გაუჩინარების გამო შეთხუთხულს, ლეგენდის გმირი გაცოცხლდა, თავზე წამომადგა და მკვდრების ენით შემესიტყვაო.

ალექსანდრე კუთათილი

ს ა ი რ მ ე

(ბალადა)

კვლავ დგანან მოუღრეკელი
ღარიალი და მყინვარი
და მორბის მარად დღეგრძელი
თერგი ვეფხივით მძვინვარი.

თეთრი არწივი გერგეტის
მოსარკულ ცაში ჰყიოდა
და ხმა კაქივით კერკეტი
ციდან არშაზე სცივოდა.

მთებს შოვექეციტ პირიქით,
ენახეთ სხვა მათათა ღრეობა,
დავიახლოვეთ ბილიკით
თეთრი არაგვის ხეობა.

ღარაშმულეები ღარაჯად,
თუმცა ლახვრავდნენ მეხები,
არაგვის პირად შარადქამ
იდგნენ და დგანან ვერხვები.

ირგელივ მაღალი მთებია,
ტყიანი და შვენაბადა,
ისეთი ლაშაზებია,
თითქო განგებამ დაბადა.

•
•

გათენდა: მთის უნაგირზე
შემოჰხდნენ მონადირენი,
ილოცეს: „ღმერთო, გვადირსე
მოვკლათ ამ დილით ირემი“.

ჭაბუკი ძლიერ ტოკავდა,
ვეფხივით შეჭკრა კამარა.

პაპამ ცხენს მოხსნა თექალთო
და ღარჩა თოფის ამარა.

წარბს აწვალეზდა გაფანჩულს,
კალთები ამოიწია,
ტყეს გაჰყვა ტოტებდაკვარჩხულს,
სადაც ძეძვი და ღიჟია.

მთა გადიარა გზირებით,
ტყე, დაბურული ტევრები:
კვალიც არ სჩანდა ირემის,
თუმც დაიგეშნენ მღვევრები.

შერისხა ძალლი მახარა,
მთები ძახილით დაძფარა
და თითქო გადიხარხარა
დაცინვით ხეზე ჯათარამ.

•
•

ტყის პირად, საამინდოზე
ჯოგს მიუძლოდა ირემი.
შვენოდა ტრიალ მინდორზე
რქა ცამდე შენადირები.

ესროლა პაპამ ყირიმი
იმ ქორბუდიან ხარირემს:
ხრამებმა ირემის ყვირილი
დამარხეს, გაინაპირეს.

იგი მშვენება წამისა
ბერდიამ ნახა, იაშა,
მაგრამ გულმკერდი პაპისა
მყის შეანგრა ტყვიომა.

შეშფოთდნენ შვილიშვილები:
ბერდია, ხეთისო, მინდია.
პაპას შეუხსნეს ღილები,
მტრის საქმბნელად მიდიან.

*
* *

შიშველი საიალადო
მთა შეეყარათ მაღალი,
ზედ ფარა აღარ ბალახობს,
არც სჩანს ბილიკი ახალი.

ტანსრული შვიდი ღერღეტი
მოსარკულ ცაში ჰყოიდა
და ხმა კაევიით კერკეტი
ციდან ხევებში სციოდა.

ბერდია შეკრთა რა ნახა
ტანასვეტილი ხევსური,
და მყის მოუნდა დალახერა
გადამთიელი მეგზურის.

მიდის ვეფხვიით ავეული,
თვალთ სისხლი გადაეფინა.
ამოიშიშველა ფრანგული,
კაშკაში დააწყებინა.

ასე პრისხანედ მიიწევეს,
მაგრამ დალატობს ძალები,
რადგან გრძნეული, სამიწე
ჟკრთობს ხევსურის თვალეში.

*
* *

წინ გადაუდგა ბერდია,
უთხრა სიტყვები საქმლო:
„რად შეუნგრეი მკერდია
პაპა გოჯასპირს, შავბნელო!“

სთქვა და აღმართა ფრანგული,
ყრმამ კი შეხედა კაეშნით:
ბერდიას ხმალი ჩათქმული
მყის დაეკიდა ჰაერში.

უთრთოდნენ მუხლისთავეები,
დაუცხრა გაბოროტება,

და ჩამოსცივედნენ მკლავები
მუხის მოკვეთილ ტოტებზედ.

გაქცნულნი

უცნობმა უთხრა: „გოჯასპირსა
ხანმატის მცველი ირემი,
დღე ჩაუბნელა ხანმოკლე
ლეთისაგან შენაპირები?“

გოჯასპირ მტერი მეგონა
მე ჩვენი რჯულის ორგული
და, აბა, სხვა რა მელონა?
ვა-მე, დაველუპე ლომგული!“

სთქვა და განკურნა ხელადა
ირემიცა და პაპაცა.
აქიმის თვალი ელავდა,
გრძნეული გაამამაცა.

*
* *

ყრმას ტალავარი ემოსა
ნაქარგი ფერთა ხეავითა,
შეხამებული მდელოსა
და იალალის ყვავილთა.

მის გულისპირზე ელავდა
სამსხვერპლოდ შენაპირები,
წმინდა ნიშანი გელათის:
ქორბუდიანი ირემი.

ცისფერყვავილთა ბისტების
ღვივოდენ ჯვრების ალები,
სამოდ ნაგვირისტები:
„თამარ-დედოფლის თვალეში.“

თუმც შამოერტყა ფრანგული,
ხელთ ჩაებლუჯა ფარია, —
კაცი არ ჰყავდა დაკლული
და არცა ვინმე მკვდარია.

მაინც არ ჰყავდა მოქიშპე
ხმალსა და თოფის სროლაში.
განგებ სულ ახლოს მოგიშეებს,
დაგჭრის მკლავსა და ლოყაში.

თვითონ ორმაგი ნახმლევი
შუბლზე ჯვარივით აჩნია.

დადი არ აზის ახლები
სხვა საამაყოდ გვარშია.

ბერდის ენახა მანამდის.
სთქვა: „მტერში როგორ გავრიე
ბრძენი აქიმი ტანადი,
ცისფერთვალემა გაბრიელ?!“

ირგვლივ მთებია მაღალი,
არაგვის კორიანტელი.
თავს დასდგომოდა დაღადით
ყრმას ცისარტყელის ნათელი.

ხიბლავს არაგვის დგანდგარი
და მნათობების ქაშკაში,
ცა-მიწა შორის დამდგარა
ყელმოღერილი ვაჟკაცი.

ასე ამბობენ: გაბრიელ
მინდიას შეილი არისო.
თუ შეეყარე წამიერ, —
მტერი ვახდები ბარისო.

•
• •

ადგა ირემი დალოცა,
წასელა ურჩია ქარდუსა.

არყისფერ თვალში აკოცა
და ქედზე ხელი გადუქსევა
გულში
გულში

მერე ცადაყრილ რქაზედა
აღუნთო წმინდა სანთელი.
დაჯდა. ამოსჭრა ქვაზედა
იმისი სახე ნათელი.

მასუკან კლდეზე ირემი
ქორბუდიანი ხატია
და მის წინ შენაპირები
უქრობი ცეცხლი ანთია.

ირემის გამომხატველი
კაცი კი არ სჩანს არსადა,
რომ გააოცოს მნახველი
თავის ქანდაკის ფასადა.

მოჰკლეს ბრძოლაში მინდია.
გაბრიელ ნეტავ სად არი?
ყველა რიგრიგზე მიდიან
და ქრება კერის დადარი.

მიდის თაობა ათასი,
ვაჰქრა წარსული ტიალი,
მარად დარჩება კავკასის,
ოთხი არაგვის გრიალი.

ზრივოლ აბაშიძე

ლ ე ქ ს ე ბ ი

ლიმილი

არ მოველოდით ალბად არცერთი,
შეეხედით მგზავრები შორი გზისანი,
გვერდს ავივლიდი, ვერც შეგამჩნევედი,
მაგრამ ლიმილით უცებ გიცანი.

ნუთუ განვლილი ასე შორია,
ჩვენი ქუჩა და სკოლაც შორს არი,
ჩვენ ქვეყნად ბევრი არ გვიცხოვრია,
მაგრამ ბევრი გვაქვს მოსაგონარი.

რამ გამოგცვალა მაინც ამგვარად,
ეგ გამოხედვაც განა შენია?
თვალეში თითქოს ჩრდილი ჩამდგარა,
მაგრამ ლიმილი კვლავ შეგჩენია.

სიმდიდრე მხოლოდ გულით მდიდართა,
ლიმილი შენი, ნდობის დასტური,
მე ამ ლიმილში მუდამ მიყვარდა,
რალაც ბავშვური და ეშმაკური.

იგი უსიტყვოდ მეტყველებს ღღემღე,
რომ ბევრი გახსოვს მძიმე წუთები,
რომ ზოგჯერ იქნებ თავს იტყუებდე,
მაგრამ არასდროს არ მოტყუედე.

ო, ეს ლიმილი, მოხუცს ბრწყინვალე
გაგყვება, როგორც ქაბუქს ოცწლიანს,
ლიმილი იტყვის: გამოიცვალე,
მაგრამ გული კი არ გამოგცვლია.

შეჩერდი, ეს გზა კიდევ შორია,
სიბერე ჩვენგან კიდევ შორს არი,
თუმცა ჩვენ ბევრი არ გვიცხოვრია,
მაგრამ ბევრი გვაქვს მოსაგონარი.



მითხრეს, სიწითლემ გადამკრა წუთით,
 ვერ დაერჩი მშვიდად და არხეინად,
 არ მყვარებიხარ, არც ჩემად მსურდი,
 და მაინც ჩემად რალაც მეწყინა.

გათხოვდი,
 ბოლოს ყველა თხოვდებით,
 თითქმის ყველანი ხდებით დედები,
 თქვენი სიშართლით, თქვენი ცოდვებით.
 ყველანი ვინმეს მიეკედლებით.

მაინც რად გვწყდება გული, რით არი?
 თითქო ვშორდებით ვინმე ჩვენთანს,
 თითქო გვაკლდება ერთი სიზმარიც —
 ჩიტი ყოფილა და გაგვფრენია.

შორით მომწონდი, მხვდებოდი წუთით,
 დღეს თითქო ჩემი დასტოვე ბინა,
 არც მყვარებიხარ, არც ჩემად მსურდი
 და მაინც გული რატომ შეტყინა!!



შეგვეძლოს შეველა ან დაფიქრება,
ან მიმავლისთვის თვალის მოსწრება,
როგორ თვალსა და ხელს შუა ქრება
აუხდენელი ბავშვის ოცნება.

ქრება და მაინც მეორეთ ველი,
ჯერ ზომ არც ისე ბევრის მომსწრე ვარ...
რით გავუტოლო ცხოვრება მთელი,
არწივის ერთი მხარის მოქნევას!

სად არი ბოლო, დაღლა წყურვილით,
სად არი ციურ ვარდთა სურნელი,
ლექსი ძლიერი გაზაფხულივით
და სიკვდილივით გვერდაუვლელი.

მომეც საკე და გემი საჩემო,
გაუხდენელი მინდა მერანი!
ზღვაში — ჩემივე გულის გარშემო
ვბრუნავ, გზას ვეძებ, ვით მაგელანი!

ზამთრის ფანტაზიები



1.

ეხვევა ირგვლივ და ეხურება
თოვლის სითეთრე ვენახს ზღაპრული,
და სჩანან ახალ ნათესურებად
ვაზები მალალ თოვლში ჩაფლული.

ნიავე ჩუმი აღარ შრიალებს,
ცისფრად დაფერილ ზღვას შეშფოთებით
შაბიბანის ფორაჯიანებს
აღარ აშლიან მწვანე ფოთლები.

ქარვის და ლალის არსად წერტილი,
არ უცინიან მზეს აღმასები,
შავი კურდღლები ყურაცქვეტილი —
ყელამდის თოვლში სხედან ვაზები.

მაგრამ რად მინდა, რა მევაზება,
ამოდ გაესცქერ მინდვრებს თოვლიანს,
ქვეყნად ყველას აქვს რამე მსგავსება,
შენი მსგავსი კი ვერ მიპოვნია.

2.

დაზამთრდა და ყველამ კარი გადაარაზა,
ყველას სცივა, ვინ აღგება უთენია,
უძნელდება გავლა დიდსაც, პატარასაც,
მაგრამ მაინც თოვლზე გავლა ურჩევნია.

ჰყინავს, მამალს დაყივლება ეზარება,
ზე და ბუჩქი ყველა თოვლქვეშ მარტოვდება.
სცივა, მაგრამ არის რაღაც ნეტარება
გაუკვლეველ თოვლზე კვალის დატოვება.

საღლაც სხივი მოსდგომია ცას და ბრწყინავს,
თოვლს იკვლევს და გარბის წყარო ნაკადულად,
კვალი რაა, ჩიტის კვალი პაწაწინა,
ამ დიდ თოვლში ისიც კი არ დაკარგულა.

ყველაფერი ადვილია მისაგნებად,
ბოლოს მაინც ყველა კვალი მიდის კართან,
ქვეყნად თურმე არაფერი იკარგება,
არაფერი გაუმხელელ ფიჭრის გარდა.

3.



ღე ცეცხლისგან გადგეს კიდევ
ვინმე ვაჟკაცთაგანი,
ჩვენ სიცივეს გავერიდეთ,
ჩვენ ცეცხლს ვეციოთ თაყვანი.

რჭელის შეცვლას ჩვენ არ ვსწუხვართ,
არ გვასველებს ცრემლები.
დავებრუნდეთ ისევ ბუხარს
„ცეცხლთაყვანისმცემლები“.

მხოლოდ წუთით ხარობს თვალი,
ლბინი არი დროებით,
ჩამოხსენი ჩამომხვრიჩალი
პერში აკიდოები.

ჩამოხსენი, მოჩვენებით
შემაშინეს წუხელაც,
კელაპტრების ოდენები
მოაყოლე ჩურჩხელა.

აღარც პური, აღარც ყველი,
მხოლოდ ღვინო წითელი,
თუ არ არი უფრო ძველი,
იყოს შარშანწინდელი.

ყანწიც იყოს, დღეს მოვიხმართ,
დიდხანს გქონდა უხმარი,
ყველაფერი თქვენ ყოფილხართ;
ღვინო, შენ და ბუხარი.

ამ ცეცხლის წინ თურმე შენი
დარწეულა აკვანი,
ასე გათბობს, ასე გშვენის,
როგორ არ ვსცე თაყვანი.

ზღვა და მერცხალი



გაჩქარებული, ფრთაოქნეული,
 უცებ დაეშვა მერცხალი ციდან,
 ზღვას გაუსწორა მთელი სხეული,
 გაეკრა ზედ და... წამსვე მოსცილდა.

არ სურდა ცურვა, ტანთ შავი ეცვა,
 ტალღის შხეფს ფრთითაც არ შეხებია,
 არ სწყურებია, წვეთიც არ შესვა,
 მაშ რაღა სურდა გაშლილ ფრთებიანს?

ნუ ჰკითხავ მერცხალს ზღვისგან რა სურდა,
 ნუ მკითხავ შენგან რა მსურდა მაშინ,
 როგორც ზღვისა და მერცხლის თამაში,
 ჩვენი თამაშიც უცებ დასრულდა.

დავით სულიაშვილი

სემინარიის კელეზში

პირველი დღე

მხურვალე პაერში მტვერი ანიავებულ ბზესავით იბნევა. ძარღვებ-დაჭი-მული ოთხი ცხენი აღმართში „კონკას“ ძლივს მიათრევს. დაკვირვებული მკვირცხლი თვალებით აქეთ-იქით ვიცქირები. ახმაურებული, ხალხით საე-სე ქუჩა მოოცებს. ერთმანეთზე მიკრული, მაღალი სამ-სართულიანი სახლე-ბი და ჩამწკრივებული მაღაზიები ჩემს მხედველობას იზიდავენ.

პირველად ვეგებები თბილისის ქუჩებს, — ეს არის ახლა ჩამოვხტით მე და მამაჩემი სადგურზე და შუა ქალაქში „კონკით“ მივემართებით.

— აი, შვილო, სემინარია! — ანაფორის განიერ სახელოდან ხელს გამო-სწევს და მაღალსა და გრძელ შენობაზე მიმითითებს, — ახლა აქ უნდა ისწა-ვლო, ვინძლო კარგად იმეცადინო და მტერი არ გაახარო...

მაღალი, თეთრი, ყაზარმასავით გრძელი, მრავალფანჯრებიანი შენობა აღმართ ქუჩას დიდმანძილზე ჩრდილით ჰფარავს. კისერ-მოდერებული შეე-ცქერი ჩემს მომავალ სასწავლებელს და ვამჩნევ, — მისი კედელი, პიტალო კლდესავით ამართულა, სხვა შენობებივით ლამაზი და ჩუქურთმიანი რომ არ არის, არ მიზიდავს. თითქოს მხიარულ გულს მძიმე რამ დააწვავო, — მეტ-კინა, დამალონა.

ქარვასლის წინ ჩამოვხტით, უკანვე წამოვედით და სემინარიის მსხვილ-სვეტებიან დერეფანში შევედით. შავ-ანაფორიანი და გრძელ-წვერებიანი მღვდლები, დიაკვნები, მასწავლებლები და კუნკულიანი ბერები ერთმანეთ-ში ირეოდნენ, მიმოდოდნენ, ჯგუფებად ლაპარაკობდნენ.

ავერ ერთმა ბერმა გამოიარა, შავი ანაფორა და განიერი სახელოების შრიალით გააპო შეჭგუფებულები. მიდის და თან მისდევენ დიაკვნები და მოწაფეები. ისიც მათ პირჯვარს გადასწერს და ხელზე ამთხვევინებს.

მღვდლები მას გარს შემოხვევიან და ეკითხებიან. ისიც ტკბილი შემპა-რავი და მოკრძალებული ხმით ეუბნება:

— დიად, წმინდანო მამანო, თქვენი შვილები, ექზარხოხის განკარგუ-ლებით წელს სემინარიაში შესასვლელად გამოცდებზე გავლენ... ზვალ თი საათზე მოიყვანეთ, პირველი კლასის ოთახში თემას მისცემენ დასაწერად. ვინც კარგ ნიშანზე ჩააბარებს, მხოლოდ მას მიიღებენ. ახლა კი წადით შინ!..

ბერი წრეს გაარღვევს და კიბეზე ადის. მღვდლები და დიაკვნები ერთ-მანეთში აირევიან და ბუტბუტებენ:

— ეს რა შემოიღეს? წინად რომ არ ყოფილა ასე?

— მამა! წინად სკოლიდან წარმოადგენდნენ მოწაფეებს და გათავდა!

— ეს სულ იმის ბრალია, რომ ბუნტოვნიკობენ ხოლმე!

— თუ კი რუსეთიდან გადმოსულებს იღებენ გამოცდებს, ჩვენ რაღა დაეშავეთ?

— ეჰ, შვილოსა, სემინარიაც მაგათ ჩაიგდეს ხელში და ეკლესიაც! როგორც უნდათ, საქმეს ისე დაატრიალებენ! ჩვენ ვინღა გვკითხავს რამეს! ამბობს ერთი თეთრ-ანაფორიანი მღვდელი და გაჭაერებული მიდის.

კიდევ დიდხანს ვიტრიალეთ დერეფანში, — ზოგი გადიოდა, ზოგი შემოდოდა. გადაწყვეტილებას რომ ვებულობდა, ხან ერთ ჭგუფთან შეჩერდებოდა, ხან მეორესთან. ყველა დაღვრემილი და ნაწყენი თავის აზრს ერთმანეთს უზიარებდა.

ფარჩის სარჩულიანი ანაფორები შრიალებენ, ვერცხლის მოზრდილი ჭვრები გაკრული ქრისტეთი თეთრად ციალებენ. ორიოდ დეკანოზის ოქროს მომცრო ჭვარი ოქროსავე ჭაჭვით შავ ანაფორაზე სრიალებს.

მამაჩემი მათში დაიარება, ნაცნობებს ესალმება, დაბლა თავს დაუკრავს, ხელზე ემთხვევა და ერთმანეთის შვილების ამბავს გამოიკითხავენ. მამა ამაყადაა, — იცის, რომ მისი შვილი კარგი ნიშნებითაა წარმოგზავნილი და გამოცდების ჩაბარების იმედიც აქვს.

ხევიდან ანაფორის შრიალით და კრიალოსანის ჩხრიალით ბერი ჩამოდის. გამხდარ სახეზე გაქუცული წვერი და უღვაშები ტუჩებსა და ლოყებს უფარავენ. სუსტ ცხვირზე გადამჯდარი სათვალე თვალებს უმაღავს. მღვდლების კედელს გააბობს და დერეფნის სიღრმეში მიმალულ კარებში შევა.

— ვინ არის? ვინ არის? — კითხულობენ.

— რექტორია, რექტორი! — და ყველა მოწიწებით დახურულ კარებისაკენ იშხირება.

დერეფანი თანდათან იცლება. უფროსი კლასის მოწაფეები კიბეს აირბენენ, — ქულზე იისფერ კანტებით და შავი ხალათებით. შურით გავხედე მათ. ტანში ქრუანტელი დამივლის, — „ნეტა როგორ ჩაივლის ხვალინდელი გამოცდა? ნეტა მეც ველირსები სემინარიელის ტანისამოსის ფორმის ჩაცმას?“

მეორე დღეს თბილისის, თელავისა და გორის სასულიერო სასწავლებელ-დამთავრებულები პირველი კლასის დარბაზში შეგვეკრიბეს. თბილისელებს რატომღაც თავი ამაყად უქირაეთ, კარგადაც აცვიათ და ჩვენ გვეონია, რომ მათ ჩვენზე მეტი იციან. მალე ჩვენი გვარები წაიკითხეს, დაფაზე თემა დაგვიწერეს და ერთი ზედამხედველის ამარა დაგეტოვეს.

ფანჯარასთან ვიჯექი. დაფაზე დაწერილ თემას ვკითხულობდი, — „КАК Я ПРОВЕЛ ЛЕТНИЕ КАНИКУЛЫ“. კალამი ხელში მიჭირავს და რვეულიც მაგიდაზე მიდევს. დაწვერე სათაური, ვუცქერი ცარიელ ფურცელს, მინდა დავიწყო... სხვები მოღუნულან — უკვე სწერენ. ნეტა რას? აზრი არ მომდის თავში... როგორ დავიწყო? სოფელი... კარგი დრო გვატარე, ხოლო... აბა, როგორ დავიწყო? როგორ დავიწყო?..

ჩემ თავში თბილისში ჩამოსვლის შთაბეჭდილებები სურათებად მიჭქრიან, სოფელი კი მიიჩქმალა. ერთი სამ-სართულიანი სახლი, მღვევბივით ზორბა ვაჟაკების მხრებზე შემდგარი, მაოცებს. ისეთი მსხვილი მუხლები და

მკლავები ჰქონდათ, დაჭიმული ძარღვები, აბურცული კუნთები და გრძელწვერიანი სახეები ისე დაემანჯათ, კაცს ეგონებოდა, მართლა მთელი სიმძიმე სახლისა ამათ აწევსო. დიდხანს ვიდრე და ამ ქანდაკებას შეხურობდნენ. ხიდს იქით პატარა მრგვალ მოედანზე ვორონცოვის მაღალი შეგლია, იქვე მარცხნივ კი საკონდიტრო. ფანჯრიდან მოსჩანს რბილი, თბილი ფუნთუშები, კამფეტები, შოკოლადი...

სოფელი არ მაგონდება. რა ვქნა? როგორ დავიწყო?

გვერდზე, — ფანჯარაში ვიხედები. აღმართზე ცხენები „კონკას“ ძარღვების დაჭიმვით მიათრევენ. პატარა ბიჭები უკან უხტებიან, ერთმანეთს უსწრებენ, მირბიან. მეეტლე ზარს დარეკავს, ცხენების სადავეებს მოსწევს, ისევე მოუშვებს, მუხრუქს დაატრიალებს და ცხენებს მათრახს გადაჰკრავს. ვილაც ჩამოხტება და პუშკინის ბაღში შევა. ქუჩაში მტვერი დგას. დაბალი, გრძელხალათიანი კაცი მხარზე მაღალი ყუთით და ფანჯრის მინებით მიდის და გაჰკივის: „სტავიტ სტეკლო“. მეორე მხარეს მაღალ-მაღალ, განიერ შარვლიან კაცს მოკლე ახალუხზე ვერცხლის ქამარი შემოუჭვრია, თავზე განიერი თაბახი დაუდგამს, ზედ მსხლეები და ვაშლები დაუწყვია, ქანაობიო მიდის, შარვლის ნაოქებს არხევს, მხარზე ჩამოკიდულ ჯაჭვიან სასწორს აჩხარუნებს და გაიძახის: „დული, იაბლოკი, დული!“ პატარა ბიჭიც მირბის, ფეხშიშველი და ხალათ-ჩამომშველები, ხელში გატყავებული ციკნის ფეხი უჭირავს და წვრილი ხმით ყვირის: „ციკნის ფეხი, — ციკნის ფეხი!“

და „კონკის“ ჩხარუნი, ზარის რეკა, ძახილი, ყვირილი, ეტლების ხრილი — ქუჩას ამხიარულებს. ჩემი ყურადღება იქითაა მიქცეული. კლასს რომ გადავხედავ, მერხებზე მოღუნულ მხრებსა და დახრილ თავებს შევამჩნევ. რვეულის გვერდი უკვე გაუვსიათ, ჩემი კი სუფთაა, ცარიელი... რაღა მეშველება? სათაურის მეტი, სიტყვაც არ დამიწვრია!... დრო კი მიდის. რომ ვერ მოვასწრო? რომ ვერ დავწერო? მერე რას ვეტყვი მამაჩემს, — ისეთი იმედი რომ აქვს ჩემი და ამყოფს კიდევ! ეს ფიქრი და ქუჩის ხმაური თავბრუს მახვევს, უფრო ვიბნევი და თავში აზრი არ მომდის.

პირველი წინადადება, პირველი სიტყვები და მერე კი დავწერ... ხოლო მე ქართულად ვფიქრობ და მოცემული თემა კი რუსულად უნდა დავწეროს... ეს უფრო მიძინელებს დაწყებას!..

აგერ ერთმა კიდევ დაკეცა რვეული. წამოდგა, ზედამხედველს მიუბრუნა. თითონ გარედ გავიდა, — თავისუფალი და კმაყოფილი. მან პირველმა ჩააბარა და დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვა. მე რაღა ვქნა? ერთი სიტყვაც არ დამიწვრია...

— ჰო, „как я провел летние каникулы...“ ზაფხული... ჭიდაობა, კოჭაობა, ცურაობა... მამ დავიწყოთ! მაგრამ თავში არ მოდის პირველი სიტყვა. აგერ მესამემ გაიტანა რვეული... ვაიმე! ეხლა კი დავილუბე, ველარ მოვასწრებ!...

— კიდევ რამდენი წუთი დარჩა? — ვეკითხები გვერდში მჯდომ ამხანაგს.

— თხუთმეტი!

— ველარ მოვასწრებ, ველარა! და რა ვქნა?..

კოჭაობა, ცურაობა, ჭიდაობა... ჩვენი სახლის პირდაპირ ციხეა. სურათის ციხე... ლამაზი, მაღალი!.. ჰო, იქ მივედიოდით სათამაშოდ!.. დავიწყებ... პირველი წინადადება... „ჩემი სახლის პირდაპირ ციხეა, იქ მივედიოდით

სათამაშოდ...“ რაკი-ლა პირველი სიტყვები დაწერე, კალამი შირბო, წინა-დადება წინადადებას მისდევს... სურამის ციხე აწერე, ლეგენდას გავიხსენებ. სწრაფად ივსება რვეულის გვერდი. თავში აზრები იბნევა... იბნევა წინ მიზნის, მეორე იკარგება. გასწრაფებული ვწერ... მოცემული დრო თავდება. მეც ვათავებ.

თავი რომ ავიღე, ვხედავ, მაგიდაზე ზედამხედველის წინ რვეულების წყება მალღდება, მოწაფეები რვეულებს აბარებენ და გადიან.

კლასი თითქმის დაცარიელდა. ზედამხედველიც წამოდგა. მეც უკანასკნელი წინადადება დავამთავრე. წერტილი დავსვი. ისიც ამ დროს მოვიდა ჩემთან. რვეული გამომართვა, სხვა რვეულებში ჩასდო და წაიღო...

გული გამალბებით მიცემს... რომ წამოვდგები, კლასში აღარავინაა. თავბრუ დახვეული გავდივარ. არ ვიცი, რა დაწერე, როგორ დაწერე. სხვები კვებულობენ, რომ მალე დასწერეს, კარგად დასწერეს. რვეული თავის დროზე ჩააბარეს და იმედი აქვთ, რომ გამარჯვებული გამოვლენ, ამაყად დაიარებიან...

მე კი მეშინია.... ვაი თუ უცბად დაწერილი არ გამოდგეს?.. დაღვრეპილი დავიარები, — ჩაფიქრებული. სხვები ლაღობენ და წინასწარ გამარჯვებას ღღესასწაულობენ.

მეორე ღღეს იმავე კლასში შეგვკრიბეს, — მიღებულთა სია უნდა გამოაცხადონ. ერთპულით შევედით დარბაზში, მამები ქვევით დავტოვეთ, იქ უცდიან განაჩენს.

ჩემი ამხანაგები მხიარულობენ, იცინიან, — დარწმუნებული, რომ სიაში იქნებიან. მე კი დანაღვლიანებული ვარ და იმედ-დაკარგული.

შემოდის ერთი ბერი და ზედამხედველი. მაგიდასთან გაჩერდებიან. ბერის ანაფორა შრიალბს. მისი ცქრილა შავი თვალები გვათვალიერებს, პირზე ღიმი უკრთის, ცდილობს ჩვენი ყურადღება მიიპყროს...

ჩემი გული გამალბებით სცემს. რაღა ვქნა, რა ვუთხრა მამაჩემს? გაფითრებული ვარ და სმენად-გადაქცეული. აგერ ზედამხედველმა ყდიანი, გრძელი დღიური მოიმარჯვა, — იქ სწერია მიღებულთა სია.

— სიჩუმე! — დაიძახებს.

კლასში სიწყნარეა, ყველა სულს განაბავს...

ბერი — ინსპექტორი აბაშიძე სიტყვით მოგვმართავს. აღნიშნავს, რომ თხზულება ყველას ცუდად აქვს დაწერილი, გარდა ორიოდესი. ჩვენ ბერს დავტოვებდით გარეთ, მავრამ ეგზარხოსმა მიიღო მხედველობაში თქვენი მამების მღგომარეობა და, ხუთიოდეს გარდა ყველა მიღებულთა რიცხვში მოხვდით. აი, ზედამხედველი წაიკითხავს ჩარიცხულთა სიას რიგ-რიგობით...

ყველა შეიშმუნა. ზედამხედველმა ჩაახველა. შავი სათვალეებით გაშლილ დღიურს დააკეკრდა. მთელი სხეულით ვთრითი და ვფიქრობ, — უსათუოდ იმ ხუთში ვარ, გარეთ რომ დატოვეს... გული ძვერს და ყურში კი ისმის გვარები, — ზოგი ნაცნობი, ზოგი უცნობი... პირველი, მეორე, მესამე და... ჩემი გვარიც... ალბათ, შევხტი, თავი გავიქნიე. გულმა უფრო გამალბებით მიწყო ცემა...

ამხანაგი მკლავში მჩქმეტს. მივიხედავ, — მიცინის, მილოცავს... მაშ... უკვე! აღსრულდა!..

თითქოს დაჰიმული ძარღვებით აღმართი ავითავე და ახლა იცით/მხარეს წალოცს გადაეხედე. ლაღად ამოვისუნთქე... თითქო აქვემდისა დაჰმეობით ვიყავი შეკრული და ახლა ამხსნეს, — შეკუმშული კუნთები ამოიშრება გაიქეცი? ვახარო თუ არა მამას? სირცხვილია! რას იტყვიან! მოვისმენ მთელს სიას. ირკვევა, რომ სწორედ ისინი დარჩნენ გარეთ, ვინც ბევრს კეცხულობდა, ვინც პირველ რიგში მიაჩნდებოდა რვეული.

სიის კითხვა დამთავრდა. ხუთიოდე ატირდა, სხვები ჟრიაშულით დავეშვით კიბეზე, ჩვენ მამებს მიეცვივდით და ვახარეთ...

მამამ თავისი შვილი მღვდლის შვილებთან ერთად რომ დაინახა, გული აუჩუყდა. მითხრა.

— შვილო, ამას თუ მოვესწრებოდი, რომ შვილი სემინარიაში მეყოლებოდა და მღვდლის შვილებთან ისწავლიდა, როგორ წარმოვიდგენდი.. ახლა მადლობა დმერთს!.. შენ იცი, შვილო, თუ შესაძლებელია მეტი გზა კი, იცოდე, არა გვაქვს! უნდა ისწავლო! მამის ყველგან კარი ღია გეწნება და არაეინ დაგჩაგრავს.

საღამოს მამა გამოიმეშვიდობა და წავიდა. მეორე დღეს უკვე პირველ გაკვეთილზე ვიჭეკი სემინარიის პირველ კლასში. იწყებოდა ახალი ხანა ჩემი ცხოვრებისა.

პირველი გაკვეთილები

იმვე კლასში ვზივარ, წინა დღით რომ რუსული წერის გამოცდა ჩავაბარეთ. ჩემს გვერდით ჩვენებური მღვდლის შვილი გუცა ზის. ის შარშან მიიღეს სემინარიაში, მაგრამ პირველ კლასში დარჩა და ახლა ერთად ვისმენთ გაკვეთილებს.

ჩვენი საკლასო დარბაზი გრძელია. უკანასკნელი რიგი მასწავლებლის კათედრიდან ძალიან შორსაა. ყურადღებით და გულდასმით უნდა უსმინო მასწავლებელს, რომ მისი ახსნა-განმარტება გაიგონო. ჯერ კიდევ გაკვეთილების ცხრილი არაა გამორკვეული და არ ვიცით, რომელი საგნის მასწავლებელი შემოვა.

ჩვენ სულ უკანა მერხზე ვზივართ. მარჯვნივ შემოსასვლელი კარებია. მასწავლებელმა აქედან უნდა გაიაროს მთელი რიგები მერხებისა და კათედრასთან მივიდეს. შემოსულ მასწავლებელს პირველად ჩვენ დავინახავთ.

— აგერ! პიპინ კაროტიკი მოდის, პიპინაი! — მეუბნება გუცა.

კლასში შემოვიდა ძალიან დაბალი ტანის კაცი, წინ წამოგდებული, პიჯაკში შეკრული მუცლით. ფეხზე მდგარ მოწაფეების რიგებში, მერხების გვერდით, ბურთივით მოგორავდა. მოკლე ნაბიჯებით მიუახლოვდა კათედრას და, ზედ რომ ავიდა, გრძელი დღიური გადაშალა. ჭეინტებზე შედგა. ისევე იატაკზე ჩამოვიდა. ჩვენ რომ მოგვიბრუნდა, მისი მრგვალი სახე მოჭუტული თვალებით, გრძელი უღვაშებით და გაპარსული ფუნთუშა ლოყებით, იაპონელს გვაგონებდა.

კათედრაზე დადებული დღიური ჩამოიღო, გადაშალა და სათითაოდ გვარები ამოიკითხა. ყველას დაგვაკვირდა, თითქოს გვარების დამახსოვრება სდომებოდა თვითულის. მერხების წინ ორიოდჯერ გაიარა და ალგებრის ახსნას მოჰყვა. დაფაზე რაღაც ფორმულები დასწერა. გაკვეთილს რომ ხსნიდა, მე და ჩემი ამხანაგი ვლაპარაკობდით.

— იცი, რატომ ჰქვია პიპინაი?

— არა, არ ვიცი!

— მერე ვისწავლით ისტორიაში. ერთი მეფე იყო პიპინ კაროტიკი, მაგასაც იმიტომ დაეარქვით, რომ მასავით მოკლეა. ცუდი მასწავლებელი როდია.

ამ დროს შეგვნიშნა, რომ ვლასპარაკობდით, შემომხედა, დაფასთან გაიყვანა, დაწერილ ფორმულაზე მიმითითა და მკითხა.

— აბა, წაიკითხე ეს!

მე დავინახე ორი ასო ა და ბ, შუაში ხაზით, როგორც ნაწილაკებშია. მეც წავეითხე „აბიზ“, იმის მაგიერ, რომ მეთქვა: ა გაყოფილი ბ-ზე. თვითონ სიცილი ველარ შეიკავა. მთელი კლასიც იცინოდა. არ გაჯავრებულა, სიცილით კი ძალიან ბევრი იცინა. უკან რომ დაებრუნდი, მერხებიდან მესმოდა, მოწაფეები რომ შეძახოდნენ — „აბიზ“, „აბიზ“-ო...

პიპინ კაროტიკი, გვარად ზმელვესკი, არ იყო ცუდი ადამიანი. სემინარიის სხვა მასწავლებლები აკადემიიდან იყვნენ, ის კი უნივერსიტეტიდან და პირველ ოთხ კლასში ალგებრას, გეომეტრიას და ფიზიკას ასწავლიდა. თავისი გაკვეთილების გარდა, სემინარიის სხვა საქმეში არ ერეოდა. ამიტომ მოწაფეებსაც უყვარდათ ის.

ზარი დარეკეს თუ არა, ევილ-ხივილით გავცვივდით აივანზე. უფროსი კლასების მოწაფეებს ვათვალიერებდი. ბევრი იყო წვერ-ულვაშიანი, მაღალ-მაღალი, პიჯაკიანი და ჰალსტუკიანი. გვერდზე გავუვლიდი და ვამაუობდი, რომ მეც მათში ვერიე. ვეკმუტავდი, ვხტოდი. მინდოდა მათი ყურადღება მიმეჭკია.

მეორე გაკვეთილზე კლასში ბერძნულის მასწავლებელი გორტინსკი შემოვიდა, ცალი ფეხი ქარებისაგან ჰქონდა გაშეშებული. კოჭლობით მიდიოდა მერხებს შორის: მაღალი, გამხდარი და წვერულვამ გაპარსული. ასეთი სახე მე მხოლოდ დახატული მენახა ძველი ბერძნების ქანდაკებებში და ახლა ბერძნულის მასწავლებლის სახით თითქოს ის მომეჩვენა. ხოლო ახლანდელი ბერძენი ძალიან მოხუცი იყო, თავზე თმა აღარა ჰქონდა და ხშირი თეთრი წარბები სიღრმეში წასულ თვალებს ბუჩქებად გადმოსდგომოდნენ.

გორტინსკი სემინარიის მასწავლებელთა შორის ყველაზე უხნესი იყო. მოწაფეების ბევრ მამას ახსოვდა კიდევ მისი მასწავლებლობა და როცა გებულობდნენ, რომ ბერძნულს ისევ ის ასწავლიდა, ძალიან უყვირდათ მისი გამძლეობა.

რბილი ხასიათის და ლმობიერი მოხუცი გორტინსკი როგორც პედაგოგი სუსტი იყო, მის მაგანს ერთმანეთის კარნახობით ვაბარებდით. და ის, რაც ჩვენ გავლილი და შესწავლილი გვქონდა ჭერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში, მის დროს თანდათან გვაეიწყებოდა.

გაკვეთილის ჩაბარების დროს მოწაფეს გვერდში ამოუდგებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვაბარებდით კარნახს. თუ მოწაფეს შეემუბებოდა და აორისტის მაგიერ სხვა დროს აღნიშნავდა, ის კოჭლი ფეხით ადგილს შეინაცვლებდა შეკავებული ღიმილით და გაბრაზებული ხმით ეტყოდა: „пока аорист! садитесь!“ და ახლა სხვას გამოიძახებდა. ისიც განგებ რომელიმე ზმნის შესახებ არა სწორად უპასუხებდა. მასწავლებელი კვლავ შეკავებული ღიმილით ეტყოდა: „пока преходящее! садитесь!“

იცინოდა თავის მოსწრებულ სიტყვებზე და ჩვენც ვიცინოდით... მერე მთელ კლასს ერთად გვაკითხებდა. ჩვენც გავიძახოდით, — „ანდრა მი ენებე

მუსა პოლიტროპა ოსმალა პოლა“. ზოგი ამის მაგიერ ასე მღეროდა: „ანდრომ და მე მუზა ტლაპოში ამოვსვართ!“

მკვლარი ბერძნული ენა მოწაფეებს არ იზიდავდა. მას მუდამ ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, სიტყვას მკაფიოდ ვერ გამოსთქვამდა. კლასში ორი მოწაფე გვყავდა, — ბებიევი და ბელიევი. როცა გამოიძახებდა ბებიევს, უსათუოდ წამოდგებოდა ბელიევი და თუ გამოიძახებდა ბელიევს, წამოდგებოდა ბებიევი. ვიცინოდით მთელი კლასი და ასე ხუმრობა-სიცილში ვატარებდით მის გაკვეთილებს...

ისტორიის მასწავლებელს მახათაძეს მეტ სახელად „კამბიზ“ ვეძახდით. აპარსეთის მეფე კამბიზი განთქმული იყო თავისი სისასტიკით და ჩვენც ისტორიის მასწავლებელს სასტიკი მოპყრობისათვის „კამბიზი“ დავარქვით. ის, ალბათ, ამაყობდა და კვებულობდა კიდევ უფროსების წინაშე, რომ იგამ სახელს ატარებდა, რადგან ასეთი მიდგომა მოწაფეებისადმი სასურველ მეთოდად იყო მიჩნეული.

თვით საგანი ისტორია მახათაძემ ძალიან სუსტად იცოდა. ამიტომ ილოვანისკის წიგნს გვაზუპირებინებდა. მოგვეცემდა ნახევარ გვერდს. დავწერდით: „Д. С. П“. ე. ი. „ДО СИХ ПОР“, — აქამდის. ჩვენც ვკითხულობდით დანიშნულ ადგილამდე. ვიცოდით მხოლოდ, რომელი წლიდან რომელ წლამდე ცხოვრობდა ესა თუ ის მეფე, რა ომები მოხდა მის დროს და რა წლებში. მეტი არაფერი. არც თვითონ ცდილობდა ზედმეტი რამის გადმოცემას და არც ჩვენ ვეტანებოდით და ეს მიმზიდველი საგანი გვრჩებოდა შეუსწავლელი და აუთვისებელი.

მუდამ გამხდარი, სუსტი აგებულობის კამბიზი გაფშეკილი უღვაშებით და ლურსმანივით წვრილი, ცქრილა თვალებით ძველ სპარსელს წაგავდა. მისი უკმეხი სახე და ერთფერტილისაყენ მიბჯენილი გამოხედვა სისასტიკეს და ენიანიობას გამოხატავდა. მისი კარიერისტობის შედეგი იყო ის, რომ ყველა რუსს მასწავლებელს შორის ქართველთაგან მხოლოდ ის გახადეს ღირსი მათში გარეუღიყო და საგანი ესწავლებინა.

კამბიზმა უფროსების ყურადღება მაშინ მიიქცია, როცა მისი ზედამხედველობის დროს ლალიაშვილმა თავისი გასისხლიანებული ხანჯალი მხოლოდ მას ჩააბარა. რექტორის ბინიდან რომ ყვირილი შემოესმა, იქითკენ გაიქცა. ამ დროს ლალიაშვილს თავისი განზრახვა უკვე შესრულებული ჰქონდა და უკანასკნელად კიდევ არტყამდა წაქცეულ რექტორს ხანჯალს კისერში. მიკარება ვერაფერს გაბედა. მხოლოდ კამბიზმა მივარდა უკანიდან და მისუსტებული ლალიაშვილიც დანებდა და ხანჯალი გადასცა.

ამის შემდეგ კამბიზი დააწინაურეს და მასწავლებლად დანიშნეს. მისი გაკვეთილის დროს კლასში სიწყნარე იყო. კარნახს ვერაფერს გაბედავდა, რადგან მას ყური გამახვილებული ჰქონდა, ვერც წიგნს გადამლიდით, მაშინვე დაგინახავდათ. მთელი საათის განმავლობაში გაყურსულნი ვისხედით მის გაკვეთილზე...

ინსპექტორი აბაშიძე

სადამოს ათ საათზე ზარი დაირეკება, ზევითა სართულში საწოლი ოთახები გაიღება და ჩვენც ნება გვეძლევა დასაძინებლად წავიდეთ. ამ დროს კლასი ცარიელდება. მოწაფეები გაკვეთილების სწავლებას თავს ანებებენ



და ბტუნვით არბიან კიბეებზე. საწოლ ოთახებში მკრთალ შუქზე, მოსჩანან ჩამწკრივებული რკინის საწოლები თეთრი ბალიშებით და თხევან მანქანებით. ხოგი თავის გაზეპირებულ გაკვეთილს ხმამაღლა იმეორებს, „ზოგი“ მტკრის და ზოგიც თავის საწოლზე ყირამალა გადადის...

ვინმე საცვლების ამარა წამოხტება და „ცანგალა და გოგონა“-საც ჩამოუვლის. სხვები ლოგინზე წამოჯდებიან, ცანგალას მღერიან, ტაშს უკრავენ და საბნებს ათამაშებენ. ისინი, ვინც გაკვეთილებს ბუტბუტებდნენ, ცხარობენ, დაბეზღებით იმუქრებიან, მაგრამ აშკარა დაბეზღებას როგორ ვაბედავენ!..

ყვირილი და ღრიანცელი მორიგ ზედამხედველს ქვედასართულში ჩაესმის. კიბეზე ფეხის ბაკუნს, რომ გავიგონებთ, თავგებივით შეეძვრებით საბანქვეშ, წავინურავთ და ვითომ გვიჩნავს,—ხვრინვას ამოუვშვებთ. ზედამხედველი დობროგაევი გაჯავრებული დადის, ხან ერთ ლოგინთან მივა და საბანს ასწევს, ხან მეორესთან. მისი შავი სათვალეები მკრთალ შუქზე ოდნავ გაივლებენ. ჭავრდება, იმუქრება... მაგრამ ხმას არავინ იღებს. ისიც იძულებულია თავი დაგვანებოს და საწოლ ოთახიდან გადის.

ჩვენ ლოგინებზე წამოვცვივდებით, მაგრამ თამაშობას ვეღარ ვიწყებთ, რადგან ვიცით, რომ დობროგაევი იქვე ახლო მიიშალა და პირველსავე ხმაურზე უცბად შემოვარდება და ვისმეს დაიჭერს... შეაკვებულნი სიცილით ვიცინით... თანდათან ვწყნარდებით, ძილიც გვეკიდება.

მეც მეძინება. მაგრამ დედამ დამაჩვია, ვიდრე დავიძინებდე, უსათუოდ ხატის წინ დავიჩოქო და ვილოცო. ხოლო აქ რომ არ შეიძლება ეს?

აგერ კუთხეში მოვარაყებულნი მომცრო ხატი სანთლის შუქზე ციალებს... მაგრამ ვიცი, პირჯვარი რომ გადავიწერო, მოწაფეები დამკონებენ და ატყდება ხარხარი. ამიტომ თავს ვიკავებ. პირჯვარის დაწერა კი მაინც უნდა მოვახერხო როგორმე,—თხელ საბანს მარცხენა ხელით ზევით ავწევ, თავსაც შიგ ჩავყოფ და მარჯვენათი პირჯვარს ვისახავ. თან ვბუტბუტებ: „ღმერთო შენი სახელის ჭირიმე, დედამამა მიცოცხლე, კაი კაცი გამომიყვანე!“ გადავბრუნდები და ვიძინებ.

დილას, ჭერ კიდეც ბურანში, შორიდან ზარის რეკა მომესმის. მგონია, ქუჩის ხმაურობაა, მაგრამ ზარის წკრიალი თანდათან ახლოვდება, აგერ კარებში იჭედება მსხვილი დარაჯი პეტრე და მოზრდილი ზარიც იმას უკავია ხელში. კიდეც ერთხელ დავგიფრთხობს ძილს და მერე სადღაც მეორე მხარეს მიაწყდება.

ბევრი ლოგინზე წამოჯდება. ამთქნარებს, იზმორება, ხალოს იცეამს. ბევრი მეორე გვერდზე გადატრიალდება. ზოგი იგინება. ზოგი რალაცას ბუტბუტებს.

ცოტა ხნის შემდეგ საწოლ ოთახში ზედამხედველი შემოდის, დაწოლილებთან სათითაოდ მიდის და აღვიძებს. ის რომ გავა, ბევრი ისევ ლოგინში ჩამქრება,—აღვომა ეზარება. სიწყნარე რომ ჩამოვარდება და დანინახავს, რომ საწოლ ოთახიდან თითქმის ყველა გასულა, ისიც ფიცხლავ წამოხტება და პირის დასაბანად მიიბნის.

მეც დამიგვიანდა. სწრაფად პირი დავიბანე და უკან მოვდივარ. მეორე ზარი ირეკება,—ეს უკვე ეკლესიაში გვიწვევს სალოცავად. გრძელსა და რიკულიან აივანზე მივრბივარ და თან სველ სახეს პირსახოცით ვიმშრალავ.

უცბად ვილაცას დავეჭახები, პირსახოცს თვალებიდან ვიცილებ და შემკრთალი შევდგები,—შავწვერა ბერს შევეცქერი გაცეხებული. *ერკინული*

—ეს რა არის? სადა ხარ, სადა ხარ აქამდის? — ყვერის მხმამიტრა აბაშიძე. უღვაშებში ჩაფლული ტუჩები გადმობრუნებია, ლამაზი, ნაზი, მკრთალი სახე, გაბოროტებული გამოიყურება, მაგრამ შთაბეჭდილებას არ ახდენს. ცხვირის ნესტოები უთრთიან. შავი თვალები როდი გაკრთობენ. გრძნობ უმწურო ძალას, გიკვირს და ვერ გაგიგია — ნამდვილად გაჭავრებულია, თუ რატომ ყვირის?

ვერაფერს ვუპასუხებ. პირსახოცს მხარზე გადავიკიდებ, მარცხენა ხელის გულზე მარჯვენას დაეადებ და მამა დიმიტრის კურთხევას ვთხოვ. მინდა დანაშაული ამით გამოვისყიდო.

ის კი გაფითრებული თვალებით მიყვირის:

— ღირსი არა ხარ! არა ხარ ღირსი, შე საძაგელო. ალბათ, პაპიროსს სწევდი პირისაბან ოთახში და იმიტომ დაიგვიანე!

— არა, მამა დიმიტრი, არა ღმერთმანი!..

— სსსუ! ტყუილად ღმერთს ნუ იფიცავ, არამზადავ!

— ღმერთმანი, მამაო დიმიტრი, პაპიროსს არ ვეწვევი!

— აბა ისუნთქე?

მეც მის პირთან ვსუნთქავ. ის მაინც ყვირის:

— აბა, ჩქარა გასწი, ლოცვაზე არ დაიგვიანო, სულ ერთია როდისმე მოგასწრები!.. — მეც ვავრბივარ.

ინსპექტორი, ბერი დიმიტრი, ერობაში თავადი დავით აბაშიძე, გადაგვარების გზაზე დამდგარი და გარუსებული, სემინარიაში იმ წელს მოიწვიეს ინსპექტორად. მას უნივერსიტეტი ჰქონდა რუსეთში დამთავრებული. კარიერისტი და პატივმოყვარე იყო და რომ უფრო მალე წასულიყო წინ და საპატიო ადგილი მიეღო, ბერად აღიკვეცა. რუსიფიკატორობით გატაცებული და ქართველების მოძულე, თბილისის სემინარიაში მოიწვიეს. რუსეთში ქართული ლაპარაკი დავიწყებოდა თუ განგებ ივიწყებდა, — არავის ქართულად არ ელაპარაკებოდა და თუ დაილაპარაკებდა, მძლავრი რუსული აქცენტი.

ბერად აღკვეცის შემდეგ მას ერთი ძველი ნაცნობი შეხვედრია. ანაფორასა და კუნკულაში გამოწყობილი რომ ნახა თურმე, შესძახა:

— კნიაზო დავით აბაშიძე, ეს რა ამბავია?

— კმაწვილო, სცდებით: კნიაზი დავითი მოკვდა. თქვენს წინაშე დგას შონა ლეთისა — დიმიტრი! — უპასუხა მან.

რატომ ინება მამა დიმიტრიმ ქართველების შეძლება და რუსიფიკატორობის გზაზე დადგომა? ალბათ, იმიტომ, რომ ქართველობა მას კარიერას ვერ გაუკეთებდა. პირველად რომ დამინახა, რუსი ვეგონე, მომიალერსა და გვარი რომ გაიგო, გაკვირვებით მკითხა:

— ქართველი ხარ?

— დიად, მამაო დიმიტრი!

— დედა? დედაც ქართველია?

— დიად!

— საიდან ხარ?

დაუსახელე საიდანაც ვიყავი!

— Странно! ცადი! — შიობრა. თითქოს რაღაც ვაწყენინე.

ქართველები მას ველურებად მიაჩნდა, საქართველო კი — დაღუპვისა და გადაგვარების გზაზე მდგარად. ამიტომ, ალბათ, — როგორც მაშინ, გემი რომ იღუპება, პირველად ვირთაკეები გამოცვივდებიან ხოლმე და სიზრტელს დაიწყებენ თავის გადასარჩენად, — ისე მამა დიმიტრი ცდილობდა თავი დაეღწია და უარეყო თავისი ეროვნება.

ხანდახან კი დაგვიწყებდა ხოლმე დედა-ენაზე ბაასს, წინას მაგიერ ცინას ამბობდა, იცინოდა და თითქოს რაღაც უხაროდა...

გამხდარი, თეთრი და ნაზი სახე ჰქონდა, შავ წვერ-ულვაშში ჩაფლული. სუსტი და მომცრო ტანი ანაფორაში ჩხირივით იყო გახვეული. შავი თვალები და წარბები გახსნილ შებლთან ერთად თითქოს გულუბრყვილობას გამოხატავდნენ. კუნკულას კალთები მხრებზე შავი ლეჩაქივით ეფინებოდა. თეთრსა და გრძელ ვიწრო თითებში კრიალოსანს ათამაშებდა.

მუდამ დარბოდა, ცხარობდა, ჭავრობდა, მოუსვენრობდა, ყვიროდა. მაგრამ მისი ყვირილი ჩვენ არ გვაშინებდა, მას კი სურდა, რომ ჩვენ მისი რიდი და შიში გვექონოდა. კლასში რომ შემოვარდებოდა, ანაფორას შრილით კათედრისაკენ გაიქცეოდა, იქიდან გვიყვიროდა და გვლანძღავდა. მაშინ მისი ვიწრო და სუსტი ცხვირის ნესტოები განიერდებოდა, ტუჩები ათრთოლდებოდა. მერე უცბად მოტრიალდებოდა, დაგვემუქრებოდა და კლასიდან ანაფორას შრილით გავიარდებოდა. მირბოდა...

როცა ღამდება, სემინარიაში სიწყნარე ჩამოვარდება. ყველა თავის კლასშია და გაკვეთილებს სწავლობს. ქერზე ჩამოკიდებული ღამეები მკრთალ შუქს ჰფენენ მერხებს. მოწაფეები ზოგი ჩურჩულთ დადის წიგნით ხელში, ზოგი ზის, წიგნს ჩასჩერებია და თმას იგლეჯს. ამ დროს კლასში შემოვარდება მამა დიმიტრი. ძალიან გაცხარებულია. კათედრის წინ დარბის და ყვირის:

— ეს რა საძაგლობაა! ეს როგორ შეიძლება!

ყვირის, ვერ დაწყნარებულა. ბოლოს შესდგა, მე მომაკეპრდა და შესძახა:

— ეს შენ იყავი, ფანჯარასთან რომ პაპიროსს ეწეოდი?

— არა, ღმერთმანი, მამაო დიმიტრი.

— ნუ სტყუი! შენ იყავი!

— არა, ღმერთმანი, მშობლებს გეფიცებით! როგორ შეიძლება!

— მაშ ვინ იქნებოდა შესავეით ქერა, აი ამ ფანჯარასთან აბოლებდა?

— არ ვიცი, ღმერთმანი, მე არ ვყოფილვარ!

— ქუჩაში მივდიოდი, იქიდან დაგინახე, ბოლს რომ უშვებდი პირიდან!

აბა ისუნთქე!

მე ვსუნთქავ და მთელი კლასი იცინის.

— აბა ახლა შენი ჭიბეები მაჩვენე?

ამოვწევ და გადავბრუნებ ყველა ჭიბეს.

— ღმერთმანი, არ ვეწევი პაპიროსს!

— შენმა მზემ, ეგ არის დაგიჯერე! აქ თუ არა გაქვს, ალბათ, გარდერობში გექნება! აბა წამოდი ჩქარა, მაჩვენე შენი ყუთი.

გარდერობშიც ჩაუვლით. ყუთი გამახსენებინა, მაგრამ პაპიროსი ვერ აპოვნა.

— კარგი, ახლა აგრე იყვეს, როცა იქნება, დაგიპერ და მაშინ ვაი შენი ბრალე!

კლასში რომ დაებრუნდი, ყველამ ერთად შემომძახა: „ღმერთმანი, მამა დიმიტრი! ღმერთმანი, მამა დიმიტრი!“ — და დიღხანს ღმერთმანი მამა დიმიტრის“ მეძახდნენ.

შემდეგში გამოირკვა, რომ პაპიროსი მოსწია ერთმა შექვე კლასელ-მა, ჩემსავით ქერამ. ხოლო მეექვსე კლასის ფანჯრები ჩვენსას მისდევდნენ. აბაშიძემ კი ვერ გაარჩია.

„ტიბიკონი“

დიმიტრი აბაშიძე ძალიან ცდილობდა მოწაფეებში ავტორიტეტი მოეპო-ვებინა. ამიტომ დატუქსევასთან ერთად ლობიერადაც იქცეოდა. მაგრამ ყოველი მისი მოძრაობა ყალბი, — ფუქსავატური და ყოველგვარ სერიოზუ-ლობას მოკლებული, — ცერცეტა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მოწა-ფეები ადვილად ერკვეოდნენ მის ხასიათში და ამიტომ დასცინოდნენ და მასხარადაც იგდებდნენ. ის მაინც ახერხებდა კარიერის გაკეთებას და აქი მალე დააწინაურეს კიდევ. ერთ წელსაც არ გაუვლია, რომ არღონისსემი-ნარიში რექტორად განაწესეს და არქიმანდრიტად აქურთხეს.

კვირა დღეს უნდა ეკურთხებინათ. მცირე პარაკლისის შემდეგ გამოსა-თხოვარ სიტყვას გვეტყოდა, ატირდებოდა, დაგვლოცავდა. მოელოდა, რომ სიტყვას ჩვენც ვეტყოდით და ავტირდებოდით...

დაიწყო ამ დღისათვის მზადება, მოლოდინი. მეექვსე კლასის მოწაფე-ებმა შეაგროვეს ფული და გადასწყვიტეს, მიერთობით მამა დიმიტრისათვის ძვირფასუდიანი ტიბიკონი. მთელი კვირის განმავლობაში მოწაფეები და მასწავლებლები მის გაცილებაზე ლაპარაკობდნენ. იმ კვირას ჩვენ ეკლესია-ში ეგზარხოსს უნდა ეწირნა და დიმიტრიც ეკურთხებინა.

ამის მოლოდინში მოწაფეები ორ ბანაკად გაიყვნენ: ტიბიკონის მომ-ხრეებად და მოწინააღმდეგეებად. მომხრეთა მცირე ნაწილი შესდგებოდა იმ სემინარიელებისაგან, რომელნიც გაძრომით, თაღლითობით და ორპირობით ცდილობდნენ სემინარიის დამთავრებას და ყაზანის სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე შესვლას. ესენი ტიბიკონის შირთმევის მომხრენი იყვნენ. დანარჩენნი კი წინააღმდეგნი.

ტიბიკონის მომხრეებმა საკმარისი თანხა მოაგროვეს, ძვირფასი ყდაც გაუტეთეს და ზედ წააწერეს: „Не любим словом, ниже языком, но де-лом и истиною“.

რაკილა ტიბიკონის ყიდვა ვერ ჩაშალეს, მოინდომეს მისი მელნით გათხუნა, მაგრამ ესეც ვერ მოახერხეს, რადგან საღდაც გადაშალეს. დალო-ნებულად დავიარებოდით, მაგრამ გულში მაინც იმედი ღვივოდა. გვინდოდა დიმიტრისთვის გამოსალმება როგორმე ჩაგვეშხამებინა...

ვათენდა კვირა დილა. გაბოროტებული დავიარებით და ერთმანეთს ვე-კითხებით:

— ნუ თუ ასე უნდა ჩაიაროს და იმათ უნდა გაიმარჯვონ?

— დავანებოთ ტიბიკონს თავი: პარაკლისის დროს ყველა გარეთ გა-მოვიდეთ!

— მაგას ვერ მოვახერხებთ. ყველა არ გამოვა და ვინც გამოვა, იმას დაითხოვენ...

— მაშ რა ვქნათ?

— მისი სიტყვის დროს ხველა აეტეხოთ!



- ეგ კი შეიძლება... მაგრამ...
 — მოიცათ, მოიცათ! ჭერ კიდევ ენახოთ!
 — მაშ იმათ უნდა გადაიარონ ჩვენ გულზე?
 აღელვებულნი, ბრაზმორეულნი, დაეიარებოდით.

აგერ წირვისათვის ზარებს რეკენ. ეკლესიაში შეგვრევკენ.

კანკელზე გამწვკრივებული წმინდანების ხატები მოღვშული გამოიცი-
 რებიან. დუმლია. აღსავლის კარი ვაღებულია. იქ რამდენიმე ბერი ფილოსნ
 იცვამს. მალე ზარის ხშირი რეკა ატყდება. მაშინ ბრჭყვიალა საეკლესიო
 ტანისამოსში გამოწყობილი ბერები და მღვდლები ტრაპეზიდან გამოცვიფ-
 რებიან და ეკლესიის შემოსასვლელ კარებთან დადგებიან, — იქ უნდა შეხე-
 დნენ ეგზარხოსს. მომღერლები კლიროსზე ნოტებს მოიმარჯვებენ, ჩაახველუ-
 ბენ და ცალი თვალთ ლოტბარს შეხედავენ. ისიც აბზრიალებულ კამერ-
 ტონს ყურთან მიიტანს და მოამზადებს გუნდს. ამ დროს თეთრწვერება ბე-
 რიც მოადგება კარებს. ის ყველას პირჯვარს გადასახავს და გუნდიც აგუ-
 გუნდება.

კარებთან ცერემონია გრძელდება. ბერები და მღვდლები, კუნკულიანე-
 ბი და სკუფიანები, შავი ანაფორები და ბრჭყვიალა ფილონები ერთმანეთში
 ირევა. ეგზარხოსს მალალ კვერთხს ხელში დააპერინებენ, ეკლესიის შუა გულ-
 ში ხალიჩებით დაფენილ ამალღებულ ადგილზე მიაცილებენ, თავს დაუქ-
 რავენ და, წერობებივით გამწვკრივებულნი, ისევ ტრაპეზში შევლენ. ახლა
 მზნინავი მაგიდის გარშემო გამწვკრივდებიან, ჩინისა და ხნოვანების მიხედ-
 ვით. ეგზარხოსს კვერთხს ისევ ჩამოართმევენ და დაიწყება მისი საეკლესიო
 ტანისამოსით შემოსვა. ორი მთავარი დიაკვანი, დაკარწახებული ხელებით,
 ქანდაკებასავით აყუდებულ ეგზარხოსს უვლიან აქეთ-იქიდან და ერთი რომ
 სამაჯურს უკრავს, მეორე გინეილიანი ფოჩებით ოლარს ჩამოჰკიდებს. მა-
 ლე ამალღებულ ადგილზე ბრილიანტებით მოჭედილი მიტრით, ბრჭყვიალა
 და მზნინავი სამოსით თეთრწვერება ფლავიანე ბრწყინავს. დედოფალივით
 მორთულია და ხელში ისევ მალალი კვერთხი უჭირავს...

ახლა ყალბი პათოსით ზიზილ-პიპილებიანი წირვა იწყება. ტრაპეზში
 მღვდლებმაც და ბერებმაც ფილონები ჩაიცვეს, აფხორილი, აწული სამო-
 სით რიგში ჩადგნენ, ხელები მაღლა აღაპყრეს, მუხლი მოიყარეს, ბუტბუტით
 ღმერთს შელაღდეს და ჭერ ერთმანეთს, მერე ეგზარხოსს თავი დაუკრეს.
 ამ დროს მთავარ-დიაკვანმა მძლავრად დაახველა, იქვე გააფურთხა, ჯვარე-
 დინად შეკრული სარტყელი მოიხსნა და კანკელის წინ მარჯვენა ხელის აწე-
 ვით მალალი, ბოხი ხმით შესძახა: „გვაკურთხე მეუფეო!“

ერთი უფროსთაგანი მღვდელმსახურთა შორის რიგიდან მობრუნდება,
 ეგზარხოსს თავს დაუკრავს, თითქოს მისგან ნებართვას ითხოვსო და ხელის
 მაღლა აპყრობით მთავარ დიაკვანს უპასუხებს: „კურთხეულ არს მეუფება
 მამისა, და ძისა, და სულისა წმინდისა აჲდა მარადის და უკუნითი უკუნისამ-
 დევე“ და მომზადებული გუნდიც უპასუხებს: „აამინ“. ეკლესიის კედლები
 ახმაურდებიან. ეხლა ყველა თავის ადგილზეა გაჩერებული. მხოლოდ ეგზარ-
 ხოსს შეუძლიან ბრჭყვიალა სკამზე დაჯდეს. კანკელის წინ მთავარ-დიაკონი
 ექტენიას განაგრძობს, კლიროსზე კი მომღერლები ვალობენ.

ორსაათნახევარი, სამი საათი გრძელდება წირვა, — ვალობა, მთავარ-
 დიაკვნის შეძახილები, ეგზარხოსის ამალღებულ ადგილიდან ტრაპეზში მი-
 ყვანა, ისევ უკან დაბრუნება, ღვინისა და პურის იესო ქრისტეს „სისხლად

და ხორცად“ გადაქცევა, მღვდლებისა და ბერების მწყრფის დღეს, ისევ დაწყობა, წმინდა ხატების საკმევლით შებურვა და სხვა ცერემონიები. ყველაფერი ბზინავს — მზის შუქი ანთებულ სანთელს ეთრეხება, ნაკეცხლურის კვამლი გამჭვირვალე სვეტებად კანკელს ეფინება, ზოკყვილა და მბზინავი ფილონები ერთმანეთში ირევიან და მორწმუნენიც, სიყალბით გაბრუებულნი, ღმერთს შეპლადებენ.

ყველა მოძღვრება, ყველა რელიგია ქვედა ფენებიდან, დემოკრატიიდან არის გამოსული. ხოლო დიდხნის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, როცა ის პოპულარობას მოიპოვებს, როცა ის ზედა ფენებშიაც შეიჭრება, იქაც ფეხს მოიცილებს და ოფიციალურ მოძღვრებად გახდება, მაშინ ამ მოძღვრებას თავის პირვანდელი ელფერი ეკარგება, გადაგვარდება და ზედაფენების ჩვეულებების მსხვერპლი შეიქნება.

მეთევზეებიდან დაწყებული ქრისტიანობა საშუალო საუკუნეებში ზედაფენებში, ფეოდალებში მიიკვლევს გზას. ისინი ეპატრონებიან მას. ისინი ჰკიდებენ ხელს მღვდელმსახურობასაც და აქედან იწყება მარგალიტიანი მიტრები, ზიზილ-პიპილიანი ფილონები, ეგზარხოსები, დეკანოზები და არქიმანდრიტები...

იმ დღეს მამა დიმიტრი არქიმანდრიტად აკურთხეს. როცა წირვა დამთავრდა, გამოსამშვიდობებელი პარაკლისი გადაუხადეს. და აი ისევ აძგერდა მოწაფეების გული, ისევ გაბოროტდნენ ტიბიკონის მოწინააღმდეგენი და შეიქმნა ჩურჩული.

— რა ექნათ? როგორ მოვიქცეთ?

— გაიგონე?

— რა?

— ტიბიკონი მოუპარავთ, ველარ მიართმევენ!

— როგორ? რას ამბობ?

— ნამდვილია! გარდერობში რომ ჩამოსულან, ყუთი გატეხილი დახვედრიათ და ტიბიკონი წაღებულნი!

— ბიჭოს, მერე ვინ მოაწყობს ეს?

— არავინ იცის!

— ახლა რა იქნება?

— ვნახავთ! პარაკლისი იწყება!

შეუკავებელი ღიმი კრთის ყველას სახეზე. გამალებით პირჯვარს იწერენ, რომ სიხარული არ შეიშინიონ.

ტრაპეზში კი ჩურჩულია, ფაცა-ფუცი და მკრთალი სახეები — ბერების და მღვდლებისა...

დიმიტრი გაფითრებულია. პარაკლისის შემდეგ მან სიტყვით მოგვემართა. ხმა უთრთოდა, სიტყვები ებნეოდა...

მის შემდეგ შეექვსე კლასის მოწაფეს ტიბიკონი უნდა მიერთმია მისთვის, მაგრამ უტიბიკონოდ ვერაფერი სთქვა და პარაკლისიც ჩურჩულით და უხერხული მდგომარეობით გათავდა.

გარეთ რომ გამოცვივდიო, სიხარულით ერთმანეთს ვახტებოდით, ექმუტავდით და ვიცინოდით...

— მაინც ვინ მოახერხა ტიბიკონის მოპარვა?

პასუხს არავინ იძლეოდა. შემდგომ გავიგეთ: შეექვსე კლასის მოწაფეს პოლიკარპე თალაკვაძეს გაეგო, სად იყო შენახული ტიბიკონი. წირვის დროს

შეუმჩნევლად ჩასულიყო გარდერობში, გაეტეხნა ყუთი და პიონაზორცში გახვეული წიგნი წირვაზე მოსულ თავის ნათესავ ქალისთვის მიუტყია შინ წასაღებად...

ქაქცხეული
გინგლიძისეკა

და გაჰქრა ტიბიკონი...

სალამოს დიმიტრიმ ეტლის ხრიგინით დაუტევა თბილისი და არღონსა შინა გადასახლდა. ასე დამძარბული მოიშორეს სემინარიის მოწაფეებმა ის, რომელმაც თავისი ერი უარჰყო, ქართული ენა შეიძულა და კარიერისთვის ორპირობა დაიწყო...

წმინდანის ძვალი

სემინარიის წინ, პეშკინის ბაღში, გრძელ სკამებზე ჩამოცხდებოდით და შადრევნის მჩქეფარე შხეფებს თვალს ვადევნებდით. წყლით სავსე მრგვალ აუზიდან ხელოვნურად გაკეთებული კლდის ქვებში გაქედილი ნაკადი სივრცეში ავარდება და მინის ნამსხვრევეებად ისევ აუზში ცვივდება. თეთრი ტალღები ყირავდებიან, შხაბუნობენ. ჩამოცვივული ნამცეცები ხტიან, ცქმუტავენ.

შადრევნის გარშემო შემორკალულ გრძელ სკამებზე ვერცხლის ქამრიანი მოქალაქენი კრიალოსნებს ათამაშებენ და წვეთების სრბოლას უშხერენ. იქვე, ხის ტოტებზე, ჩიტები ეღურტულებენ, ჰყვივიან და ტოტიდან ტოტზე გადადიან. ქუჩაში კი ცხენები დაჭიმული ძარღვებით, სავსე „კონკას“ აღმართზე მიათრევენ.

წვიმასავით აელერებული შადრევანი ჩვენს სმენასა და მხედველობას იზიდავს. ერთ წერტილზე მიშტერებული თვალი ტალღების თეთრ კბილებს უშხერს და ფიქრები, — ახალგაზრდული, აღუღებული ფიქრები, — მრავალი საკითხის გარშემო ტრიალებენ, მოუსვენრობენ...

— იცა, რას გეტყვი? — მომიბრუნდება აქამდის გაჩუმებული, გვერდში მჯდომი ამხანაგი.

— რაა?

— უკვე გადაწყვიტე!

— რა გადაწყვიტე?

— აღარა მწამს ღმერთი...

— ეი! სწორედ მეც მის არსებობაზე ვფიქრობდი ახლა!

— არ არის?

— მაგრამ აი ეს მზე, მთვარე, ვარსკვლავები, დედამიწა, მცენარეები, რამ გააჩინა?

— ბუნებამ.

— ბუნებამ რალამ გააჩინა?

— მე მწამდა, რომ როცა ებრაელები ეგვიპტიდან მოდიოდნენ, მათ ღმერთი ეხმარებოდა, მათი დახსნისათვის მან წითელი ზღვა შუაზე გააპო და ებრაელები მისი ფსკერით მეორე მხარეზე გადაიყვანა. ის კი არა და, მეცნიერულად მტკიცდება, რომ, მთვარის მიმოქცევის გამო, ზღვა ერთ ნაპირს მიაწყდება თურმე...

— მერე?

— ჰო-და, ამით ისარგებლეს ებრაელებმა და აქეთ მხარეს გადმოვიდნენ. ანდა ქრისტე თუ ადგა, ორმოცი დღე აქ იყო და შემდეგ ამაღლდა, მანამდის სად იმალებოდა? მერე, — აბა მიბასუხე, — ვინც ქრისტემდე დაიხო-

ენენ, სამოთხეში არიან თუ ჯოჯოხეთში? ისინი ხომ არ იცნობენ ქრისტიანულ სარწმუნოებას? რა დააშავეს?.. გვატყუებენ ბერები!..

სარწმუნოების შესახებ კითხვები სემინარიაში შესვლიდანვე მსმენველ დგებოდა. მისი გადაწყვეტა აუცილებელი ხდებოდა, რადგან უფროსი კლასის მოწაფეები თავიანთ წრეში იმათ იღებდნენ, ვისაც ღმერთი და ხატები უარყოფილი ჰქონდა. მორწმუნე მოწაფეს დასციროდნენ, იეზუიტს ეძახდნენ და ახლო არ იკარებდნენ. ყოჩალი, განვითარებული და შეგნებულნი ის იყო, ვინც ღმერთისაგან თავისუფლდებოდა. ბევრი წახედულებით ხდებოდა უღმერთო, ბევრი წაბადვით და ბევრი შეგნებულად.

საღვთო წერილთან ერთად სემინარიაში დამახინჯებულად და ზერეღეთ მეცნიერებასა და ფილოსოფიურ თეორიებსაც გვასწავლიდნენ, ე. ი. რომელიმე სასწაულის ან საღვთო წერილში აღწერილი მოვლენის შესახებ მეცნიერების აზრებსაც გვაცნობდნენ, მაგრამ ჩვენ ისინი უნდა დაგვემარცხებინა იმავე საღვთო წერილიდან მოყვანილი ციტატებით, ჩვენ უნდა უარგვეყო მეცნიერული ახსნა ქვეყნის გაჩენისა, ღმერთის არსებობისა და სხვა დოგმატების შესახებ, უნდა დაგვემარცხებინა პოლბახი და ჰელვეციუსი, დარცინი, ფეიერბახი, რენარი, ბრუნობაუერი და სხვები... მაგრამ, რასაკვირველია, სემინარიელები უფრო მეცნიერებს უჭერებდნენ, ვიდრე საღვთო წერილს...

სარწმუნოების საკითხი ჩემთვის მაშინ მწვავედ იდგა. დიდხანს ვებრძოდი ჩემს თავს, ვიდრე გადაწყვეტილ დასკვნამდე მივიდოდი. ამაში ხელი შეამიწყო ერთმა შემთხვევამ და ამის შემდეგ უკვე შეგნებულად ვებრძოდი მორწმუნეებს...

იმ დღეს საღამოს, კლასში რომ შევდიოდით, ზედამხედველმა რეაგენსკიმ გვარები ამოიკითხა და მერე მოგვმართა:

— Видите господа какая штука! — ასე დაიწყებდა ხოლმე ის ყოველთვის, როცა ჩვენთვის რამე უნდა გამოეცხადებინა.

ჩვენც მაშინვე გარს შემოვხევეოდით და გულდასმით ვუსმენდით, ვაცოდით, რომ მას ძალიან უხაროდა, როცა ყურადღებით მოვეპყრობოდით. ისიც ვიცოდით, „შტუკა“-ს რომ იტყოდა, ჩვენთვის რაღაც სასიამოვნო უნდა გამოეცხადებინა, თუმცა სიტყვა „შტუკას“ ის ძალიან ხშირად ხმარობდა და ჩვენც მას „შტუკას“ ვეძახდით.

ქერა უღვაშები პაპიროსის წვევისაგან გაყვითლებული ჰქონდა. სუსტი ტანი, მწითური სახე — გამხდარი და ნაყვავილევი. ენატანიაობა უყვარდა. კარიერის გაკეთებას აპირებდა და მოწაფეებს არ ინდობდა. სირბილით კლასში შემოვარდებოდა, — იქნებ მოულოდნელად თავზე წააფყდო მოწაფეს აკრძალული წიგნის კითხვის დროსო...

ლაპარაკის დროს იმანქებოდა, ივრიხებოდა, სიტყვებს ტყეპნიდა. ხშირად დაგვიწყებდა ბაასს ლიტერატურის შესახებ და თუ ვისმეს შეამჩნევდა, რომ მას ზედმეტი წაკითხული წიგნი ან ცოდნა ჰქონდა შეძენილი, მყისვე ოექტორს აცნობებდა.

— ბიჭებო, აბა მოგროვდით, შტუკამ რაღაც უნდა გამოგვიცხადოს! მივრბივართ ჩვენც და მის წინ ვგროვდებით. ისიც ავტორიტეტული ხმით გვეუბნება:

— ხვალ დილას ადრე უნდა ავდგეთ, პირი დავიბანოთ და მაშინვე საღვთრისაყენ გავწიოთ. საღვთრის ბაქანზე თავს მოვიყრიოთ და მატარებლით წავალოთ...

— სად? სად? — აღარ ვაცლით, ვხტით, ვცქმუტავთ და ერთმანეთს ვაწვებით.

— ძალიან ვინდათ წასვლა?

— ძალიან, ძალიან!

— ხვალ წაგიყვანო!.. — განგებ არ გვაძლევს პასუხს. იღიმება.

— ყველა უნდა წავიდეთ?

— ყველა მამ! იცით, შიო მღვიმის მონასტერი?

— იქ უნდა წაგიყვანოთ?

— ჰო, შიო მღვიმელის დღეობაა... შიოობა! აბა, თქვენ იცით, როგორც ჰკვიანად და წყნარად მოიქცევით. მოდიან მამა რექტორად და ეპისკოპოსო კირიონი.

— წმინდანების ძელებს გვაჩვენებენ?

— Ну довольно шутить! занимайтесь!.. — სთქვა და გავიდა.

ის, რომ ხვალ მეცადინეობა არ გვექნება და სწავლა ერთი დღით გადაიწია, ძალიან გვახარებს, — ვცეკვავთ, ვმღერით და ერთმანეთს ვახტებით. ხოლო ზუთხვას შეჩვეული მოწაფეები დროს არ ჰკარგავენ და იდაყვებით მერხებზე დაყრდნობილნი, თავდაღუნულნი, ქოჩორა თმაში თითებ-შემალულნი გაშლილ წიგნებს დასცქერიან.

ჩურჩულით ყველა თავისთვის გაიძახის: Эхсин возвращался к пенатам своим... რამდენჯერმე გაიმეორებს. თვალს დახუჭავს, კიდეც იტყვის და რომ შეეშლება, ისევ წიგნში ჩაიხედავს. ამ ოთხ სიტყვას რომ დაისწავლის, შემდეგ სტრიქონს წაიკითხავს: к берегам благовинным Алфея... კიდეც წაიკითხავს. თვალებს დახუჭავს. თავიდან რომ დაიწყებს, — შეეშლება. თვალს გაახელს და ხელახლა წაიკითხავს. ახლა თვალებს ზევით აღაპყრობს და იძახის: возвращался к пенатам... к пенатам... к берегам благовинным Алфея... და ისევ და ისევ... სწავლობს მართო სიტყვებს. თავში რჩება ასოები, წიგნის შუაგულში რომაა ამობეჭდილი, სხვა არაფერი!

მეორე მერხების წინ გასულა, ციბრუტივით დაფის წინ ტრიალებს. ისიც ჩურჩულებს: Что такое вера? — вера есть уповаемых извещение, вещей обмичение невидимых... რამდენჯერმე წაიკითხავს, მერე წიგნს დაკეცავს. ჩქარი ნაბიჯით დადის და იძახის: уповаемых извещение вещей обмичение... თან სიარულს უმატებს. იღლება სიარულითაც, ჩურჩულითაც. მოიქანცება, მაგრამ მაინც არ ეშვება, დარბის, სიტყვებს იძახის და მუშტს იქნევს: вещей обмичение невидимых...

სწავლა მისთვის მართლა წვალება იყო და არა სიამოვნება. არ იყო არც ახლის შეძენა, არც განვითარება. მასწავლებლებიც თავს არ იმტყრევდნენ გაკვეთილის ახსნით. წიგნს აიღებდნენ და იტყოდნენ: „ღო სიბ პორ“ — აქამდისო, და კლასიდან გავიდოდნენ. მოწაფეც ფანქრით აღნიშნავდა. არც ერთი საგანი მოწაფეებს არ უყვარდათ. ყველას ზუთხვით და კარნახით გადიოდნენ. ზოგი მიმზიდველი საგანიც კი, — ისტორია, რუსული ლიტერატურა, ფიზიკა და სხვა, — უვარგის მასწავლებელთა ხელში გვეზიდებოდა.

ის, რაც გვიზიდავდა, — საზოგადო საკითხები, სამყაროს გაჩენის ამბავი, ლიტერატურა, ჰართული მწერლობა, — საკითხავად აკრძალული გვექონდა, მაგრამ ნათქვამია, — აკრძალული ხილი ტკბილია: ამისთვის სემინარიამი არსებობდნენ ფარული წრეები და ჩვენც მათ ვეტანებოდით. საგნებს კი ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით.

ეკლესია, ხატები, საეცხლური და ფილონები არ გვიზიდავს, სულ სხვა ცხოვრებისავენ იყო მიმართული ჩვენი გონება: სამშობლო გვეყვარდა, ქართული ენა გვიტაცებდა და ჩვენც მისკენ მივილტვოდით.

შოი მღვიმეში მეორე დღეს წაგვიყვანეს. მცხეთიდან მონასტრისაკენ ფეხით წავედით. მივრბოდით და მიგვიხაროდა. აღრიანი გაზაფხულის თბილი, მზიანი დღეა, ახლად გაღვიძებული ბუნება, მწვანე მინდვრები, მობიბინე ჭეჭილი და ჩიტების ჭყვივლი გვახალისებდა. მზის სხივებისაგან გამთბარი, მიწის ზედაპირზე ამოვარდნილი ოზშივარი ნელი ნიავისაგან ლეჩაქივით ირხეოდა. დატკეპნილი ბილიცი, სასიარულოთ საამო ხდებოდა. გრილი ჰაერი სირბილისათვის და ხტუნვისათვის გვიზიდავდა. ჩვენც მივრბოდით. აბიბინებული ჭეჭილი ლელავდა, — ხან მუქი, მწვანე ფერით გაწეებოდა, ხან რუხი ფერით დაიზნიქებოდა. მაძლარი და ნაყოფიერი მიწის სუნი ჩვენ ყნოსვას ატკობდა. ჩამოხლეჩილ გორაკთა შორის მწვანე სახურავებიანი შენობები მოსჩანდა, — ჩვენც იქით ვეშურებოდით...

შოი მღვიმეში სალოცავად ჩვენს გარდა მრავალი სოფლელებიც მოდიოდნენ. ხშირად მათში ავირეოდით, მუსიაფს გავაბამდით:

— ეგრე თავი რო დაგიყრიათ, საიდან მოდიხართ? — გვეკითხებოდნენ გლეხები.

— საიდანა და... ქალაქიდან! — ჩვენც გლეხურად ვუპასუხებდით.

— მერე და შოი მღვიმეში მიდიხართ?

— ჰოლდე!

— თუ ქალაქიდან მოდიხართ, გეცოდინებათ ეპისკოპოსი მოვა თუ არა?

— მოვა, მაშა!

— ჰაი დედასა! ნეტა რა ჩამოხრივინდება წლეულა, მკლავი თუ მუხლი?

— რაო? რა მკლავი, რა მუხლი?

— მაშა! ჰე, ჰეი! თქვენ არც კი გეცოდინათ! მაგრამა რაში გეცოდინებათ, შვილოსა, თქვენ რა გენადლეებათ, როგორი მოსავალი მოვა! ქალაქში ცხოვრობთ და არაფერიც არ გაკლიათ... ბრალი ჩვენი, თორემა...

— მოსავალი რა შუაშია?

— რა მოსავალი და, ისა, რომ როცა ეპისკოპოსი წირვას გაათავებს, წირვის შემდეგ პარაკლისს გადიხდინან... ჰო-და, სწორედ ამ დროსა იმ ეკლესიის კედლებში რომ ერთი მრგვალი ნახვრეტია დატანებული, იქიდანა ხრივინ-ხრივინითა წმინდანის ძვალი გადმოვარდება... ჰო-და, თუ მკლავი გადმოვარდა ხო რა კარგი... იმ წელსა კარგი მოსავალი იქნება, თუ არა და-ცუდი. თუ ფეხის რამე ნაწილი გადმოვარდა, მაშინ უსათუოდ ომი ატყდება, მაშა!

— ჰეი, ჰეი! დახე რა ყოფილა? — გაიცინა ერთმა.

— შენ გაიცინე და აბა ნახე, თუ ასე არ იყოს! თუ ის წმინდანის ძვალი ღვრილით არ წამოვიდეს, მაშინ რაც გინდა ის მითხარი!

— მერე რატომ ხრივლებს ის ძვალი? რატომ წყნარად არ გადმოვარდება? — ვეკითხები.

— მა აბა, სულ კედელ-კედელ უნდა წამოვიდეს და რა იქნება, აბა?

— მერე ყოველ წელიწადს მოხდება ხოლმე ეგ ამბავი?

— ყოველთვის, მაშა! პარაკლისიც იმითვინ დაიწყება ხოლმე...

ახლა კი გადაწყდა ჩემთვის საკითხი ღმერთის ყოფნა არ ყოფნის შესახებ, — ვიფიქრე ჩემთვის.

ახლა ერთი საკითხი დამეუფლა, ერთი საკითხის გარშემო ანუ შევდა ჩემი გონება: ნამდვილად წამოვა კედელში ძვალი და ნახერცში გადმოვარდება თუ არა?

ალარაფერი მიზიდავდა, ველარაფერს ვხედავდი. განმარტობულს მივდიოდი და ჩემს ზრახვებს არავის ვანდობდი. ვჩქარობდი, მალე მივსულიყავი შიო მღვიმეში, დამეთვალეობებინა იქაურობა, მენახა ეკლესია და ის ნახერცი, საიდანაც ძვალი გადმოვარდებოდა.

ნეტავ რა მოხდება დღეს? არის ღმერთი თუ არა? იქნება არაფერი, მერე? თუ გადმოვარდა ძვალი, მაშინ არის ღმერთი... თუ არა და... ოო, როგორი დაძაბული, გარინდებული, სმენად და მხედველობად ქცეული დავდგები დღეს ეკლესიაში!.. და ეს იქნება ჩემი ან განახლებული და განმტკიცებული რწმენა ღმერთისა და ხატებისა, ან უკანასკნელი ლოცვა და გმობა ღმერთისა...

ვხტები პატარა მდინარეზე, ამღვრეული რომ მიეშურება დაბლობისაკენ. კიდევ პატარა აღმართი, და აგერ მონასტრის კედლებიც! შენობები გაფანტულია. დავრბივართ. პირველად ენახე ორსართულიანი საყდარი, — ზევითაც და ქვევითაც ტრაპეზით და კანკელით მორთული. კედლებთან ყუთებში მრავალი ძვალი ჰყრია. „ეს ბერების ძვლებია, შაჰ-აბაზის შემოსევის დროს რომ ამოწყვეტეს ამ მონასტერში“... — გვეუბნებიან.

ზარბი დარეკეს. ეკლესიაში შეგვრეკეს. წირვაც დაიწყო. მალე მოცემბენ ის ნახერცი, კედელში რომ იყო დატანებული, თითქოს თუნუქის ღუმელის მილისათვის. მის პირდაპირ დავდექი.

წირვა ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობდა. შუაგულ ეკლესიაში ამალლებულ ადგილზე ზიზღად მივხედავდი შესამოსით შემოსილი ეპისკოპოსი დგას. მის აქეთ-იქით აგრეთვე ბჰყვილა ფილონებით გამწყრივებული ბერები, არქიმანდრიტები, მღვდლები და მთავარდიაკვნები დგანან. წირვა ქართულ ენაზე და გუნდიც ქართულად მღერის.

როგორ გაგრძელდა დღეს წირვა! არასოდეს ამდენი ასამალლებელი, ამდენი ექტენიები არ მახსოვს და ეს ქართული გუნდიც როგორ გაჭიანურებულად ღალობს!..

ეკლესია ბალხით ისეა გაქედილი, რომ მხარი მხარს ეკვრის და პირჯვარიც ვერ გადაგვიწერია თავისუფლად. კედელი თეთრია, მაღალი და თაღებში გამოქედილი. საცეცხლურის კვამლი ხატებს ეფინება. ბრილიანტიანი შიტრები, ბჰყვილა, მაღალი კვერთხები და ფილონები ერთმანეთშია არეული.

ახლა კი პარაკლისი იწყება და ჩემი სმენაც მახვილდება. იქით ვიციბირები, სადაც ძვალი უნდა ჩამოვარდეს.

შუა ეკლესიაში პატარა, დაბალი მავიდა დადგეს, ზედ შიო მღვიმელის ხატი დაასვენეს. გარშემო მაღალი მთავარდიაკვანი საცეცხლურით უფლის და საკმეველს უკმევს. ფილონებში გახვეულები ხელებს მაღლა აღაპყრობენ, მერე ერთმანეთს თავს დაუკრავენ, პირჯვარს გადაისახავენ და ამღერდებიან...

ჩემი თვალები კედელზეა მიჭლობილი. სმენა გამახვილებული მაქვს და კუნთებ შეკუმშული ვიციდი...

აგერ ისევ ერთმანეთში აირივნენ შიტრები და სკუფიები, კვერთხები და ფილონები: ახლა პატარა მავიდას გარშემო უვლიან.

ეს ის მომენტი, როცა უნდა გაისმას ხრიალი, როცა კედელში ხმაურით წამოსული ძვალი უნდა გადმოგორდეს.

აგერ კედლისაკენ მიბრუნდა ყველა; ებისკოპოსიც იქვე დაეშინებოდა, — ალბათ, ძვალი რომ წამოვა, კირიონი ხელს შეაშველებს, ძირს არ დაეარდეს, — ასე ვფიქრობ მე.

თვალყურს ვადევნებ და ვხედავ, — კირიონს ტაბურეტი მიართევს, კედელთან მიდგეს და ზედ აიყვანეს. კედელზე მიტრიანი ებისკოპოსი აიყუდა.

მარჯვენა ხელი ფილონიდან გაინთავისუფლა და ნახვრეტში შეაცურა მკლავი.

მღვდლები და ბერები მღერიან. ხალხი ზოგი დაჩოქილია, ზოგი დგას. და ვხედავ, — ეპისკოპოსის ხელი კედლის შიგნით მოძრაობს, თითქოს რალაცას ეძებოს, და უცბად გრძელ ძვალს გამოიღებს. მოწიწებით და მორიდებით პატარა მაგიდისაკენ მიაქვს. ნაკურთხი წყლით განბანს და მაგიდაზე დაასვენებს...

იწყება საკმეველის კმევა, ღალადისი, ხელთაპყრობა, მუხლთ-მოდრეკა, ქვის იატაკზე შუბლის დარტყმა, ლოცვა და კურთხევა...

გაბრუებული ვდგავარ... გონება-კი გამალებით მუშაობს, — მერე ხრიალი? თავისით გადმოვარდნა?

საიდან გამოიღო კირიონმა ძვალი? ცხადია, კედელში დატანებული თარო და ძვლებით ავსილია.

მაშ!.. სტყუიან ბერები!.. მიჰქარავენ და ხალხს ატყუებენ!..

გათავდა!.. ყოველი რწმენა ჩაქრა, ჩაიფერფლა!..

წმინდანი ხომ უხრწნელია! მაშ ძვალს კანი უნდა ჰქონდეს! ის კი შიშველია და გაყვითლებული...

დასველებულ ძვალს გვათხვევინეს. გული რომ არ აგვრეოდა, ეკლესიიდან შალე გამოვრბოდით და ვაფურთხებდით...

გათავდა! აღარ არის!..

პარაკლისი რომ დამთავრდა და იქიდან ყველა გამოვიდა, მე და ერთი ამხანაგი ეკლესიაში შევიპარეთ. ტაბურეტი მოვძებნეთ და კედლის ნახვრეტში მკლავი შევყავით, — თითები ძვლების ხროვაში ჩაეფლო...

ეს იყო იმ საცოდავი ბერების ძვლები, შაჰ-აბაზმა რომ დახოცა...

წმინდა მამები

ძალიან ცდილობდნენ, სემინარია მონასტერივით კარჩაკეტილი და ამ ქვეყნიურ ცხოვრებას მოცილებული ყოფილიყო, მოწაფეები კი მხოლოდ მღვდლებად და ბერებად აღზრდილიყვნენ. მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევდნენ. სასტიკი რეჟიმი, გარეშე წიგნების კითხვის აკრძალვა, სამღვთო წერილის შესწავლის, წირვა-ლოცვისა და ბერული ცხოვრების ჩანერგვის ცდა მოსწავლეებში წინააღმდეგობას იწვევდა.

სემინარიის რექტორს სერაფიმეს განვითარებულ კაცად მოჰქონდა თავი. მას მართლაც ჯერ უნივერსიტეტი და შემდეგ სასულიერო აკადემია დამთავრებინა და ბერად აღკვეცილიყო. ეს „ღვთისნიერი“ კაცი ფანატიკოსი იყო ქრისტიანული სარწმუნოებისა. ვითომ ბერულ ცხოვრებასაც ატარებდა, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცოდით, რომ თავის მყუდრო ოთახში ხშირად ქალების გვერდით კონიაკის სმით გაუტარებია ღამეები.

ამბობდნენ, აკადემიაში მან დისერტაცია ასეთ თემაზე დაცვა: „На каком языке заговорила Валамова ослица“... მან ზედმიწევნით იცოდა ბერძნული, ლათინური და ახალი ენებიც, გერმანული და ინგლისური. თავის დებულების დასამტკიცებლად არგუმენტებიც ამ ენებიდან მოჰყვებდა თურმე. არ ვიცი, რა ენაზე დაალაპარაკა მამა სერაფიმემ ვალაბის ვირი, ეს ლეგენდა კი ასეა ცნობილი:

როცა ებრაელები ეგვიპტიდან ილტვოდნენ და პალესტინაში უნდა მისულიყვნენ, მათ გზაში მრავალ ერთან უხდებოდათ შეტაკება და გზის გაკაფვა.

მოაბელების მეფე ვალაბი თავს უძლეურად გრძნობდა, მათთან შესატაკებლად მზად არ იყო და ამიტომ მიმართა იმ მხარეში კარგად ცნობილ მოგვეს ვალაბს, რათა მას ისრაელები დაეწვევითა და მისკენ ველარ წამოსულიყვნენ. ამისათვის ვალაბს მრავალი საჩუქარი და სიმდიდრე გაუგზავნა. ოქრო-ვერცხლით გატაცებულმა მოგვემა თანხმობა გამოუცხადა, თუმცა წინასწარ „ღმერთისგან“ მან გაფრთხილება მიიღო, ამ საქმეში არ ჩარეულიყო. ის მაინც შეჭდა თავის ვირზე და გზას გაუღდა. შუა გზაში რომ იყვნენ, ვირს ანგელოზი გამოეცხადა და უკან დაბრუნება უბრძანა. ვირმა ენა ამოიღვა, ვალაბს მხილება დაუწყო, მაგრამ ვალაბმა ვირსაც არ გაუგონა და გზა განაგრძო. ისრაელების დასაწყევლად რომ მივიდა, — რადგან ღვთის განზრახვა ურყევი იყო, — ვალაბს დაწყევლის მაგიერ ყოვლად ძლიერმა ღმერთმა ლოცვა-კურთხევა წარმოათქმევინა... ებრაელებმა მოაბელები დაამარცხეს და ვალაბიც თავისი ვირით ზედ მიაყოლეს...

უცნაური ბერი იყო სერაფიმი. ის მუდამ თავის ფიქრებში იყო ჩაფლული, — გრძელ აივანზე ლანდივით დაიარებოდა. თითქოს მიწაზე კი არ მიდინ ნაბიჯით, თითქოს რკოლებზე მისრიალებსო, მიდიოდა შავი გრძელი ანაფორიანი და თავის კრიალოსანს ათამაშებდა. ტურნები მუდამ უღვაშებში ჰქონდა დაფარული და გაცივებულს ვერავინ ნახავდა. ლაპარაკობდა შემპარავი ხმით, თითქოს სამარიდან ვეხმაურება, თითქოს ტირილის შემდეგ ხმა ჩახრჩნწო... გრძელი წვერი გაბარდული ცოცხივით ეფინებოდა ანაფორას, ხოლო კუნჯულის შავი კალთები — მის მხრებსა და ბეჭებს. სუსტი გრძელი ცხვირი და ძარღვებიანი ლოყები ბალნით დაფარული ჰქონდა. უწონო და უღაზათო ადამიანი იყო და იქნებ ამიტომაც ერთხელ თავის ქადაგებაში, სემინარიაში წირვის დროს, ამტკიცებდა (უფროსი კლასის მოწაფეებისაგან გამოგონია) რომ იესო ქრისტე ლამაზი კაცი არ იყო...

წირვის შემდეგ, როცა კარებში გამოდიოდა თურმე, იგი ერთმა მალალმა და ახოვანმა კაცმა, რომელიც მას, ალბათ, დაელოდა, ანაფორაში ხელი მოჰკიდა და შეეკითხა: „როგორ შეიძლება მშვენიერების შემომქმედი ლამაზი არ ყოფილიყო? ამას რას ჰქადაგებდით დღეს, მამაო სერაფიმე?“ რექტორმა იცნო ეს კაცი. ხელი მოჰკიდა და თავის ოთახში შეიყვანა. იქ რა ლაპარაკი ჰქონდათ, არავინ იცის, ხოლო შემკითხველი თურმე „საქართველოს სამოთხის“ ავტორი, საბინინი ყოფილიყო...

მამა სერაფიმი მალე მეორე რექტორმა, გერმოგენმა შესცვალა. ეს ბერი დიდი კარიერისტი იყო და კარიერაც მან საქართველოში ქართველების მოძულეობით გაიკეთა: მალე რუსეთში ეპისკოპოსად გადაიყვანეს და იქ „რუსეთის ხალხთა“ პარტიის მუშაობას სათავეში ჩაუდგა. შემდეგში კარგად

ცნობილი შავრაზმელი გერმოგენი მეფის კარს დაუახლოვდა და თვითმკაცრობელობას გადაჰყვა.

სემინარიაში ის გარკვეულ რუსოფიკატორულ პოლიტიკურ წარმოდგენებს გამოხატავდა, ფერმკრთალი, — ნამდვილი იეზუიტური, მომხიბლავი ხმით დაგოწმებდა ლაპარაკს და მწარედ გიჟებდა. გველივით მოგშხამავდა, სიძულილს არ დაჰფარავდა. მას ჰყავდა თავისი საყვარელი მოწაფეები, რომლებიც მასთან ჯამუშობდნენ. დაშინებული იყვნენ მასწავლებლებიც. ისინიც გუნდრუკს უკმევდნენ, ორპირობდნენ და ამიტომ თავიანთ ადგილებზე რჩებოდნენ, თუ არა და, ადგილს ჰკარგავდნენ...

ყველას ტუქსავდა, უმიზეზოდ უყვიროდა. ხოლო ეგზარხოსს მელიასავით ელაჭუცებოდა. კლასებში დადიოდა, დაძვრებოდა. კარგად იცოდა — ვინ რას აკეთებდა, რას ფიქრობდა ან კითხულობდა. ყველას იცნობდა. ვინც არ მოსწონდა, ჭერ თავისთან დაიბარებდა, დატუქსავდა, ცოტა ხანს კიდევ აცლიდა და მერე სემინარიიდან დაითხოვდა.

ესეც უცნაური და ქრისტეს მიერ სალოსი ფანტიკურად მისდევდა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

ერთხელ მან უფროსი კლასის მოწაფე პოლიკარზე თალაკვაძე თავისთან დაიბარა. შესვლისთანავე ყვირილი და ლანძღვა-გინება დაუწყო:

— შე საძაგელო, შენა! როგორ დაიარები? აბა რასა ჰგავს შენი სიარული? აგრე ხომ ეშმაკებით შეპყრობილები დადიან? აბა, როგორ შეიძლება ასეთი ამპარტავნობა? შენი სიარული კი ამპარტავნი კაცის სიარულსა ჰგავს. შე მოვსპობ შენში ამ ეშმაკის ამპარტავნობას! შე საძაგელო, შენა! უხათუოდ მოვსპობ!..

პოლიკარზე თალაკვაძეს, — მალალს, ახოვანი ტანისა და შნოიანი პირისახის ყმაწვილს მართლა ზვიადი შეხედულება ჰქონდა. სიარულიც თითქო ამაყი იცოდა, — მიდიოდა თავადერილი, ძირს არ იხედებოდა.

— რა ვქნა, ასეთი სიარული ვიცი, ტანიც ასეთი მაქვს... არა ვარ ამპარტავნი, მამაო გერმოგენ, ღმერთმანი! — ეუბნებოდა თალაკვაძე.

— შენ კიდევ ლაპარაკობ? მოიცა, მოიცა, თუ არ გამოვდენო შენი სხეულიდან იქ შემძვრალი ეშმაკები! ეს სულ იმის ბრალია, რომ ღმერთის მაგიერ ეშმაკთან გაქვს საქმე. მოიცა, ახლავე გამოვდეენი ამ ეშმაკებს! აბა დამიძახეთ სულიერ მამა ლაბაძეს!

ოთახში შედის მღვდელი ლაბაძე.

— ხომ ჰხდავთ ამ ყმაწვილს? მასში ეშმაკები დაბუდებულან, ამპარტავნობის ეშმაკები... უნდა ვილოცოთ და გამოვდეენოთ მისგან ეს ეშმაკები!..

მღვდელი გაოცებული დგას. ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა რექტორი. რექტორმა დაუყვირა:

— წადი ახლავე ეკლესიაში, ოლარი და საეცეხლური გამოიტანე.

და ცოტა ხნის შემდეგ ბერმა გერმოგენმა და მღვდელმა ლაბაძემ შუაში ჩაიყენეს თალაკვაძე. მის გარშემო ტრიალი და რალაც საღვთო სავედრებლისმგალობა დაიწყეს...

მღვდელი საეცეხლურს იჭნევდა, რალაცას ბუტბუტებდა. ხოლო გერმოგენი თავისი კუნკულათი და შავი ანაფორით, ხელაყრობილი ჭანობდა, ფრთა-გაშლილი ყვავივით ჩხაოდა და ღმერთს რალაცას ევედრებოდა...

დიღხანს უტრიალეს და უმღერეს რაღაც საგალობლები, შერე გერმოგენი თალაკვაძეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ახლა წადი, შე საძაგელო! ვაი, რომ როზგით ცემა, გავაძაგელებს კოორემ საცეცხლურის მაგიერ შენ ის უფრო მოგიხდებოდა... აღარ გნახო ამპარტყენად მოსიარულე, თორემ შერე შე ვიცი!

ამის შემდეგ თალაკვაძე, დაინახა და თუ არა გერმოგენს, მოიკაკეებოდა და გარბოდა მისკენ ხელზე სამთხვევად...

ახირებული და თავისებური გერმოგენი ცდილობდა სემინარიაში ნაკლები რიცხვი ყოფილიყო ქართველებისა და უცხო ეროვნებების მოწაფეებით ავსებდა კლასებს. უგამოცდოდ იღებდა სრულიად მოუშხადებელ აისორებს, შემოაყვავდა რუსეთის სემინარიებიდან დათხოვნილი მოწაფეები, დიდ შეღავათს აძლევდა ბერძნებს, და სხვა ეროვნებებს.

ერთი წყნარი მოწაფე დაიბარა თავისთან, უთხრა:

— ვერ გავიგე, შენ რა კაცი ხარ? რაღაც ჩუმად დადიხარ. არც არავის ეჩხუბები, არც ცელქობ, არც არაფერი გაგიტეხია, არც ვისმეს წაჩხუბები-ხარ, ხმამაღალი სიტყვაც არ გითქვამს, — ეს არ არის კარგი, საიმედო ადამიანი არა ხარ!..

და ცოტა ხნის შემდეგ ეს მოწაფე სემინარიიდან დაითხოვეს.

მეორე მოწაფეს კი, ვორონინს, ისეთი საქციელი აპატიეს, რომლისთვისაც არა თუ სემინარიიდან უნდა დაეთხოვათ, არამედ სასამართლოსთვისაც კი უნდა გადაეცათ...

ამ ვორონინმა წმინდა ხატის წინ დამაგრებული თუნუქის ყუთი, რომელშიც მლოცველები ორშაურიაწებს და აბაზიანებს ჰყრიდნენ, გატეხა, ფული ამოიღო და იქეიფა...

ამისათვის რექტორმა დაიბარა, რაღაც შთააგონა და ისევე სემინარიაში დასტოვა...

ჯაშუშობა მის დროს სისტემად იყო გადაქცეული. მოწაფეებიც და მასწავლებლებიც ენატანიაობდნენ. მღვდელიც კი ჯაშუშობდა.

ასეთი იყო მღვდელი (მოძღვარი) ბერძენიშვილი. მას ზიარების წინ მოწაფეები გაენდობოდნენ, თავის ცოდვებს მოუყვებოდნენ, ის კი, პატიების მაგიერ, რექტორთან გარბოდა და მოწაფეებს ასმენდა, ვინც რას ეტყოდა, მას უყვებოდა.

ერთი გულუბრყვილო მოწაფე სემინარიიდან იმიტომ დაითხოვეს, რომ მან აღსარების დროს მღვდელს უთხრა — ღმერთის არსებობაში ეჭვი შემაქვსო.

მამა მოძღვარმა ეს ამბავი რექტორს აცნობა და მოწაფეც სემინარიიდან დაითხოვეს.

ეს მღვდელი იმ დროს დაქვრივებული იყო. ბერებისგან ისწავლა მლიქვნელობა და კარიერის გაკეთება, — ისიც ბერად ეკურთხა, მალე არქიმანდრიტობა მიიღო და რომელიღაც მონასტერში განწესდა.

იგი ბერად სემინარიის ეკლესიაში აღკვეცეს.

საერთოდ ყველა კურთხევა ან ხარისხის მიღება ეკლესიაში დღისით, წირვის დროს ხდება ხოლმე, ბერად აღკვეცა კი საღამოს, მწუხრის ღოცვაზე, მზე რომ ჩადის. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ბერად აღკვეცილი ამქვეყნიურ ცხოვრებას სცილდება, უცხო სოფელში სახლდება და მისთვის აქაური მზეც ვნებდება.

ჩვეულებრივი საღამოს ლოცვა იმ დღეს უფრო მწუხრიან და იღუმალეზით არის მოცული. კანკელის წინ საგალობელზე მკაფიუბლები დაბალი, მიწყნარებული ხმებით მღერიან და სანთლების შუქიც მკაფიუბლები.

იმ საღამოს მლოცველი ეგზარხოსი იყო, მაგრამ იგი არ შემოსილა: თავის შავი ფარჩის ანაფორაზე შავი ხავერდის გრძელი ოლარი ჩამოეკიდნა, კანკელის წინ შავად გადაფარებული სადავითნე დაიდგა, ხელში კვერთხი დაიჭირა და აღსავლის კარების წინ დადგა.

შემოსავი ბერები შავი ანაფორებით და კუნკულებით ტრაპეზიდან გამოდიან, ეკლესიას გაივლიან და რექტორის ოთახში შევლენ, სადაც მათ მღვდელი ბერძენიშვილი თეთრი საცვლების ამარა უცდის...

უკანა ოთახის კარები იღება. ბერებს ღამურას ფრთებივით გაუშლიათ ანაფორები, შუაში თეთრეულით შემოსილი მღვდელი ბერძენიშვილი ჩაუყენებით და ნელი ნაბიჯით მიჰყავთ შუა ეკლესიაში. გაშლილი ანაფორის ნაბრალებიდან ჩვენ ვხედავთ მხოლოდ შადალ და თეთრებში შეხვეულ თეთრწვერებიანს. იგი თავდალუნული მიდის და ყოველი ორი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მუხლებით იატაკზე დაეცემა.

შუბლსაც დაარტყავს. ბერებიც შეჩერდებიან. შემდეგ პროცესია ისევ დაიძვრის. შავ ბალდახნის წააგავს ბერების გაშლილი ანაფორის კალთები.

სამგლოვიარო გალობა ისე მოისმის, თითქოს მიცვალებულს აცილებენო. შიგადაშიგ შავი ბალდახნი შეჩერდება. მაშინ იატაკზე მუხლები დაეცემა, — ბრახუნი გაისმის, თითქო სამარის კარს მისდგომოდეს ვინმე და შიგ შეშვებას სთხოვდეს. რაც უფრო უახლოვდებიან კანკელს, სადაც ეგზარხოსი დგას, მით უფრო ძლიერდება ბრახუნი დუმილით მოცულ ეკლესიაში...

აგერ კანკელთან შეჩერდა შავი მსვლელობა. ერთხელ კიდევ დაეცნენ მუხლები იატაკზე, ერთხელ კიდევ მიეხეთქა შუბლი კანკელის საფეხურს და თეთრწვერება ეგზარხოსიც შეინძრა. რალაც იღუმალი, არამპქვეყნიური ხმით შეეკითხა თავის წინ დაჩოქილს:

— Камо грядеши, чадо?

ჯერ კიდევ ანაფორის კალთებში მიჩქმალული მღვდელი იესო ქრისტეს მოადგილეს ამცნობს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს მიატოვოს ამ ქვეყნიური ცდომილი ცხოვრება და ურწმუნობებში საქადაგებლად წავიდეს, რათა, სასუფეველი დაიმკვიდროს.

— მერე შესძლებ აიტანო ბრბოს მღელვარება, მისი ლანძვლა, ვინება, დაცინვა, ცემა და თრევა?

— შევძლებ, მეუფეო!

— მითხარი, მზათა ხარ მიატოვო მეგობრები და ნათესავები, ზრუნვა ამ ქვეყნიური და შემომიდგე მე?

— მზადა ვარ, მეუფეო!

— აიღე კვერთხი ესე და ჩემდამი ილტვოდე!

და კვერთხს რომ გადასცემს, კლიროსზე —

— აქსიოს, აქსიოს, აქსიოს! — იმღერებენ.

შემდეგ ბერის ტანისამოსით შემოსავენ და ვანიერ სარტყელს შემოართყავენ.

იმ საღამოს ლოცვის დროს ახლად ნაკურთხი ბერი კანკელის წინაშე დგას და ლოცვაში მონაწილეობას არ იღებს. ხოლო მეორე დღეს წირვას ასრულებს.

წირვის შემდეგ იგი წარუდგება ნათესავეებსა და ნაცნობებს, მაგრამ არა, როგორც მღვდელი დავითი, რომელიც გარდაიცვალა, არამედ როგორც მონაღვრისა და მონათესაისა...

მასწავლებლები

რექტორი ვერმოგენი სასტიკად ეპყრობოდა არა მარტო მოწაფეებს, არამედ მასწავლებლებსაც. ამიტომ ყოველი მათგანი მასთან ორპირობდა, თაღლითობდა. გერმოგენის სამასწავლებლო ოთახში შესვლისთანავე ყველა ფეხზე დგებოდა, მასთან მირბოდა, ხელზე ემთხვეოდა. იგი მათ თავის ზრახვებისათვის იყენებდა, — თუ რომელიმე მოწაფის თავიდან მოცილება სურდა, მასწავლებელს დაავალებდა, ისიც მოწაფეს გადაეკიდებოდა, ცუდ ნიშნებს დაუსვამდა და წლის ბოლოს თავიდან მოიშორებდა.

საერთოდ მაშინდელ ცხოვრებაში და, განსაკუთრებით, სემინარიაში, მლიქვნელობა უაღრეს წერტილამდის აღწევდა, — ზედამხედველი ინსპექტორთან პირმოთნეობდა, ინსპექტორი და მასწავლებლები — რექტორის წინაშე და თვით რექტორი ეგზარხოსთან შელაკუდობდა.

მასწავლებლებს შორის მხოლოდ ორიოდე იყო ისეთი, რექტორს რომ არ ელაჭუცებოდა. მათ სამასწავლებლოში შესვლა არ უყვარდათ, როცა რექტორი იქ იყო, ამიტომ დასვენების დროს აივანზე დასეირნობდნენ.

მასწავლებელი რუმინანცევი, რომელსაც მეტ სახელად „მათლაფას“ ვეძახდით, არც წვადს სწევდა, არც შამფურს. მისი სახე მართლა მათლაფასავით მორგვალბული იყო. მსუქანი და ამობურცულ ლოყებით, პაჟუა ცხვირით და ჩაქუტული თვალებით. მუდამ იღიმებოდა. მაგრამ ძალიან დაუდევარი, უენერგიო, ობლომოვიცხური ტიპი, უნიათო და ზარმაცი იყო.

ახირებული თვისება ჰქონდა; წლის თავში რომ ნიშანს დაგიწერდა, მთელი წლის განმავლობაში ამ ნიშანს არ აგაცდენდა, — თუნდ უკეთესად გეპასუხნა, თუნდ ცუდად.

მოწაფეს არ ჩამეტერებოდა, მაგრამ არც რექტორს აწყენინებდა, იმასაც გუნდრუქს უკმევდა...

რუსული ენის მასწავლებელი ალბოვი მოწაფეებს უყვარდათ. ალბოვი მაღალი, წელში მოხრილი კაცი იყო. მეტსახელად „აქლემს“ ვეძახდით. გაკვეთილის დროს სიწყნარეს მოითხოვდა. საგანს კარგად გვასწავლიდა, რუსულ ლიტერატურას გვაყვარებდა მაგრამ „ველიკოდერჟავინური“ თვალთ გვიყურებდა, — ჩვენსას არაფრად აგდებდა, ქართული ენის უმწეობას გვიჩიჩინებდა. მაშინ ჩვენ ქართულ ლიტერატურას არ გვასწავლიდნენ, არც კლასიკოსებს გავდიოდით. გვეგონა, მართლა ღარიბები ვიყავით. ჩვენ მაინც ვკვებულობდით ბარათაშვილით, ჭავჭავაძით, აკაკით, ყაზბეგით. როცა ის რუსის ქალის ტიპებს აქებდა, ჩვენც ვიხსენებდით ისტორიულ ქალებს, — თამარს, ნინოს, ქეთევანს და ვამაყობდით.

ქართული ენის მასწავლებელი ილია ფერაძე, — უხერხემლო და უნებისყოფი ადამიანი, — უყურადღებოდ მიტოვებულ საგანს ვერ უვლიდა. ქართული ენის სწავლებას ითმენდნენ, როგორც ნივთს, რომელიც ჭერ კიდევ კუთხეში უნდა იყვეს მივიწყებული, ხოლო თავის დროზე — გადაგდებული. კვირაში ერთხელ თუ შეიტანდნენ გაკვეთილების ცხრილში და ისიც ყველა საგნის შემდეგ. ამ საგნისათვის არ იყო შემუშავებული არც გეგმა, არც პროგრამა. შეთანხმებული უნდა ყოფილიყო საღვთო წერილთან. ამიტომ ჟამნა და დავითის გავდიოდით.

მასწავლებელი ფერაძე ცდილობდა, ამას გარდა, კიდევ სხვა რამეც ესწავლებინა, — ქართული გრამატიკა და სხვა. ხან რომელიმე კლასიკოსის ნაწარმოებსაც წაგვიკითხავდა, მაგრამ რექტორისა რომ ეშინოდას, წაგვიკითხვის დროს თვალები ფანჯრისაკენ ჰქონდა მიქცეული, — არავინ შემომისწროს და არ დავიღუბო, ამიტომ მერხებზე დავითნი გვეღო ყოველ შემთხვევისათვის.

მოწაფეებმა იცოდნენ მისი მხდელი ხასიათი, ისინი მრავლნაირ კორს ავრცელებდნენ მისი რუსული ლაპარაკის შესახებ, სამასწავლებლოში არ შედიოდა, როცა იქ რექტორი ეგულებოდა, პედაგოგიური სხდომის დროს კამათში არ ერეოდა და თუ რამეს შეეკითხებოდნენ, უპასუხებდა: „Я согласен с мнением о. Ректора!“

მას ძალიან უყვარდა ქართველობა, ქართული ისტორია და ლიტერატურა. კიდევ თანამშრომლობდა გაზეთებში, მაგრამ აკლდა ენერჯია და გამბედაობა.

კვირაში ერთხელ მეზუთე გაკვეთილად გალობა გვექონდა. გალობის მასწავლებელი აბუჩად გვეავდა ავღებელი. კლასში შემოსვლისას ჩვენ კონცერტით შევხვდებოდით. მერხებზე გავანაწილებდით, ვის რა უნდა ეყვირა და ჩვენც ვყვიროდით იმ ხმაზე, როგორც ქუჩებში გაიძახოდნენ: „ცოკნი ფეხი!“ — წვირილი ხმით გააკიოდა ერთი; — „სამოვარი მიწაა!“ — ყვიროდა მეორე. უცბად ბოხი ხმა შეერეოდა: „ბატბუტი!“ ან „ცოცხალი თევზი, ცოცხალი!“ კიდევ უფრო ბოხი ხმით კუთხეში ვინმე დაიძახებდა — „თუთა მოსულა, თუთა!“.

მასწავლებელი როგორმე დაგვაწყნარებდა, მერხებზე „ობიხოღს“ დაგვილაგებდა და ახლა ყველა ერთხმად ვმღეროდით ნოტებს; „დო, დო, დო... რე, მი, ფა... სოლ, სოლ, სოლ... ლია, დო, სი...“ და მთელ გაკვეთილს — ერთ საათს — ვაცდენდით უშედეგო სიმღერასა და სიცილში...

სემინარიის ხუთმეტრიოდ მასწავლებლიდან ორიც არ ამოირჩეოდა ისეთი, რომ ღირსეული ადამიანი და თავისი მოწოდების მტკიცე დამცველი ყოფილიყო, მოწაფეები ამ ჰაობში მოძრაობდნენ როგორც მთიდან ჩამოვარდნილი ნაკადი, დამყაყბულ რუტინას ებრძოდნენ მსხვერპლით და თავგანწირვით, ნათელი და სამართლიანი ცხოვრებისაკენ მიილტვოდნენ...

უმრავლესობა მოწაფეებისა სემინარიის საგნებს არ ეტანებოდა და სულელებს საზრდოს სულ სხვა წყაროებიდან იღებდა. მრავალი მათგანი, რადგან ვერ ურიგდებოდა სემინარიის რეჟიმს, ჯერ შიგ იბრძოდა, რითაც და როგორც შეეძლო და, იქ ბრძოლას შეჩვეული, გარეთ, ცხოვრებაში რომ გამოდიოდა, უკმაყოფილოთა პირველ რიგებში დგებოდა, დაჩაგრულ, ექსპლოატირებულ მუშათა კლასთან ერთად, უკეთესი ცხოვრებისაკენ ბრძოლით გზას იკაფავდა...

მელეჰარება სემინარიაში

ოთხმოციან-ოთხმოდდაათიან წლებში, როცა რუსეთიდან შემოსულმა ხალხოსნურმა ნაკადმა საქართველოშიც გადმოხეტქა, მისი პირველი შედეგები სემინარიის კედლებს ესხურა. ხალხოსნურმა მოძრაობამ სემინარიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. სემინარიის რეჟიმმა ამას ხელი შეუწყო.

დიაკვნებისა და სოფლის მღვდლების შეილებების პროტესტი მუდამ შეგნებულად მზადდებოდა. პროტესტი ხშირად წმინდა პოლიტიკური ხასიათისა იყო.

ჯერ სემინარიის ადმინისტრაციისადმი და მერე თვითმპყრობელური მთავრობისადმი სიძულელი და გაბოროტება სემინარიელებში დიდი იყო. ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების თბილისი მეფის ნაცვლის, მოხელეებისა, გადაგვარების გზაზე დამღარი თავადებისა და ოფიცრების კონსერვატიულ სულისდგმით ცხოვრობდა. ბალები, სალამოები, მრავალგამიერი და მლიქვნელობა მეფის ნაცვლის წინაშე უაღრესად იტაცებდა მაშინდელ საზოგადოებას. და როცა მიხეილ ნიკოლოზისძე რომანოვი ქუჩაში გამოვიდოდა, ყველა შეჩერდებოდა, მოწიწებით თავს დაუკრავდა, ღიმილით თვალს გააყოლებდა.

და სემინარიის ორმა მოწაფემ, ორმა ახალგაზრდა სემინარიელმა — სტეპო კრელაშვილმა და დავით კეზერელმა, გაბედა და, პროტესტის ნიშნად, მეფის ნაცვალს ქუდი არ მოუხადა, თუმცა ისინი პირისპირ შეხედნენ მას. განცვიფრებული ექსელბანტებიანი დიდი მთავარი მათ წინაშე შეჩერდა, მისმა „იმპერატორებითა უმაღლესობამ“ ორ პირტიტველა მოწაფეს ქამარში ჩატანებული შავი ხალათები შენიშნა და გაბოროტებით შეეკითხა: რატომ ქუდი არ მოუხადეს მას? მოსწავლეებმა ათრთოლებული ხმით უპასუხეს: — ჩვენ მონები არა ვართ...

— ეინ არიან ესენი? — შეეკითხა მეფის ნაცვალი აღიუტანტს.

— სემინარიელები!

— წაიყვანეთ ორივე რექტორთან და მოახსენეთ ეს ამბავი!

ორივე სემინარიიდან გამორიცხეს, ციხეში ჩასვეს, გაასამართლეს და ციხიბრში გადაასახლეს...

ძალიან ცდილობდა სემინარიის ადმინისტრაცია სასტიკი რეჟიმით, არა საიმედო მოწაფეების დათხოვნით, ჯაშუშების გამრავლებით, წიგნების კითხვის აკრძალვით, ჩხრეკით და სხვა რეპრესიებით მოწაფეების მორჩილებაში მოყვანას. მაგრამ რაც უფრო ძლიერი იყო მათი დევნა, მით უფრო მეტად ცხოველდებოდა პროტესტი. რუსიფიკატორი ბერები იქამდისაც კი მივიდნენ, რომ პროექტი შეიტანეს თბილისის სემინარიის შიდა რუსეთში გადატანის შესახებ, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა, რადგან მას ქართველი სამღვდელეობა ინახავდა...

დათხოვნილი მოწაფეები სემინარიაში დარჩენილებს არ ივიწყებდნენ, მათთან დაიარებოდნენ, წიგნებს უზიდავდნენ, ეურნალის გამოცემაში ეხმარებოდნენ. ამას გარდა, ისინი კავშირს აბამდნენ რუსეთიდან გადმოსახლებულ რევოლუციონერებთან და მათ შემოტანილ მოძღვრებას აერცელებდნენ.

სემინარიელები ყოველ წელს უშვებდნენ ხელნაწერ ეურნალს და შიგთავიანთ საჭირობოროტო საკითხებს აშუქებდნენ. სხვადასხვა დროს გამოდიოდა: „იმელი“, „დროშა“, „თავიგული“, „ბაირალი“, „განთიადი“, „მნათობი“ და სხვ.

სემინარიაში ქართული ენა, ქართული წიგნები და ქართული წირვალოცვაც კი სასტიკად იდევნებოდა. მაგრამ მოწაფეები აარსებდნენ წრეებს (8 — 10 კაცი თითო წრეში) და იქ კითხულობდნენ და არჩევდნენ როგორც სამეცნიერო წიგნებს, ისე ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

ეს იცოდა სემინარიის ადმინისტრაციამ და არ ასვენებდა მათ, — ჩაღი-
ოდა გარდერობში და მოწაფეების დაუკითხავად აღებდა ზეფუქსუფუტებს, ეძებ-
და აკრძალულ წიგნებს, ჩხრეკდა საწოლ ლოგინებს, ჩუმადი ფეხსაცმელებს შე-
დიოდა დასაძინებელ ოთახში და ყურს უკვებდა მოწაფეების ბაასს, რომ გა-
ეგო, ვინ რაზე ლაპარაკობდა, ვის რა იზიდავდა...

სემინარიის მოწაფე იოსებ ლალიაშვილი მონაწილეობას იღებდა წრეების
შეცადინებაში, კითხულობდა აკრძალულ წიგნებს და მჭიდრო კავშირს
ჰქონდა რუსეთიდან გადმოსახლებულ რევოლუციონერებთან. ეს შეუნიშნავი
არ დარჩა სემინარიის რექტორს, დეკანოზ ჩუდეცის, რომლის გაბოროტება
და მოწაფეებისადმი სასტიკი მოპყრობა ორკეცდებოდა მისი ოჯახური ტრა-
გედით, — მას ლამაზი ცოლი ჰყავდა, პირველ ხანებში მასთან ხშირად და-
იარებოდა ეგზარხოსი პავლე ჩაისა და კონიაქზე. მალე ჩუდეცის ცოლს ისე
დაუახლოვდა, რომ ხშირად თავისთან იპატიებდა სტუმრად. ცოლის გვიან
შინ დაბრუნებას ვერ ურიგდებოდა რექტორი და თავის ამღვრეული გულის
შხამს მოწაფეებზე ანთხევდა. მან დევნა დაუწყო იოსებ ლალიაშვილს, —
შოუსპო სახელმწიფო ხარჯი და პანსიონიდან დაითხოვა. ხოლო მისი დევნა-
შევიწროვება ამით არ დამთავრდა. გაჩხრეკის დროს უბოვეს წიგნები და
დღიური, რის შემდეგ სემინარიიდან დაითხოვეს და ყოფაქცევაში ორი და-
უწყერეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ გზა ეკვროდა ყოველმხრივ: ვერც საღმე
სასწავლებელში შევიდოდა, ვერც სამსახურში ჩადგებოდა. მრავალჯერ მი-
მართა რექტორს, გადაესწორებინა ნიშანი, მაგრამ ის უხეშად იღგა თავის
გადაწყვეტილებაზე. მაშინ ლალიაშვილმა გადაწყვიტა მისი მოკვლა.

რუსეთის ტერორისტული აქტების შემდეგ საქართველოშიაც განიზრახეს
რამდენიმე ტერორისტული აქტის მოწყობა. არსებობდა წრე, რომელთანაც
ლალიაშვილს კავშირი ჰქონდა. გადაწყვეტილი იყო მოეკლათ ეგზარხოსი,
რექტორი და კავკასიის სამოსწავლო ნაწილის მხრტუნველი იანოვსკი.

ლალიაშვილმა შეიძინა ხანჯალი, ამოიღო პალტოს ქვეშ და მივიდა რექ-
ტორთან კვლავ თავის საქმეზე სათხოვნელად. ჩუდეცის ცოლი ასე გადმო-
გვცემს თავის ჩვენებაში ამ ამბავს: „როცა საკუქნაოდან გამოვდიოდი, შევ-
ნიშნე, რომ წინა კარებიდან შემოვიდა სალონში ერთი მოწაფე ქალაღდებით.
მე კაბინეტში შევედი, ჩემ ქმარს ვუთხარი, — მოწაფე გიცდის მეთქი. როცა
ის გამოვიდა, მე და ჩემი და ეკატერინე ოთახში დავრჩით. ორი წამის
შემდეგ მომესმა საშინელი კვილი. ჩვენ გავცვივდით ოთახიდან, გავიარ-
ეთ სასტუმრო ოთახი. დარბაზში რომ შევედით, დავინახეთ დეკანოზი, რო-
მელსაც ორივე ხელით მუცელი ეჭირა. უკან მოსდევდა მოწაფე ამოღებუ-
ლი ხანჯლით. დეკანოზი შემოვიყვანეთ კაბინეტში, სწრაფად მოვხურეთ კა-
რები და მხარით მივაწექით, მაგრამ ლალიაშვილმა მოასწრო ფეხის შემო-
ღმა და ხელიც შემოკყო, რომელშიაც ამოღებული ხანჯალი ეჭირა. ამა-
სობაში დეკანოზმა მოასწრო და კაბინეტიდან მეორე ოთახში, სასადი-
ლოში გავარდა. მას შეჰყვა ეკატერინე და კარს მოაწვა. მე ლალიაშვილს
სახელოში წავაველე ხელი, მარამ ვერ დავიმარე. ის შევარდა სასადილო
ოთახში. დეკანოზი იქიდან ტალანში გასულიყო და აივანზე მიბრბოდა, მაგ-
რამ ლალიაშვილი გამოეკიდა, დაწვია და რამდენჯერმე ჩასცა კიდევ ამოღე-
ბული ხანჯალი... მიცივიდნენ მასწავლებლები, მაგრამ მხოლოდ მახათაძემ
მოუარა უკანიდან და შეაჩერა მკვლელი“...

შეპყრობილი ლაღიაშვილი ძირს დაცემულ დაქრილ რექტორს დასცქეროდა გაშტერებული მღვრიე თვალებით, — უნდოდა გაეგო, ხომ არ... ასეცა მიზანს, ზომ მოკლულია რექტორი... მოწაფეები ფანჯრებიდან ეცქირებოდნენ და ლაღიაშვილიც ერთის გაღვლებით იგრძნობს მათ მხურვალე გამხნევენას, აგზნებულ, მადლიერ თვალებს და ჩურჩულს, „ნუ გეშინია, მკვდარია!“

ამ მკვლელობამ რუს პატრიოტებში ძლიერი ღელვა გამოიწვია. ეგზარხოსმა პავლემ ეკლესიაში ქადაგების დროს დასწყევლა ქართველი ერი. მას დიმიტრი ყიფიანმა მამზილებელი წერილი მისწერა. ამისათვის იგი სტავროპოლში გადაასახლეს და იქ სასტუმროში მოჰკლეს.

ამის შემდეგ სემინარიაში უმკაცრესი რეპრესიები და რეჟიმი შემოიღეს, მაგრამ მოწაფეები მაინც ვერ დაიმორჩილეს და 1893 წლის ზამთარში დიდი მღელვარება დაიწყო. მათ ხელმოწერილი მოთხოვნა წარუდგინეს რექტორ სერაფიმეს.

გაკვეთილების დროს ყველა კლასიდან მოწაფეები აივანზე გაცივდნენ, კიბეები ჩაირბინეს და ეზოში შეგროვდნენ, — რექტორისაგან მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს. სემინარიის ადმინისტრაციამ მოწაფეები ვერ დაამშვიდა. მოიწვიეს ეგზარხოსი და ეპისკოპოსი ალექსანდრე. ესენიც მათ დაწყნარებას შეუდგნენ, მაგრამ მოწაფეები ძალიან აღელვებული იყვნენ და უემხედ უპასუხებდნენ ეგზარხოსს.

შეკრებილ მოწაფეთა წინა რიგებში ჩამდგარიყო ლადო კეცხოველი და ეგზარხოსს მოთხოვნებს უკითხავდა: „რექტორი ყველა მოსწავლეს მაგალითს უნდა აძლევდეს და უჩვენებდეს ადამიანურ მოპყრობას და ზნეობრივ უმწიკვლობას, ის კი წინააღმდეგ იქცევა და ჩვენ გვაგინებს, ჩვენ თხოვნებზე გინებით და ლანძღვით გვიპასუხებს.“

ჩვენ მოვითხოვთ: აღდგენილ იქნას ქართული ენა და ქართული გალობის სწავლება. ქართული გალობა არაფრით არ ჩამოუვარდება სლავიანურს.

მოგვეცეს ნება ვიკითხოთ საერო მწერლები: ტოლსტოი, დოსტოევსკი, ტურგენივი, ჭავჭავაძე, ბარათაშვილი და სხვები.

ქართული ენა ისწავლებოდეს არა რუსულის საშუალებით, არამედ როგორც საგანი, ამისათვის დაარსდეს სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა.

მოისპოს ჯაშუსობა. ჯაშუსობა ზნეობრივად ათახსირებს ადამიანს“.

ლადო კეცხოველი ლაპარაკობდა მკვეთრი, გამბედავი ხმით და როცა გაათავა, ეგზარხოსი მიუბრუნდა ალექსანდრე ეპისკოპოსს და უთხრა:

„ეს რა გველის წიწილა გამოუზრდია საქართველოსო“.

თეთრწვერა ეპისკოპოსი ეგზარხოსის სიტყვებმა შეაყრთო, არ მოელოდა ასეთი აშკარა სიძულვილის გამოთქმას საქართველოს მიმართ და იმანაც ორიოდე ამაღლებული სიტყვა შეჰკადრა მის მეუღლებას...

იმ წელს სემინარია სავსებით დაჰკეტეს, ეგონათ, მათ გამოსვლას აჯანყება მოჰყვებოდა. დამფრთხალი და შეშინებული ადმინისტრაცია დათხოვნილ მოწაფეებს თბილისში არ სტოვებდა, — ყველას ძალით თავის სოფელში დედამამასთან ერგებოდა...

ამ გამოსვლამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. რუსეთში გაიგზავნა დებეშები. იქიდან კი მეფის ნაცვალს ეკითხებოდნენ, დაწერილებით ემცნო ყოველივე, ახსნა-განმარტებისათვის მეფის ნაცვალმა რუსეთში თბილისის გუბერ-

ნატორი შერვაშიძე გაგზავნა, რათა შეშინებული მთავრობა დაერწმუნებინა საქართველოს კეთილგანწყობილებაში რუსეთისადმი...

მეორე წელს შემოდგომაზე სემინარიაში ყველა ხელახალი კურსდებით მიიღეს, სემინარია გასწმინდეს. 90-მდე მოწაფე დაითხოვეს. გამორიცხეს ლაღო კეცხოველი და სხვა მისი თანამოაზრე ამხანაგები. სემინარია დაკეტეს, — ყველა პანსიონში შეიყვანეს და გარედან სიარულის ნება არავის აღარ მისცეს, მონასტერივით აზიდულ კედლებში დაამწყვდიეს, რომ გარეშე ცხოვრებასთან კავშირი არა ჰქონოდათ...

იმავე წელს ქუთაისში გახსნეს მეორე სემინარია და ამნაირად დასაუღეთ საქართველოს მოწაფეები აღმოსავლეთ საქართველოსას დააცილეს, რომ უფრო ნაკლები შემქმედროვება ყოფილიყო მათში.

ასეთმა რეპრესიებმა მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, — უკმაყოფილება და პროტესტი სემინარიაში ხშირი ამბავი იყო. გარეთ ცხოვრებასთან კავშირს მოწაფეები მაინც ახერხებდნენ. წრეების შეცადინეობა და სხვ. გრძელდებოდა. ხოლო აქამდის თუ ხალხოსნურ მიმართულებას მისდევდნენ მოწინავენი, ახლა ძლიერი ტალღით შეიჭრა სემინარიაში ახალი მოძღვრება, ახალი სწავლა სოციალ-დემოკრატიული პროგრამით.

და სწორედ იმ წელს, როცა სემინარიიდან ამბოხებისათვის დაითხოვეს ლაღო კეცხოველი, სემინარიის პირველ კლასში მიიღეს ახალგაზრდა იოსებ ჭულაშვილი.

გონდო კეხელავა

ნ ი ბ ნ ი ლ ა მ ა მ ა

განთიადიდან გამიტაცა მღელვარე წიგნმა,
ძვირფას სტრიქონებს ვერ დავშორდი, მას სული ვანდე,
შემომთავაზა სიყვარული, განცდები წმინდა,
განთიადიდან ერთად დავრჩით შებინდებამდე.

აღარ დასრულდა და არც მინდა დამთავრდეს იგი,
მწყურია მასთან ვიყო, ვფურცლო, ვათიო ლამე,
ნუ დამშორდება კიდევ ერთხანს მაღალი წიგნი,
დავრჩები მასთან, მხოლოდ მასთან განთიადამდე.

კეითხულობ, ვფურცლავ, სტრიქონები არხევეს წამწამებს,
ჩემს წინ სდგას გმირი, მან თვალეში შემომანათა.
ისე მიცქერის, თითქოს უნდა ბრძოლებში წაყვე
ერთი იქუხა, შეტრიალდა, მხრები ამართა.

პირისპირ შეხვდა მტერს მებრძოლი, იელვა ხმაღმა.
გააპო, გასჭრა და მღუმარებს ვაეკაცი იგი...
ის ლამაზია, ფერუცვლელი და აზოვანი,
ხმალი ხელთ შერჩა და უეცრად დასრულდა წიგნი.

მე გამიტაცა ამ ამბავმა და დამაამა,
მატყვევებს, მიჰქერს, როგორც ბავშვი ჩიტს კაკანათით.
ვფიქრობ ამ წიგნზე, და ქალარა შემოდის მამა
მანდარინებით, ფორთოხლებით სავსე კალათით.

ვლადიმერ უაილავა

შ ე მ დ გ ო მ ა

ლამაზი კუთხე, კარგი დობერა,
მაღალ თხმელებზე მწიფე მალღარი;
ბზინავს მტევნები დამათრობელად
და სიმინდების დვას ნიაღვარი.

წელს შემოდგომა აქ მსურს ვატარო
და ამინდებიც სჩანს ღირსეული,
მდგმურად მღებულობს ქოხი პატარა,
ისლი რომ ჰხურავს პაპისეული.

ხელს მოვიჩრდილებ, ფერად ლალებით
ივსება ჩემწინ უხვი მთაბარი;
თურმე აქ ნახეს გლეხის თვალებმა
მოსავლის ღმერთი ზვარში ჩამდგარი.

და დგება ირგვლივ სიმინდთა ყორე,
მარნებში თრობა იწყეს ჰურებმა;
მესმის ნადურის ღულღუნი შორი
და წისქვილების ახმაურება.

გავერთოთ ისევ, მოჰყევ ზღაპარი
რამე გმირული და ღირსეული —
გვიან გვეძახის ქოხი პატარა,
ისლი რომ ჰხურავს პაპისეული.

მე შევეთვისე მყუდრო დობერას,
ხეზე გასული მიყვარს მალღარი,
მოვალ, ნაცნობი სიო მომბერავს
და ნათელ სულში ჰყვავის ბაღნარი.

უიარაღო

მ ა კ ი ე ბ ე ლ ნ ი

ნაწილი მეორე¹

I

ქუთაისიდან სახალხო მატარებელის მოსვლამდე ორ საათზე მეტი რჩებოდა, ამიტომ ა-ს სადგური ჯერ-ჯერობით ცარიელი იყო.

კარგი დარი იდგა. მზე უკანასკნელ სხივებს აღმაცერად ისროდა და შავი ზღვისაკენ დასამალავად ემზადებოდა. სადგურის უფროსი, დაბალ-დაბალი, ჩასუქებული კაცი, უძილობით თვალებ-დასიებული, მოკლე, დიღებ-შეუკვრელი ტანისამოსით და წითელი ქუდით, სადგურის წინ ქვაფენილზე იდგა და ჩამავალ მზეს შეჰყურებდა. მზე იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც ნელი სიო, რომელიც დასავლეთიდან საამურად მოჰქროდა და მთელა დღის პაპანაქების შემდეგ ყოველ სულდგმულსა და მცენარეს მაცოცხლებელ ნექტარად ეფინებოდა.

სადგურის პირდაპირ პატარა, ბარჯის საწყობ სახლის წინ, რომელსაც დაბელები „სკლადს“, ხოლო სოფლელები „სლადს“ ეძახდნენ, რამდენიმე საბარგო ვაგონი იდგა, საიდანაც მუშების ზმაურობა და ვაგონში შესროლილი ტომრებისა და ყუთების ბრაზუნი მოისმოდა.

— დანიილ პეტროვიჩი! — გამოილაპარაკა ერთი ოთახიდან სადგურის უფროსის თანაშემწემ და ზარმაცად გარედ გამოვიდა, — დღეს მეტის-მეტად დაღლილი ვარ და თუ ცოტა არ მივიძინე, ფეხზე ვეღარ ვდგები.

— აა! — ბოხი ხმით გამოეხმაურა უფროსი, აღმოსავლეთისკენ მიბრუნდა და ხელები უკან დაიწყო.

— დასაძინებლად მივიდივარ, — განუმეორა თანაშემწემ.

— ვისურვებ ტკბილ სიზმრებს, — თავის ოდნავი კანტურით მიუგო უფროსმა.

— ასე რამ დაგაფიქრათ დანიილ პეტროვიჩი? — ჰკითხა თანაშემწემ.

— დაფიქრება რომელია! მეტი აღარა ვარ, ლამის სიცხით დავიწვია! ეს ლეთის დალოცვილი სიო რომ არა ჰქროდეს საღამოობით, ამ ნესტიან ადგილებში კაცი მოიხარშებოდა...

— დღეს როგორ ვათავდა? — ცოტა მორიდებით კვლავ შეეკითხა თანაშემწე.

¹) დასაწყისი — 1940 წლის „მწათობა“ №№ 10, 11, 12.

— ოო! არა, ბედი არ მწყალობს, — ნაღვლიანად მიუგო უფროსმა: — ორი თუმანი ამფუცქენა მაგ მამაძალღმა, მერე ამ სიცხეში შეეშველს ოთახში ჭღომა!

— რას იზამ, მოსავალია: — ანუგეშა თანაშემწემ.

— რა მარჯვედ თამაშობს ეგ ყურუმსალი! და მერე, წარმოიდგინე, ერთი შეხედვით ასე გგონია, ყურადღებას არ აქცევსო, მაგრამ სულ იგებს და იგებს.

— მაშ ნახვამდის! — წარმოსთქვა თანაშემწემ და მარჯვნივ, თავის ბინისაკენ შეუხვია.

— ვასილ გრიგორიჩ! — მიამახა უფროსმა.

— მე! — მობრუნდა თანაშემწე.

— ათ საათზე შზად იყავი, მანამდი, როგორც არის, საქმეს გავაჩანჩალებთ, ათზე-კი მომეშველე, თორემ ამდენი ხნის უძილობით გატანჯული, ერთი თუ გავგორდი, ცხრა ორთქლმავალი ერთმანეთს დაატაკო, ვერაფერს გავიგებ.

— მესმის! — მიუგო თანაშემწემ და განშორდა.

უფროსმა კი ქვაფენილზე სეირნობა დაიწყო.

— ხომ ვითხარი, კაცო, ჭერ არავინ არ იქნება-მეთქი. საშველი აღარ მომეცი, სული ცხვირში შეიფინე... რა სასწაულ ამბავს ლაპარაკობდა ის კაცი სამიკიტნოში? რა დამართია იმ პატიოსან ვაჭარს თუ ჩილონიკს, კარგად არ მახსოვს. ცოლთან სხვა კაციზა მოუსწვრია. ბერეკა და ზამანა კუზა თუ გინდა! — უქმყოფილოდ ეუბნებოდა ერთი მაღალ-მაღალი კაცი მეორეს, რომელსაც მხარზე ვეებერთელა სავსე ხურჭინი გადაეგდო. ისინი საბარგო სახლიდან სადგურს უახლოვდებოდნენ.

— ყოველ შემთხვევაში, გვატილია, დაგვიანებას აღრე მისვლა ჯობია, — მიუგო ხურჭინიანმა.

— სადაური დაგვიანებაა, შე კაცო, ვერა ხედავ, ერთი სული არ მოიძებნება!

— ხომ არ გაგვიჯავრდებიან აღრე მოსვლისათვის? — ხმადაბლა სთქვა ხურჭინიანმა და მორიდებით ქვაფენილზე მოსეირნე უფროსისაკენ მიიხედა.

— გაჯავრება, ცხონება აქვს შავათ მამას, ჩვენ მოგვეწყინოს! — რიხიანად სთქვა მაღალ-მაღალმა. — ხალხიც, ალბათ, მალე მოგროვდება.

— მოგროვდებიან, მაშ რას იზამენ? — სთქვა ხურჭინიანმა.

— არა, საქმე იმაში არ არის... ვაჭრობა, ჩემო პეხუ, როგორც მოგეხსენება, ლატარიაა. მე რომ ვაინობის გათავების შემდეგ მაშინათვე ჩემთვის დაემდგარვიყავი, დღეს მე უი! — ძალზე ხელის ქნევით წამოიძახა მოძველო მაუღის ჩოხაში გამოწყობილმა და თავის გვერდზე მომავალ შალის-ჩოხიანს მიუბრუნდა.

ესენიც იმავე საბარგო სახლის გვერდიდან გამოვიდნენ, ერთი სადგურისაკენ მიიხედეს, მერე პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნეს და ლიანდავის გასწვრივ გზა განაგრძეს. ესენი ადგილობრივი წვრილი ვაჭრები იყვნენ.

ამასობაში შებინდდა კიდევ. ლამპები აანთეს. სადგურის უფროსი თავის სამუშაო ოთახში შევიდა და საქმეს შეუდგა. ხალხიც ცოტ-ცოტად გროვდებოდა, ხოლო სახალხო მატარებლის მოსვლის წინ თითქმის მთელი დაბის ინტელიგენციამ მოიყარა თავი. დაბის უფერული, გონება-მიჩლუნგებული და წვრილმანი ცხოვრების ცოტა გამნიავებელი ეს კურთხეული სად-

გურია მატარებლის მოსვლის წინ. ყველა, დიდი და პატარა, სიხარულით აქეთკენ მოეშურება.

— კნიაზ ვახტანგს ვახლავარ! — მიესალმა თავად ვახტანგს ^{ერყენულნი} სამხედრო სამართველოს საქმის-მწარმოებელი.

— იცოცხლე! — უბასუხა თავადმა ვახტანგმა, თავით ფეხებამდე შეიარაღებულმა, თითქოს ერთი წუთიც და მტერს ხმალ-დახმალ დაერევო.

— გაიგეთ, კნიაზ?

— როგორ არა!

— ღმერთო ჩემო, რა სირცხვილია!

— აბა, ქალები სანდო არ არიან, — ბრძნულად დაასკვნა თავადმა და ვეებერთელა ხანჯლის ტარს ხელი მაგრა დაარტყა.

— ნადვორნი სოვეტნიკობა წრეულს მიიღო იმ კაცმა, ანნა ქე პქონდა, — სწუხს საქმის მწარმოებელი.

— მიუსწვრია, ა? მართლა მოუსწვრია? სტეფანე, სუ, ნუ მეუბნები! ფახ! ფახ! ფახ! — თავს გაოცებით აკატუნებს სხვა მოხელე.

— სიმართლეს გეუბნები...

— ლამაზი ბიჭი კია, მერე რა ეუყოთ, რომ თუმნიანი მწერალია! — ჩურჩულთ ათავებს მოხელე.

— ფუი, თვალები კი დაუდგეს მაგისთანა ადამიანს! — ეუბნება ერთი ფრიად საპატიო მანდილოსანი მეორეს.

— რას მეუბნები, გენაცვალე: მომკვდარიყო სჯობდა!

— დარია პეტროვნა, ქმარ-შვილს გეფიცები, მის მაგივრად მე მრცხვენია.

— დიდი ხანია ყველამ ვიცით, მაგრამ დღემდი კრინტი არავის დაუძრავს. ორმოცდა ათი წლის კაცმა თექვსმეტი წლის ვოგო რომ შეიერთო, მამ რა იქნებოდა?

მატარებელი ახლოვდებოდა, ამიტომ ზოგი ბილეთის ყიდვას ჩქარობდა, ზოგიც ბარგის ჩაბარებას.

— ხაბარდა! Берегись! — იძახდა რკინისგზის მუშა და ბარგით სავსე ხელით სატარებელ მარხილს სადგურის წინ კირმოსხმულ იატაკზე მიაგორებდა.

— ანტონია, ანტონია! ხურჯინი იქ მესამე კლასის ზალაში შეიტანე, ყუთი კი სახწორთან ახლო დადევ, — ისმოდა მოუთმენელი ხმა.

— ადრე წევიდეთ-მეთქი, რამდენი გეხვეწე, არ დამიჯერე! — ცხარობდა მეორე. — მაგ დასამტკრევი ნარდი თუ დეინახე, ხომ ვერ მოშორდები! შამ და ბეშიო, იაქე და ჩარიო. ეხლა საცაა პოეზდი მოვა და ვერც კი მოვასწრობთ!

სალაროს წინ ხალხი შეჭგუფულიყო. მოლარე ბილეთებს არიგებდა. ეანდარმიც იქვე გამოჰიმულიყო.

— Ну осадн назадъ, думаешь, что не успеешь! — დაუღრინა მან ერთ გლეხს, რომელიც შეჭგუფულ ხალხს ლურსმანივით ერჭობოდა და ცდილობდა ბილეთი ჩქარა აეღო. ეანდარმის ნათქვამი, რასაკვირველია, ვერ გაიგო და ისევ მოუსვენრად წინ იწედა. ეანდარმა საკინძეზე ხელი დაავლო და ნათქვამი გაუმეორა.

— კაცო, ნუ ჩქარობ, მოესწრობიო, გეუბნება, — აუხსნა ერთმა მგზავრმა.

— რა ვიცი ბატონო, რომ დამიგვიანდეს? — თავდაბლად მიუგო გლეხმა.

— ოჰო, კაი დროს მოვსულვართ! ყა, ეს შენა, თეიმურაზ? — დაიძახა ერთმა ახალ შემოსულმა.

— კონსტანტინე?

— საით, თეიმურაზ?

— შინ.

— მაშ ორი ჩემთვისაც აილე, ჩაჩხირება მეზარება. ფარნა! — მიუბრუნდა იქვე მდგომ ახალგაზრდა ყმაწვილს: — ხაბაკები არ დაგვეკარგოს, თვალყური კარგად ადევნე, თორემ ისეთი წუწუკებითაა აქაურობა სავსე, რომ... ხმაურობა-ჩოჩქოლს თანდათან ემატებოდა. ზოგი ლაპარაკობდა, ზოგი იცინოდა, ზოგი ხუმრობდა, ზოგიც იგინებოდა და ილანძღებოდა.

— ჰა, ეს ორი ბილეთი შენ! დიდი ჩხუბი და მკერდ-ძაღობა კი უნდა ამ ოხერის ალებას. ყველა ჩქარობს, ყველა სულს ცხვირში იჭდენს და ერთმანეთს ხელს უშლის. ერთმა კაცმა კინალამ გვერდები ჩამამტვრია, — ჩაილაპარაკა თეიმურაზმა და მესამე კლასის ორი ბილეთი კონსტანტინეს გადასცა.

— გმადლობ! ფულები იქნება აღარ გინდოდეს? — გაეხუმრა კონსტანტინე და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— შენისთანა სსწყალ კაცს ფულს როგორ გამოგართმევ, — სიცილით მიუგო თეიმურაზმა.

კონსტანტინემ მუქით თეთრი ფული ამოიღო და რამდენიც ერგებოდა, გადაუთვალა.

— ეს მეორე ბილეთი ვისთვის გინდა? — შეეკითხა თეიმურაზი.

— აი ამისათვის, — თავის აწვეით უჩვენა ფარნაზე, რომელიც ერთად მოგროვილ ხაბაკებთან იდგა და გულმოდგინედ დარაჯობდა.

— ახალი ბიჭი იშოვნე?

— ივანეს ძმაა.

— ჰოო! კაი ბიჭსა ჰგავს თუ ივანესავით მარჯვე გამოდგა.

— ორკლასიანი სკოლა აქვს გათავებული.

— შე დასალუბაო, ტურას ბედი გაქვს რალა! მე რა ხანია დავეძებ და ერთ რიგიან კაცს ვერსად წაეაწყდი, სულ ქურდები, სულ ოხრები... რა მალამო გაქვს ისეთი?

— არ იცი, რა მალამო უნდა ამისთანა შემთხვევაში? — დამცინავე სახით მიუგო კონსტანტინემ.

— ჯანა მე მუქათათა მყავს ბიჭები? ჯამაგირს ყოველთვის დროზე და უკლებლად ვაძლევ...

ამ დროს მატარებელიც გაჩერდა. ხალხი აირია: ვინ ბარგს ეპოტინებოდა, ვინ ვაგონის საფეხურისაკენ მირბოდა, ვინ ახალ მოსულ ნაცნობს შორიდან ეძახდა, ვინ დიდი ხნის უნახავს ჰკოცნიდა. საერთოდ ყველა შფოთავდა და ჩქარობდა.

— ეს კაი ადგილი შეგზედა, — სიამოვნებით სთქვა კონსტანტინემ და ვაგონის ერთ კუთხეში სკამზე დაეშვა.

— მე ვიცი, ბატონო, როგორ ჯობია, მაშინათვე რომ სულს ლიტოტებ, არ ვარგა. ცოტა უნდა მოითმინო, ხალხი მილაგ-მოლაგდება და მაშინ ადგილიც უჩხუბოდ მოიძებნება, — იბრძენა თეიმურაზმა.

— ავა ვაი, თეიმურაზ! — გააწყვეტინა კონსტანტინემ. — დღეს რაღაც ბედზე მოვიდა, თორემ ამ დასაქცევში, დასაჯდომს ნუ იტყვი, დასაჯდომ ადგილსაც ვერ იშოვნე ხანდახან. მართლა, შენ აქ დღეს რაზე... მოსულხარ?

— აქ კი არ მოვსულვარ, სოფლებიდან მოვდივარ!

— ჩარხავ რაღა საქმეს!

— რა უნდა ვჩარხო, ძმაო? — ტუჩების აწევით მიუგო თეიმურაზმა: — სიმიდის ყიდვას, ჩემო კონსტანტინე, ფულები უნდა. ისეთ ხალხთან რომ გქონდეს საქმე, რომ ადვილად შეიძლებოდეს მისი მოტყუება, მესმის. მაგრამ ჩვენი ხალხი? რას უზამ, ყველა ვაჭარია: ნახევარი კოპეიკი მეტი თუ შეიყნოსა საღმე, მამა შენიც რომ იყოს, არ მოგყიდის. ფულიანი კაცი კი საქმეს გააწყობს. საქმის გაწყობა ეს არის, რომ წერილ-წერილი მყიდველები უნდა მოიცილო, ამიტომ ზედმეტი უნდა მისცე ერთ ადგილას. ასს და ორას მანეთს ჩაღუბავ, მართალია, სამაგიეროდ ხუთასს და მეტსაც მეორე ადგილას ამოიგებ. მაკვირვებთ თქვენ, ღვთის მადლით, საქმე კარგად გაქვთ და ხელს რად არ კიდებთ ამას?

— ათას საქმეს ერთად ვერ აუვა კაცი, ჩემო თეიმურაზ, თორემ, მოგეცა ღვთის წყალობა, კარგი იყოს! — მიუგო კონსტანტინემ და ფანჯარაში გაიხედა.

მესამედ დარეკეს. საზოგადოება აირია. მოისმა რამდენიმე გამოსამშვიდებელი კოცნა...

— ნიკოლოზ, არ დაგვივიწყოთ, წერილი მოგვწერეთ! — ისმოდა ქალის ნაზი ხმა.

— ვახთაია! ვო, ვახთაია! — ვაგონის ფანჯრიდან თავი გამოეყო ვილიცას და ტლანქად ყვიროდა. — აბა შენ იცი, ადრე გაეჩქარე. დაშავებულ ცხენზე, კისერი არ გამოშპრა, არავეინ შეაჯღინო. შინ რომ მიიყვანო, მაშინვე შემწვარი კალოში, ღორის კანი და შაბი დააყარე, გეიგონე? ჩემ დაბრუნებამდე ათი ქილა სიმინდი როგორმე დააფქვევინე და დამახვედრე. აბა ჰე, შენ იცი!

დაუსტინა უფროსმა კონდუქტორმა, დაიქშინა ორთქლმავალმა, ორი წამიც და მატარებელი დაიძრა.

— რა ათასი საქმე გინდა, შე კაცო, — უთხრა თეიმურაზმა კონსტანტინეს და საუბარი განაახლა, როცა მატარებელი დაიძრა, — შენ ადგილას რომ ვიყო, თუ ერთად ვერ აუვალ, მაგ საყასბოს თავს დავანებებ და სიმინდის ყიდვას მოვკიდებ ხელს.

— რას ამბობ, კაცო! — მიუგო კონსტანტინემ, — სიმინდი სიმინდია, მაგრამ ჩემთვის ჯერ უცნობი საქმეა. საყასბო კი, მართალია, ძველებურ მოგებას არ იძლევა, მაგრამ მაინც სახეიროა. ჩემი ძმა იოსები მაგ საქმეში კარგად დახელოვნებულია. გაცნობილი საქმე მივატოვოთ და უცნობში ჩავებათ, ეს რა ჭკუაა?

— იცოდე, კონსტანტინე, რომ სიმინდისთანა ხელსაყრელი საქმე ეხლა ჩვენში არაფერია. მხოლოდ ფულია საჭირო, ფული. გეტყვი ერთს: მოდი, დახუჭე თვალები და სამას თუმნამდე გაიმეტე, ერთ ორასსაც მე დავკონავ და აბა ნახავ, საქმე წავა თუ არა...

— ბილეთები, ბილეთები, ბატონებო! — შემოიძახა კონდუქტორმა.

— ეხ, რომ მცოდნოდა, შენ თუ იყავი, ბილეთს არც კი ავიღებდი, — უთხრა თეიმურაზმა კონდუქტორს.

— შე კაცო, იკითხავდი, — მიუგო კონსტანტინმა და განაგრძო: ბილეთები, ბილეთებიო.

ზოგის ბილეთს სკრიდა და უკან უბრუნებდა, ვინც მასწავლებელს სადგურამდე მოდიოდა, იმათ სულ ართმევდა, ზოგს-კი ბილეთების მაგივრად ფულს ართმევდა და ჯიბეში იხსრიალებდა.

— ასეა, პო! პირველად მოდიხარ? — ტლანქად დაუყვირა კუთხეში მოკუნძულ მოხუც გლეხს. — სულ ოთხ აბაზ ნახევარი ღირდა, ბილეთი რომ აგელო, მე-კი ცხრა შაური შერგება.

— ორი აბაზი და ერთი შაური? — ხრინწიანი ხმით დაეკითხა მოხუცი და აკანკალებული ხელით ჭუჭყიანი ქისა ამოიღო.

კონსტანტინე ტომბაშვილს ქალაქ ფოთში ორი ღუქიანი ჰქონდა — ერთი მალაზია, მეორე საყასბო, მალაზიაში ჩაი-შაქარი, შუა ზორაგეული, თევზი, ერბო, წნილი, მინის და ფაიფურის ჭურჭელი, ღვინო, არაყი და სხვა წვრილმანი იყიდებოდა. მალაზია ერთ-ერთ საუკეთესო სავაჭროდ ითვლებოდა მთელს ქალაქში.

კონსტანტინე მალაზიას განაგებდა, მისი ძმა იოსები საყასბოს. გაყოფილი ჯერ არაფერი არა ჰქონდათ, ორივეს თანასწორი წილი ედო როგორც ღუქუნების მოგება-წაგებაში, ისე ლეტაკარის ოჯახ-მამულში,

როცა ფარნა პირველად შევიდა მალაზიაში, ცქერად გადაიქცა. ერთად თავმოყრილი ამდენი საქონელი ჯერ არ ენახა.

პირველ დღიდანვე ფარნა გულმოდგინედ შეუდგა ვაჭრობის საქმის შესწავლას. ბეჯითად ადევნებდა თვალუტრს, თუ რომელ საქონელს როგორ აფასებდნენ, რაში რამდენს უკლებდნენ, როგორ სწონავდნენ და ახვევდნენ, როგორ ეპატიებოდნენ მუშტარს, ეფერებოდნენ, თვალებს უხვევდნენ. ორი თვის შემდეგ ვაჭრობის ყოველი საიდუმლო და ანგარიში ისე დაისწავლა ფარნამ, რომ უფროს ნოქარს ბევრით არაფრით ჩამოუყვარდებოდა.

კონსტანტინე და უფროსი ნოქარი სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. კონსტანტინეს უხაროდა, რომ მის მალაზიას ერთი ნიჭიერი კაცი შეეძინა და ნოქარს, რომ მისი შემწეობით ცოტა დასვენებას ეღიბებოდა.

— შენი ცოდვა მე არ მინდა, — უთხრა კონსტანტინემ სამი თვის შემდეგ — მამაშენთან გარიგებული ისე ვარ, რომ ერთი წელიწადი უჯამაგიროდ უნდა იმსახურო, მაგრამ რაკი ვაჭრობაში ასე ჩქარა გაიმართე და საქმეს მუყაითად და ერთგულად მოეკიდე, ამ ერთ წელშივე ხუთმეტე მანეთი მიჩუქებია შენთვის.

ვაჭარმა კარგად იცოდა, სად უნდოდა მანეთიანს გადაგდება, რომ მობრუნებულს სამი მანეთი მოეტანა.

ტომბაშვილების საყასბო, სადაც ივანე მსახურობდა, რიონის პირად იდგა. ივანეს საქმე იყო საქონლის დაკვლა, გატყავება და ასო-ასოდ დაჭრა. ხშირად აწონვასა და გაყიდვაშიაც ეხმარებოდა. თავის საქმეში ისეთი მარჯვე გამოდგა, რომ ქალაქში ბადალი არა ჰყავდა. სხვა რომ ერთ ძროხას დაკვლავდა და გაატყავებდა, ივანე ორს შორჩებოდა. ამიტომ სხვა ყასბებმა გადაბირება მოუნდომეს და ქირის მომატებას შეჰპირდნენ. ტომბაშვილებს შეეშინდათ, არჩიეს და გადასწყვიტეს, წელიწადში თხუთმეტე თუმანი, ტანისამოსი და სასმელ-საჭმელი მიეცათ. უსწავლელი გლეხისათვის ეს გვარიანი ჯამაგირი იყო და როცა ჭყონონაში ეს ამბავი შეიტყვეს, არა ერთ და ორ ყმაწვილ კაცს გაურბინა თავში შურიანმა აზრმა.

II



გაზაფხული ილეოდა. ს. ჭყონონაში ყველაფერი ძველებურად მიდიოდა — იგივე ხენა-თესვა, ქორწილ-ტირილი და მტრობა-მოყვრობა; სალამო უამი იყო. წისქვილის ქვემოთ, პატარა გუბის პირად, ორ ვაჟკაცს ტანი დაეზანა და ტანისამოსს იცვამდა. ერთი ბართლომე იყო, მეორე — ძუკუ მძებრაძე. იქვე წყლის პირად ახლად დაბანილი ცხენი სძოვდა.

— ნეტავ სად დაიქარვა ის კაცი? — სთქვა ძუკუმ.

— ვინ? — ჰკითხა ბართლომემ და ახალუხის ლილების შეზნევას შეუღვა.

— სოფრომიანზე ვამბობ, ერთი კვირაა, რომ არა სჩანს.

— გალმა, სააფხაზოში, არ წავიდა?

— ჰო.

— შეეჩვია მაგ ყურუმსალი იქაურობას და... მაგრამ, ვო, უბედურს რაგა ტყავს გააძრობენ! იმან ჭერ კარგად არ იცის იქაური ადათი. მგონია, გვარიანი გამოწყობილი ქე მიღის და ნახავ, თუ პერანგის ამარა არ დააბრუნეს უკან.

— ვითომ?

— თქმა არ უნდა, თითვიით შიშველს ნახავ.

— ვაი მე, თუ ჩემი მასრებიც აჩუქა ვისმე!

— შენი მასრები მიაქვს?

— აბა, კაცო! მერე რომელი, ახალი, საგანგებოდ გავაკეთებინე. ოცდახუთი მანეთი დამიჭდა. ვაი თუ გამინაღდა?

— ეგ თუ გინდ ხელში გქონდეს, — სიცილით მიუგო ბართლომემ: — იმას იქ მოუფერებენ, თავადიშვილები გვერდზე მოსივამენ, მის სადღეგრძელოს დაღვევენ, შეაქებენ და მერე საქმეს შეუღებინან — დაიწყება გაცვლა-გამოცვლა, ქუდიდან მოყოლებული უკანასკნელ წულამდე ყოველისფერს გაუცვლიან და, რასაკვირველია, ძველს, დახეულს, უვარგისს სოფრომს შესთავაზებენ და გული რომ არ გაუფუჭონ, მთელ აყუს¹⁾ დაჰპირდებიან, და შენ სოფრომიას თითვიით ტიტველს აქეთკენ გამოგიგზავნიან...

— ქე მაინც ნუ მეუბნები! — გააწყვეტინა ძუკუმ. — ოხ! შენ მაინც მანუგეშებდი, მეგონა... მამა ჩემმაც არ იცის ჭერე და...

— ა, ბაბა, თავისუფალი კაცები ავერ გემოზე დროს კი ატარებენ, — წამოიძახა ვილაკამ და მათ ზედ წაადგა.

— აა, ჩემო კულა, შენა ხარ? ვო, ბეჩა! საუბედუროდ, არც შენა ხარ ბარდიცოფი, იმანაა, უდროვოდ რომ დამაბერა. მიგიგნია, ბეჩა, შენი ადგილისთვის, მიგიგნია! — მიუგო ბართლომემ და უკვე ტანისამოსში გამოწყობილი ქვაზე ჩამოჭდა.

— რისთვის ლანძღავ პატიოსან კაცს? — დაცინვით შენიშნა ძუკუმ. — კულა ეხლა კარგად მუშაობს. მისი ყანები, — ღმერთმა ნუ მოაკლოს ისეთები მის ჩამომავლობას! — ისეთია, რომ ფო, ფო, ფო! სხვები ეხლა მარგლაკენ, ამის სიშინდს კი პოპორი უსვრია. სიმაღლით ერთ არშინს არ აღემატება, მაგრამ რა ვუყოთ: სიშინდი კი არა, თვითონ კუდასაც არა აქვს დიდი სიმაღლე, მაგრამ ბიჭი არ არის თუ?

— კმ! — რალაც ჩაიდულუნა კულამ.

¹⁾ სოხუმს.

— მოდი, თემა, ერთი ახალი ამბით გაგვართე, — მიიწვია ბართლომემ. კულდამაც არ დააყოვნა და იქვე მოიკალათა.

— აბა იჩურჩუტე რამე, რამ გაგაჩერა? — გაეხუმრა ბართლომემ.

— მე თქვენთან მოვრბოდი, იქნება იჩურჩუტონ რამე შეთქმული...

— ვოი შენ! — სთქვა ბართლომემ და თავში ხელი ჩაართკა.

— ბიჭო, ეს ნაბდის ქუდი თავის დღეში არ დაიხევა და არც დაძველდება ნეტავე? — სთქვა ძუკუმ და ქუდი ააცალა თავიდან. — იცი რას აზრობს ეს ქუდი? — განაგრძო მან. — მეც მინდა ცურაობა ვისწავლოო, ოცი წელიწადია წვიმისა და სიცხისაგან ვიფარავ კულდას ჭაგრთან ქოჩორს, მაგრამ რა გამოვიდა, ერთხელ არ მამანავა, ერთხელ არ მასიამოვნაო. გადამავლეთ ამ წყალშიო.

ძუკუმ ქუდი გადასავლებად მოიმარჯვა.

— სუ, სუ! თუ კაცი ხარ, არ გადაავდო, ბასილი ნუ მოგიკვდება!

— თუ არ გინდა გადაავდო, მითხარი, სად გეგულება კაი ჩიტები და მტრედები?

— მტრედები და ჩიტები თქვენ ხელში არ არიან?

— რა არის, ბაბა, ჩვენ ხელში? — მოწყენით მიუგო ბართლომემ. — ჩვენ ხელშია მხოლოდ ძველი დედლები, ისიც ზოგი კვერცხსა სდებს, ზოგი კრუხია, წიწილებს ზრდის. მათთან, ბაბა, საქმის დაჭერა ხათაბალაა... მამლებიც მუდამ დარაჯობენ.

— კულდა, ერთ კაი თეთრ მტრედთან საქმეს თუ გამირიგებ, — უთხრა ძუკუმ, — აი შეხედე ამ ცხენს? შენი ფეშქეში იყოს...

— ცხენი შენი ხომ არ არის, ბასილისაა...

— ბასილი კი არა, მერაბი არ გინდა, — გააწყვეტინა ძუკუმ. — ბასილმა სრულ საკუთრად მანუქა, რაც მინდა, იმას ვუზამ.

— შენ ოლონდ კაი მტრედები მოგვიძებნე — უთხრა ბართლომემ, — და ნუ გეშინია, უსაჩუქროდ არ დაგტოვებთ.

— გვრიტი ბევრია. მაგრამ, — ბრძნულად დაიწყო კულამ, — გაიანესთანა გვრიტი ახლა ქვეით!

— რომელი გაიანე? — იკითხა ძუკუმ.

— ნიკოიას გაიანე.

— ეს კი მართლა შეგიმჩნევია! — წამოიძახა ბართლომემ. — ამას ეტყობა თვალი უჭრის.

— კარგა ხანია თვალ-ყურს ვადევნებ, — გაავრძელა წათამამებულმა კულამ: — პატარაობისას მაინც და მაინც ბევრი არაფერი იყო და ეხლა რომ შემწიფდა, ფო, ფო, ფო!

— უპ, კულდა, თუ იმასთან საქმეს გამირიგებ, ცხენს სარტყელსაც დაუმატებ, — უთხრა ძუკუმ.

— ნიგვზის მუხურში მიწა რომ მაქვს, ხომ იცი? — თვალების ბრიალით უთხრა ბართლომემ, — თუ ზურაბის შვილი ვარ, ნახევარ ქცევა მიწას ხელწერილით ჩაგაბარებ.

კულამ ორივეს იქვით შეხედა.

— რას გვიყურებ მაგრე? გატყუებ, გგონია? — მიმართა ისევ ბართლომემ. — ჩვენი მოტყუებული აბა ვინ ნახე? შენ ოლონდ საქმე გაგვიწყვე, სიტყვა მიუტანე, პასუხი მოგვიტანე, ერთი სიტყვით იმასაშვალე და საჩუქარზე ნუ გეშინია. წერა-კითხვა თუ იცის ნეტავ იმ დასალუპავმა?

— არ ვიცი, არა მგონია.

— ისეთ ლექსებს მივწერდი, კითხვა რომ იცოდეს, რომ სულ ავითამაშებდი! — დაიკვება ბართლომემ.

— შეთბე ბიჭს რომ ასწავლიდა ის ლევა ყაზახი, გოგოსათვის დაესწავლებია არა სჯობდა? ეხლა ხომ გამოგვადგებოდა! გოგოს ბარათს რომ მისწერ, გაუხარდება. უფრო ადვილია მაშინ საქმის გაწყობა, — იბრძენა ძუკუშ.

— საღამო მშვიდობისა, ბატონებო! — მიესალმნენ ამ დროს სამუშაოდან მომავალი გლეხები მდელიოზე წამოწოლილ აზნაურებს.

იმ ადგილთან, სადაც ისინი ისხდნენ, გზა ახლო იყო, მაგრამ კაცის სახის გარჩევა მაინც ძნელი იყო.

— იცოცხლეთ! — მიუგეს აზნაურებმა.

— ის თემა ხომ არ არის, თქვენთან რომ ზის? — დაიძახა ერთმა გლეხმა, მერე მიუახლოვდა წამოწოლილებს, შეჩერდა და თოხის ტარს დაეჭინა. სხვებიც შეჩერდნენ.

— გახლავს, — მიუგეს აზნაურებმა. — ამასაც თურმე საბუთი უპოვნია და ჩვენთან ერთად შეტანას აპირებს.

— ამოსაწყვეტები! ხუმრობის მეტი არაფერი ახსოვთ, — ჩაულაპარაკა ერთმა გლეხმა მეორეს, ხოლო თოხზე დაბჯენილმა კუდას მიმართა:

— დიდება შენდა, ღმერთო! რაც მე შენ დღეს გიძახე, ორჯერ შენ სახლშიაც ვიყავი, დღემანდელი დღე წმინდად გავაცდინე. შე კაი კაცი, ორი საყენია მარტო შენი ვასალობავი, რას უყურებ, ვერ გავგიგია, რისთვის არ გააკეთებ? თავ-თავისი წილი ყველამ გააკეთა, მხოლოდ შენი დარჩა თავისი კუდივით. მთელი რეყე ფუჭდებოდა, ძმაო. სიმინდი ვმარგლოთ თუ ღორებს „სისა, სისა“ ვუძახით!

— მეც შენისთანა მარტოხელი კაცი ვარ, — დაიწყა მეორემ, — მაგრამ კაი ექვსი საყენი დავლობე.

— თუ ხვალ არ გააკეთე, — ახმაურდნენ სხვებიც, — ან შენ იქნები, ან ჩვენ. რასა ჰგავს? განა ახლა ღობეზე ჩივილის დროა? გავგონილა, სიმინდები სანახევროდ გამარგლულია და ჭერ ყანებს ღობე არა აქვს შემოვლებული!

კუდა დარცხენილი იღვა, თავი ძირს დაეხარა და ტუჩებს ხელით ეჭიმებოდა.

— დღეს მინდოდა გამეკეთებია მაგ ბალანგარი, მაგრამ ვერ მოვიცალე, — იმართლა თავი კუდამ.

— რამდენჯერაა მაგნიარ სიტყვებს რომ ამბობ? — შესძახეს გლეხებმა.

— არა, მოითმინე! — გამოეხმაურა, შავწვერა, სიცხისაგან დამწვარი გლეხი, — გული კი არ მოგივიდეს და მითხარი, ბაბაგეე, რა საქმე გქონდა დღეს? არაფერი! სულ ჰაბუტობა როგორ იქნება, ყოველისფერს თავისი დრო აქვს!

— უსათუოდ, უსათუოდ გააკეთე, თორემ მეტი მოთმენა შეუძლებელია! — შესძახეს სხვებმა და გზას გაუდგნენ.

კუდამაც წასვლა დააპირა.

— მოიცა, შენ რაღა გაჩქარებს? ასე მალე შეგაშინეს ყაზახებმა? ჩვენ იგერ არა ვართ? — გული გაუმაგრა ბართლომემ.

— ის კინტირია არ იყო, რომ გტუქსამდა! ნუ გეშინია, დამაცადოს, მაგისაგან კი მახსოვს რალაკეები! ჩემი ხმალი ხომ იცი, წვერზე ხელს რომ მოკიდებ, ტარამდის იღუნება, მერე ხელს რომ გაუშვებ, შურგინს მოადენს... საკლავივით აკვთავე მაგ ჭანგარა ყაზახს, — დაიჭადა ძუკუშ.

— მეც მეჭაერება ის კინტირია, — სთქვა ბართლომემ. — უსწინდისო კაცია. ერთხელ სამი მანეთი ვთხოვე ერთი-ორი დღით, მხოლოდ სამე მანეთი! არ მათხოვა. ფულები, ვიცი, კი ჰქონდა. ყოველთვის აქვე მჯერებდა ვერის შეილს. მეორეჯერ ცხენი ვთხოვე. მაშინაც გამაცუდა. ახ, მაგის დედას! კაცო, ერთი ორჯერ ისე მივედი, ტყუილად, შეზობელია-მეთქი, ვიფიქრე, რომ მივედი, მითხრა: თუ ძმა ხარ, ჩემს სახლში ნუ მოდიხარო. აბა, კაცო ასე მითხრა: თუ ძმა ხარო. პირში ასე მომახალა. ვაი დედასა, დროებავ! თუ ძმა ხარო, ვინ შეუბნება? კინტირია ძმას გეძახდეს ზურაბის შეილს სიკვდილი არ ჯობია? მაგრამ რას უზამ, რაღა უზრდელი კაცი და რაღა ვირი!

— სქინჩო უნდა მაგისთანა ვირს და თავი ჭალა ყველივით გააგდებინო!... ცოლი კი ლამაზი ჰყავს მაგ ყურუმსალს, — მადიანად დასძინა ძუკუმ და ბართლომეს გაუცინა.

— კიდევაც იმისი შეეშინდა, — მიუგო ბართლომემ. — იმიტომ დამითხოვა სახლიდან მაგ შავმა ყაზახმა. ღვთის წინაშე, ცოტა კი გავეარშიყე. ხა, ხა, ხა! ისე რაღა, როგორც წესია...

— ლამე მშვიდობისა, ბატონებო! — ამოიხვრით სთქვა კულამ და წასვლა დააპირა.

მან კარგად იცოდა, რომ ბართლომეს და ძუკუს იმედი ბევრად არაფრად გამოადგებოდა. კინტირიას თავიც ისე ადვილი გასაგდები არ იყო, როგორც ძუკუ ამბობდა. ეს ძუკუმაც კარგად იცოდა, მხოლოდ გულის მოსაფხანად დაიკვება.

კულა კი ნათლად ვრძნობდა, რომ თუ ხვალ თავისს ხვედრ ღობეს არ გააკეთებდა, უსიამოვნება შეემთხვეოდა. ერთი ღერი წყნელი არ მოეძეოდა...

— კულა, აბა შენ იცი, შენი პატივისცემა-კი ჩვენ ვიცოდეთ, — მიამახა ბართლომემ.

— ვეცდები, ვეცდები, რაც შემიძლია, — მიუგო თემამ და გზას გაუდგა.

— დალამდა, ბიჭო, შინ წავიდეთ, — სთქვა ბართლომემ.

— სად გეჩქარება, რა ცოლშვილი გიტირის? ცხენმაც ცოტა მოიბაღახოს... მართლა, ლამაზი გოგო არაა?

— ეეს! — ამოიოხრა ბართლომემ, — შენ ჯერ ბავშვი ხარ, ქალების მეტი არაფერი გახსოვს.

— ან რა სჯობია ლამაზ ქალებს? ერთი ლამაზი გოგო ერთ სოფლად ღირს.

— ეხ, ბევრი მილამუცებია, მაგრამ ბოლოს მაინც ზარალის მეტი არაფერი გამოვიდა... დასწყევლოს ჩემმა სალოცავმა, საცხოვრებელი მათ დავაპარკე. ბევრი ხეირი არა ყრია-რა მაგათში. მაინც გული რომ ვერ მოგიტემენს ეგ ოხერი! აქ რა არის, ბიჭო, ქალები თბილისში უნდა ნახო. კალმით ნახატიო, იტყვი. უჰ, უჰ, უჰ, რანაირ ტანისამოსს იცვამენ ოჯახ დაქვეულები! რომ ჩავიდოდით საქონლის მოსატანად მაგ დასაქვევში, რას არ ვშობოდით! ხო, ხო, ხო, ფაიტონ, რომ დაიძახებ ხმამაღლა, მორბის ხუთი ერთად-ახედავ და დახედავ, ან ტყავი დახეული არ ჰქონდეს, ან ცხენები მკლე არ ებას. აარჩევ საუკეთესოს და გასწევ. საით ბატონოო, გეკითხება, საკითხავად მიგაჩნია? ორაზროვნად ეუბნევი და ისიც მიეშურება იქითკენ... გაისიჩავ;

მეორე დღეს ქისას და ოცდახუთიანი კი გაკლია. ოი, დაიღუპა მამიები/თავი და ბოლო!

კიდევ რამდენიმე ხანი იმუსაიფეს ჩვენმა სახელოვანმა გემრებმა და მერე შინისავენ გაემართნენ.

III

მეშები ალივით მოსდებოდნენ პირველი მარგვის შემდეგ დარჩენილ ბალახს და მჭრელი ფოლადით სიცოცხლეს უსპობდნენ, რომ სიმინდისათვის რიგიანი ტაროების გამოშვების საშუალება მიეცათ. ჰალაში აუტანელი სიცხე და ბული იდგა. სულ სხვა იყო ამ დროს ციხის ფერდობზე. იქ სიო მუდამ სისინებდა და ამ პაპანაქებაში იქ ყოფნა სწორედ რომ ნეტარება იყო.

ციხის ფერდობზე, სათემო გზის გვერდით, მწვანეზე, დიდი ძველთა-ძველი ცაცხვი იდგა. მისი მსხვილი ტოტები შორს იყო აქეთ-იქით წასული. ხუჭუჭა ფოთლებით სქლად დაფარული ცაცხვი ვებერთელა ქოლგასავით ჰფარავდა არემარეს. ზაფხულის სიცხეში ვერც ერთი მგზავრი, ვერც ქვეითი და ვერც ცხენოსანი ვერ მოითმენდა, რომ ამ ცაცხვის ქვეშ რამდენიმე წუთით სული არ მოეთქვა. ამბობდნენ, ძველი დროის ვიღაც ღვთისმოსავი დედოფლის დარგულიაო, და ხალხსაც წმინდა საგნად მიაჩნდა. ამ ხის მეოხებით იმ არე-მარესაც სახელად „ცაცხვი“ დაერქვა.

აი ამ ცაცხვის ქვეშ შეყრილიყვნენ იგივე აზნაურები — ძუკუ და ბართლომე და მათთან ერთად სოფრომია შარია.

— აქ რომ არ ამოვსულეყავით, — სთქვა პირალმა წამოწოლილმა სოფრომიამ და განიერ მკერდზე ხელი მიისვ-მოისვა, — აქ რომ სული არ ამოგვეტანა, შენი მტერია, ჩვენ დღეს მოვიხარშებოდით. მაინც დღემანდლისთანა სიცხე წრეულს არ ყოფილა.

— ააა, — ზარმაცად დაამოქნარეს აზნაურებმა და ზანტად გაგორდნენ გრილ მდელოზე.


— ღმერთო შენ ააშენე, ვინც ეს ცაცხვი აქ დარგო! — წარმოსთქვა ბოლოს ბართლომემ. — კარგი ჩრდილია, კარგი, მაგრამ შეხედე: რა გადასახედავია აქედან, რა ლამაზად მოსჩანს ჰალა, გაღმა სერები. ე, იქ, — გაიშვირა ხელი მტრედისფერ დიდ მთებისაკენ, — აი დიდი მთების დასაწყისში, პატარა თავკურსულა მთა რომ მოსჩანს, მარცხნივ ენგური ჩამორბის და მარჯვნივ მაგანა და იმ მთის ძირს ერთმანეთს ერთვიან. მაგანა კაი წყალია, გემრიელი კალმახიც იცის...

— სამოთხეა სწორედ, სამოთხე, — დაუმოწმა ძუკუმაც.

— აი მესმის აქ, — ინატრა სოფრომიამ, ცალი ხელით მიწას დაეყრდნო და ზანტად ზევით წამოიწია. — მესმის, აქ კაცმა ააშენა კაი სახლი, ერთი ხუთი თვალი წაბლის ოდა. გვერდზე რიგიანი ბაღია მიეცი. ამ ცაცხვის გრილოში ლამაზი სკამები და მაგიდები დადგი. ზედ დააწყვე კაი ჭყინტი ყველით გატენილი ხაჭაპურები, შემწვარი ყვერული, მსუქანი ცხელ-ცხელი ბეჭი, წითელი ღვინო... მოილხინე და მოილხინე, ჩააკიკინე და ჩააკიკინე მრავალყამიერი! — ალტაცებით წარმოსთქვა მან და ნახევარი ხმით ჩაამღერა კიდევ მრავალყამიერი.

— მეტი, არაფერი, შე უბედურო? — გააწყვეტინა ძუკუმ.

— მეტი რა, შემოსძახე ხელხვაი და ხასანბეგური, ვოო დილა, დელა, ირითია, ურუტია, ნაა, დელა...



— ვეი, გამოყრუებულო!

— ღმერთო მომკალი! — წამოიძახა სოფროშიამ, — თავე და თვევე და-
ვიწყებია: დააგე ბუფუქიანი ხალიჩა ამ ჩრდილში და რუცკა ლეგსე, გამოი-
ქუცო და გამოიქდინთო, გაგორდი და გამოგორდი ხალიჩაზე, მკლავზე დაიწ-
ვინე... გააგორე და გამოაგორე ხაბურზაკივით... მაგრამ ეპ, საღ არის რჯულ-
ძალი ფულები! ბევრი ფული რომ მოგვცა, ყველაფერი შეიძლება. ორ თვე-
ზე კაცი ყოველისფერს მოაწყობს.

— უფრო ადრეც, — მიუგო ბართლომემ.

— რომ მოგვცა ათი ათასი მანეთი! — ინატრა ძუკუმ.

— თუ ინატრებ, ქე მინც რიგიანად უნდა ინატრო, ნატერაც არ გკოდ-
ნიათ! — იწყინა ბართლომემ. — მოგვცა ეხლა ოცდახუთი მილიონი მანეთი...

— ჰა, წიე, — წამოიძახა ორივემ.

— აბა რა გეგონათ, თუ მოვიდეს...

— პო, პო, პო! რას ვიზამ მამინ, რას ვიზამ? ტატონი აბენდიას შავ
ცხენს მამინათვე ვიყიდი და რომ გავიარ ნობოდენში ამალღებას, ჰაიტ!
ჩამოდექით თავადიშვილებო!

— ერთი ცხენი რა ჩემი ფეხებია, — მიუგო სოფროშიამ. — ერთს კი
არა მთელ ჯოგებს მოვრეკავ, ყარაბალიდან, ყარაჩიდან, ჯანდაბიდან, ჯო-
ჯობეთიდან... კვირაში შეიდი დღე არ არის, სხედასხვა ფერის შვიდ საუკე-
თესო ცხენს ავარჩევ, შვიდხელ საუკეთესო ტანისამოსს შევიკერავ. შეიდს,
შენ რომ გიჭირს, იმასაც გავიჩენ! ერთ შავთვალწარბას, მეორეს ჭღარუტიას,
მესამეს ტანწერწეტას, წამოაჭიმავე უშველებელ სასახლეს, — შეხურდა სოფ-
როშიამ.

— რამ ავახმაურათ ეი? — გადასძახა ბართლომემ, — ოცთახუთ მილიონს
არა, ოცდახუთ შაურს ვინ გაძღვეს?

— ეპ, ნეტა მართლა ოცდახუთი შაური მომცა, თუთუნს ვიყიდილი...
სამივემ გაიცინა.

— ვალმა რომ ვიყავი... — დაიწყო ისევ სოფროშიამ.

— ოი, შენ გაგისკდეს შენი სიგრძე მიწა, კიდევ ვალმელ ამბებს რომ
იხსენიებ, — გააწყვეტინა ძუკუმ.

— ხომ გეუბნებოდლი, სპილოს ძვლის მასრებს გავინაღდებს მეთქი!

— აი ღმერთმა გაანაღდოს მაგის თავი!

სოფროშიამ დარცხვენილად ჩაიცინა.

— ჯერ ბასილმა არც კი იცის, დედა ჩემს კი ვუთხარი.

— შენ ხელი დაგიკლია, თორემ, მე რომ ვყოფილვიყავი, იქიდან ხელ-
ცარიელი არ წამოვიდოდლი, — სიტქვა ბართლომემ.

— დაანებე თავი, — გააწყვეტინა ძუკუმ. — დაიკარგა, დაიკარგა, ახლა
ველარ უშველი.

— არა, მომითმინე, — გააგრძელა სოფროშიამ, ისეც არ არის საქმე.
სოფრო მოგიკვდეს, თუ აფხაზეთში ნახარაღევი იმერეთს არ აზღვევინოს.
ახლა რომ წავალ, ხონში ფესაც არ შევდგამ, აბა, პა, სულ ხონი და ხონი.
ახლა ცოტა იქითაც უნდა დაიწყო, ზესტაფონისაკენ, საჩხერისაკენ... ღმერთო
შენით! კიდევაც გეაზღვები, მაგრამ როგორ წავალ, არ იკითხავ? გამოვეწყო-
ბი გლახაკად. ერთი წამალი ვიცი, რომ პირზე წავისვამ, კუბოდან ამოღებულს
დავემსგავსები. პირს არ დავიბან ერთი კვირა... ისე მოვეჩვენები, რომ შემ-
ხედეს ვინმე, შემოხედვა დაეზაროს. მე კი ავათვალეიერებ და ჩავათვალეიერებ

კაი ცხენებს. სოფროშია მოგიკედეს, თუ ხუთი იმისთანა მასრების საფრანკო არ მოიტანოს...

— მასრებს ნუ ახსენებ, — მიუგო ბართლომემ — ტყვე რომ მოყვა მშვილობით, ის არ გიკვირს?

კიდევ დიდ ხანს იგორავეს ცაცხვექვემ ჩვენმა გმირებმა. იოხუნჯეს, ბევრი ილაზღანდარეს და ბოლოს მათაც მოსწყინდათ.

— აბა ახლა საით წავიდეთ? — სთქვა ბართლომემ, წულებს ხელი წაატანა და ჩაცმა დაიწყო.

— მე იქითვე წავალ, — სთქვა ძუქუმ და ახალუხის სახელის ხელი გაუყარა.

— საით?

— ერთი კუდას გაუარ, აბა რას მეტყვის...

— მეც დაბლა ზვინისკენ წავალ, იქ ერთი გვრიტი აღმოვაჩინე, — დაიკვება სოფროშიამ.

— კარგია?

— ანტიკაა, ანტიკა!

— გაიანეს სჯობია?

— ახლა როგორ ვითხრა, ვის რომელი მოსწონს. გაიანე ლამაზი გოგოა, თქმა არ უნდა, მაგრამ მე იმას ავირჩევდი...

— ეხ, ბავშვები ხართ, უსუსურები, — წარმოსთქვა ბართლომემ და ფეხზე წამოდგა, — მარტო გოგოები გახსოვთ, მე კი, — ძირს დაიხარა და წულის ნაწიბური ერთ ადგილას თითით გასინჯა, — აი წულაც გამხვევია. ესლა მაკლდა რაღა! ეხლავე ქუთარაი კარებაძის სახლისაკენ უნდა გავეწიო. იქ ერთი სტუმარი შეგულდება. ჭიბაში კი აქვს, მგონია. თუ ამ წულის ფასი არ ავაფრცქვენი ნარდში ან ბანქოში, ცუდათაა ჩემი საქმე... აბა მშვილობით!

მეგობრები სხვადასხვა მხრისაკენ გაემართნენ. ძუქუ მართლაც კუდას სახლისკენ გაუდგა გზას.

კუდას ანუ თემა ბოჭოკიას ეზო ერთ პატარა სერის ძირას იყო მიკუნჩხული. ეზოს გარშემო ოდესღაც წნელის ღობე და ალაგ-ალაგ მუხის მესერიც ჰქონოდა. დღეს კი წნელის ღობე ბევრგან დამპალიყო, ბევრგან წაქცეულიყო, ხოლო მუხის მესერი დარღვეულ-გაფანტული აქა-იქ ეყარა. ეზოს შუაში პატარა ჭარგვალი იდგა, მჭვარტლისაგან გამურულ-გაშავებული.

სახლის გვერდით მუხის მსხვილ პალოებზე პატარა სასიმიინდე იდგა, სიმიინდის ჩალით დახურული. ალაგ-ალაგ სახურავი ჩამპალ-ჩაზნექილი იყო. დიდი ხანია სასიმიინდეს ჩელტის კარი თავის ადგილას არ ეკიდა, ან რა საჭირო იყო, როცა დასაკეტი შიგ არა ეყარა-რა. კუდას სიმიინდს ამ დრომდე; მკათათვის დამლევაძე, რა გააძლებინებდა, როცა მთელი წლის განმავლობაში მუშაობას ოც დღესაც არ ანდომებდა. დანარჩენ დროს ცუდაობასა და მაშვალობაში ატარებდა. მისგან დაწყებული სამაშვალო საქმე ქორწინებით იშვიათად თავდებოდა, ხოლო როცა თავდებოდა, მაშინაც, როგორც საზოგადოდ მაშვალთ ბედია, ან არაფერს არ მისცემდნენ, ან უმადურად მხოლოდ ძროხის თუ თხის თავს და ტყავს გადაუდებდნენ. სანამ წლის საჩიო ჰყოფნიდა, ხომ ჰყოფნიდა, და როცა უკანასკნელი მარცვალი გამოელოდა, რაც ქრისტეშობის თვეს არ გადასცილდებოდა, თემა დაიწყებდა სესხს, ხან ერთ მეზობელთან, ხან მეორესთან, უფრო კი, როგორც თვითონ ამბობდა, ახერხებდა, ე. ი. იპარავდა. სიმიინდს გარდა, თუ მოხერხებულად წააწყდებოდა,

გვერდს არ აუხვევდა არც გოქს, არც ქათამს, არც იხვს. საბუნდარიდან კვერცხების აღებასაც არ იუკადრისებდა და ხშირად საგანგებოდაც მიემარებოდა ხოლმე.

სოფელმა კარგად იცოდა, რაც შვილი ბრძანდებოდა თემა ბოჭორკია, მაგრამ სულგრძელად ეპყრობოდა, რადგან მისი ხელმწიფობისაგან სოფელს მაინც და მაინც თვალსაჩინო ზარალი არ მოსდიოდა. თემა ისე იქცეოდა, როგორც მელაჯუღა და ხალხმაც კუდა დაარქვა. მისი გარეგანი და შინაგანი თვისებების გამოსახატავად უკეთესი სიტყვის მოძებნა შეუძლებელი იყო.

კუდას ცოლიც თანაგვარი შეხვდა. მის სახლში, ბუზის, ჭინკველისა და ორი გამხდარი ლეკვის გარდა, არავითარი ცხოველ-ფრინველი არ მოიძებნებოდა, — არც ძროხა, არც ხარი, არც ქათამი.

სამაგიეროდ შვილებზე არ გახლდათ ქესეტად. ათი წლის განმავლობაში ხუთი შვილი მიეცა და ხუთივე ცოცხალი იყო. უფროსი, მეცხრე წელში იყო, დანარჩენნი, სულ ვაჟები, ერთმანეთს მოსდევდნენ.

თემას სახლისაკენ მიმავალი, ძუკუ მძებრამე ვანზრახ საცალფეხო ბილიკებით მიდიოდა, უნდოდა კუდას სახლში შეუქმნევლად მისულიყო.

ქვეყანას სიბნელე მოეფინა, როცა ძუკუ ფრთხილად შევიდა თემას ეზოში და მის ჭარგვალს მიუახლოვდა. ჭარგვალში ცეცხლი ენთო და ერთადერთ ღია წინა კარიდან ყველაფერი მოსჩანდა, რაც შიგ ხდებოდა.

კერას პირად, ერთ მხარეს, კველაზე იჭდა ღონე-მიღეული ქალი, თემას ცოლი. ტანზე ათასფრად დაკონკილი ჭუჭყიანი ჩითის კაბა ეცვა. წინ, მიწაზე, პატარა თაბახით მოხარშული მწვანე ლობიო ედგა და დანაყული სუნელით აზავებდა.

მის გვერდით მისი ვაგო, პირ-დაუბანელი და თმა-დაუვარცხნელი, რაღაც საარაკო ძონძებში გამოხვეული, ნალვერდალზე ცივ ღომს ზუზავდა. კერის მეორე მხარეს თვით თემა ბრძანდებოდა თავისი განუშორებელი ნაბდის ქუდით. დანარჩენი ბაღნები, ყველა თითქმის დედიშობილა, არეულად ეყარნენ. მხოლოდ ყველაზე უმცროსი ვაჟი, რომელსაც ჭერ სიარული არ შეეძლო, დედის ახლო მიწაზე იჭდა, ხელში ფიჩხი ეჭირა, რომელსაც ხან პირში ჩაიდებდა, ხან მიწაზე უფათურებდა. ერთი თვალის შემოვლებით გაარჩია ყოველივე ეს ძუკუმ და გაუკვირდა: მას წარმოდგენილიც არა ჰქონდა, თუ ასე ღარიბად შეიძლებოდა ცხოვრება და მერე იქვე, მის სოფელში, ერთი ვერსის მანძილზე მისი სახლიდან. თითქოს გულიც ეტკინა, ტანი დაუძძიმდა, მაგრამ ჩქარა გამოერკვა და ხმა მალა ჩაახველა.

ლექვები გარედ იწვენენ. უცხო ხმაზე ზარმაცად თავები ასწიეს, მაგრამ მალე მოსვენებას მიეცნენ. ეტყობოდათ, ყფის გუნებაზე არ იყვნენ.

— ვილაც მოვიდა, — შეშინებული ხმით ჩაილაპარაკა თემას ცოლმა და დასამალავად უკან დაიწია, თან კაბის გასწორება მოინდომა. საუბედუროდ, ვერც ერთი ვერ შეასრულა: უკან დასაწევი ადგილი აღარ იყო, რადგან ზურგიით თითქმის კედელს ხედებოდა, ხოლო კაბას ცალი ხელით ეწეოდა, მაგრამ ვერაფერი გაასწორა, სამაგიეროდ გაცვეთილმა ჩითმა მეტი გაწევა ვერ აიტანა და ერთი ნახევი კიდევ მიიმატა.

— ვინა ხარ? — ცქვიტად დაიძახა კუდამ და კარებში აიტუნა.

— მე ვარ... თემა შინ არის? — გაუბედავად წარმოსთქვა ძუკუმ, თუმცა თემას კარგად ჰხედავდა.

თემამ ხმით იცნო და მაშინვე გარედ გაეარდა.

— რა ამბავია, თემა? — დაეკითხა ძუკუ და თავისდა უნებურად პირისახეზე წამოწითლდა.

— საქმე ეხლა კარგად არის, ბატონო. ოო, დიდათ, დიდათ უკეთესად არის, მაგრამ შინ შემობრძანდით?

— არა, არა, — მიუგო ძუკუმ და ორი-სამი ნაბიჯით უკან დაიწია. — უკეთ როგორ?

— ისე, ბატონო, რომ მაგ სულ-წაწყმენდილი გაიწმინდა ამ ქვეყნიდან. სანამ ის სულ-კიცილიანი ბებერი ცოცხალი იყო, ყოველი ცდა იკარგებოდა. ოო, რა იყო! ორი-სამჯერ მაინც ვაგებდე და მივედი, მაგრამ სულის მოთქმა არ დამაცალა. ის ხომ მენცარი იყო, ეშმაკი ჰყავდა ილიაში. რა გნებავს, რა გნებავსო, დამიგინა. ან მობრძანდი, ან დაბრძანდი, — ვინ გაიგონა. გოგო ჩემ სიახლოვესაც არ გაატარა. ეხლა კი, რაკი უფალმა მისი სული მიიღო და სახლში მარტო გოგო რჩება, იმედია, საქმე გარიგდეს. საშიში და მოსაფრთხილებელი ეხლაც არის, რამე ეკვი რომ არ აიღოს, განსაკუთრებით მისმა ძმებმა. მამა-კი, ცოდვას არ ვიტყვი, ბონჩო ყაზახია, ერთხელ აქეთ შიბხრა, — მოდინ ერთი, თემა, პეტრესთვის ცოლი გამირიგეო. მეც, რასაკვირველია, ბედნიერი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვი და პირი მოუქონე. ჭერ ვაქე, ასეთი ხარ, ისეთი ხარ-მეთქი. შერე ვუთხარი, რძალს კი არა, სიძესაც ვაგარიგებ მეთქი, შერე კიდევ ვიდროვე და მისი ეზო, ვითომ ისე, მგზავრად ვაეიარე და გოგოსაც ერთ-ორი სიტყვა გადაუფგდე, მაგრამ პირდაპირ თქმა ჭერ არ შეიძლება. დაფრთხება და შეიძლება ძმებსაც უთხარას. ჭერ უნდა მოაყოლო მთიდან, ზღვიდან, შერე თანდათან...

— აბა შენ იცი, თემა, და მეც უმადური არ დაგრჩები. ეხლა კი ეს ხელში დაიჭირე, — უთხრა ძუკუმ და სამ-მანეთიანი ქაღალდი ხელში შეაჩჩია. თვალეზ-გაბრწყინებული შევიდა თემა თავის ჭარგვალში. ფული ხელში მაგრა შემუჭული ჰქონდა, თითქოს ეშინიან, ვინმემ არ წამართვასო.

ცოლმა პირისახეზე გახარება შეამჩნია და საჩქაროდ დაეკითხა:

— რააო, რააო, ძუკუ რაზე მოვიდა?

— ისე... — იცრუა კუდამ, — ხვალ ნადი გვყავს და მოგვეხმარეო.

— სტყუი! — უთხრა ცოლმა და თემაძაც თავი ვერ გაიშართლა, რადგან, ჭერ ერთი, ბასილს სამარგლავი სიმინდი არა ჰქონდა, მის ყანებს სხვები ამუშავებდნენ და თუ ერთ-ორ ქცევას დაამუშავებდა, ამას მოჯამაგირეც მოერეოდა. მეორე — თემას ცოლმაც კარგად იცოდა, რა ყანა-ბოსტნის გულ-შემატკივარი კაცი ბრძანდებოდა ძუკუ მიმბრძამე.

— მაინც მითხარი, რაზედ მოვიდა? — ისევ მოუთმენლად დაეკითხა ცოლი.

— ოო, რას ჩამაცივდი, ქალო! მოვიდა ისე, სხვასთან სიტყვა დამაბარა.

— მე-კი ვიცი, რაზე მოვიდა, — ეშმაკურად ჩაიციინა ქალმა, — შენ ერთ დღეს არ ამბობდი!..

— თუ კი იცი, რაღას მეკითხები? ჩქარა, ჩქარა ვახშამი, დაღლილი ვარ, მეძინება!

ქაღალდის ფული-კი თემას ხელში თითქოს ინძრეოდა და განთავისუფლებას ლამობდა. კუდას მოთმინება ეკარგებოდა, უნდოდა, როგორმე ცალი თვალით მაინც შეეხედნა, თუ რამდენი იყო. აქეთ-იქით იჭენეულად მიხედა, მუჭა მუხლებსშუა ოდნავ გაშალა და ქაღალდს აღმაცერად დახედა.

ცოლი ჩააცივდა — ხელში რაღაც გიჟირავს და მიმალავო. კუდიმაც მეტი ველარ მოითმინა და ფული გამოაჩინა.

სიხარულისაგან კინალამ თავბრუ დაესხა. თავის თვალებზე-^{ეჭყინულნი} ყრუსებ-^{გარეშებ} და, არ ეგონა, რომ ერთბაშად ძუკუ სამ-მანეთიანს მისცემდა.

— ეგ ფული იმან მოგცა? — ჰკითხა გახარებულმა და თან გაკვირვებულმა ცოლმა.

— იმან მომცა მაშ? — ამაყად მიუგო კუდამ. — შენ რა იცი, მე რა კაცი ვარ? აზნაურიშვილებს სულ ხელის გულზე ვუზივარ.

— შენ რაც კაცი ბრძანდები, ის დიდი ხანია ვიცი, — შხამიანად შენიშნა ცოლმა, — მაგრამ მე კაბა აგერ-აგერ მთლად შემომეხვევა.

— ჰო, ეხლა შენ, სულ შენი კაბა და კაბა! — გააწყვეტინა ქმარმა. — მეც არ მაცვია შაუდის ჩოხა, მაგრამ კი დავდივარ...

— შენ, შენ! — ბრაზით შეუტია ცოლმა. — შენ ქე მაინც რაღაცა კი გაცვია და მე... აი ბაღნებსაც შეჰხედე, სულ ყველანი ტიტვლები ვართ. მეფართლე რომ გამოიარს, ამ ფულეებით უსათუოდ ჩითი-ნარმა უნდა ვიყიდო, რომ ტანი როგორმე დავიფაროთ.

— ფოსტას რაღა ვუყო, აგერ რამდენი წლის ეღონიკა მაძევს, ბორჯიკი ყოველ დღე მოდის. ვფიქრობდი, ამას მიუგდებ და ცოტა ხანს მაინც მომასვენებენ-მეთქი.

ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ კუდამ დასთმო.

— კარგი, — რაც შეეძლო ლმობიერად უთხრა კუდამ ცოლს, — ფართალი იყიდე. — და რომ უფრო დაემშვიდებინა, სამ-მანეთიანი გაუწოდა.

IV

ნიკოია თოხიტარიას ეზო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაქანებულ ფერდობს წარმოადგენდა. ჩრდილოეთიდან მის მოსაზღვრედ ესახლნენ მისი შეურიგებელი მტრები — ბიძა და ბიძაშვილები, სიკოია და ვატინია თოხიტარიები. ამ მხრით ნიკოიას თხრილი ჰქონდა შემოვლებული და თხრილის გასწვრივ სხვადასხვა ხე იყო დარგული, უფრო-კი თხმელა და აკაცია. მტრებმაც თავიანთ მხრიდან თხრილი შემოაველეს და ხეები დარგეს. თხრილებს შუა ერთი ადლი ადგილი იყო დარჩენილი ორღობესავით. მაგრამ რაღვან აქეთკენ გზა არ იყო და მეზობლებსაც ერთმანეთში მისვლა-მოსვლა არა ჰქონდათ, ეს ადგილი გვიმრით და დაბალი ბუჩქნარით დაიფარა. გარეშე თვალისაგან ეს მხარე უზრუნველი იყო.

აღმოსავლეთის მხრით ძალიან ახლო ესახლა ერთი მეზობელი, რომელსაც ნიკოიასთან კეთილი განწყობილება ჰქონდა. გარდა ამისა, ეს მხარე გაშლილი იყო, ქისკარი აქეთკენ ჰქონდა ნიკოიას და სათემო გზაც ახლო ჩაუდგოდა.

თემა დარწმუნებული იყო, რომ ნიკოია და მისი შვილები დღეს ყანაში იქნებოდნენ. ყანაში იქნებოდა არათუ ნიკოია, თითქმის მთელი სოფელიც, ამიტომ გარეშე პირთან შეხვედრა თითქმის შეუძლებლად მიიჩნდა.

„მაგრამ ვინიციბაა, ეშმაკს თვალი დაუდგეს, — გაიფიქრა კუდამ, — ან ნიკოია, ან რომელიმე მისი შვილი შინ დამიხვდეს, მაშინ რაღა ვქნა, რა პატივსადები მიზეზი მოვიგონო? ცხენი ვთხოვო? ფიქრიც მეტია, არ მათხოვებს, მაგრამ რომ მკითხოს, სად გინდა წახვიდო? — სიღედრი სულთმობრძავი ყოფილა, შემატყობინეს-მეთქი, ვეტყვი. ეს კარგია, შორებელია, ვერავეინ გა-

იგებს, მართალია თუ ტყუილი. მაგრამ ამ უდროეო დროს რატომ მოდიო, რომ მითხრას და რამე სხვა ეჭვი აილოს? აილოს და აილოს, ხომ არ შემქმამს! — ვასაგონად ჩაილაპარაკა კელამ და თამამად გასწივნილ, თუმცა ასე გადასწყვიტა კელამ, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა ნიკოიას სახლს, მით უფრო გული უღელავდა. თემშარაზე ვილაც ცხენოსანი შეეფეთა. თუმცა ამ კაცს თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდა, მაგრამ მის დანახვაზე კელა მაინც შეკრთა.

— გამარჯობა კაი! თუ კაცი ხარ, ერთი ქონწყოტონის გზაზე დამაყენე? — შეეხვეწა მგზავრი.

— აი პირდაპირ, ბატონო! ამ ფართო შარას არ გადაუხვიოთ, სულ პირდაპირ იარეთ. ქონის-წყალს გახვალთ, ხობი-წყალს გახვალთ. იქ, ბატონო, მარცხნივ რომ მიდის, იმ გზას დაადექით და პირდაპირ ქონწყოტაში მივყევანთ.

მგზავრმა მადლობა გადაუხადა, ცხენს შემოჰკრა და გზას გაუდგა. ამ კაცისა, რა თქმა უნდა, სულ ტყუილად შეეშინდა.

თემა ბასას სახლს მიუახლოვდა. ასე ეძახდნენ ნიკოიას მეზობელს, რომელიც აღმოსავლეთით ესაზღვა. ეზოში არაეის ჭაჭანება არ იყო. სასტუმრო სახლი დაკეტილი იყო. სამზადი სახლის სახურავიდან ბოლი ამოდიოდა და შიგნიდან დიასახლისის მკაფიო ხმა მოისმოდა:

— გაათავე, გაათავე, ჯიმა¹⁾, მორჩი, დანაყე! აგერ თითქმის შუადღეა, მეყანეები შიმშილით ამოწყდებიან.

კელა ნიკოიას ჭისკარს მიუახლოვდა. არსაიდან ჩამი-ჩუმე არ მოისმოდა. ნიკოიას სახლის წინაკარები დაკეტილი იყო. გარეთა კედელზე თეთრ-მასრე-ბიანი ახალი ჩოხა ეკიდა. „ა, პეტრეს ჩოხა,“ გაიფიქრა თემამ. ეზოში ქათმები უთავბოლოდ დარბოდნენ.

კელა ცდილობდა თავი უბრალოდ დაეჭირა. მან დაბალი ხმით სიმღერის მსგავსად რაღაც დაიწყო. მაინც გრძნობდა, რომ ღელავდა. ეშინოდა, ვინმე თვალს არ მადევნებდესო და ფრთხილად აქეთ-იქით იყურებოდა. როგორც იყო, სასტუმრო სახლი გაიარა და სამზადს მიუახლოვდა. სამზადის კარი ღია იყო, სახურავიდან ბოლი ამოდიოდა. ცოტა გული დაუმშვიდდა. სახეზე ხელი მოისვა და მაგრა ჩაახველა.

— ვინ არის? — მოისმა გაიანეს ნაზი ხმა და თვითონაც კარებში გამოჩნდა.

კელას დანახვაზე შეკრთა და სწრაფად ტანზე დაიხედა, მაგრამ მალე დაშვიდდა, რადგან თუმცა საშინაო, მაგრამ მაინც მთელი და სუფთა კაბა ეცვა. სახე კი გვარიანად წამოუწივითლდა, რაც ძალზე დამშვენდა მის უიმოსოდაც ლამაზ და სავსე პირისახეს.

— დილა მშვიდობისა, მოწყულო²⁾! — მიესალმა კელა. — ნიკოია შინ არ ბრძანდება?

— ღმერთმა გაცოცხლოს, ბატონო, — მორცხვად მიუგო ქალმა, — შინ არ გახლავს.

— არც ბიჭები?

— ყანაში არიან. რა გნებავთ?

¹⁾ ძმის.

²⁾ პატარძალი.

— მინდოდა, ისე, — მშვიდად მიუგო კუდამ და მაღლა აიხედა.

— აქ მომჩანდით... — გაუბედავად შეიპატია გაიანემ.

— შე კი არა, ნეტავ შენც არ იყო მანდ, — სიცილით შეტყობა კუდამ და მხიარული თვალებით შეჰხედა.

გოგოც გამხიარულდა და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— სადილს ამზადებდე იქნება? — შეეკითხა თემა.

— დიად, ბატონო!

— რა შენი საქმეა სადილის კეთება?! შეირთოს პეტრემ ცოლი და სადილი კი არა, ვახშაჰიც აკეთებინოს, თუ უნდა. ახარშეინოს ღომი და ღობიო, შენ რას დაეძებ?

— ვეუბნები, ბატონო, მაგრამ არ მოჰყავს და რა ვქნა...

— არ მოჰყავს, რა ლექსია! არც მოიყვანს, რაკი ოჯახში შენისთანა მოსამსახურე ეგულება. აბა ერთჯერ-ორჯერ დაარჩინე უსადილოდ მაშინ ნახავ, მოიყვანს თუ არა. შენ კი ამ ცეცხლის პირას ფურთქოლით¹⁾ ხელები და სახე გაგიშავებდა. ახლა იავარდის ჰგავხარ, შე ბედ-დამწვარო, და ჩაჩანის ქალს დაემსგავსები.

— იქით დაიკარგე! — სიცილით მიუგო გაიანემ და ეშხით სავსე თვალებიდან ნაკვერცხლები გამოაფრქვია.

— იქით კი არა, დადი ნუ წაგიწყდება, ტყუილს გეუბნები აი?

— სუ-მეთქი, თორემ... — და გაიანემ სიცილით რაღაც ჩაილაპარაკა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — გაფანტულად სთქვა კუდამ, ერთი ნაბიჯი წარსდგა წინ და შეჩერდა. — ვო, გაიანე! — მტკიცედ დაიძახა თემამ.

— რა იყო? — იქვეულად შეეკითხა კუდას ქცევით გაოცებული ქალი.

— მე, იცოდე, პირდაპირ შენთან მოვედი. ერთმა ძალიან კარგმა ყმაწვილმა კაცმა მოკითხვა შემოგითვალა. იმდენი მოკითხვა, რომ სამი ურემი აღგილიდან ვერ დასძრავს.

— და შენ-კი მაგ შენი ქულით წამოილე? — სიცილით მიუგო ქალმა.

— ყვეი, დიდობა შენდა, გამომიჩნდა კიდევ მეორე ძუკუ მძებრაძე! რა უნდა ამ ხალხს, არ ვიცი, ამ ჩემ ქულთან? ეხარბებათ, ალბათ. ქულია და ქული! — მხიარულად სთქვა კუდამ, ქული მოიხადა, გახედა და ისევ დაიხურა.

— მაღლობა მომიხსენებია, — ნაზად მიუგო ქალმა, — უთხარი, რომ ნუ შეწუხდება.

— მე არა ვხუმრობ, მართალს გეუბნები.

— იმდენი ფართალი გაცვითა შენმა ტანმა...

— ისე იცოცხლა ამან და ამის შვილებმა! — შუბლზე თითის მიდებით მიუგო კუდამ.

— კარგი, გეყოფა ხუმრობა! — უთხრა ქალმა.

— თავს ლაფი დაესხას, ვინც ხუმრობდეს.

— სუ-მეთქი! შენ ორჯერ-სამჯერ კიდევ მითხარი ასე, გადაკვრით...

— გითხარი და კიდევ გეუბნები. ისეთ ყმაწვილს შეგახვედრო, რომ ამ სოფელში კი არა, მეორე სოფელშიაც ყურები ააქვკიტონ. შენ-კი სულ უადგილოდ ინაზები, — დინჯად უთხრა კუდამ.

ქალი აღელდა.

¹⁾ ფუსფუსით.

— მერე, თუ მართალს ამბობ, რისთვის არ მეუბნები ვინ არის? — თითქოს დამნაშავეაო, დაბალი ხმით დაეკითხა გაიანე.

— ასე აშკარად თქმა როგორ შეიძლება! მაგის თქმას ნიშნებიც უნდა მოლაპარაკება უნდა. აქაც რომ მნახოს ვინმემ...

— მერე რა იქნება, რომ გნახოს?

— საშიშია, შენ არ იცი სოფლის ენის ამბავი, დაუბადებელს დაბადებს და დაბადებულს გააქრობს.

— მაშ შინ შემოდი.

— არც იქ: თქვენიანი ვინმე რომ მოვიდეს?

— ჰა, ჰა, ჰა! ისინი აქ მოვლენ კი არა, ჭალაში მუშაობენ.

— მაინც არა.

— მაშ ცაში ხომ არ ავფრინდები? — ღიმილით უთხრა ქალმა.

— ნეტავ ახლა ავფრინა! ქალებს აფრინამდე მაინც ცოტა გიკლიათ, — მიუთხო კულამ.

— თუ მეტყვი, მითხარი, თუ არა და არ მცალიან, მკადი უნდა გამოვაცხო.

— ახლა მეც არა მცალიან. ეხ, სიკეთესაც რომ ვერ იზამ კაცი ამ დასაქცევ დროში! ჩემი საკუთარი საქმისათვის არ მოვიწადინებ ისე, როგორც ახლა მოვიწადინე. ათასი მანეთი ჩემთვის კაცს რომ ეჩუქებოდა, ისე გამიხარდა, იმ კაცმა რომ მითხრა. ჯერ მეც ზუმრობდა მეგონა, მაგრამ როცა დაიფიცა, სწორედ გამიხარდა და სულ სირბილით მოვიდოდი აქეთკენ. შენ-კი გგონია, რაღაც...

— მე არაფერი არა მგონია, თემა. რა უნდა გითხრა, როცა არ ვიცი, საქმე რაშია, გამაგებინე და მერე ჩემსას მეც გეტყვი.

— ეხლა დრო არა მაქვს. თუ გინდა შენი საქმე სამუდამოდ გაკეთდეს, ზეგ ამ დროს მოვალ, მაგრამ აქ კი არა, აი, — ხელი გაიშვირა კულამ, — თქვენ და გატენიას შუა ორღობე რომ არის, დიდ ჭანდართან. იქ მოვალ და თუ გინდა, იქ მოგელაპარაკები.

— აქ ვითომ რა უჭირს? ღმერთმანი, ისინი არ მოვლენ...

— არა, არა, თუ არ გინდა, როგორც შენი ნება იყოს. ნიკოიას-კი ნუ-რაფერს ეტყვი ჯერე.

ქალმა საუაროდ თავი დააქნია.

— თქმით არ ვეტყვი მაგრამ, მიკვირს, შინ შემოსვლის რატომ გეშინია?

— ჯერ ვერ გეტყვი. რატომ, მერე შენ თითონ გაიგებ. საქმე როგორ ჯობია, მე უკეთ ვიცი, ბატონო. თუ გნებავს, მე მომყევი, — დაბეჭითებით უთხრა კულამ და წასვლა დააპირა. — მოხვალ თუ არა იქ?

ქალი სდუმდა, მაგრამ მისი თვალები ნათლად ამბობდნენ, რომ უსათუოდ მოვიდოდა. ან-კი რა შორს წასვლას სთხოვდნენ? სახლიდან ორღობემდის ოცდა შვიდი საყენი ძლივს იქნებოდა.

კულა გზას გაუღგა, გაიანე დაფიქრებული კარებთან იდგა და მიმავალ კულას უყურებდა.

ჩქარი ნაბიჯით მიმავალი თემა აქეთ-იქით იცქირებოდა, ხომ არავინ მიუყურებდა.

მის ბედზე არავინა სჩანდა. ბასას სახლშიაც სიჩუმე იყო.

— აქ გინდ თვით ნიკოია შემხედეს! — მხიარულად ჩაილაპარაკა მან, როცა სათემო გზაზე გავიდა.

„მგონი-კი თესლი კაი ნიადაგზე დაეცა, — ფიქრობდა გზა-გზა კლდე — დღეს მეტი არ ვუთხარი, უკეთესია. ერთბაშად ყოვლისფრის მიხლეობა არ ვარგა. ჭერ თვითონ დაფიქრდეს. ხუმრობა არ იქნება, თუ მთაყუნა და გავარიგე საქმე. იმისთანა სამ-მანეთიანი ერთი ორი კიდევ თუ ჩამოვგლოჯრე, გაკეთდება ჩემი საქმე... კარგს კი იზამს, რამე საჩუქარს გაუგზავნიდეს. ქალე-ბისთვის საჩუქარი ისეთია, როგორც კანჩხულა თევზისთვის ქია-მობმული ანკესი“.

დანიშნულ დღისთვის თემა ბოჰოკიამ რიგიანი თადარიგი დაიჭირა. ძუ-კუსთან ადრე მივიდა და სთხოვა ქალისთვის რამე საჩუქარი ეყიდნა. ძუკუ მაშინვე ცხენს მოახტა და მახლობელ დაბიდან პატარა კოლოფი მოიტანა.

კულამ ნახა გაიანე, საჩუქარი გადასცა. უთხრა, ძუკუს უყვარხარ და შენი შერთვა უნდაო. გაიანემ ეჭვით შეხედა ამ ამბავს, მაგრამ საჩუქარი მაინც მიიღო.

სალამოზე კულამ ძუკუ მოინახულა, ამბავი გადასცა და მეორე სამ-მანეთიანიც ჯიბეში ჩაიღო.

„უცხო არ იქნება, მაგ გოგომ მართლა ქმრობა მოსთხოვოს და უიმი-სოდ არ დასთანხმდეს, — ფიქრობდა კულა, როცა ძუკუსაგან გამობრუნებულ-ლი შინ მიდიოდა. — მაშინ უყურე თვალის სეირს! მაგრამ ძუკუ მაგას ისე მოალორებს, რომ ვერც კი გაიგებს... თუმცა ესეც არის, მოტყუილებისათვის კანონი სასტიკად ეჭვევა. ბეჟანიკამ რომ ილაპარაკა, ერთ ვიღაც აზნაური-შვილს გლეხის გოგო ძალად შეართვევინესო, უიმიოდ ღირსებას ჩამოხდი-დენო. ე, მაშინ ნიკოიას და მის შვილებს ახლოსაც ვერ გაუარ. მაგრამ არა მგონია: სანამ ბასილი ცოცხალია, საცხოვრებელზე ხელს აიღებს და ამდენად თავს არ დაიმცირებს. დედა, ღმერთო, მარიკა! ფო, ფო, ფო, თუ შემიტყო, რომ მე ურევივარ, რავე ზურგს ამიჭრელებს! მაგრამ რაც იქნება, იყოს! ეხ, ნეტავ ერთ-სამიანს კიდევ მომცემდეს და ჩემთვის სულ ერთია, შერთავს თუ არ შერთავს. კისერიც მოუტეხნია სამ ალაგს, იმასაც და იმასაც!“

ამ სიტყვებზე სამ-მანეთიანი ერთხელ კიდევ გასინჯა ხელით.

V

გათენდა. ჭყონონა სქელ ნისლში იყო გახვეული.

გატინია თოხიტარია ლოვინიდან წამოდგა, დაგლეჯილი ახალუხი ჩაი-ცვა, თვალების ფშვნეკით დიდი ნაჯახი მოსძებნა, პირი გაუსინჯა და ხმამაღ-ლა დაიძახა:

— ვო, ელისაბედ!

— ბატონო! — მოისმა ქალის ხმა.

— ერთი, ბაბა, დოქი წყალი მომიტანე, ნაჯახი უნდა გავლესო.

სახლის გვერდით ტლანქად გათლილი მუხის მორი ეგდო და მასში სა-ლესი ქვა იყო ჩაქედილი. გატინია ნაჯახით ხელში ამ სალეს ქვას ამოუდგა. ის იყო საშოცდაათი-სამოცდაათორმეტი წლის მოხუცი მაგრამ ჭერ კიდევ ყო-ჩაღად გამოიყურებოდა.

ელისაბედმა, მისმა რძალმა, უფროსი შვილის ცოლმა, დოქით წყალი მოუტანა და ცნობისმოყვარეობით მამამთილის გვერდით გაჩერდა. შალა-შალაო, ასე ოცდაათი წლის ქალი იქნებოდა. თვალები ჩაცვივნოდა და გარ-შემო გალურჯებოდა. სახეზედაც ყვითელი ფერი დაჰკრავდა. გამოცდილი თვალი შეამჩნევდა, რომ ესეც ერთი მრავალმსხვერპლთაგანი იყო იმ საშინე-

ლი სენისა, რომლითაც ასე ცნობილია შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი. ანტი-ჰიგიენური პირობების, ცუდი და მცირე კვების, უღრუფე და ბევრი მკვებე ხილის ჭამის გამო საშინელ სენს მაგრა გაეღვა ფესვებზე დადგომა. ქალი ხშირად ავადმყოფობდა და პირისუფალნი რამე რიგიანი ზომების მიღების მაგიერ მკითხვეთან გარბოდნენ. რაღაც მიზეზით წმინდა გიორგი გვირისხდებოდა, ამბობდნენ ისინი, და რომ მისი გული მოეგოთ და რისხვა დაენელებინათ, უიმისოდაც მცირე ლექმას იკლებდნენ და ორ განთქმულ წმინდა გიორგის ხატთან ძღვენი ძღვენზე მიჰქონდათ.

ელისაბედი ერთ დროს საკმაოდ ლამაზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეიღების გამოზრდას, ციებას და ბევრ უბედურებას ისე დაეჭნო და მოეშალა, რომ კაცს ჭლებიანი ეგონებოდა.

— მახაზიამ არ გაიღვიძა ჯერ? — ჰკითხა რძალს მამამთილმა.

— ჯერ არა, ბაბა.

— იაკობას და ანდრეასაც სძინავთ?

— დიახ, ბაბა.

— ეხლა, რაკი მარგვლა გავათავეთ და ცოტა მოგვეშვა, მოდგებიან და მთელი დღე იძინებენ და იძინებენ. თუ შეშაც დროზე არ მოიშადე შეილო, მარტო სიმინდი რათ გინდა? უცეცხლოთ ხომ ვერ მოხარშავ საკმელს, ისიც ზამთარში.

— თუ გინდა, ყველას გავადვიებ, ბაბა!

— არა, — მიუგო მოხუცმა, ნაჯახის პირი ქვას დაადო და ზედ წყალი დაასხა. ერთი ხელი ნაჯახის ტარს მოჰკიდა, მეორე ხელის თითები რკინას დააპირა და ქვაზე წაუსვ-წამოუსვა.

„ხიჭი, ხიჭი, ხიჭი!“ — გაჰქონდა რკინას და მოხუციც თავს ამ ხმაზე აკატუნებდა.

— ბაბა, რაღაც მინდოდა შენთვის მეთქვა და მოხერხებული დრო ვერ ვიშოვნე, — წყნარად შენიშნა ელისაბედმა, რომელიც ჯერ კიდევ უძრავად იდგა მამამთილის მახლობლად.

— რა არის, შეილო? — გაიოცა გატინიამ, ნაჯახს წყალი დაასხა და გადააბრუნა.

— თქვენი სიკეთე და ბედნიერება! ჩვენთვის ცუდი არაფერია, — ბოროტი ღიმილით მიუგო რძალმა. სახე სიხარულით უბრწყინავდა, მიმქრალი თვალები უელვარებდა.

— რა ყოფილა, ბაბა, ისეთი? — მოუთმენლად შეეკითხა მამამთილი, ორივე ხელი ნაჯახს დააპირა და ტან-გადახრილი გაჩერდა.

— ჯერ მახაზიასთვისაც არ მითქვამს... ორი გროში რომ იშოვნეს და ცოტა რამე შეიძინეს, ეხლავე ცას დაეწიონ, რა ქნან არ იციან! მაგრამ, — ღმერთო შენით, ღმერთო შენით! — მგონია, გვარიანი დალი მიეკვრებათ, მოიცადონ ჯერ!

— რა არის, ბაბა, ჩქარა მითხარ? — დაეკითხა მოუთმენლად გატინია.

— სასათაული ვნახე, ბაბა, სასათაული, — სიამოვნებით ამოიხვნეშა რძალმა: — სუსა ხაბარდაიას ქალს „ნერჩის ლოცვა“¹⁾ რომ ჰქონდა, ოთხშაბათი არ იყო?

¹⁾ ძეგობა.

მამამთილმა არა მიუგო-რა, ის მხოლოდ მოუთმენლად ყურს აქცევდა.

— დიახ, ოთხშაბათი იყო. ჯავი დაგემართოს, კაი ნერჩის ღვინო იმას ჰქონდა: კაი სმა-ჰამა... იქიდან რომ დავებრუნდი და შინ მუვედღე ირდუქურები ვერა ვნახე. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ ვერ ვნახე. მაშინათვე საისლისკენ გავიქეცი. ხორა ატმის ძირს ცოტა ხანს გავჩერდი და ყური დავუგდე — იქნება აქ სადმე ახლო არიან-მეთქი. ამ დროს რაღაც ტაკუნე მომესმა. შევიხედე და საისლის ქვემოთ ერთი კაცი ღობეზე ფრთხილად გადადიოდა. მე მაშინათვე ჰველონში¹⁾ დავიმაღე და იქიდან თვალიერება დავუწყე. რომ მოახლოვდა, გამიკვირდა: თემა ბოჭოკია იყო, ხელში რაღაც გახვეული ეჭირა.

— თემა ბოჭოკია? საითკენ ამოვიდა? ავა-ვაი! — თითქმის დაიღრიალა გატინიამ. — დავლუპულვართ და ეს არის! ინდაურებს კი არა, არაფერს არ შეგვარჩენს. შე ძაბუნო, მაშინათვე რად არ მითხარი, მამასახლისთან გავიქეცივოდი, წერალს შევებეწებოდი, — შეშფოთებული ხმით ამბობდა მოხუცი.

— დამაცადე, ბაბა, აქ სხვა საქმეა, — ბოროტი ღიმილით მიუგო რძალმა: — რა თქმა უნდა, ვადევნე თვალი. გავიხედე და ეს თემაია გადაჩონდა მეორე ღობეზედაც და ჩვენ და ნიკოიას შუა ორღობეს შეყვა. მე მაშინათვე, — ჩემი ილარიონი ნუ მომიკვდება! — მაშინათვე მივხვდი, თუ საქმე რაში იყო და ფეხაკრეფით ავეყვი. ჩვენ ოფურჩემლი²⁾ ამოვიდით და იქ მივიმაღე. დედი-ჩემის სულიმე, არც მოვტყუვდი. ვნახოთ, ქე არ გამობრძანდა თავის სახლიდან ის თავ-მოჩიკინებული, ის აპრანტაეანი, — ის კანდიორი³⁾ ისა! განზრახ თალბი კაბა ჩაეცვა, არავინ დამინახოსო. თავზე ორივე ხელით გაშლილი ცახოცი ეჭირა. ქარი უბერავდა და აფრიალებდა. წამოვიდა, წამოვიდა და თემასთან ქე არ მოვიდა! ორთავენი ორღობეში ჩამოსხდნენ. მართლა ისეთი ადგილი აირჩიეს, რომ უცაბედად არ მენახა, ძნელი შესამჩნევი იყო. ეტყობოდა, ძალიან ფრთხილად იქცეოდნენ, მაგრამ მე რის ელისაბედი ვარ, თუ მაგისთანა გუშინდელმა გოგონამ მომატყუა და თვალები ამიხვია! მე ოფურჩეს მივეყუდე. რაღაც ილაპარაკეს, მერე თემამ შეხვეული გახსნა, პატარა ყუთი ამოიღო და რაღაცეები ამოალაგა. რაღაც პატარა შუშებსაც თვალი მოვკარი. იმ უსირცხვილამ ყოვლისფერი დაათვალიერა. კიდევ ერთხანს ილაპარაკეს და თემამ, ვითომ არაფერიო, ისევ იმ გზით შინისკენ მოკურცლა. მე ამის მნახველს, სიბარულით იმ დღეს არაფერი მიჰქამია და არც იმ ღამეს დამიძინია. კინაღამ მაშინათვე წამომცდა, მაგრამ შემეწია ჩემი ანგელოზები და, როგორც იყო, მოვითმინე. მეორე დღეს, რასაკვირველია, იმ მიდამოს არ მოვშორებივარ. ყოველ წუთს ვათვალიერებდი. თქვენთან ყანაში სადილი გამოვგზავნე და მაშინათვე იქ გავიქეცი. დილოუ, დილოუ! რა ვნახე, რა ვნახე, ბაბა! ორღობეში გაიანე მარტოდ-მარტო მუსაიფობდა, იცი, ვისთან? დილოუ, დილოუ! ძუკუ მძებრაძესთან.

— ეიშ! — გაიკვირვა გატინიამ. — ძუკუ მძებრაძესთან? საით მიეთესა კარ-გამოკეტილი?

— ჭერ გაიგე, ბაბა. მე მაშინათვე მივხვდი, მაშინათვე, ჩემი ილარიონის სინათლემ ქალმა ასეთი საქმე არ ვიცოდე? აქ, ბაბა, თემა ბოჭოკიაა საქმის მარებელი. ჭერ ყელი არ გამოშკრა, ნურავისთან ნუ გაიტან. ჭერ ახალი საქ-

¹⁾ ზუჭნარში.

²⁾ ფუჩეჩის შესანახი.

³⁾ კანდიორი.

შეა და თუ ვინმემ გაიგო, დაფრთხებიან და საქმე ჩაიშლება. ჯერ დაიბრუნდით სულს და მერე ვიფხანოთ და ვიფხანოთ გული! — და მართლა მოიფხანა ელისაბედმა გული, მოიფხანა და რამდენჯერმე მუშტი მკერდზე დაეკრა დიდიოცა.

— ასეთი ბედნიერი ჩვენ განა ვიქნებით, შვილო? — უიშვდოდ მიუგო მამამთილმა და ბოროტად თვალეზი დაატრიალა. — დამცირებას და სხვის უკან ჩამოგდებას რომ არ იშლიან! მანც რომ სულ წინ გამისწრეს! ღმერთო, მიქამ-გარიო, შეგცოდეთ და შემინდეთ! რამდენჯერ თქვენი ძვირი ვახსენეთ თერთრქიან ცხვარს შეგბირდი, ღმერთო თუ ნიკოიას რამე უბედურებას შეახვედრებდი, და დღეს კიდევაც შეგისრულე. ჩემი ხელით მოვიყვანე თეთრი ცხვარი. მაშინ არ იყო, რომ წყალმა მომასწრო და კინალამ დაეიხრჩვი? მას აქეთაა, ქე ვუყურებდი, მაგრამ სიკეთის მეტი, ცუდი არაფერი ემართებოდა, და კიდევაც იმიტომ შემაცდინა ეშმაკმა და ერთი-ორჯერ ვისაყვედურეთურმე შენ ბედნიერ მარჯვენას უკეთესად სცოდნია და, აჰა, სადაა, რომ შენი დიდება გამოაჩინე! შეგცოდეთ და შემინდეთ, შეგცოდეთ და შემინდეთ! — პირჯრის წერით იახნდა მოხუცი. — ღმერთო, ერთი მაგის თავსლაფის დასხმას მომასწარი და მერე გინდ იმავე დღეს მოგვკვდეთ. ცხონებული ვიქნები, ცხონებული უსანთელ-უსაკმლოდ, შვილო, — მიუბრუნდა რძალს.

— აი, ბაბა, ასეა საქმე და თუ გვინდა აღდგომა გავკეთებდეს, ჯერ არავინ არ უნდა შეიტყოს, თორემ თუ მისი კვარჩხი ძმების ყურებამდი მივიდა, ძუკუს კი არა, დამბადებულ ღმერთს არ მოუთმენენ და საქმეს ჩაშლიან, გოგოს კარგა მიბეგვავენ, ქვეყნის თვალში თავს გაიმართლებენ და ჭორსაც ჩვენ დაგვაბრალებენ. ეს შენ ვითხარი ბაბა, თორემ ჯერ მახაზიასთვისაც არ მითქვამს, არც ვეტყვი. და როცა დაორსულდება, მერე რამდენიც უნდათ ხელი აფარონ! — წარმოსთქვა ელისაბედმა და ქათმების გასაშვებად გაიქცა. მოხუცმა მჭიარულად განაგრძო ნაჯახის ლესვა.

მზე ამოვიდა, დილის ნიავმა დაჰბერა და ნისლი ცოტ-ცოტად გაფანტა. მზემ მხიარულად დაჰხედა დანამულ ბალახს და აღმასივით ააეღვარა.

გატინია და მისი შვილები ნაჯახით ხელში ჯიხა-ფერდისკენ მიეჩქარებოდნენ. დღეს შეშა უნდა დაეჭრათ ერთი აზნაურის ეზოში. აზნაურის ეზოს ერთ მხარეს მალარაი ჰქონდა გაშენებული. ვაზი დაბერდა, ხეებიც ძალიან დაიხარდნენ. საჭირო იყო ხეების გადაჭრა და ვაზის დაყაშვით განახლება. აი ეს სამუშაო აიღო გატინიამ. ხეები (მომეტებულად თხმელა იდგა) ერთი საყენის სიმაღლეზე უნდა გადაეჭრა, ვაზიც საჭირო ალაგას მოეჭრა და დაყაშა, ე. ი. მიწაში დაეფლა, რომ ახალი ფესვები გაეკეთებინა. ამნაირად განახლებული ვაზი ყურძენს ბლომად მოისხამდა. რაც გადაჭრილი ხეებიდან მსხვილი იქნებოდა, ფიცრებად უნდა დაეხერხათ, ხოლო წვრილი და მრუდე შეშებად დაეწყათ. გარდა ამისა, გაზაფხულზე სიმინდი უნდა დაეთესათ. სიმინდის თესვა სამ წელიწადს გაგრძელდებოდა, სანამ ვაზი და ხეები წამოიზრდებოდნენ და ისევ მალარად გადაიქცეოდნენ. ფიცრებისა და შეშის ნახევარი გატინიას იყო, სიმინდის ნახევარიც მას ეკუთვნოდა. სამაგიეროდ მთელი ეს სამუშაო თავის ხარჯით უნდა შეესრულებინა. ვაზის ნაყოფს-კი ხელს ვერ ახლებდა. გატინიამ გაზაფხულზე ხეები გადასჭრა და ერთ აღგილას მოაგროვა. ვაზი დაყაშა, სიმინდი დათესა, ორჯერ გამარგლა და ახლა სამეშე და საფიცრე უნდა დაეჭრა და ცალ-ცალკე დაეწყოს.

დღეს გატინია რაღაც განსაკუთრებულად მხიარული მიდიოდა. შვილებიც-კი ამჩნევდნენ ამას და გაკვირვებით შეჰყურებდნენ.

„პერტიას შეილმა როგორ უნდა მაჯობოს? — ფიქრობდა ვზა-გზი გატი-
ნია. — პერტია რომ ადრე არ ჩაძალღებულყო, სასმელ წყალს არ მკლირ-
სებდა, სულ ქეჩოზე დამაჯდებოდა. მაგრამ ინება უფალმა უნდა მკლირ-
დაადგა. ნიკოია კი დაეჯახნე, მეგონა, და მართლაც ერთ-ერთს კეცხტში
სულს ვერ ჩაუბერავდა, ისე გავხადე. და, წარმოიდგინე, რაღაც ძალით, ალ-
ბათ, ეშმაკს მიანდო ცოდვილი სული, კაცი შიმშილით კვდებოდა და, გავი-
ხედე, სიმინდს ქე ყიდის, მიწას ქე იგირავენს, წისქვილის წილშიც შე-
მოვიდა, ორი შვილი ვაჭარი გაუხდა, სახლი გადააკეთა, ცხენ-უნაგირი იყი-
და. ჩქარა ყავრით დახურული ბუხრიანი ოღაც შეიძლება დაიდგას“...

ბევრს ეცადა გატინია, რომ რძლისგან ნაამბობი დაეშალა, მაგრამ ვერ
შესძლო. მოსვენება დაეკარგა. ხელებით ნაჯახს იქნევდა, მაგრამ გონებაში
ის ეხატებოდა, თუ როგორ დააორსულებდა ძუკუ გაიანეს და ნიკოიას ოჯახს
ყელი როგორ გამოეჭრებოდა. ერთი-ორჯერ ისე გაერთო ფიქრში, რომ კინა-
ღამ შეშის მაგივრად ერთ-ერთ შვილს ფეხი გააგდებინა. შვილებს ძალიან
უყვირდათ მამის ამგვარი, არაჩვეულებრივი, ჭკევა და კიდევაც შენიშნეს.
იმანაც შეტრ ველარ მოითმინა და თუმცა ძალზე საიდუმლოდ, მაგრამ მაინც
უამბო, თუ რაში იყო საქმე. მერე, თითქოს გაბერილი გუდა გასქდაო, მთლად
გადმოანთხია ნიკოიას და მისი ოჯახის საყვედურები და გული დაიმშვიდა.
შვილები დიდის კმაყოფილებით მიეგებნენ ამ, მათის აზრით, დიდად სა-
სიამოვნო ამბავს. მხოლოდ შუათანა შვილი, იაკობი, არ იზიარებდა მათ სუ-
ლისკვეთებას. პირიქით, მას საწყენადაც დარჩა ეს ამბავი.

— ამდენ სასიამოვნოს მე აქ არაფერს ვხედავ, — განაცხადა მან. — ამ
ამბით ჩვენ ვერაფერს მოვიგებთ, გალანძვით კი, მგონია, ჩვენც გავილანძ-
ვებით. რა სასიამოვნო ამბავი მოუვიდა გატინიას და მის ოჯახს ნიკოიას
შვილის გალანძვითო, ამას, მგონი, არავინ იტყვის და მძებრაძემ, აზნაურმა,
თოხიტარიას, გლუხს ქალიშვილი გაულანძლა და ზედ მიაფურთხაო, ამას კი
ბევრი იტყვის. და ეს ჩვენი გალანძვაც იქნება, რადგან ჩვენც თოხიტარიები
ვართ, ან, თქვენ გგონიათ, ნიკოიას ბიჭები, კამჩებევით თავს მოიდრეკენ და
ვისაც გნებავთ, კისერზე დაისვამენ? თუ ასე გგონიათ, ძალიან შემცდარხართ.
ეზღანდელ დროში შენს მძებრაძეს თავის ქეიფზე სათელი ქვეყანა ვინ მისცა?
აზლა ცოტ-ცოტად ყურები ყველას დაეხვრიტა. აღმასივით ბიჭები შენ ძუკუს
ყბას ხუთჯერ მიუმტვრევინ. მეც, თუ საქმე გაჭირდა, იმათ ამოუდგები
ვევრდში.

იაკობამ ლაპარაკი დინჯად და ნელა დაიწყო, მაგრამ თანდათან შეხუ-
რდა და ბოლოს გაცხარდა კიდევ.

ძმებმა არა მიუგეს-რა. მამა-კი გაჯავრებული იყურებოდა.

— შენ სულ მასთე იცი, შვილო, — ვითომ და ტკბილად, მაგრამ აშკარა
უკმაყოფილებით მიუგო გატინიამ. — ეცადე, ეცადე, მოსისხლე მტერს ფრთა
გადააფარე. იანვარში კაცი ფეხშიშველი დადიოდა, აზლა საცაა ოღირწყი-
ნია!) ჩექმას ჩაიცვამს, შენ კი სიამოვნებით შეყურებ. საცაა ვაჭარი ვარო,
გეტყვის, აზნაური ვარო, გეტყვის, შენ კი თავი დაუკარი!

— მერე, იმან როდის დაგიშალა, შენ ნუ იქნები ვაჭარიო? — ცხარედ
მიუგო იაკობამ — ვინ დაგიშალა, ისე მოქცეულიყავი, როგორც მათი მამა

1) მოჭრიკინე.

მოიქცა? მე რამდენი გეხვეწე, რამე ხელობაში მიმეცი-მეთქი, წიგნს და სწავლას ვინ გაგიბედავდა!

— ახლა ამბობ მაგას, თორემ ხელობაზე რომ სადმე დაგვამოციმტყე-ორე დღეს აქეთ გამოიქცეოდი...

— გესინჯა მერე ერთი, გამოვიქცეოდი თუ არა. ბასილის სახლიდან კი გამოვიქეცი, იმის ფარეშობაზე უკაცრაოდ...

— მართლა რომ გადამბრუნდა ქვეყანა, თორემ ბასილ მძებრაძეს ნუ ეხუმრები, მისი მამა-პაპა...

— ეოი, თქვე უბედურებო! — გააწყვეტინა იაკობამ, — სულ მაგათ ქებაში უნდა დალიოთ სული, თქვე საწყლებო! რა იყო მაგათი მამა-პაპა? ფოთს რომ პარახოტები მოადგებიან, მაგათი მამა-პაპის გამოგონილია, ან რკინიგზაზე მაშინა რომ მიბრივიანებს, მათი დედა-ბებუის მზითველ გამოყოლილია, აი?! რა იყო მათი მამა-პაპა? უღროება დროებაში საწყალ ვლესს აწიოკებდნენ, ნებით თუ არ მისცემდა რასმე, ძალით წაართმევდნენ. კალონი არსად იყო და სამართალი. იჯდა თავის სახლში, კლავდა ან ნაქურდალს, ან ძალად წანართმევ ძროხას-ხარს, — აი რა იყო მაგათი მამა-პაპა! ნიკოიას ამბავი, ახლა რომ ამდენად გშურს, შე კაი კაცო, ფარქანიძის სახლში ძღვენად ნემზიერი ხარი რომ მიგყავდა, გაგეყიდა და იმ ფულით ჩემთვის ერთი ორი ანაბანა დაგესწავლებია! ახლა სამწილად გადაგიხდიდი და სამუდამოდ სასარგებლო და მომგები ვიქნებოდი. ფარქანიძემ რა გაგიკეთა: მოვა შენ სახლში, ბატონია, მიხვალ მის სახლში, წყალს ეზიდები.

— ეხლანდელი დროება საოცარია, საოცარი! — გააწყვეტინა გატინიამ. — უფროს უმცროსობა დაიკარგა, პატივი და მორიდება აღარ არის. წიე, რას ამბობ? მძებრაძეებს და ფარქანიძეებს შენისთანა ბიჭები ძველად ვერც კი ახსენებდნენ ისე, ტყუილადაც...

— კიდეც ძველად და ძველად! — გამოაჯავრა შვილმა. — მეც იმას ვამბობ, რომ ძველად თუ იყო, ახლა აღარ არის მათი დროება-მეთქი... შარშან ქალადიღში, შეშის საქრელად რომ ვიყავი, ერთმა კაცმა ისეთები მითხრა, რომ კინალამ გადამრია. თურმე ქვეყანაზე რა ამბები ყოფილა და ჩვენ კო არაფერი გეცოდნია. თურმე ჭურში ვყოფილვართ ჩვენ. ეცხოვრობთ უსინათლოდ და ვლეკავთ გაჭირვებულ ლუკმას. განა ჩვენც კაცები არა ვართ? განა ჩვენც თვალები არა გვაქვს?

— ჰა, ჰა, მოდით, მოდით! ეს ორი ხე საღამომი როგორმე ავკაფოთ, ზღაპრებს თავი დიანებეთ, თუ ღმერთი გრწამთ! — გადასძახა მოსაუბრეებს უფროსმა ძმამ მახაზიამ და ნაჯახი მოიმარჯვა.

— კი, კი, ბაბა! — დაფაცურდა მოხუციც და რამდენიმე წამის შემდეგ პატარა ტყიდან მკაფიოდ ისმოდა ოთხი მარჯვედ მოქნეული ცულის ხმა.

VI

საღამო ქამი იყო. ბასილ მძებრაძე ოდის აივანზე იჯდა და ჩვეულებრივად აბოლებდა თავის საყვარელ ჩიბუხს. ძუკუ და ბართლომეც იქვე ისხდნენ.

— მამ კარგად შეიტყვე საქმე, ბართლომე, ა? — დაეკითხა ბასილი.

— ზურაბის სულიმე! ბავშვი ხომ არა ვარ. ყველა ქალაღები ჩემი თვალთ ვნახე.

— მამ ვაგზაენეს ჩვენი საქმე ღეროღიაში დასამტკიცებლად, ა? — მხიარულად წარმოსთქვა ბასილმა და სიხარულით თვალები აუწყლიანდა.

— გავზავნეს, გავზავნეს, ბიძი! მადლობა ღმერთს, მორჩა და ვბათვ-
და! — მიუგო ბართლომემ.

— ქეშმარიტად მადლობა ღმერთს! — დინჯად სთქვა მარჯი წავიდა, მაგრამ საქმე რომ ბოლომდე მივიყვანეთ, სახუმარო არაა. რას ამბობ, კაცო? — აღტაცებით განაგრძო მან. — თავადი ოტია ფარქანიძე ებ-
ლახან ვნახე, ჯერ კანტორიდან მოწმობაც არ გამომიტანიაო, მითხრა. ორო
კვირა თბილისში გავატარე, ათი თუმანი ნაღდი ფული დავხარჯე, მაგრამ არა
გამოვიდა-რაო. ღმერთს მართალი უყვარს, — ხმას დაუწია ბასილმა: — იმ
მოწმობების გამოტანა მეც გამიჭირდა, მაგრამ რაკი გავიგე, რაში იყო საქმე,
ხა, ხა, ხა! მაშინათვე ამოვგლისე, რომ ვნახე, სად იყო კულის წვერი, დავა-
ვლე ხელი... მოგიკედეს ბასილი, წყალს მიადგეს და ფონი ვერ იპოვნოს!

— ტრაბახობაში არ ჩამოშართვა, ბიძი, და მეც ამ ბოლო დროს ქუთე-
ისში გვარიანად მოვცეცე საქმე. ზოგიერთების საქმე რა ხანია თითქმის გა-
მოწყობილი გდია და არავინ აგზავნის. საბუთიც რიგიანი აქვთ, მოწმობაც
ოცდახუთი ჩინონიკის ხელმოწერილი ქალაღიც და სხვა. იქაც, ბიძი, შენი
არ იყოს, კუღია საქმენელი. მეც მოვძებნე. მაგრამ საქმე იმაშია, სხვები რომ
თუმანს ანდობებენ, მე იქ ერთი მანეთით გამოვდივარ. ზოგან მაგ დალოც-
ვილმა ბანქომაც მიშველა. ხეირიანად რომ არ მოვქცეულიყავი, იმ შენი მო-
ცემული ფულით, ბიძი ჩვენი საქმე ჯერაც არ გაიგზავნებოდა.

— კარგი, კარგი, შეილო, — კმაყოფილებით მიუგო ბასილმა. — მძებ-
რაძე ნიჭით და მოხერხებით, ყოველთვის განთქმული ყოფილა. ხარჯი-კი,
ჩემო ბართლომე, მაინც დიდი მოგვივიდა. ოხ, ოხ, ოხ! სულ წაწყენდილის
შვილმა დრიმინტია ქანტრაკელიამ როგორ გავგზავა, კაცო, როგორ გავგ-
ზავა! იმას რომ მანეთები ჩაუჩხრიალეთ, საკვდილის დღემდის არ დამა-
ვიწყებდა. ძალიან ბევრი დავხარჯეთ, ძალიან ბევრი. მე ვინაგარიშე და ბარე
შვილას ოთხმოცდარვა მანეთი და სამოცდაცხრამეტი კაპეიკი გამევიდა.

— ნუთუ მაგდენი დაიხარჯა?

— მამის სულს გეფიცები! ორასი მანეთი ზომ მარტო იმ დრიმინტია მა-
ზავვალს მივეცი. ოცდათორმეტი მანეთი და სამი აბაზი პრისუსტიაში შე-
ვიტანეთ. ოცდა ოთხი მანეთი და რვა კოპეიკი ერთი სადილი. შეიდი თუმანი
ამბაკო გამოძიებელს...

— შეიდი გამოვართვა?

— ორივე შეილს გეფიცები! ეს კალონით გარდაწყვეტილიაო. მერე, რა
სადილი გაუმართეთ მაგ ყოფა-დაქცეულს, თუმცა იმ ღამეს შეგვარცხვინა...

— ოო, ბიძი, ის ჩინებული მსმელია. იმ ღამეს მოუვიდა ისე რაღაც, თო-
რემ გიორგისთანა მაგას სმაში ვერ აჯობებს. შეიძლება აწყინა რამემ. მე მა-
გას ბევრ ალაგას შევხვედრილვარ, კარგადა სვამს. ებისკოპოსმა ჯუჯუ მალ-
ლაფხაძეს შეილი რომ მოუნათლა, სწორედ რიგიანი საზოგადოება იყო შეკ-
რებილი, მეც შემთხვევით დავესწარი. ტოლბაზად ამბაკო ამოირჩიეს და ისე
გახადა ყველა, რომ შენი მოწონებული. სწორედ კაი მოლხენის, კაი ტაბა-
კის კაცია...

— თუთხმეტი მანეთი თბილისში რომ გავგზავნე მოწმობის გულისთვის
და რომ მოვტყუედი. ახლა ჩემი ხარჯი, თბილისში რომ წავედი: ორმოცდა-
სამი მანეთი და ოცდა ჩვიდმეტი კოპეიკი. ოთხ თუმან-ნახევარი ქრთამი მი-
ვეცი მდივანს, ნაკლებზე არც კი შემომხედა. როცა მელაპარაკებოდა იმ სი-
მაღლე კაცი, სულ განზე იყურებოდა. თექვსმეტი მანეთი და შეიდი შაფრი

იქ ზოგი მწერლებს, ზოგი კიდეც ვის. ქუთეისში ჩემი წასვლა ერთდღეს ჩორმეტი მანეთი, მეორეჯერ ცხრა მანეთი. და კიდეც ვინ ჩამოთვლის, რამდენი! — ყველანი მეუბნებიან, ბიძი, თქვენისთანა იაფად და ჩქარა არავისი გაუგზავნიათო.

— საბუთმა გაგვიჭირა საქმე, ყმაწვილო, საბუთმა! — წამოიძახა ბასილმა. — ახლა დახარჯულ ფულს დაუმატე მისვლა-მოსვლა, ცხენი, უნაგირი, სიცივე-სიციხე, მთა, ბარი, წყალი. ორჯერ ხობისწყალში კინალამ დაეიხვრჩვი. ერთი სიტყვით, ათასი მანეთია წასული ხელიდან!

— სათქმელი არაა. მერე, ბიძი, ამდენი ფულით, როგორ სახეირო საქმეს დაიწყებდა კაცი.

— თამამად ვაჭრობას ააბრუნებდა.

— ჰმ! — თავის მალა აწვეით სთქვა ბართლომემ: — მომეცი ახლა ხელში ნაღდი ასი თუმანი და ისეთ საფართლოს გამოგვიძავე, რომ...

— მაგრამ ესეც კი არ არის, ბართლომე, ახლა ჩვენ რომ გლებს გვეძახებდნენ, იმას მეორე ამდენი დაახარჯო, სჯობია.

— მართალია, ბიძი, მაგრამ ერთი დაფიქრდეთ: რად გაგვიხდა ასე ძვირად საყიდელი ის, რაც მამა-პაპიდან ჩვენ გვეკუთვნოდა?

— მე ვავიგონებ, რომ მარტო ქრთამად სხვადასხვა დაწესებულებაში ნახევარ მილიონამდი გავიღაო მთელ ოდიშში...

— უმჯველია.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბასილმა ყალიონს ცეცხლი მოუკიდა.

— ახლა ხომ გჯერა, რომ კაპეიკი ფული აღარ დამრჩენია და ვალეზიც დამედო?

— რაც მართალია, მართალია!

— ოცდაათი წელიწადია ფული არ მისესხნია და ამას წინეთ, ასი სახარების მადლმა, ასი მანეთი ვისესხე და თუ სიმინდის ფასმა არ აიწია, მგონია, კიდეც შემეჩენეს სასესხი.

— გვარიანი ფასი აქვს ახლა სიმინდსაო, ამბობენ, ბიძი!

— მაინც, მაინც? თუ ღმერთი გრწამს, რა შეიტყვე, როგორია მაზანდა? — მოუთმენლად შეეკითხა ბასილი.

— დაბეჯითებით არ შევსულვარ მაგის გაგებაში და ისე შევიტყვე, რომ ფოთში ფუთი სიმინდი სამ აბაზ-ნახევარი უნდა იყოს.

— ყა, ჯერ კიდეც ბევრი სახეირო არა ყოფილა-რა! მამ სოფლად ათ შაურსაც არ მისცემენ, — სთქვა ბასილმა.

— ჰო! — წამოიძახა ბართლომემ. — ამ სიმინდმა გამახსენა. ზოგიერთი კაცის საქმე რომ უღმერთოდ მიფრინავს და მიფრინავს წინ! სასწაულია, ზურაბის სულიმე, სასწაული! აქეთობას მაშინაში შევხვდი. პირი ღია დამრჩა სწორედ...

— ვინ ყოფილა აგეთი?

— ჰმ? — უგულოდ ჩაიციხა ბართლომემ. — ვინ ბიძი და ნიკოია თობიტარიას შვილი, თხებს რომ მიყობოდა, ფარნა არ ერქვა? ისე გამოწყობილა ყაზახი, თავადის შვილი არ ეკადრება. ან ასე ჩქარა რაღა გაზრდილა? ერთი მტკაველით მაინც ქე მაჭარბებს მე, აბა! უცბად ვერც-კი ვიცანი. ბართლომეს გაუმარჯოსო, აქეთ მითხრა. იცოცხლე, ბატონო-მეთქი. აბა, ხა, ხა, ხა! შევხედე. წიე, ფარნა ხომ არა ხარ-მეთქი? დიახ, ფარნა ვარო. გავში კაცი. თურმე ტომბაშვილს ახლავე უფროს პრიკაშნიკად დაუყენებია და სიმინდის

ყიდვაც მიუხდვია. შეიძლება სიმინდის საყიდლად ჭყონონშიც მივიდეთ, მითხრა.

— რომ სთქვას კაცმა, კლასი კი გაათავა. სწავლას, ^{ძმარ, ახლა დიდი} მნიშვნელობა აქვს, — სთქვა ბასილმა.

— რა სწავლაა? ჩიტი ლობეზე შეფრინდა და მელამ კული მოიწყვიტაო, ეს არის მაგის სწავლა, ვაჭრობასთან რა კავშირი აქვს?

— რატომ? — არ დაეთანხმა ბასილი: — სწავლას ყოველ საქმესთან აქვს კავშირი... მაინც, რომ ის ოჯახ-დაქცეული ტომბაშვილები წავიდნენ და წავიდნენ წინ...

— ისინი ხომ არიან და არიან. მაგათ ეხლა ჩვენი ხელი კაცი თითქმის არავინ არ მიუვა. კოსტანტინეს კარგად ვცნობ. ღვედია, რალა, ღვედი გამოქნილი. ბიჭად რომ იყო დუქანში, მაშინაც ვიცნობდი. ძუნწი იყო, ძუნწი, ისეთი, რომ ერთ კაპეიკის გულისთვის თვალებს დაითხრიდა.

— ახლა კი თავისი საქმე გზაზე გამობერტყა, — სთქვა ბასილმა და გამოღეულ ყალიონს ულაზათოდ ჩაუშტვინა, — ნახავ, თუ თოხიტარიაც კაცად არ გამოიყვანოს. გამდიდრდება ის კაცი. მოვა და გამოქიმიავს კაი ოდას. მე შენ გეტყვი და მოურავი წაართმევს ან სახუციეი¹⁾. ჩაიცვამს და ლახურავს შენზე უკეთესს, შეჭდება ბედაურზე (ლევან დადიამ არ დაუშალოს!), გააღებს დუქნებს, მოკიდებს ხელს ალებ-მიცემობას და შენ თვალწინ მანეთს მანეთს ამობიებს. შენ-კი უყურე და საბუთები აგროვე. მერაბის სულიმე! ხანდისხან გული ათასნაირად შემეცვლება. კაცო, ამდენი ფული დავახარჯეთ აზნაურობის საბუთის შეტანას. ვინ მერე? სუმონა მძებრადის შვილის-შვილებმა. ვიყიდეთ რალა აზნაურობას კი არა, ხუთ სოფელს დაგიმტკიცებდა ტყიანად, ქვიანად და წყლიანად! რას ამბობ? რა ლევან დადიან გინდა: ერთი ხარი რომ მიგეყვანა სახუციეისთვის და ადგილი გეთხოვა, კი არ დაგიზომავდა — მიწის ზომვა ვინ გაიგონა? ზომვა რომ დაგეწყო, სიცილს დაგიწყებდნენ, — ისე ხელით მივითითებდა. ამ სუკიდან იმ სუკამდეთ, და შიგ უკანასკნელბ ორასი ქცევა მიწა იქნებოდა... აბა, მითხარი, რა მოვიგეთ, რა შევიძინეთ?

— მოგება კი არა, ბიძი... — მწარე ღიმილით მიუგო ბართლომემ. — შენ კიდევ, ბიძი, ასე თუ ისე ღვთის წყალობა შეგრჩა, ჩვენ-კი წმინდად გამოვედით საცხოვრებლიდან. მე თუ გინდა, ერთხელ რომ გზას ავსცდი, არც სულს ვარგივარ და არც ხორცს. ბედი, რომ მე მარტო ვარ. მაგრამ ჩემი ძმები? რა ეშველება იმათ? არც არაფერი აბადიათ, არც მუშაობა შეუძლიათ, ცოლ-შვილი კიდევ კისერზე ჰკიდიათ.

— მეც, აბა, რას გეუბნები! — მწუხარედ სთქვა ბასილმა, — მეც იმასაა, რომ ვტირი, ჩემო ძმაო. ვითომ რა მამული, ვისი მამული? მამულს შნო მაშინ აქვს, როცა საიმედო პატრონი ზედ ადგია. ზაალ თავადის მამულს ვისი მამული შეედრებოდა, რამდენი სოფელი ჰქონდა, რა მთა და ბარი, მაგრამ მისი შვილების ხელში, აბა, ერთი შეხედე! ჩემი ორი ქცევა მიწა რა სათქმელია! ერთი უბრალო ვაჭირება რომ მომადგეს, ხელი უნდა დავავლო, რადგან არსაით სხვა გზა არა მაქვს. არა, შვილო, ჩვენ თუ რამენაირად ხელი არ გამოვიდეთ, რამე ახალი საშუალება არ მოვძებნეთ, ჩვენი საქმე წაგებულია.

1) სახლთხუციეი.

ბასილი წამოდგა, აკანკალებული ხელები წინ გაიშვირა და ბართლომეს მიმართა:

— გაბატონდა გლეხი, ჩემო ძმაო, გაბატონდა, მომავალ მისი...

— არც იმდენად უნდა დაიღონო გული, ბიძი, აიტ! — ცქიტად, უფრო კი ბასილის დასამშვიდებლად წარმოსთქვა ბართლომემ და ისიც ზეზე წამოდგა. — ნუ გეშინია, ბიძი, რაც გინდა იყოს, ყაზახის უკეთესი მაინც ვიქნებით. გლეხი რა გინდ გამდიდრდეს, მაინც ყაზახია. ჩვენი ღროც დაბრუნდება, ალბათ...

— ვაი იმის მეტი, ვაი იმის მეტი! — მწარედ სთქვა ბასილმა და სავსე ქისას ხელი წაატანა.

ბართლომემ მართალი სთქვა: ფარნა თოხიტარიამ ძალიან წინ წაიწია. მან ტომბაშვილთან დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა.

გავიდა ორი წელიწადი, რაც ფარნა ტომბაშვილთან დადგა და ერთი საქმე მოხდა, რამაც ფარნას მდგომარეობა მოულოდნელად გააუმჯობესა. უფროსმა ნოქარმა, რომელიც ტომბაშვილის შორეული ნათესაეიც იყო, ასი თუმანი ახარა და ერთ მშვენიერ დღეს თავიც დაანება. ის მეორე, სხვა ვაჭრის ნოქარს დაუამხანაგდა, და შეერთებული ძალით მათ იქვე, კონსტანტინეს გვერდით, პატარა ლამაზი მაღაზია გამოკიმეს, იმგვარივე სავაჭრო საქონელით, როგორითაც კონსტანტინე ვაჭრობდა. ტომბაშვილი ნოქარს სავსებით ენდობოდა, დავთრებს ხშირად არ უსინჯავდა, და სწორედ ამით ისარგებლა ნოქარმა და ასი თუმანი ნაღდი აკრა, მერე ისე ბერზიანად, რომ ვერავითარი კანონი და მართლმსაჯულება ხელს ვერ ახლებდა. ტომბაშვილის ერთი გზა-ლა დარჩენოდა: დამორჩილებოდა ბედს და დამორჩილდა კიდევ. ახლა კონსტანტინეს ძალაუნებურად ფარნასათვის უნდა ჩაებარებინა დახლი, რადგან მასზე დახელოვნებული და საიმედო არავინა ჰყავდა. ფარნამაც მალე დაუმტკიცა, რომ ვაჭარი არ შემცდარა.

პირველ თვეს მეტოქეებს ჩინებული ვაჭრობა ჰქონდათ, რადგან მუშტარი კარგად იცნობდა და შეჩვეული იყო. ამიტომ ტომბაშვილის მუშტრის უმეტესობა იმართან გადავიდა. მაგრამ მეორე, მესამე და, განსაკუთრებით, მეოთხე თვეს საქმე სხვანაირად შეიცვალა. ფარნამ ისე სუფთად და ლამაზად მოაწყო მაღაზია და ისე კოხტად და მომხიბლავად გამოფინა საქონელი, ბიჭებიც ისე რიგზე ჩააყენა და ისე ტკბილად მიმართავდა ხოლმე მყიდველებს, რომ კონსტანტინეს მაღაზიის ნდობა და პატივი კვლავ აღადგინა. ახალგაზრდა ნოქარი ბუნებით მიხვდა კაპიტალის ძლევა მოსილებას, და კონსტანტინეს ურჩია, რამდენიმე ხნით, თუნდაც საზარალო ყოფილიყო, ზოგიერთ, ძალიან საჭირო საქონლისთვის ფასი დაეკლო. კონსტანტინე დავთანხმა, და ამ ბერხმა სასურველი ნაყოფი გამოიღო: ექვსი თვის შემდეგ კონკურენტებმა ტომბაშვილს მეტოქეობა ველარ გაუწიეს, დარჩენილი საქონელი მიყიდ-მოყიდეს და ბედის საქებნელად ბათუმისკენ გაემგზავრნენ.

კონსტანტინე დიდად კმაყოფილი დარჩა ფარნას უნარით, ცხრამეტი წლის ყმაწვილს ოცდახუთი თუმანი დაუნიშნა და პირველი დახლიდრობაც ხელწერილით ჩააბარა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ამგვარსავე ნიადაგზე ტომბაშვილს ახალი ვასაჭირი დაადგა. კონსტანტინე ჩვენ ნაცნობ თეიმურაზს შეუამხანაგდა და ერთად სიმინდის ყიდვა დაიწყეს. მაგრამ მათ შორის თითქმის თავშივე უკმა-

ყოფილობა ჩამოვარდა: კონსტანტინე თეიმურაზს უჩიოდა, ხალხო თეიმურაზი — კონსტანტინეს. ასე იყო თუ ისე, მათი ამხანაგობა ჩაიშალა. ეს არაფერი, მაგრამ მაგარი ის იყო, რომ კონსტანტინე ერთ ბერძენს ვაჭარს ვაჭარობდა: ნახევარი წლის განმავლობაში ორმოცი ათასი ფუთი სიმინდი სწრაფად ჩაებარებინა. ბერძენი ფასს რიგიანს იძლეოდა, მხოლოდ თუ დროზე ვერ შეასრულებდა და ვადას გადააცილებდა, ბერძნის სასარგებლოდ ასი თუმანი ჯარიმა უნდა გადაეხადა. პირობა კონსტანტინეს სახელზე იყო და მისგანვე ხელმოწერილი. თხუთმეტი ათასი ფუთი, როგორც იყო, იყიდა თეიმურაზმა და აეშალენ კიდეც ერთმანეთს. სამი თვე უკვე გასულიყო. ვადა ახლოვდებოდა, სიმინდი კი სანახევროდაც არა ჰქონდა დამზადებული. საიმედო და გამოცდილი არავენ ეგულებოდა, რომ საქმეში დანდობოდა. ახალი ასი თუმნის დაკარგვა კარზე იყო მომდგარი. ამ კრიტიკულ დროსაც სამსახურის გაწევას ახალგაზრდა ფარნა შეჰპირდა.

— რას ამბობ! — გაიკვირვა კონსტანტინემ, როცა ფარნამ ამაზე ლაპარაკი ჩამოუვდო. — შენთვის ეს ჯერ უცნობი საქმეა, ვერ შესძლებ...

— მგონია, საქმე რიგიანად დაეაბოლაყო, — მიუგო ფარნამ, — მხოლოდ ერთი პირობით.

— რა პირობით?

— ნება უნდა მომცე, თუ საჭიროდ დავინახე, სხვები რომ აძლევენ, იმაზე ნახევარი კოპეიკი და ხან ერთი კოპეიკიც შეტი მიეცე ფუთ სიმინდში...

— დიდის სიამოვნებით, ოთხი კოპეიკი მოგება მინც დარჩება. სამი დარჩეს, ბატონო, ოღონდ ჯარიმა გადასახდელი არ გამიხდეს. ცალკე ზარალი და ცალკე სირცხვილი ეს არის. არა შეჯდა მწყერი ხესო, რომ იტყვიან, სწორედ ისე მომივიდა. რა ჩემი საქმე იყო მესიმიდობა? — ნაღვლიანად დაუმატა კონსტანტინემ.

— ფიქრი ნუ გაქვს, გული ისე მეუბნება რაღაც, რომ არ ვიზარალებთ.

— ბიჭო, გავბედო და მოგანდო? — ყოყმანობდა კონსტანტინე.

— როგორც თქვენი ნება იყოს...

ტომბაშვილს სხვა გზა არა ჰქონდა. ყოველი საათის დაყოვნება საზარალო იყო. ამიტომ ფარნა გამოაწყო, საჭირო ფული და ტომრები მისცა და სოფლებისაკენ გაისტუმრა.

ჭაბუკი ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა თან ხუთი ათასი ფუთი სიმინდი ჩამოიტანა.

— ბევრი ლაპარაკი საჭირო არაა, ჩემო ძმაო, — უთხრა კონსტანტინემ, — თუ შენ ამ საქმეს სასურველად დააბოლოე, მოგების ნახევარი ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. შენი წლიური ჯამაგირიც, რა თქმა უნდა, თავის ძალაში დარჩება. შენ მაგიერობას აქ, როგორც იქნება, მე გაეწეე.

— ერთ რამეს კიდეც გთხოვ, — უთხრა ფარნამ, — ჩემი ძმა ივანე უნდა გამატანო. გამოცდილებით ვიცი ახლა, ერთი კაცი ვერ აუვა ასეთ საქმეს. მეორე ვინმე რომ მყოლოდა, მგონი, ორ იმდენსაც ჩამოვიტანდი.

კონსტანტინე ამასაც დასთანხმდა, და მეორე დღესვე ფარნამ და ივანემ თავი ჭყონონაში ამოყვეს.

VII

შვილების მოსვლა ნიკოია თოხტიარიასთვის, დიახ, რომ დღესასწაული იყო. დიდი ხნის ნატვრა თითქმის აუსრულდა. მისი შვილები თუ ნამდვილი

ვაჭრები არ იყვნენ, ბევრი არა უკლდათ-რა. მოხუცს სული ეტრებოდა, უნდოდა სასიქადლო შვილები, მთელ ქვეყანას თუ არა, მაინც დაენახა. ბედზე მეორე დღე კვირა შეხვდა და ნიკოიამაც არ დაეყოფნა, რომ ერთად წირვაზე წასულიყვნენ. ყველანი რიგიანად გამოეწყვნენ. ნიკოიამ შვილების მოტანილი მაღაყელიანი წალები ჩაიცვა, გაიანეც ძმების მიერ ნაყიდ ჩასაცემლ-დასახურში გამოეწყო და ეკლესიისკენ გასწიეს.

ნაწირვეს ხალხი ჩვეულებისამებრ დიდ ცაცხვისკენ გაეშურა. აქ ყოველ ნაწირვეს, დროს მუსაიფში ატარებდნენ.

ცაცხვის ძირას ერთი ფიცარი იყო მიდგმული, რომელიც მღვდლისა და სხვა საპატო პირების დასაჯდომად იყო დანიშნული. დღეს წირვაზე ბასილ მძებრამაც ბრძანდებოდა. ამიტომ ცაცხვის ქვეშ საპატო ადგილი იმან დაიჭირა. სხვა გამოჩენილ აზნაურთაგანი არავინ იყო. ირაკლი მძებრამაც იქ იყო, მაგრამ ისეთი დაფხრეწილი ჩოხა ეცვა, რომ საპატო ადგილას ჯდომა კი არა, მინდორშიაც სულ უკან იმალებოდა, ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ქალები ცალკე იკრიბებოდნენ, მეორე პატარა ცაცხვის ძირში, რომელიც ეკლესიის მეორე გვერდით იდგა. აქაც იყო საპატო ადგილი, რომელზედაც დღეს მარია გამოიჭიმა, ხოლო გვერდით ტასია მოისვა.

ნაწირვეს ივანეს და ფარნას ნათესავეები და მეზობლები სიხარულით მიეგებნენ და აღურსიანად გადაჰკოცნეს.

— რავა დავაყაცებულხარ, ბიჭო, ასე ჩქარა! — მიუჭათინაურა ბასილმაც ფარნას, როცა ცაცხვთან მივიდნენ, — აბა დაბრძანდი! — შესთავაზა საპატო ადგილი.

— გმადლობთ, — ღიმილით მიუგო ფარნამ და სკამის მახლობლად მდებარე დაჯდა.

— არა, არა მერაბის სულიძე, რავა დავაყაცებულა ეს ბიჭი! — ისევე გააგრძელა ბასილმა, როცა ჩიბუხს ცეცხლი მოუკიდა. — აბა, ჩემო ბაბაია, ნიკოია, რა ვიჭირს! ისეთი შვილები მოგესწრენ, რომ...

— მადლობელი, ჩემო ბატონო, — თავმდაბლად მიუგო ნიკოიამ და თან კმაყოფილი თვალებით შვილებს გადახედა.

— ერთი რამე გვიამბეთ ახალმოსულმა ვაჭრებმა.

— ჰო, რა ამბავია ქვეყანაზე? ჩხუბზე რას ამბობენ? ვაჭრობა როგორი გაქვთ? მეტი-რალათ გვინდა თქვენი თავი? — ხმამალა და, ცოტა არ იყოს, ტლანქად დაიძახა ჯგუფად დამსხდარ ხალხის შუაგულიდან ჩვენმა ნაცნობმა ნამამასახლისარმა გიორგიმ.

— მაგათი თავი რად არ გვინდა, შე კაცო? ნეტავ ჩვენ სოფელს მაგათთანა ოცდაათიც გაურია, — შენიშნეს ზოგიერთებმა.

— ის მეც ვიცი, ნუ გეშინია, ვიხუმრე, — გაასწორა გიორგიმ.

— ჰო, მართლა, ერთი ნანდული გვითხარი, თუ კაცი ხარ, სიმინდის ფასი როგორია ფოთში? — ჰკითხა ბასილმა ფარნას.

— აბა, აბა, შენს გარდას! — მოსძახეს აქეთ-იქიდან.

— სამი აბაზია, ბატონო, არც მეტი, არც ნაკლები.

— არა, მართალი სიტყვი! — სიცილით ჩაილაპარაკა ბასილმა.

— პატოსანი სიტყვა!

— რა ვიცი, ფოთში სამ აბაზნახევიარიაო, ჩემი სიძე მოვიდა გუშინწინ, — ხმამალა დაიძახა ერთმა გლეხმა.

— სამი აბაზი და ერთი შაური სენაკში არისო, სასამართლოში ამბობდნენ, — დაიძახა მეორემ.

— როგორ თქვას კაცმა, თორემ ერთი კორი მეც გგებოვინებოდა მორცხვად წარმოსთქვა მესამემ, — ანაკლიაში ოთხი აბაზი არისო...

— სიმინდის ფასი, ჩემო ბატონო, — აუჩქარებლად დაიწყო ფარნამ, როცა მოისმინა სხვადასხვა აზრი ამ საქმეზე — სხვა რასმე არ დავიქადი და სიმინდის მაზანდა კარგად ვიცი, რადგან ამ დროებით ამ საქმეს ვადგივარ. ბევრი ვიყიდე, ბევრიც საყიდელი მაქვს, მაგრამ თქვენ რომ ამბობთ, ამდენი, დამირწმუნებიხართ, ახლა მაზანდა არ არის.

ამ დროს მამა ევთიმე მოვიდა. ყველანი ზეზე წამოდგნენ.

— ნუ შეწუხდებით, ნუ შეწუხდებით, დილა მშვიდობისა! — საზოგადოდ მიესალმა მღვდელი, ბასილს ხელი ჩამოართვა. ფარნას დანახვაზე მხიარულად შეჰკივლა და რამდენჯერმე გადაჰკოცნა.

ფარნამ სიყვარულით მოიკითხა სევერიანე, რომელიც ახლა სადღაც ძასწავლებლობდა, და ევთიმეს მთელი ჯალაბობა.

— ყველანი გვარიანად ვართ, ღვთის იმედით, — მიუგო ევთიმემ. — მაგრამ ჯერ კიდევ ერთობ ბევრი გასაჭირი მაქვს, ოთხი შვილი კიდევ მყავს, ბაბა, გამოსაზრდელი. რიგიანი წინ გაძლოლაა, ბაბა, საჭირო, რიგიანი, — მოწყენით დაუმატა მღვდელმა.

ამ დროს ქალებიც აიშალნენ. მათ დიდი ცაცხვის ახლო უნდა გაეყოლოთ. მთავარსარდალივით მარიკა მოუძლოდათ.

ფარნა საჩქაროდ წამოიჭრა და მარიკას ზრდილობიანად თავი დაუკრა.

— ნანა, შვილო! — პირს მოუფერა მარიკამ. — როგორ დავაყვაცებულხარ... ა, ნანა, ტასია, შენი ნაამხანაგარი, ვერ იცანი? წიგნს რომ ერთად სწავლობდით.

ორთავემ ერთმანეთს ტკბილად გაუცინეს და ხელი ჩამოართვეს. ფარნას სახეზე ალმური მოედვა, ტასიაც ჰარზალივით წამოწითლდა.

— დროა, დრო, წავიდეთ! — სთქვა ბასილმა და ზეზე წამოდგა.

ყველანი აიშალნენ და წასვლა დააპირეს.

— მამ განგებ სიმინდის საყიდლად ხარ წამოსული? — დაეკითხა ბასილი ფარნას როცა გალაქანს მოშორდნენ და გზას დაადგნენ.

— დიახ, ბატონო!

— მეც მაქვს ცოტაოდენი, მაგრამ შენ მეიეთე იქნები და არ მოგყიდი, — ხუმრობით უთხრა ბასილმა.

— რა ვქნათ, ბატონო, ძვირად მყიდველი ვაჭარი კოტრობას არ აცდება, ძვირად გამყიდველი-კი სოვდაგარი გაზღება. ჩვენც კოტრობას სოვდაგრობას ვარჩევთ.

— ოჰო, მამ იათად გინდათ იყიდოთ და ძვირად გაყიდოთ?

— ვაჟრის ადათი ასეთია. მაგრამ შე ამ დროებით ცოტას გავუხვევ: ამ ჩვენ სოფელში მაზნადაზე ორ-ორ კოპეიკს მოუმატებ თითო ფუტ სი-
მინდში.

— კაი დაგემართოს, თუ ასეთ სიკეთეს გვიზამ! — მიუგეს ზოგიერთებმა. — მაგრამ ვაჟრებმა, ბაბაია, სულ მასთე იცით პირ მოფერება. ქილა როგორი გაქვს, ბაბა, ქილა, ჯერ ის გვითხარი? თუ თექვსმეტ ოყიანია, შვილო, მაშინ რა გამოვიდა, შაურიც რომ მოგვიმატო, მაინც მოგებაში იქნები.

— ნუ გეშინიანთ, არ მოგატყუებთ, — სიცილით მიუგო ფარნამ.

— მაშ მოგყიდო, ბიჭო? — ჰკითხა ბასილმა.

— როგორც გენებოთ, ბატონო.

— ფასი?

— ფასი რაც მაზნადაა, შეტს თუ არა, ნაკლებს არ მოგართმევთ, — სიცილით მიუგო ფარნამ — მაგრამ ხვალვე უნდა შეუდგეთ საქმეს, ძალიან მეჩქარება.

— ბატონი ბრძანდები, ხვალვე დავფშენი.

— ბე მოგართვათ, ბატონო?

— ძალიან კარგი იქნება, — კმაყოფილებით მიუგო ბასილმა.

ფარნამ ჯიბიდან დიდი ყვითელი, საკეცი ტყავის საფულე ამოიღო. სქლად ჩაწყობილი ქალაღდის ფული თითით გადაშალა, ერთი ოცდახუთიანა ამოიღო და ბასილს გაუწოდა. ქისა ისევ დაკეცა და შესანახად ჯიბისაკენ წაიღო. ამ დროს მისი თვალები ტასიას მოხვდა. გოგომ რაღაც არაჩვეულებრივად შეხვდა და მეგობრულად გაუცინა.

ფულის დანახვაზე სხვებმაც განაცხადეს სიმინდის გაყიდვის სურვილი და ბევრმა ბე იქვე მიიღო.

მათ უკან, ასე ორმოცი, ორმოცდაათი საყენის სიშორეზე, ორი კაცი მიდიოდა. ეტყობოდათ, არ უნდოდათ სხვებს დასწეოდნენ. ერთი იყო გატინიას შვილი მახაზია, მეორე მისი ცოლის ელისაბედის ძმა, იმავე სოფლის მეზობრები.

გატინია თოხიტარიას ოჯახისათვის ნიკოიას შვილების ასეთი რიხით მოსვლა სწორედ რომ წითელი პარასკევის გათენება იყო და მართლა დიდი თუ პატარა ამ ოჯახში შეწუხებული იყო. დღეს წირვაზე მარტო მახაზია წამოვიდა. ნიკოიას შვილებს, რასაკვირველია, ახლოც არ მიჰყარებია. ცაცხვის ძირშიაც საღაღაც შეუძნეველ ადგილას იჯდა. საერთო ლაპარაკში მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ახლაც თავის ცოლის ძმასთან თავჩაქინდრული მიდიოდა.

— როგორც ვინდა, ისე სთქვი, ძმაო, — უთხრა ცოლის ძმამ, — ივანე და ფარნა კაი ბიჭები გამოვიდნენ. სწორედ არ მოველოდი, რომ ასეთები გამოვიდოდნენ...

— დიახ, ჰმ! — ცივად ამოუშვა სიძემ.

მას მაინც გული შურით ევსებოდა, ცეცხლის ალი ასდოდა. პაულემ წყლის მაგივრად ზედ ნავთი გადაასხა.

— ის დაც რა კარგად გამოუწყევიათ, კინალამ ვერ ვეცხვითად კარგი გოგოა და ნახავ, თუ რიგიან კაცს არ მიათხოვონ.

ეს მეტის-მეტე იყო. გაიანეს სახელის გაგონებაზე მახაზიას სული ყელში მოებჯინა. ელარ მოითმინა და უკმეხად შენიშნა:

— გამოწყობილი კარგია, მაგრამ ვიწრო ორლობებში და ხშირ გვიმრონებში ნამყოფი რა გამოსადეგი იქნება?

— რას ამბობ? — გაიოცა პაულემ.

— მაგის ცხვირის შერცხვენამ, ტყუილს ვამბობ, აი! ნუ გეშინია, არა ერთხელ წოლილა ორლობეში და გვიმრონებში...

— რას მეუბნები? — ყურები სცქვიტა პაულემ.

მახაზიამ საიდუმლო ვერ შეინახა და რაც იცოდა, უამბო. არათუ უამბო, ივანეს და ფარნას ჩამოსვლით გულმოსულმა ორი-სამი ტყუილიც დაუმატა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ლონის კავშირები

სათაურო ლექსებიდან

მოვედი შენთან ღამის მთვეელი,
რას დამაფიწყებ, რას გამახსენებ?
როგორც სიზმარი აუხდენელი,
ლურჯი ზღვისპირი აღარ მასვენებს.

შენი ხელების სიტბოში თვლემდა
მოკრძალებული კოცნა ფარული.
ვოლგის ვაჟკაცებს მოაქროლებდა
მუხის ნიჩბების ფართო მხარული.

მიადგენ ნაპირს. უკვე შებინდდა.
თეთრი აფრები ნისლმა შებურა —
და ამოცვივდნენ ქარქაშებიდან
ორტარა ხმლები ელვისებურად.

წვიმდა და წვიმდა კოკისპირულად,
არეულიყო ელვა და ხმალი.
შირაზის ვარდო, ბევრმა გმირულად
ზღვისპირად შენთვის დახუჭა თვალი.

შენ დაგაჯყვევებს. ბრძოლა მინელდა.
შენ თბილ ნაკვალევს კოცნით ვაესებდი.
შენ ტყვეობაში მიგაცილებდა
ყველა ვარსკვლავი შენი სპარსეთის.

ისევ მოვედი ღამის მთვეელი,
გამოსალმების სიტყვა გაისმის...
როგორც სიზმარი აუხდენელი,
შენ მიგაცილებს ჩემი მაისი.

სთარგმნა უკრაინულიდან

კონ. ლოკოტიშანიძემ.

რობერტ ბერნსი

ლექსები

ჯონ ანდერსონ

ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო,
როცა შენ პირველად გნახე
შენს შუბლს ყორნის ფერი თმა შევნოდა,
შავს წარბს მოეჩრდილა სახე.
ახლა თოვლის ფერად ბრწყინავს შენი თმები,
აღარც ის თვალწარბი გშვენის,
მაგრამ დაილოცოს, ჩემო მეგობარო,
ეგ წმინდა ქალარა შენი!

ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო,
ჩვენ ერთად დავექროდით მთაში,
ბევრი ბედნიერი, ნათელი დღე,
ერთად გავატარეთ მაშინ.
ახლა ჩვენ ძირს მოვალთ... და ერთმანეთს
ხელს რომ ვუჭერთ ღონე-მიხდილს —
ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო,
ასე ერთად შევხვდეთ სიკვდილს!..

აღრეა ჩემი ბათხოვება...

უცხო კაცთან მე ისეთი მხდალი ვარ,
გვერდით როგორ დავუწევები, სერ;
მე ისეთი პაწაწინა ქალი ვარ,
ხომ სირცხვილით დავიწევები, სერ;

მე ისეთი პატარა ვარ,
მე ისეთი პატარა ვარ ჯერ, —
მე რომ დედას მომაშორათ —
ცოდვა არის, აღრე არის, სერ;

დედამ კაბა შემიკერა ლამაზი,
წითელ-ყვითელ საკინძვებით, სერ;
ხომ დაკმუჭნით, ხომ წახდება სამოსი,
თქვენ რომ გვერდით დავიწევებით, სერ;

შემოდგომის უქმე უკვე გავიდა,
გრძელი არის ზამთრის ღამე, სერ;
მე იმ ღამეს სხვასთან როგორ ავიტან,
არ მეყოფა სითამამე, სერ;



აგერ ქარშიც ამოჰყარა ფიფქები,
ფოთოლიც კი არ სჩანს შწვანე, სერ;
გაზაფხულზე უფრო დიდი ვიქნები,
მოდი, მაშინ წამიყვანე, სერ.

ეს ჩემს კარებთან ვინ არის ნეტავ...

ეს ჩემს კარებთან ვინ არის ნეტავ?
— ვინ უნდა იყოს, თუ არ ფინდლელი;
შენ აქ ვის ეძებ, რა გინდა ჩემთან?
— შენ თვით მინდიხარ, ამბობს ფინდლელი;
ასე ქურდულად რათ დახვალ ღამე?
— თითონ შეიტყობ, ამბობს ფინდლელი;
ალბად გულში გაქვს შენ ცუდი რამე
— კიდევ ჩავიდენ, ამბობს ფინდლელი;
მე თუ შენ ახლა შიგ შემოგიშვი...
— თითონ შემოვალ, ამბობს ფინდლელი;
არ მომასვენებ შენ ჩემს ლოგინში...
— არ მოგასვენებ, ამბობს ფინდლელი;
მე რომ შენ ახლა კარი გაგიღო...
— ადე, გამიღე, ამბობს ფინდლელი;
შენ ხომ დილაძე არჩევ აქ იყო
— დიახ, ვიქნები, ამბობს ფინდლელი;
მე რომ შენ ახლა ჩემთან დაგტოვო...
— თითონ დავრჩები, ამბობს ფინდლელი;
შენ ხომ სხვა დროსაც შესძლებ გზა ჰპოვო...
— სხვა დროსაც შევძლებ, ამბობს ფინდლელი;
მაშ კარგი, მაგრამ რაც არ უნდა ვქნათ...
— უთუოდ ვიზამთ, ამბობს ფინდლელი;
შენ საშარემდის არსად უნდა თქვა
— არსად არ ვიტყვი, ამბობს ფინდლელი...

პატიოსანი სიღარიბე

ვინც პატიოსან სიღარიბიდან
სირცხვილს ელის და ნაღველს ატარებს
მე მას გვერდს ვუვლი; იგი ბრწყინი და
მხდელი ყოფილა, მაშასადამე
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის,

თუმც მძიმედ ვშრომობთ ჩვენ დღე და ღამე —
მდიდარს ოქრო აქვს, ჩვენ კი თითონ ვართ
ოქრო ბიჭები, მაშასადამე.



რა ვუყოთ, ჩვენ თუ მდიდრულად არ ვკამთ
და უხეშ ხამის სამოსს ვატარებთ,
ბრიყვს ვერ გამოსცვლის ღვინო და ფარჩა —
საქმე კაცია, მაშასადამე
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის,
აქ არის ყველა სიბრძნის სათავე:
ალალი კაცი, თუნდაც ღარიბი,
სოფლის მეფეა მაშასადამე.

შეხედეთ ამ ლორდს — ზოგს მისი სჯერა,
რადგან ის ჯვრებს და მედლებს ატარებს,
ისიც ზევიდან დასცქერის ყველას —
ბრიყვია იგი, მაშასადამე
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის,
მისი ვარსკვლავი, ჯვრები, სათვალე —
თავისუფალ და ჰკვიან კაცისთვის
სასაცილოა მაშასადამე.

მეფემ რაინდათ იქნებ გაქციოს,
კაცი ლორდათაც მყის შეიცვლება,
პატიოსნებას რომ მიაღწიო
ეს კი ბრძანებით არ შეიძლება.
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის,
ბევრი კარგ ხარისხს ყალბად ატარებს:
კარგი ხარისხი ჰკუთვნება
და სიმტკიცეა, მაშასადამე.

მაშ ჩვენც ვითხოვთ თავდავიწყებით —
მეც ამ სიმღერას ასე ვათავებ —
ვითხოვთ, ქვეყნად ნიჭს და ღირსებას
რომ სცენ პატივი, მაშასადამე,
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის,
დაღება ის ღროც, ვატყობ ცხადად მე,
დაღება ის ღროც, როცა ყველანი
ძმები ვიქნებით მაშასადამე.

3. ნატროსვილი

კარლო კალაძის პოეზია

შეუძლებელია გავიგოთ და შევაფასოთ კარლო კალაძის შემოქმედება იმ ეპოქისა და დროის გარეშე, რომელმაც ის წარმოშვა. ეს იმიტომ, რომ მისი პოეზია იზრდებოდა და ვითარდებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მძაფრი და წარმატებითი გარდაქმნის საფუძველზე. პოეტის შემოქმედება თავისი განვითარების ეტაპებზე გამოხატავდა, — ხან ნათლად და ხან მკრთალად, — ჩვენი ქვეყნის ახალი ისტორიის ცალკე ეპიზოდებს, ეპოქის სულიერი ვითარების გარდამტეხ მომენტებს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ სჩანს ახლა, — კ. კალაძის უკანასკნელი წიგნის — რჩეული ლექსებისა და პოემების — გამოცემის შემდეგ. „ამ წიგნით — სწერს ავტორი ბოლოსიტყვაობაში — მსურდა ერთად შემეკრიბა ოცი წელი, — ჩემს მიერ გავლილი ცხრაას ოციდან ათას ცხრაას ორმოც წლამდე“. და მართლაც ეს წიგნი გვიჩვენებს მწერლის შემოქმედებით ევოლუციას ყრმობის პირველი ლექსებიდან პოეტური დეაფეკაციების წლებამდე.

მთავარი ის არის, რომ ამ ევოლუციაში სჩანს განვითარების ლოლიკა, სჩანს როგორ მიდიოდა პოეტი საფეხურიდან საფეხურამდე, როგორ იზრდებოდა და იკვლევდა გზას.

რთულია და ძნელი ეს გზა და ამით აიხსნება ის ცალკეული უკანდახევანი, ის სულიერი კრიზისის მომენტები, რომელნიც კ. კალაძის შემოქმედებაში უმთავრესად ეპიზოდურ ხასიათს ატარებდნენ. როგორც მთელ საბჭოთა პოეზიას, ისე კ. კალაძესაც, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ლიტერატურის ჯერ კიდევ უფალ გზებზე უნდა ევლო და, როგორც ყოველთვის ლიტერატურის ისტორიაში დიდი ეპოქების დაწყების დროს, ისე ახლაც. მრავალი ახალი ტრადიციის შექმნა იყო საჭირო და მრავალი ძველი ტრადიციის დაძლევა. ერთი ასეთი ტრადიციათაგანი იყო წინააღმდეგობა „მოქალაქეობრივ პოეზიას“ და „წმინდა ლირიკას“ შორის; საჭირო იყო საქმით დამარცხება იმ თვალსაზრისისა, რომელიც გულისხმობდა თითქოს შეუძლებელი ყოფილიყო შეთავსება მშვენიერებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეებისა, თითქოს ლირიკა თავისი ინტიმური მსოფლშეგრძნობით, თავისი ყვავილებით, ფერებითა და ხმებით ეს სრულიად იზოლირებული და ცალკე ქვეყანა იყოს და მოქალაქეობრივი ბრძოლის, მაღალი პოლიტიკური იდეების სფეროსაგან მას მთელი უფსკრული აშორებდეს. საჭირო იყო დამკვიდრება იმ ახალი სოციალისტური ლირიკისა, რომლისთვისაც ორგანული და ბუნებრივი იქნებოდა მოეხდინა სინამდვილის, ადამიანის სულიერი განცდის ნათელი რეპროდუქტირება, ისე, რომ ერთი და განუყოფელი სიცოცხლის ჰარმონიაში მოექცია, შეეთავსებინა, უკეთ ვსთქვათ გაეერთიანებინა ყველა გამოვ-

ლენა ადამიანური ინტერესისა, ყველა ელემენტი კაცის გულსსთქმისა; შესძლებდა ლირიკის თემად ექცია მრისხანე ბრძოლის პათოსი, პოლიტიკური ყოველდღიურობა და მეორეს მხრივ ამ ლირიკაში არ ჩამჭრათლიყო არ გაფერმკრთალებულიყო სიყვარულისა თუ ბუნების რომანტიკვ.

ლირიკა უნდა დარჩენილიყო მაღალ ხელოვნებად, მაგრამ უნდა ვასცილებოდა თავის ვიწრო ინდივიდუალისტურ (და არა ინდივიდუალურ) საზღვრებს. სწორედ ეს პრობლემა დააყენა კალაძემ თავის ლექსში „ერთი საუბარი“, რომელშიაც პოეტი ცდილობდა ახალი ლირიკის ბუნების განსაზღვრა მოეცა. ეს ლექსი, რომელიც დაწერილი იყო, როგორც საუბარი ვლ. მაიაკოვსკისთან, გამოსთქვამდა შემდეგ თვალსაზრისს: სჯობია ჩაქოლვა გულისა თუ მას მარტო ვარდებზე გალობა შეუძლია, თუ მისი ხმა მარტო შინ არის საამო, ომის ველზე კი ჩაქრება და ჩაჩუმდება და ბრძოლაში შემკრთალ მემომარს ისევ სიმამაცეს და თავგანწირულებას ვერ დაუბრუნებს.

ახალი პოეზია უნდა იყოს ისეთი ხელოვნება, რომელსაც „ხალისის შენებაც“ შეეძლება და ჭანსალი სიცოცხლის დიდებაც. ეს არის ფსიქოლოგიურად უმდიდრესი პოეზია, რომელიც იბადება ადამიანური ვნებების და გრძნობების განახლების ცხარე ბრძოლაში. ბუნებრივია, რომ აქ, კ. კალაძის ხსენებული ლექსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, ხშირად საჭირო ხდებოდა „ხმის ჩახშობა საკუთარ ყელშივე“. საინტერესოა, რომ უფრო გვიან, თითქმის სამი წლის შემდეგ რევოლუციის გენიალურმა პოეტმა ვლ. მაიაკოვსკიმ თავის ლექსში — „მთელი ხმით“ — ამავე სიტყვებით გამოხატა ეს ბრძოლა ახალი ხელოვნებისათვის («Но я себя смирял, становясь на горло собственной песне»)

ეს არ არის შემთხვევითი შეხვედრა. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ახალი სოციალისტური ხელოვნება თავის თავად და უცხად არ მოსულა როგორც წვიმა გაზაფხულზე. მან დაიმკვიდრა ეპოქალური ხელოვნების უფლება პოეზიის მდიდარი ტრადიციების გადაფასების, ხანგრძლივი ძიების, შინაგანი შემოქმედებითი ბრძოლის პროცესში. ამ გზით გახდა ახალი პოეზია ნამდვილი ინციენერი ახალი ადამიანის სულისა.

კ. კალაძემ ამ მხრივ მთელი გავლილი წლების მანძილზე დაიმკვიდრა უფლება ყოფილიყო ახალი პოეზიის ოსტატთა იმ წყებაში, რომელნიც პრინციპიალურად ახალსა ჰქმნიდნენ. პოეტმა დასძლია ეს ამოცანა იმიტომ, რომ ის ახალი ეპოქის, ახალი ადამიანის სულის ფორმირების პროცესთან განუყრელი იყო და არის. ის, როგორც პოეტი, დიდადა ახალ ქვეყანასთან ერთად. ამ ფაქტმა მთლიანად განსაზღვრა მისი პოეტური მსოფლმხედველობა, განამტკიცა მის შემოქმედებაში ცხოვრების ის ძლევეამოსილი ოპტიმიზმი, რომელიც ძალას აძლევს საბჭოთა ლიტერატურას. სოციალისტურმა რევოლუციამ მთელი საბჭოთა პოეზიის ოსტატების შემოქმედებას განუსაზღვრელი სარბიელი გადაუშალა. ოდესღაც ილია ჭავჭავაძე სწორედ ამ საკაცობრიო გაზაფხულსა ნატრობდა და აღნიშნავდა თუ რა ძლიერად აამაღლებდა და აყვავებდა ეს გაზაფხული ადამიანურ აზრსაც. გამაცოცხლებელია „პირველი ქროლა გაზაფხულის პირველი დილისა — ამბობდა ის — მაშინ ცა და ქვეყანა ერთი-ერთმანეთს შეხვარიან; უფრო მაცოცხლებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა — ეგ ახლად დაბადებული ყრმისა... გული სხვარივად სცემს, როცა დედამიწაზე ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახს

და უფრო სხვარიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოკუთვს ბრწყინვალე ყვავილი ახალი აზრისა“. 1)

ნაწილებული

ეს სასიცოცხლო ოპტიმიზმი ცხადია ძალათი არ მოიხმობს და ეჭვით მარტო ფორმალური ხერხების ძეხვით იპოვნება. მისით, როგორც სასიცოცხლო საწყისით, თავიდანვე უნდა იყოს გამსჭვალული პოეტის არსება. ის თვითონ პოეტურ ბუნებაშია ორგანიულად ჩაქსოვილი, მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა მას ლიტერატურული ძალა და გამძლეობა. ეს ოპტიმიზმი მხოლოდ მაშინაა ძლიერი, როცა მისით გამსჭვალულია პოეტური შემეცნება რეალური სინამდვილისა, როცა ის სჩანს ასახვაში იმ ემპირიული და ფსიქოლოგიური ქვეყნისა, რომელიც პოეტის ხილვის სფეროში მოქცეულა. ამ შემეცნების და განცდის სიღრმის მიხედვით გაიზომება ხარისხი ხელოვნური ნაწარმოებისა; რაც უფრო ღრმად შეჭრილა ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა პოეტის გულში, რაც უფრო მეტად აუღელვებია მას პოეტის სული, — მით უფრო ნამდვილ და ჭეშმარიტად ლამაზ სახეებში გამოიკვეთება ესა თუ ის სახე ადამიანთა ყოფნისა, რაც უფრო ნათელია ფანტაზია მწერლისა, მით უფრო მრავალფერადოვანია და სრულყოფასთან ახლოა ის ქვეყანა, რომელსაც მისი მხატვრული ქმნილებანი წარმოგვიდგენენ.

ეს ძალაა მთავარი და არა ის ყალბი პათეტიურობა, რომელიც მარტოდენ დაფ-ნალარის ხმას გამოსცემს, რომელიც თემას და მოვლენას გარეგნულად შემოსავს სადღესასწაულო იერიით, რომლისთვისაც ოპტიმიზმი მარტო ბრჭყვიალა იარაღი და დეკლარაციაა. და ვერ ამჩნევს თვით ცხოვრების შინაგან სიდიადეს და ძალუმად ფეთქვას სასიცოცხლო ძარღვისას. აი სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იგრძნობოდეს პოეზიაში, თუნდაც ის ერთის შეხედვით უჩინარი იყოს, როგორც მიწისქვეშა მდინარე, რომელიც თვალთ არა სჩანს, მაგრამ ველებსაც ამწვანებს, ყვავილებსაც ზრდის, ბუნებას აყვავებს. ის არა სჩანს მაგრამ მაინც მისით სავსეა ბუნება.

ამის გარეშე, ეპოქასთან და დროსთან ასეთი ორგანული სიახლოვის გარეშე პოეტური აქტუალობა ყოველთვის მოჩვენებითი და ეფემერული იქნება.

კ. კალაძის პოეზიის მთავარ თვისებად ამ მხრივ უნდა მივიჩნიოთ ის ოპტიმიზმი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია საბჭოთა ეპოქისათვის. ეს არის ძირითადი სტრქია პოეტისა, ის ცხოველი იმპულსი, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში ძალას აძლევს და ფრთებს ასხამს პოეტის შემოქმედებითი ფანტაზიას.

ეს სიცოცხლის ძალა და ოპტიმიზმი პოეტის პირველსავე ლექსებში გამოჩნდა. „მუხა და ქარიშხალში“, რომელიც ცხრაას ოცდაერთი წლით — საბჭოთა საქართველოს დაბადების წლით არის დათარიღებული — ასახულია სწორედ ეს პროცესი სიცოცხლის მუდმივობისა და ზეიმისა.

პოეტი ამ ლექსში — გადმოგვცემდა რა მუხის დაცემას უღრან ტყეში — სწერდა:

„მაგრამ ფსევებზე დარჩენილი ჩვილი ყლორტები
მეტის ხალსით გაიფურჩქნენ ... და გაიხარეს!
მზეს არ უბნელებთ დაბერებულ ტოტების ჩრდილი
ფოთოლთ შრიალთ შეხზარაიან სამშობლო მზარეს“.

1) ილია ჭავჭავაძე — ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 67.

ბუნებრივია, რომ ჩვენი ქვეყნის განახლების გარიჟრაჟზე პოეტი სწორედ ამ სიცოცხლის ახალი ყლორტების დაბადებაზე ლაპარაკობს. ეს პოეტური სახე კვლავ არა ერთხელ იჩენს თავს კალაძის შემოქმედებით. მან თითქოს სიცოცხლის დიდებულ სიმბოლოდ აქცია, გამახვილებულმა აღლომ მისცა პოეტს უნარი უფრო მძაფრად ეგრძნო და განეცადა სიყვარული სამშობლოსი და მიწისა, ბუნებისა და სიცოცხლისა. აღმოსავლურ რუბაებში არის ერთი ლექსი — „მუხის ტოტები“. პოეტი სწერს ვეება მუხის შესახებ, რომლის ფესვებთან წინაპართა მოღლილი ძვლებია დამარხული და რომლის ტანმალალ ტოტებში წინაპართა სისხლი სჩქედს, თითქოს ბუნებაც საესეა ჩვენი ქვეყნის წარსულით და ამ ბუნების სიცოცხლის ძლიერება კაცთა ძლიერებაც არის. ამის შემდეგ უაღრესად ადამიანურია პოეტის მიმართვა ხისადმი:

„ — შენ ჩემი მოდგმის ხორცილ ხარ ნაზარდი,
ჩვენ ღვიძლი ძმები ვართ, ეხარობ რომ გიყურებ!
მუხაო, შენს ფესვებს ვერ მოთბრის გრიგალი,
და თუ მანდ დამმარტეს ცოცხალი მიგულე“.

პოეტის ოპტიმიზმი სამშობლოსა და ხალხის ოპტიმიზმია, მისი უძლეველობის რწმენაა.

ამავე პათოსითაა აღსავეს „მხედრული“:

„სტალინის დროშა გავშალოთ,
ერთად დაეძახოთ მხედრული! —
შემოკრბეს ათასეულად
ჩვენი სამშობლოს ერთგული...
ქედზე ამოდის ლაშქარი,
და უფრო შორს ვიხედებით!
დარჩა ხევი და ლაშარი
ამოქოლვილი ქედებით...
ყოველი ტალღა მდინარის
გულგაფრენილი ორბია! —
მთების დაპობილ მკერდებში
ნიაღვარებად მორბიან —
მშობლიურ მიწის ხორციდან
ჩვენც ხომ ვართ გამოძერწული,
და თბილი სისხლით მდინარის
ზეირთებზე გამაფრებულნი...
მტერმა დაშნით ვერ ამოსჭრა
გმირთა გულების ყრებული,
მთების ხასიათს შევიღვივით
შეზრდილი შეზორცებული!
და ჩვენს დაჩეხილ გვაშებზე
ქუსლით ვერ გადაიაროს, —
სანამ დგას კავკასიონი
არაგვი-არაგვიანობს!
და სანამ მხედრულ სიმღერას
მის წიაღიდან არ აღგვის,
ძმად შეფიცულნი მოვიდევართ,
როგორც ზეირთები არაგვის“.

არაგვის ზეირთები და ტანმალალი მუხის ფესვები აქ გააზრებულია როგორც სიმძლავრე და დაუდგრომლობა სიცოცხლისა. ეს სიცოცხლე მულამ

მოძრავი, მოუსვენარი, გრძნობიერი და შთაბეჭდილებიანია. კ. კალაძეს აქვს ერთი ფრიად დამახასიათებელი ლექსი — „შენ მოგწონს ტანად მაღალი ფიჭვი“, რომელიც სრულიად თავისებურია თანამედროვე პოეზიაში. მისი სტილისა და ღრმა გააზრების მხრივ. ამ ლექსში პოეტი სწერს:

„შენ მოგწონს ტანად მაღალი ფიჭვი,
მაღალი მხრები, აჩრდილი ზემოდ! —
სჯობს-კი ყოველთვის უცქირდე იჭვით
მის დაუტყნობელ სიმწვანეს, ჩემო.
მარად შემკრთალი და მარად მწვანე
წამით ზამთარშიც თუ მოვიგონოთ, —
წიწვები მისი ჰგავს, გენაცვალე,
ქალთა შეღებულ წამწამებს მხოლოდ“.

და როცა პოეტი შემდეგ ლაპარაკობს მოშრიალე ჰადარზე, რომლისთვისაც „ხეთა განაბულის სულისთქმა“ უცხოა, რომელსაც ვაქცავით ეცვლება ფერი, როცა გაზაფხულს ეშვებოდება, რომ მეორე გაზაფხულზე ისევ დიმილით და შრიალით მიეგებოს მაცოცხლებელ შუქსა და თინათინს, ჩვენ ვგრძნობთ აქ დაახლოვებით იგივე მსოფლშეგრძნობა და გააზრება, რაც ილია ჭავჭავაძემ თავის „მგზავრის წერილებში“ გამოსთქვა, როცა მყინვარსა და თერგს ერთიმეორეს ადარებდა. ამ ლექსებში ნაპოვნია ის მძლავრი სუნთქვა და მაჯისცემა, რომელიც ყველა ამას აერთიანებს და ამოძრავებს. ამის შემდეგ, ამ საფუძველის პოეზის შემდეგ, ლექსი მართლაც იწყებს სიცოცხლეს, მაშინ სტრიქონში მართლაც ისმის რიტმი განახლებული ქვეყნისა, ისმის როგორც ცხოვრების შინაგანი ძლევაგამოსილება.

სწორედ ეს არის ახლებური შემეცნება ქვეყნისა.

მაგრამ ამ სიცოცხლის ძალას პოეტი როდი გამოხატავს მარტო როგორც ბიოლოგიურ ინსტიქტს, არა, ის თავის თემას ყოველთვის უფრო ფართოდ იღებს. შთაბერი მის პოეზიაში მოქალაქეობრივი პათოსია, ის პათოსი, რომელიც თანაბარი ძლიერებით ისმის არა მარტო მაშინ, როცა პოეტი ზღვის ტალღების ლელვაზე ან არაგვის ზვირთებზე სწერს, არამედ მაშინაც, როცა ის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თემებს ეხება. მის ლექსებში, სადაც პოეტი ბუნების სურათებს გვადლევს, მკითხველი გრძნობს ზღვის ნათელ სიწყნარეს და ძლევაგამოსილებას, მთების ახოვანებას და მდინარეთა დაუღალავ სრბოლას. მაგრამ პოეტი არასოდეს არ კმაყოფილდება შიშველი, განყენებული პეიზაჟებით; საინტერესოა ამ მხრივ „მთების ეპოსი“. იღეათა და სახეთა ფართო წრეა მასში აღებული; პოეტს უცდია გამოეხატა ბუნება მის ძლევაგამოსილებასა და ბუმბერაზობაში, გამოეხატა მისი სილამაზე და სიუხვე — ცამდე ამაღლებული მთები, რომელთაც ყველა ქვეყნის ქარის ხმა ესმით, ხნიერი მუხნარი, წყლის მიერ წალეკილი და ქვესკნელში ჩაფლული ტყეები ქვანახშირად რომ ქცეულან და „შენახულ ავლა-დიდებას ჰგვანან“, დედამიწა, რომელსაც ფართოდ გადაუშლია თავისი მკერდი, ერთი სიტყვით ბუნების მთელი მაღლი და ბარაქა, — ეს ვრცელი სარბიელი შრომისა.

და პოეტის გაგებით მთელი ეს ბუნება დიადი წიგნია, რომლის ფურცლებსაც ხალხი ბრძოლითა შლის. „როგორც ნაწერი მილიონ ბწყარათ“ გადაშლილან ჩაის ბუჩქები, ვრცელი საძოვრები ცხვრის ფარებს აუცხიათ და მიწის ქვეშ მადარობები ჩაშვებულან. წარსულში ადამიანები ებრძოდნენ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წყობილებას სწორედ იმიტომ, რომ ბუნების ეს სიუხვე ადამიანის კეთილდღეობის წყაროდ გადაქცეულიყო. ამ ბრძოლის პა-

თოსს, მშრომელთა ბრძოლის ენტუზიაზმს პოეტის მშობლიურ რაე-ნანას უკავშირებს, იაე-ნანას, რომელიც ზრდიდა რევოლუციურ ხალხის შთელ თაობებში.

პოეტის შემოქმედებითი ევოლუციის უფრო საინტერესო ეტაპს განმობატავს „ხერთვისის განთიადები“.

ამ ციკლში იგივე მსოფლშეგრძნობა და ოპტიმიზმია, რაც მთების ეპონში, მაგრამ უფრო მკვეთრად და უფრო პოეტურად გადმოცემული.

ლექსების ეს ციკლი წარმოიშვა პოეტის მესხეთსა და ჯავახეთში მოგზაურობის შედეგად. ამ ლექსების შესავალში კალაძე სწერდა: „ვნახე ასპინდა, რუსთავე, ხერთვისი, ხიზაბავრა და ბარალეთი. დღეს აქ თავისუფლად ცხოვრობს მრავალი ეროვნება.“

ზოგნი ეხლაც ესახლებიან.

აღრე კი ომების სარბიელი იყო და დარჩენილან დანგრეული ციხეები, საყდრები, სადაც სამარეებზე ჯვრების მაგიერ ქვის თეთრი ვერძები გამოუქანდაკეებით.“

მას უმოგზაურნია ფარავანისა და საღამოს-ტბის მიდამოებში, უნახავს წარსულის ძეგლები და ყლორტები ახალი სიცოცხლისა.

ორი ეპოქა უპირისპირდება ამ ლექსებში ერთი მეორეს: მრავალსაუკუნოვანი წარსული, რომელსაც ვადაძეწვარი ხრიოკი დაუტოვებია და მეორეს მხრივ ჩვენი დიდებული აწმყო, რომელსაც ამ კუთხისათვის სიცოცხლე დაუტოვნებია. სიცოცხლის დაბადების ეს დიდი რომანტიკა ქცეულა პოეტის ლექსის შთაგონებად.

სოციალისტური რევოლუციის პირველსავე დღიდან ჩვენს სამშობლოში ყველა ერსა და ხალხს მიეცა აყვავებისა და აღორძინების განუსაზღვრელი შესაძლებლობა. და ამ პირველი დღიდან სწრაფად დაიწყო შეხორცება ყველა ჭრილობამ, რომელიც ხალხებსა და ერებს მიაყენეს წარსულის ომებმა და კლასობრივმა ჩავკრამ. დღეს ყველა ხალხისათვის განხორციელებულია საუკუნეებით ნანატრი ოცნება თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შესახებ.

ამ მიდგომით აშუქებს პოეტი საბჭოთა პატრიოტიზმის თემას, სამშობლო მიწის ღრმა და ყოვლის მომცველი სიყვარულის თემას.

ეს არის „ხერთვისის განთიადების“ ასე ესთქვათ საერთო იდეური კონცეპცია.

ამ ლექსებში ჩვენ კვითხულობთ ქვეყნის ძველ უბედობას და ახალ ბედნიერებას. კვითხულობთ ჩვენს ხალხსა და ჩვენს წარსულზე. პოეტს თავისი ლექსები არ აუჭრელებია ბრჭყვილა ისტორიული სახელებით, მაგრამ როცა მეწამულ ფერის ვადაძეწვარი მიდამოებზე, როცა დარბეულ ხეობაზე გვესაუბრება—ჩვენ წამიერად ვგრძნობთ შორეულ წარსულს, როცა ძველი მესხეთი დასცეს, ვგრძნობთ იმ ვარდასულს, როცა ეს უძველესი კერა ქართული კულტურისა ოსმალთა ვილაეტად აქციეს, სადაც ორ-თულიანი ფაშები დამკვიდრდნენ, რომელთაც ძალით ამოსთხარეს და ამოსწოვეს ცხოვრებას ფესვები. წასულან ეს დრონი, ახალი ფესვები ვადაძეწვლან და ვალაღებულან, წარსულს ჩაბარებია ის დრო, როცა აქ სხვადასხვა ტომის და ერის ხალხი ებრძოდნენ ერთიმეორეს, ახლა ისინი მეგობრულად მხარში უდგანან ერთმანეთს. დამკვიდრებულან პირველი მოსახლენი. პოეტი შემდეგნაირად გადმოგვცემს მათ სულიერ განცდას:



„ვნახე და მთების დღემილში
 გულხარბად ამღვრებულმა,
 შენობის კედლად კლდე მოვკერ
 ისევე სოფელის ახლო.
 ომების შემდეგ — ღარიბი
 მემკვიდრე დავბრუნებულეარ,
 ტალკვესით კერა ავიანთ,
 და ტბის ნაპირად ვსახლობ.
 სამი ზამთარი გასულა
 და ჭერიც აღმა შებოლა, —
 ჩაკეტილია მიწურში
 ეფეკაცის გულის ძგერა.
 მიწურის კარებს ვაივლებ
 და შინ შეტყვივით შემოვა
 ბარალეთელი გოგონა
 მოცქრიალედ და ქერა“.

„ხერთვისის განთიადებში“ პოეტის მიზანი ამ მხარის მარტო აღწერა არ არის. აქ დახატულია საერთოდ სიცოცხლის აყვავების სურათი, ქვის ქალაქების დაბადება, რომელთაც თავიანთი გენიალოგია ათეული წლების წინ ამ პატარა სახლებით დაუწყიათ. ადამიანთან ერთად ხელ-ახლა აღორძინდება მთელი ბუნებაც, ამიტომ ამ ლექსში პეიზაჟი მარტო ფონი კი არ არის, ის მთავარი გმირია ადამიანთან თანაბრად. „მთების მემკვიდრეს“ მოსდევს „კალმანთა ამბავი“, რომელშიაც გამოხატულია ბუნების სიცოცხლის სიყვარული და სტიქიური ძალა მისი უხვი ნაყოფიერებისა, რომელიც ადამიანის კეთილდღეობის ასპარეზად გადაქცეულა. აქ აღწერილია კალმანხი, რომელმაც მეთევზის ბადე გაგლიჯა და ხმელ ბალახში დაეცა. ბავშვივით მკლავებზე გადაიწვეს მას მეთევზე. შემდეგ პოეტი სწერს:

„ოქროსფერ ქვირიის უშველე,
 გაჩენას ნულარ დაუშლი,
 დე მოაშენე თევზი და
 მერე წაილოს წყალმაც.
 ეგ უთვალავი კალმანხი
 საღამოს ტბაში ჩაუშვი,
 რომ ჯავახელი აქებდე
 ქერის პურსა და კალმანს“.

ამავე ლექსებში პოეტი ხსნის ოსტატისა და შემოქმედის პრობლემასაც. შემოქმედებასაც სიცოცხლის იგივე ხალისი, ლავარდებამდე მიწვდენის, ფრთების გაშლის დაუძლეველი მისწრაფება ასულდგმულებს. „ხერთვისის თქმულებაში“ პოეტი აცოცხლებს იმ ადამიანთა სახეებს, რომელნიც წინ უსწრებდნენ თავის დროს და ამის გამო იღუპებოდნენ. ამ ადამიანთა სახელები დაავიწყდა ისტორიას. ისინი მხოლოდ ლეგენდამ შეინახა და ახლა ეს ლეგენდები და ხერთვისის კომპების ჩამონგრეული კედლები-ლა გვაგონებენ მათ არსებობას.

ხერთვისული თქმულება ადამიანის გაფრენაზე, რომელიც ვადმოგვცა კარლო კალამემ არ აიხსნება მარტო ქართულ ნიადაგზე, ის მსოფლიო მითოსია, ის საოცრად ემთხვევა ანტიური საბერძნეთის თქმულებას იკარის სანთლის ფრთების შესახებ; ეს მოწმობს, რომ დასაბამიდან ადამიანის გონებას გაფრენაზე ოცნება არასოდეს არ ასვენებდა. რომ არ მივიღოთ მხედველობაში ამირან დარეჯანის-ძის გააღფრენა მტრის ციხეში ფრინველის საშუალებით.

ბით, ამის გარეშეც არა ერთ თქმულებასა და ზღაპარში ინატრა ადამიანმა სიერციების დაპყრობა.

ხერთვისული თქმულება პოეტის გადმოცემაში მიიწვევს ინტერესს: თავისებურებას და სიახლეს: ის უფრო ტრაგიკულია და ადამიანურია, ის შექმნილია ზღაპრული ელემენტის ჩაურევლად: ეს არის, ასე ვთქვათ, ქართულ რედაქცია მოცარტისა და სალიერის პრობლემისა, რომელიც ძველმა ქართველებმა შეჰქმნეს უფრო ადრე, ვიდრე ეს სახელები მსოფლიოს ჰორიზონტზე გამოჩნდებოდნენ.

სამი ზამთრის განმავლობაში აშენებდნენ ხნიერი ოსტატი და ახალგაზრდა შეგირდი კოშკების ბურჯებს. ახალგაზრდა ზუროთმოძღვრის ხელოვნებამ დაჩრდილა მშვენიება იმ კოშკისა, რომელიც მოხუცმა აავგო. ოსტატმა თავის აღზრდილს კოშკიდან ჩამოსასვლელი გზა გადაუჭრა, მან უცებ არწივის ფრთების მსგავსად ფიცარი გამოსჭრა და გადმოფრინდა, მაგრამ ხელოსნის ჩვეულებისამებრ ხელეჩო დარჩენოდა ქამარში და მიწაზე დაცემისას ხერხემალი დაჰკრა ალესილ რკინას.

ეს თქმულება გამოიყენა პოეტმა ერთის მხრივ ძველი ოსტატების შავი ბედის დასახატავად, ხოლო მეორეს მხრივ მძლავრი პარალელისათვის თანამედროვეობასთან, როცა ოდესღაც მიყრუებულ ახლა კი განახლებულ სოფლების თავზე

„ჭოლგით სვირობს გოგონა
სადმე ღრუბლების პირად“.

პოეტი ეხება რა საბჭოთა მფრინავების ვაჟკაცობასა და ძღვევამოსილებას, კვლავ იგონებს საუკუნეების წინ დაღუპულ ოსტატს და საბჭოთა მფრინავის მისამართით ამბობს:

„ხერთვისიც ნახე, — ხალისი
მას უნდა გავუზიარო:
ვინც ერთხელ ფრთები გაშალა
და არწივობა სურდა“.

ამავე ციკლს ეკუთვნის „უცნობი ქალგაყი და მებადური“. ამ ლექსში თანამედროვეობაა მოცემული, იმდენად წარმტაცი და რომანტიულია ეს თანამედროვეობა, რომ მასთან შედარებით წარსულის ყველა ლეგენდაც კი ჩვეულებრივ პროზად მოგჩვენებათ. ეს ლექსი ასე იწყება:

„ფარვანის ტბაზე მარტო ვარ,
ბადე გავშალე, თენდება;
უსწორმასწოროდ გადასჭრა
შორს ცა და მიწა დაშნამ.
ცას მოსწყდა თეთრი ღრუბელი
აბულის მოს არ ედგება
ტბის ტალღებამდე დაეშვა
და ბალახებში დაშრა“.

აქ ორი სურათია მოცემული: გათენება, როცა უსწორმასწორო ხაზით გამოეყოფა მთებისა და ველების მოხაზულობა ჰორიზონტზე სიბნელეს, და მეორე — პარაშუტის დაშვება, რომელიც თეთრი ღრუბელივით მოსწყდება ცას და ბალახებში დაშრება. ეს ორი არა თანაზომადი მოვლენა უშუალოდ გაერთიანებულია ერთ სახეში.

მჩქეფარე წყაროსავით სცემს და ხმაურობს ახალი ცხოვრება მესხეთში. დაჩრდილულა ყველა ლეგენდები, „ღრუბლებისა და ლეგენდების შალა“ საბჭოთა დროის ახალგაზრდები თავისუფლად დაფრინავენ. ამ ლექსში მთელი პოეტური არსებით შეგრძნობილია თავფარავენელი ჭაბუკების ცხოვრების გაზაფხული.

ასეთები არიან კალაძის ლექსების გმირები წარსულისა და აწმყოს ცხოვრებიდან: წარსულიდან ასეთია ოსტატი, რომლის მადლიან მარჯვენას აქებს პოეტი („როგორც უმცროსმა მოწაფემ, გამოცემაზე და ვაქე“), მწყემსი, რომლის საფლავის მფარველად ისევ გლეხური შრომის სიმბოლო, — ვერძის ქანდაკება დარჩენილა („მთების მემკვიდრე“), ხოლო აწმყოში ლალი და თავისუფალი საბჭოთა ახალგაზრდობა. ამ მძაფრს კონტრასტშია „ხერთვისის განთიადების“ პოეტური და პოლიტიკური სიმახვილე.



თანამედროვე ცხოვრება უაღრესად რთული და მრავალფეროვანია. ამ ცხოვრებას უნდა უმადლოდეს თანამედროვე პოეზია თავისი მდიდარი, ახალი და ღრმა შინაარსისათვის. ის არის ყველაზე დიდი წყარო და სათავე სოციალისტური ოპტიმიზმისა, რომელიც კალაძის შემოქმედების მთავარ თვისებად მივიჩნევთ, მაგრამ ოპტიმიზმი, რომელიც ისტორიულად დასაბუთებული არ არის, რომელიც ახალი კაცობრიობის ლოლიკიდან არ მომდინარეობს, რომელიც სინამდვილის ღრმა ანალიზზე არ არის დაფუძნებული — აუცილებლად იქცევა შიშველ სქემად.

ყარლო კალაძის პოეზიის ღირსება ის არის, რომ მან ეს აზრობრივი სიშიშველე და სქემატურობა თავიდან აიცილია. ამით გახდა ის ნამდვილად და არა პირობითად თანამედროვე. მან დაინახა კონკრეტული არსება ცხოვრებისა და არა მარტო ზოგადი სქემა, სწორედ იმიტომ, რომ გვიჩვენა აზლის გამარჯვება ძველზე. გვიჩვენა ეს გამარჯვება, როგორც დიდი ისტორიული პროცესი. მან იცის, რომ საბჭოთა ადამიანების გამარჯვება მით უფრო დიდია, რაც უფრო მწვავე ბრძოლებით არის ის მოპოებული.

მან იცის, რომ არც ერთი გამარჯვება უბრძოლველად არ მოდის, ამიტომ მან სცადა მოეცა ეს ბრძოლა, ეს ისტორია ჩვენი წინსვლისა, მშფოთვარე და საამაყო წლები, როცა ახალი სოფლის ადამიანები პირველ რიგებში ებრძოდნენ უჩარდიონების კლასს. ცხადია, იყო ცალკეული შეცდომები „უჩარდიონის“ კონცეპციაში, მაგრამ საქმე ისაა, რომ პოეტმა სცადა მოეცა საბჭოთა ადამიანების დიდი ბრძოლის რომანტიკა, სცადა სოციალური კონფლიქტების გამოხატვა. აქ მან სცადა ეჩვენებინა თუ როგორ იმარჯვებდა და იზრდებოდა საკოლმეურნეო ცხოვრების პირველი უჭრედი კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის ქარცეცხლში, როგორ დამარცხდა აშკარა ბრძოლაში უკანასკნელი და ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორული კლასი — კულაკობა.

ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსი, რომელიც შეეცდება ოცდაათიანი წლების მხატვრული ლიტერატურის მიხედვით წარმოიდგინოს სურათი ამ წლების სოფლის კლასობრივი ბრძოლებისა, წარმოადგინოს სურათი ამ ეპოქისა, იმსჯელებს და იაზროვნებს იმ მხატვრული სახეებით, რომლებიც კ. კალაძის „უჩარდიონმა“ და კ. ლორთქიფანიძის „იმერეთმა“ მოგვცა. დიდი

ეტაპი ჩვენი ხალხის ბრძოლისა აწმყოსა და მომავლის წინაშე აღბეჭდილი ამ ორი ნაწარმოებით.

ერთი წუთით გადავხედოთ ლიტერატურის ისტორიას, ^{და} ^{წინა} ^{უბრალოდ}, რა მოსაწყენი იქნებოდა ის, რომ მას მთავარ თემად კონფლიქტები და მწვევე შეჯახებანი არ აეღო! ახალი ლიტერატურაც გამოხატავს კონფლიქტებს, მხოლოდ იმ კარდინალური განსხვავებით, რომ ძველად ყველა კეთილშობილური და მაღალადამიანური, ყველა მოწინავე მარცხით უნდა დამთავრებულიყო, ახლა კი ადამიანის გამარჯვება მტკიცედ და საბოლოოდ უზრუნველყოფილია. ახალი ადამიანი გამარჯვებულია ძველ ქვეყანასთან ბრძოლაში, ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში. ის იმარჯვებს კაპიტალიზმის იმ ნაშთებთან ბრძოლაში, რომელნიც ჭერ კიდევ დარჩენილან ადამიანთა შეგნებაში. იმარჯვებს იმიტომ, რომ დღევანდელ ადამიანს ცხოვრებისა და მოქმედების გზას სტალინური სიბრძნე უნათებს.

დაუცხრომელ შემოქმედებით მუშაობაში გამოჩნდნენ სახეები ადამიანებისა, რომლებშიაც ჩვენი ეპოქის ტიპური თვისებებია განხორციელებული. ეს ადამიანები გამოჰკვეთა თვითონ ეპოქამ. შთაავონა მათ გვირული პათოსი და ქვეყნის გარდაქმნის ბუმბერაზული ძალა.

ახალი ეპოსი, რომელიც ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში დაიბადა, მოწოდებულია სწორედ ამ ეპოქალური ძვრების სრულყოფილი შემეცნებისა და ასახვისათვის. ეპოსის წარმოშობა მარტო ლიტერატურული ქანრების უბრალო ევოლუციის შედეგი არ არის. ის თვითონ ეპოქამ მოითხოვა და მისი განვითარების აუცილებლობა თვითონვე ნათელჰყო, რადგან ეს ქანრი ყველაზე უფრო ფართოა, დამტვეია, ეპოსში პოეტს შეუძლია თვალი საგნისა თუ მოვლენის უკანასკნელ კიდურებამდე მიაწვდინოს.

ეპოსის საკითხთან ერთად იჭრება ჩვენს წინაშე საკითხი სოციალისტური ლიტერატურის ხალხურობისა. დღემდე ამ ცნებას ჩვენში მეტად ყალბად იგებდნენ. ხალხურობა ეგონათ ფოლკლორის პოეტიკის ცალკე მოტივების სტილიზაცია. ეს არის ფორმალისტური გაგება ხალხურობის ცნებისა. ასეთი განმარტოებელი და შემცდარი გაგება ხალხურობისა ახასიათებდა ნაწილობრივ კარლო კალაძესაც. თავის „უჩარდიონში“ მან სცადა ზელმეორედ დაეწერა ცნობილი ხალხური ლექსი „სიზმარი“ („წუხელის სიზმარი ვნახე ნეტად დედავ რაა“) კალაძემ ამ ხალხური ლექსის კომპოზიცია თავის პოემის სიტუეტში შეიტანა, რითაც ნაწარმოების კომპოზიციური თანმიმდევრობა დაარღვია და ადამიანური ვნების გამოხატვის დროს რეალიზმსაც უღალატა. ჩვენ ვგულისხმობთ ფსიქოლოგიურად ყალბ სიტუაციას, რომელსაც ავტორი ჰქმნის იმ ეპიზოდში, სადაც ლალეს სიკვდილია აღწერილი. არაბუნებრივი და არადამაჯერებელია აქ მშობიარე ქალის თვითმკვლელობა. უჩარდიონის მრისხანებაც ამ მომენტში ცოლის მიმართ სავსებით უადგილო და უაზროა.

მაგრამ ჩვენ აქ საკითხს გადავუხვიეთ. დაეუბრუნდეთ ისევ ხალხურობის ცნების გაგებას.

ნამდვილი ხალხურობა, როგორც უძველეს, ისე ახალ ეპოსში ნიშნავს ინდივიდუალური და სახალხო სულის განუყოფელობას. თუ რას ნიშნავდა ძველ ეპოსში ხალხურობა, ეს კარგად განმარტა ფრიდრიხ შპილჰაგენმა. მე-19 საუკუნის დასასრულს ის სწერდა: „უკანასკნელი და უმაღლესი, რაც პომე-როსულ მომღერალს ანსხვავებს თანამედროვე პოეტისაგან და რაც ამ უკანასკნელს განსაკუთრებით უნდა შეეხარბოს — ეს არის ამაყი შეგნება, რომ

ისინი მღერიან მხოლოდ იმის შესახებ, რაც ხალხსა სურს, რის მოსმენითაც არასოდეს არ დაიღლებიან. სასიხარულო, მუდამ მათი აღმავსებელი რწმენა, რომ ყოველი აკორდი აღებული მათ მიერ გამოძახილს იპოვის მათი მსმენელების სულში. რომ იმათი ფიჭვი, გრძნობა და შთაბეჭდილება სხვა ბოლომდე არია გარდა ხალხის ფიჭვისა, გრძნობისა და შთაბეჭდილებისა. ეს იყო ერთიანობა ხალხისა და მომღერალისა“.

ეს ტრადიცია ძველი ეპოსისა ბუნებრივად ცოცხლდება სოციალისტურ ლიტერატურაში, რომელმაც უარპყო ადამიანის გამოყოფა და განმარტოება საკუთარ სულში, უარპყო ყოველივე ნაშთი ბურჟუაზიული ეგოცენტრიზმისა.

კარლო კალაძის მეორე პოემა „ამბავი აქარელ ამხანაგებისა“ არის ნათელი სურათი იმისა, თუ როგორ ებრძვიან საბჭოთა ადამიანები კაპიტალიზმის ნაშთებს არა მარტო ეკონომიკაში, არამედ ადამიანთა შეგნებაშიაც.

ამბავის დასაწყისიდანვე თქვენ თვალში გეცემათ ის დამშვიდებული კილო ბნრობისა, რომელიც უაღრესად დამახასიათებელია ქვეყნის ებიური შემეცნებისათვის:

„მზეა, და პირველად
მარტო მისი დიდების მოქმელი ვარ...
მზემ ჩამავალმა ქვეყნის დარდიც
თან ჩაიყოლა! —
მღეროდა შავი ზღვა, დამე იყო
და არა იყო რა...
და როგორც ყოველი მისი ზვირთი
სტრიქონად გაშლილი,
ამბავიც ლელვამ და ქარიშხალმა
გამოიგონა“.

თბრობის ეს ებიური კილო დაცულია პოემის ბოლომდე, ამიტომ მასში ადამიანები თითქოს გამოკვეთილნი სჩანან. კერძოდ ეს ითქმის მოხუცი მამის და ახალგაზრდა ქალიშვილის შესახებ. მათს ხასიათში, მათს სახეებში იგრძნობა ეპოქა, რომელსაც პირველი პირქუშად ზურგს შეაქცევს, ხოლო მეორე სიხარულით მიესალმება, მეორეს მხრივ აქვე სჩანს მძაფრად შეგრძნობილი ადგილის კოლორიტი. აქ მკაცრად დაცულია ეპოსის ის თვისება, რომელსაც ჰეგელი „გარეგანის გარკვეულ თვალსაჩინოებას“ უწოდებდა. დაცულია ისე, რომ გარეგან მხარეს, იმ ფონს, რომელზედაც გმირები მოქმედობენ, დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ ქვეყანა გამოსახულია და განხორციელებულია ადამიანთან ინტიმურ კავშირში. მათში ჰეგელის სიტყვებით რომ ვსთქვათ, სჩანს „დაფარული ჰარმონია“ და „ორივე მხარის შეხმატბილებული თანხმობა, რომელიც მათ ერთ მთლიანობაში აერთიანებს“. გერმანელმა ფილოსოფოსმა ამ თავისი დებულების საილუსტრაციოდ არაბეთის მკვიდრთა ცხოვრების მავალით მოიყვანა. არაბი ერთ მთლიან შეადგენს თავის ბუნებასთან ერთად — ამბობდა ის — და მხოლოდ თავისი ცით, თავისი ვარსკლავებით, თავისი მხურვალე, ტიალი უდაბნოებით, თავისი კარვებით და ცხენებით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რადგან სწორედ ამ ჰავაზე, ამ ადგილზე გრძნობს ის თავს მყუდროდ.

და ამავე დროს ეპოსი იცავს რა ადგილის კოლორიტს — ეთნოგრაფიული ჩარჩოებით არ იზღუდავს თავს, კონკრეტულ ადამიანში ის ზოგად ადამიანს გვიჩვენებს. ეპოსის ამ ორივე მოთხოვნილებას კალაძის პოემა კარგად

იცავს. ვგრძნობთ, რომ მასში ზღვის ნაპირისა და შთის ადამიანები მოქმედობენ და იმავე დროს ეს ჩვენი ეპოქის ადამიანები არიან — მარტო აპარტეიდები კი არა, განზოგადოებულნი, საყოველთაოანი, მხოლოდ უფრო უკონკრეტო გვეჩვენებიათ ისინი იმიტომ, რომ კონკრეტულ გარემოცვაში მოქმედობენ და იმავე დროს ზოგადნიშნულისაგან მოწყვეტილნი არ არიან.

პოეტის შემოქმედების რთული მხატვრული კომპლექსი ორგანიულად ამოზრდილია ქართული ნაციონალური ცხოვრების საფუძვლებიდან და არა მარტო ეპოსში, არამედ ლირიკაშიც ინარჩუნებს პოეტი ამ თვისებას. ეს კოლორიტულობა კალაძის ლექსში იქამდე თვალსაჩინოდ საგრძნობია, რომ პოეტი ხშირად ლირიკისათვის უხეშ და დაუყოლიებელ მასალასაც ადვილად იმორჩილებს. ამის ნათელი მაგალითია „იმერული მოთხრობა“. ეს მართლაც მთელი მოთხრობაა გლეხურ ყოფაცხოვრებაზე. ფერწერის ენით რომ ვთქვათ ეს საუცხოვო ქანრული სურათია, რომელშიაც მოსჩანს ზეობა შებინდებისას, გლეხის ოდა, რომელშიაც მოწაფეებს ჩასძინებიათ და სასთუმალთან ჩანთები უქიდიათ, ოდა, რომელშიაც დაცქრიალებენ გლეხის შავთვალა ქალიშვილი და რძალი, მოხუცი კი ზის ჭურბთან გრძელი ყალიონით.

უბრალო, ყოფითი პროზაიზმები ამ ლექსში გადადნობილია მომხიბვლელ და ხალისიან ლირიკად.

ეს კოლორიტულობა ყურადღებას იქცევს „უჩარდიონშიც“.

კ. კალაძის „რომანი ლექსად“ არის მომდევნო და უფრო მაღალი საფეხური იმ ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა, რომელსაც პოეტი ახალი ეპოსის დარგში მთელი წლების განმავლობაში აწარმოებდა. მაგრამ ამ ნაწარმოების შესახებ ლაპარაკი ჭერ ადრეა, რადგან რომანის მხოლოდ პირველი თავებია გამოქვეყნებული. აქ ჭერ მხოლოდ შევდივართ მოქმედების ვრცელ არენაზე და გმირები მხოლოდ პირველად ჩნდებიან.

ფორმირება რეალისტური სტილისა და ძიება ნათელი, იმავე დროს აზრიანი ხელოვნებისა კარლო კალაძის შემოქმედებაში მით უფრო საინტერესოა, რომ იგი გამოხატავს რეალური ქვეყნის პლასტიური და სავნობრივი ასახვის დამკვიდრებას ჩვენს ლიტერატურაში, — ამ ახლებურმა ლირიკამ შესცვალა ჩვენს ლიტერატურაში განწყობილებათა პოეზია, რომელიც მარტო შთაბეჭდილებათა და მოგონებათა ფსიქოლოგიურ კოორდინაციაზე იყო დაფუძნებული. ამ უქანასკნელში აზრი განსჭერტითი იყო, ფანტაზია, — უსხეულო, სურათსა და ხშირად აზრსაც მუსიკალობა სცვლიდა.

ახალ პოეზიაში კი ლირიულობასთან ერთად თვალსაჩინოდ გამოსჭვივის პლასტიური მსოფლშეგრძნობა. სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი პრინციპების დადგენის პროცესში ნათელი გახდა ამ ტრადიციის — კლასიკური რეალიზმის პოეზიის ტრადიციის — განახლების აუცილებლობა, ეს იმიტომ, რომ ახლა პოეტისათვის საჭიროა ინტელექტუალური გაზომვა მოვლენისა, ისტორიისა და აწმყოსი და არა მარტო წმინდა ემოციურობა, საჭიროა პოეტური შემეცნება სამყაროსი ისე, რომ ინტელექტუალური უშუალოდ გადადიოდეს ემოციურში.

ამ მხრივ ახალი პოეზიის გზის გაკვლევა კალაძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიწყო. ღრმა აზრიანი ხელოვნებისათვის ბრძოლა მხატვრულ სფერო-

როშიც რაღაც თავისებურ ცვლილებებს მოითხოვდა, მოითხოვდა პოეტური თვალთახედვის ახალი პრინციპის, სახეების ახალი სისტემის მოძებნას და მხატვრულად გამართლებას. ეს ძიება მხატვრულ სფეროში კალაძემ დაიწყო სხვათა შორის იმითაც, რომ სცადა გამოეყენებინა ტრადიციები აღმოსავლური პოეზიისა. მკითხველს კარგად ახსოვს მისი რუბაეები, რომლებშიაც ჩანდა პოეტის ვატაცება ირანული ლირიკის კილოს ხმებით. მართალია ამ რუბაეებს კალაძის შემოქმედებაში მხოლოდ ცალკეულ პოეტური ექსპერიმენტების მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ ეს იყო მნიშვნელოვანი ექსპერიმენტები, რომელნიც ხელს უწყობდნენ ლექსების ახლებური მხატვრული კონცეპციის ფორმირებას.

როცა ყურადღებით ვაკვირდებით პოეტის ამ ციკლის ლექსებს, ნათელი ხდება, რომ კალაძისათვის აზიას ეგზოტიკის მნიშვნელობა არა ჰქონდა, მას არ იტაცებდა აღმოსავლური პოეზიის სპეციფური რომანტიკა, არ იტაცებდა სპარსული პოეზიის სახეებისა და მოტივების კინტოურ-ყარაჩოლული მოდერნიზაცია. კალაძე უფრო ადრინდელ, უფრო პირვანდელ სათავეებს უბრუნდებოდა და ამიტომ პოეტი არ მიახლოვებია აღმოსავლურ ლირიკის იმ ეპიკონების ვიწროდ შემოზღუდულ ქვეყანას, რომელნიც დაუსრულებლად იმეორებდნენ საადისა და ჰაფიზის მეტაფორებს, არ მიახლოვებია იმ ეპიკონებს, რომელთაც გარეგნული ბრწყინვა იტაცებდათ და მოვლენის ღრმად განსჭკრეტის უნარი არ შესწევდათ. პოეტი იღებდა სპარსული პოეზიის ტრადიციას არა ისე, როგორც ის მიიღეს ძველი თბილისის მომღერლებმა, არამედ ისე, როგორც ის გაიგეს მე-19 საუკუნის დასაწყისის გერმანელებმა. ამიტომ, როცა აზიური ლირიკის ტრადიციის აღდგენის ცდაზე ვლაპარაკობთ, ეს ორი მოვლენა არ აეურთოთ ერთმანეთში; აქ ლაპარაკია არა მუხამბაზების და ტანსნიფების ტრადიციაზე. არამედ სპარსული ლირიკის მეორე, უფრო მნიშვნელოვან თვისებებზე, რომელიც იმაზე მდგომარეობდა, რომ პოეტი ცდილობდა დაეტვირთა ლექსი ღრმა აზრით. კალაძე იღებდა აღმოსავლური პოეზიისაგან არა მის გადაქარბებულ ფიგურალობას, არამედ ცდილობდა ძველი ირანული პოეტების მსგავსად თავის ლექსებისათვის მიეცა მეტი სიღრმე და ექსპრესია, მიეცა მეტი დამტკობა სახისა და სიტყვისათვის. ამის გამოა, რომ რუბაი კალაძის შემოქმედებაში მკვდარ ანაქრონიზმად არ გამოიყურება. ის რაღაც ახლებურად ვაცოცხლებულია და როგორც მხატვრული ფორმა კარგად ითვისებს სულიერად მძაფრად განცდილ სახეებს.

ეს ექსპრესიულობა საერთოდ შეინარჩუნა კალაძემ ლექსში, ეს თვალსაჩინოდ ანსხვავებს მის პლასტიურ პოეზიას, სადაც მართა გრძნობის წუთიერი გაელვება და სინათლე როდია, არამედ ხელშესახები სახეები და ცოცხალი ადამიანური ვნებანი. აქ არის რეალიზმი ამ სიტყვის ფართო და ფილოსოფიური მნიშვნელობით.

ამ რეალიზმის მეოხებით შესძლო კალაძემ ლირიულად განეცადა ეპოქა, ეპოვნა ლირიკა პოლიტიკურ ყოველდღიურობაში, სოციალურ სინამდვილეში, დაეხატა ახალგაზრდა მებრძოლი ხელჩართულ ომში და იგივე ადამიანი იდილიურ გარემოცვაში — როცა გულის სიღრმეში ერთიმეორეს ებრძვიან მეგობრის დაკარგვის სინანული და ქალისადმი სიყვარული. ჩვენ ვლაპარაკობთ კალაძის ლექსის „გამარჯვებულის“ შესახებ.

ამ ნაწარმოების ფონად აღებულია ის ომი, რომელიც სწარმოებდა ჩვენი სამშობლოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვრების უშიშროების უზრუნველსა-

ყოფად; ომი რომლის დროსაც მამაცმა წითელმა არმიამ გააძაბტვერა ფინელი თეთრგვარდიელების ცდა — შეექნათ პლაცდარში საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. ამ ომში წითელი არმიის პოლკებმა მანერში მისი მსხვერველისაგან ქვა ქვაზედაც აღარ დასტოვეს და მსოფლიოს ერთ-ერთ უმეტეს ტყვეებს საბჭოთა პარტიოტების უშიშროება და თავდადება.

ამბავი, რომელსაც კალაძის ლექსი გადმოგვცემს შემდეგია: საქართველოს ერთი სოფლიდან ორი ახალგაზრდა წითელარმიელი ბრძოლის ველზე მიემგზავრება, პოეტი ჯერ მათი წასვლის ეპიზოდს გადმოგვცემს: ეთხოვებიან სოფელს, ეთხოვებიან ქალიშვილებსაც, რომელიც ორივეს მოსწონს და ბედნიერების ჩაუქრობელი ღიმილით განათებული სახეებით მიდიან ჩრდილოეთისაკენ. ნათელა კი სოფელში რჩება. ახლა როცა ორივენი სოფელში აღარ არიან და შორს წავიდნენ — ქალი სიყვარულზე უფრო მძაფრად მეგობრების განშორებას განიცდის. დადგა გაზაფხული და ერთად წასული ვაჟკაცებიდან შორი ვზოდან ერთი-და დაბრუნდა: დაბრუნებული უამბობს ნათელას ომის მძიმე დღეებზე და მეგობრის სიყვდილზე:

„იბრძოდა ჯარი. ღამის უფსკრულიც
აინდა მხოლოდ ვარსკვლავთა ციმციმს!
ფიგურენი სუსხით ვართ დაღურსმული
და გათოშილი სულის თქმა გვიმომის.
მან ჩემთან ერთად კლდე გაარღვია, —
მკერდით დავსწვავითეთ ვკალ-მავათული...
და ალაღ-ბედად იმხვერპლა ტყვიამ
ვაშის ძახილით ზე-ამართული.
მაინც ხელჩართულ ომში და ქირში
გამოვიტანე ვით მწუხარება, —
მკედარ მეგობართან სიკვდილის შიში
და ტყვია ვაჟკაცს არ ეკარება...
მაგრამ სხვა იყო უკანასკნელად
გამარჯვებულის მზერა გულწრფელი,
ყველა გვახსენა... მხოლოდ ნათელა
დარჩა ტურებით წარმოუთქმელი.
ხელი ჩასკიდა თოფს არმიელმა,
ღიმილით დასთმო წუთისოფელი,
და მაშინ გულში მეც გამიელვა,
რომ არის შუქი ჩაუქრობელი!
დე, ფეხქვეშ მთები მიფეთქდებოდეს,
ზემს ნაცელად ფეხზე წამოდგეს ალი,
ოღონდ ჩემს ბედზე ჩაფიქრდებოდეს
სადღაც, შორს, სადღაც ნალბანდის ქალი“.

ქალ-ვაჟი ისევ ხედებიან ერთიმეორეს, ისევ ერთად აცილებენ სოფლის ყოველ შებინდებას, მაგრამ მესამის აჩრდილი ისევ სადღაც ცოცხალია მტკივნეულ ხსოვნაში, ადამიანის უსაზღვრო და ამოუცნობელ სინაზესა და სიყვარულში:

„მაგრამ მესამე ვით ბედისწერა
ჩნდებოდა ჩუმად, ფიქრთა მალეაში
და ისევ იმის გამთიშველ მზერას
ვულის კანკალით გრძნობდა ქალ-ვაჟი“.

ეს ნაწარმოები ღირსშესანიშნავია იმიტაც, რომ აქ პოეტი სიყვარულსა და ვაჟკაცობას ერთად უმღერის, როგორც ერთ გატაცებას, — ასევე ერთიანებდნენ ამ გრძნობებს ძველი ხალხური მოქმედები, რომელნიც მოგვინდნენ:

„ცხენ კარგის დედას დანატრი,
ლაშქარს წინდაწინ წადგება,
მემრე თოფკარგის დედასა,
ერთის ნასროლით დარჩება,
მემრე ცოლ-კარგის დედასა
ქმრის სწორთ ლამაზად დახედება“.

ეს იყო ვაჟკაცის იდეალი, რომელიც თვითონ ხალხმა შეჰქმნა.

ქარლო კალაძის უკანასკნელი პერიოდის ლექსები გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის სულით, მისთვის ეს პატრიოტიზმი არ არის შიშველი ფრაზა. ის გვიჩვენებს ამ დიდებულ გრძნობას, როგორც ადამიანის სიცოცხლის გამართლებას, როგორც ამ სიცოცხლის ორგანიულ ნაწილს. ამას ვგრძნობთ ჩვენ როცა ვკითხულობთ კალაძის იმ ციკლის ლექსებს, რომელნიც სამხედრო თემებს ეხებიან. მათში პოეტი ხატავს ჩვენი ძლევაშისილი წითელი არმიის გმირულ საქმეებს, მის განუყრელ მთლიანობას ხალხთან. პოეტი გვიხატავს როგორ იმორჩილებენ დიდი სტალინის გენიით შთაგონებული წითელი მებრძოლები მიუვალ მათა მწვერვალებს, როგორ გმირულად დგანან ნობთ ჩვენ როცა ვკითხულობთ კალაძის იმ ციკლის ლექსებს, რომელნიც სამდასაცავად.

თავისი გააზრებით ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ლექსი „გიორგი“. ეს არის ბალადა ქართველ წითელარმიელზე, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში, მანჯურიის საზღვარზე თავის მშობლიურ მიწა-წყალს იცავს. ამ მებრძოლის თავგანწირულ სიკვდილში, როცა ის გურულ ოდებს იხსენებს, არის რაღაც დაუძლეველი რომანტიული სიყვარული სამშობლოსი და მისთვის თავდადების გრძნობა.

სტალინი — დროშა მილიონების. ეს არის ადამიანი, რომლის ბრძნული აზრის განხორციელებამ ააყვავა ქვეყანა. ასე გადმოგვცემს პოეტი ხალხის ბელადისადმი სიყვარულს. „მთავლეელთა ბაასში“ არის ასეთი სტრიქონები:

„... თვითიულს სჯერა,
რომ მთების გულშიც გვხვდავს ბელადი,
რომ ჩვენი სუნთქვა და გულისძგერა
სწვდება შორეულ ყურთასმენამდი.
მის ახალისებს ჩვენი ლაშქრობაც,
მაგრამ ლიტონი სიტყვის არ სჯერა
რადგან გარდაქნა უბრალო შრომა
გმობდად...“

— ვიცი.

შერჩენს მარჯვენა“.

ქ. კალაძის „შემოღამება მთაწმინდაზე“ ისევ ბელადის თემას უბრუნდება. მაღალი მთაწმინდის წინ ცისა და მიწის ვარსკლავების კრებული გაჩაღებულია. მთაზე დგას ბელადის ქანდაკება და

„ყურს უდგებს დინჯიდ მოუბარ ქართულს.
მტკვარს ვველაფერი ემასსოვრება,
და კობას, ხალხთა ცხოვრებით გათულს
ესმის უოველ-ღამ ქართლის ცხოვრება“.

როგორ ამალდა საქართველო, გაიზარდა, აყვავდა — ეს ზრდის რომანტიკა არის ამ ლექსში.

ლექსების ამ ციკლში მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე უფრო მეტად საგულისხმოა კარლო კალამის ლექსი „ბარათი ლავრენტი ბერიას“.

აქ ქართლის ახალი ისტორიის კონცეპციაა — კონკრეტულ სახეებში გადმოცემული.

გათენებას ფოთოლთა შრიალით ზედებიან ალვის ხეები. მათი სიცოცხლის რიტმში განზოგადოებულია ახალი თბილისისა და ახალი საქართველოს სიცოცხლის გაფურჩქვნა, დავაკაცებულან ქალაქში დაზრდილი ხეები, შენობებს შორის ფრთები გაუშლიათ, ისინი თავის ხმაურში, თავის სიცოცხლის ძახილში საქართველოს შრიალა ბალნართან ერთად ყოველ დილით წარმოსთქვამენ ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ბერიას სახელს, წარმოსთქვამენ დიდი ცხოვრების სადიდებელ ჰიმნს, ისინი იზრდებიან ქალაქთან ერთად, ქართულ ჩუქურთმებთან ერთად, — და პოეტი მიმართავს ამხანაგ ლავრენტი ბერიას:

„ქვაზე ქვა აღსდგა! — საძირკველი კირით კი არა,
ახლა შენს მიერ შთაგონებით განმტკიცებულა“.

და შემდეგ პოეტი განავრცობს:

„ოსტატო, ვიცით საიდუმლო შენი გულისა,
სამშობლო მთა-ბარს დასჩენია ფიჭვი აშკარა:
ძალა ვინ მისცა გულს მღელვარე გაზაფხულისა,
ხეთა რტოებზე ყვავილები როგორ გაშალა!
სახელი მისი, განთიადის დიდი სახელი
შენ აქ თვითეულ გამარჯვებას თვითონ დაარქვი.
ქართლის ცხოვრებას სტალინური ხელი ახელი,
მტკერის მდინარეზად გააღვიძე ჩამყვდარი ძარღვი“.

თვითეულ გამარჯვებას სტალინის სახელი ჰქვია. სტალინი არის შთაგონება ჩვენი ქვეყნის ხალხის უღრმესი ენტუზიაზმისა, სიმბოლო საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა. როდესაც ჩვენ ვხედავთ ახალ ქალაქებს, ვხედავთ უზარმაზარ ქარხნებს, რომელნიც აშენებულნი არიან იქ, სადაც წინად ცარიელი ველები იყო და უღრანი ტყეები ხმაურობდნენ, — ვგრძნობთ და ვიცით, რომ ეს სტალინური აზრის განხორციელებაა, ეს არის ბარაქიანი ნაყოფი იმ კეთილი თესლისა, რომელზედაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი ცხრაას ხუთი წლის ეპოქის თავის მკვნიბარე პროკლამაციებში.¹⁾ სტალინის აზრი განხორციელებული და განსახიერებულია ჩვენი ახალგაზრდობის ბედნიერ ღიმილში, ჩვენი ხალხის სიხარულით სავსე შრომაში, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის სიმამაცეში, ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანების გამბედაობასა და ენერჯიაში.

ასე გამოსახავს საბჭოთა პოეზია დიდი სტალინის ცხოვრებას, ასე გვიხატავს კარლო კალამი ბელადის სახეს; პოეტი ქვეყნის გაზაფხულის სუნთქვაში და საქართველოს ბალნარის შრიალში ბელადის სახელს ისმენს.

როგორც საერთოდ მთელს ქართულ ლიტერატურაში, ისე ამ კონკრეტულ მაგალითზე, ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ როგორ ამალდა საბჭოთა პოეზია ბელადის ცხოვრების თემამ. ეს არის ყველაზე უფრო დიდი თემა ჩვენი ეპოქის ხელოვნებისა.

¹⁾ იხ. ამირ-კაეკასის ზოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები. 1904 — 1906 წ.წ. გვ. 88.

კავლე ინფორმაცია

თ ა მ ა რ მ ე უ ი ს იაგვიკონნი

ვითარცა მარგალიტი დაფარული —
შემდგომად მრავალთა ეამთა და
წელთა ეპოვეთ.

I

თამარ მეუის სახსოვარი ქართველი ხალხის ისტორიაში

ხმა ერისა — ეს არის ისტორიის მიუდგომელი განაჩენი.

ქართველმა ხალხმა ხსოვნა თავისი მშვენიერი დედისა — თამარ მე-
ფისა — „ქართველის დედისა“ — უწრფელესი სიყვარულით აღბეჭდა თავის
გულში.

ილია ჭავჭავაძე მოგვითხრობს ხალხური მეფანტურის შესახებ, რო-
მელიც —


თორმე უმღერდა ახალ ქართველთა
ძველ გმირებისა საჭმეთა ჭველთა,
ოდეს ცხოვრობდა დიდი თამარი,
ის დედა ჩვენი დაუვიწყარი...

აკაკი წერეთელი — ასე იწყებს თავის მშვენიერს ლეგენდას თამარ მე-
ფის შესახებ („ხალხური“):

ჭეყანამ ეთერს მშვენიებით
თამარი ამჯობინაო!
მიუვალ ადგილს, მთის წვერზე
მას დაღნიშნა ბინაო.
სანთლად დაუნთო ვარსკვლავი,
ცა საბნად დაახურო,
შვიდასი წელი შორიდან
იმედით უთვალყურაო...

ხოლო ვაეა-ფშაველა ასე მიმართავს თამარის ანრდილს:

ქალო, ქართველთა სულის-დგმე,
ქალო, ქართველთა დედაო!
ტყუილად ვაშობთ შენს სიკედელს,
თამარს ცოცხალს ეხედაო.
რუსთველის ჭებას ჩვეულო,
შეც ჭებას გაგიბედაო.
რომ ვგრძნობ იმისებრ ვერ ვმღერი,
რად არ ვჩუმდები ნეტაო?!



არ მოგეწონოს იქნება,
სიტყვა: რისთვის ითაბებოდაო,
მონად აღზრდილმა მელექემ
სალამი გამოიბედაო?!
შენ თვალთ სინათლემ ამგზნო,
დამათრო, ამაუბედაო...
საუნჯევე სათნოებისა,
ჩემი მიიღე ქებაო
ეინმე საწყლისა ფშავლისა, —
კრემლი აღარა მშრებო...
გულში გეინთიხარ ლამპრადა,
ნათობს და არა ჰჭრებო.
შენს და შოთის მარჯვენას
ვემთხვე ზედი-ზედაო!
მოწყალედ გვექმენ ქართველთა,
ჩენო ლამაზო დედაო.

ჩვენ მოვისმინეთ შთაგონებული სიტყვა ახალი საქართველოს უდიდესი პოეტებისა, რომელთაც გამოხატეს ქართველი ხალხის გულის-ნაღები, — სიტყვა, რომელშიაც გამოისახა უწრფელესი გრძნობა ქართველი ხალხისა.

გადავიდეთ ამის შემდეგ თვით იმ შორეულ წარსულში, შეიდეული საუკუნის უწინარეს ხანაში, და მოვისმინოთ სიტყვა თვით თამარის თანამედროვე ისტორიკოსთა. ჩვენ ვხედავთ, თუ რა შარავანდედით იყო მოსილი თამარის სახელი თანამედროვეთა შორის, თუ რა სიყვარული, ნამდვილი დიდი სიყვარული ხალხისა დაუმსახურებია თამარს.

თამარის თანამედროვე ისტორიკოსი, თვითმხილველი და მომსწრე თამარის მეფობისა, შემდეგს გადმოგვცემს თამარის გარდაცვალების შესახებ (— 1211 წელს):

„იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა, რამეთუ განბიჯნეს ბაგენი მათნი, რომელთა პირსა შინა პირველ სხეა არა-რა მოაქვნდა, ვითარ თამარ;

„რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდიან;

„ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს და ზედა თამარის ქებათა დასწერდეს;

„და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებელი სიტყვა აღმოთქვან;

„ყრმანი შემროწლენი [მწყემსნი], და განუბასა შინა ორნატთასა [გლეხნი მიწის-მოქმედნი] თამარის ქებათა მელექესობდიან;

„ერაყს მყოფნი მეებნენი ვინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდიან;

„ფრანგნი [ე. ი. დასავლეთელნი] და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავე-კეთილობისა შინა თამარის ქებათა იტყობდიან;

„ესრეთ ყოველი სოფელი საესე იყო მის მიერითა ქებითა, და ყოველი ენა აღიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ისმოდა.

„ხოლო საქმეთა მისთათვის რადლა სახმარ არს თქმად, რამეთუ კიდით-კიდემდე განისმნეს, ვითარცა თვით მოწამე არს ყოველი ჩვენ მიერ ხილული, სიტყვისაებრ ბრძნისა“.

საქმენი თამარისნი — კიდით-კიდემდე განისმნესო, — ამბობს ისტორიკოსი, და ეს ასეც არის.

გამოძახილი იმ დიდი სიყვარულისა, რომლითაც შემოსა ხალხმა თამარის სახსოვარი, ცხოვლად იგრძნობა და არ ნელდება შვიდქული საქუთუნის განმავლობაში.

არ არის საქართველოში კუთხე, და არა მარტო საქართველოში, არამედ ყველა იმ ქვეყნებში, რომლებიც ოდესმე საქართველოს სახელმწიფოში შედიოდნენ, ან საქართველოსთან დაკავშირებულნი იყვნენ, სადაც დღემდე მოკრძალებით და სიყვარულით არ იგონებდნენ თამარს. კავკასიის ყოველს მხარეში დღემდე ცხოვლად დაცულია ხსოვნა თამარის დიდი სახელისა. საქმათა მოვიგანოთ, რომ ყველა საჩინო ძეგლი ძველი კულტურისა, ციხეები, კოშკები, სასახლეთა ნაშთები, ხიდები, ძველი საუღელტეხილო გზები, ქარვასლები, არხები და სხვა, — ყოველივე ეს, ხალხის წარმოდგენით, თამარის ძეგლია, თამარის მიერ შექმნილი.



ვინ იყო თამარ?

ჩვენ მოვისმინეთ ისტორიის სამსჯავროს ყველაზე მიუდგომელი განაჩენი, მოვისმინეთ თვით ხმა ერისა.

თამარ იყო ადამიანი, რომელსაც უთუოდ შეეფერება გენიოსის დიდი და პასუხსაგები სახელი.

თამარ ჭერ კიდეც სრულებით ახალგაზრდა „ყრმა“ იყო, 14 — 15 წლის ქალი, როდესაც იგი, 1184 წელს, ავიდა საქართველოს სამეფო ტახტზე.

ამის შემდეგ იწყება გამონათება და თანდათან აღზევება თამარის გენიისა, თამარ ხდება ერის ნამდვილი რჩეული, ღირსეული ხელმძღვანელი ქართველი ხალხისა, და საქართველოს იმ დიდი სახელმწიფოსი, რომლის საზღვრებშიაც გაერთიანებული იყო ძმურის თანამშრომლობით კავკასიის ყველა ხალხები.

27 წლოვანი სახელოვანი შრომის შემდეგ, რამაც შარავანდდით შემოსა თამარის სახელი, და მასთან ერთად შარავანდდით შემოსა სახელი თვით ქართველი ხალხისა, 1211 წელს, თამარ, ჭერ კიდეც ისევ ახალგაზრდა, 41 წლის ქალი, გარდაიცვალა, ანუ, როგორც მოკრძალებით ამბობს მემატიანე — „დაიძინა ძილი იგი მართალთა“.

ჩვენ აქ არა ვწერთ თამარის ისტორიას.

აღნიშნავთ მხოლოდ, რომ თამარ იყო უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც წარმოშვა საქართველოს ისტორიამ წარსულში. საქართველოს სახელოვანი მრავალსაუკუნოვანი ძველი ისტორიის მანძილზე, რომელსაც ამშვენებს მთელი წყება დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა, თამარის გვერდით შესაძლოა დაგაყენოთ მხოლოდ ერთი პიროვნება — და ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. — ღირსეული თანამოდასე თამარ მეფისა.

თამარ იყო უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე; მაგრამ ამით ყველაფერი არ არის თქმული.

თამარ იყო ბრძენი ხელმძღვანელი ერისა; ხოლო ქართველმა ხალხმა კიდე უფრო შეიყვარა თამარ იმის გამო, რომ თამარში სრულყოფილად განსახიერდა ნამდვილი სიბრძნე დიდი სახელმწიფო მოღვაწისა, ხოლო ამასთან მორალური სინათლე და სიდიადე დიდ-ბუნებოვანი ადამიანისა.

და ისტორიის სიღრმიდან ჩვენ დღემდე გვინათებს ეს ნათელი სახე/თამარისა, განსახიერება სიბრძნისა და მშვენიერებისა, შემოსილი მორთულური სილიადის შარავანდდით.

გაქონსულა
გინგლინოსუჯა

II

თამარის ლიბერატორული მემკვიდრეობიდან

ქართველთა დედის — ჩვენი დიდი თამარის — ყოველი რელიქვია ძვირფასია ჩვენთვის.

თამარ იყო მრავალმხრივი გენია, და ამ დიდბუნებოვანი ადამიანისათვის არ ყოფილა უცხო აგრეთვე პოეზიაც.

თამარ, რომლის ყოველი დღე მიძღვნილი იყო საქვეყნო საქმისათვის, რომელიც იყო ნამდვილი წარმმართველი და უშუალო ხელმძღვანელი ქვეყნის ცხოვრებისა, რომლის ნათელი გონება უნათებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბრწყინვალე აღმავლობას, თამარ — ეს დიდბუნებოვანი ადამიანი — ზოგჯერ იცლიდა იმისთვისაც, რომ ფილოსოფიურ იამბიკონებში აღებუქდა თავისი ნააზრევი.

ჩვენ მოგვეცა ბედნიერება ძველ ქართულ ფოლიანტებში გვენახა თამარის რამდენიმე ლექსი იამბიკონი.

ხოლო ამ ლექსების განხილვამ ჩვენ ამავე დროს მოგვეცა იმისი საშუალებაც, რათა სწორად ამოგვეშიფრა ერთი ცნობა ქართული მატრიანებისა, რომელიც თამარის ლექსს ეხება.

ამ ემად ჩვენ ხელთ არის ექვსი ლექსი-იამბიკონი თამარისა, რომელზედაც მორჩეულია თამარის მოთინათინე ნათელი, ლექსები, რომელშიაც ჩვენ ვგრძნობთ თამარის დიდბუნებოვან სახეს.



აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ საქართველოში იმ თავითვე არსებობდა ტრადიცია, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურნი არათუ მართოდენ მფარველობდნენ მწერლობას, არამედ თითონაც მწერლობის დიდი საქმის თანაზიარნი იყვნენ. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის არა ერთი და ორი დიდი მწერალი ჰყავდა ჩვენს ქვეყანას.

აქ უნებლიეთ გვაგონდება ის მრავალმეტყველი სიმბოლო, რომელსაც წარმოგვიდგენს საქართველოს სახელმწიფოს ერთერთი გერბი-ემბლემა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოებრივი ემბლემის სახით უძველესი დროიდანვე გავრცელებულია და ხშირად გვხვდება არწივის გამოსახულება.

ყველაზე ადრე ეს გერბი-ემბლემა არწივი მიღებული ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის ხალხს — ხე თ ე ბ ს, რომელთაც, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი როლი მიუძღოდათ ძველი კულტურის ისტორიაში (და რომელთაც, აღვნიშნავთ ამასთან, ქართველურ მსოფლიოსთან ჰქონდათ ნათესაობა).

ეს სახელმწიფო გერბი-ემბლემა არწივი უფრო გვიან სხვა ხალხებსაც ჰქონდათ მიღებული, როგორც ანტიურ ხანაში, ისე საშუალ-საუკუნეებში. კერძოდ საშუალ-საუკუნეებში ეს ემბლემა ჩვენ გვხვდება ბიზანტიაში. ახალ საუკუნეებში ეს გერბი-ემბლემა გავრცელებით სარგებლობს ევროპაში.

ეს ემბლემა ჩვენ გვხვდება საქართველოშიაც, ასე მაგალითად ოშკის ტაძრის ბარელიეფებზე, აგრეთვე ქართველ მეფეთა სიგელის ემბლემატურითავე-ნიშანის სახით.

არსებობდა კიდევ გადმოცემა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური იბადებოდა — მხარზე არწივის ნიშნით.

მაგრამ თუ ზეევის სიმბოლო არწივი — ელვის ისრებს ატარებდა და ეს არწივი პრომეთეოსის გულს ჭანგებით ჰვლეთდა; თუ ბიზანტიისა და ევროპის დინასტიების გერბი არწივი ძალადობის სიმბოლოა და ჭანგებით უპყრია სკიპტრა, ჯვარიანი ბირთვი და მახვილი; — სხვა არის ქართული არწივი. მას უპყრია ერთი ტოტით — ხმალი, ხოლო მეორე ტოტით — კალამი. ამ სახით არის წარმოდგენილი ქართული არწივი, ხმლითა და კალმით, ქართულ სახელმწიფო სიგელზე.

ქეშმარიტად, მრავლის-მეტყველი სიმბოლოა ეს სახელმწიფოებრივი ემბლემა.

ქართველ ხალხს, თავისი ხანგრძლივი სახელოვანი ისტორიის მანძილზე მრავალი განსაცდელი გამოუვლია, მაგრამ ჟამთა-სიივისა და ძნელ-ბედობის თვით უძნელეს ხანაშიაც მას არ ჩაუტყრია კულტურის კერა. იგი ხმლით იცავდა კალამს.

და როგორც აღვნიშნავდით; ძველითგანვე განმტკიცდა ის ტრადიცია, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და სახელმწიფო მოღვაწენი არათუ მართოდენ მფარველობდენ მწერლობას, არამედ თითონაც თანაზიარნი იყვნენ მწერლობის მაღალი საქმისა.

ასე, დავით აღმაშენებელი, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე ძველი საქართველოსა, რომლის სახელსაც ქართველი ხალხი სიყვარულით მოიხსენებს თამარის სახელის გვერდით, დავითი, რომელსაც ქართველმა ხალხმა სამართლიანად მიანიჭა ეს მაღალი სახელწოდება ქვეყნის „აღმაშენებელი“-სა, ამავე დროს მწერალიც იყო.

დავით აღმაშენებლის იგავენს ბიბლიური დიდი იგავთ-მწერალის იესო ზირაქის იგავენს ადარებდნენ:

„იტყვის იგავსა,

არ თუ იგავსა

ზირაქის მსგავსა, გულისხმიერად.“

დავით აღმაშენებელს დაუწერია ოდა-ჰიმნი ქართველი მხედრობის გამარჯვების გამო დიდგორის ბრძოლაში, როდესაც დავითმა დაამარცხა წინა-აზიის მუსულმანურ სახელმწიფოთა დიდი კოალიცია და ამით საბოლოოდ განამტკიცა საქართველოს სახელმწიფო ახალ საზღვრებში, შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე, ნიკოფსით დარუბანდამდე. (ამ ჰიმნის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვევექნება საუბარი).

დავით აღმაშენებლის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა „გალობანი სინანულისანი“, დიდი დიპაზონის ლიტერატურული ძეგლი, რომელშიაც აღბეჭდილია ამ დიდ-ბუნებოვანი ადამიანის ფილოსოფიური რეფლექსია და სულიერი მღელვარება.

დავით აღმაშენებელის მემკვიდრე დიმიტრი I აგრეთვე მწერილი იყო. მის ლექსს „შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული“, დღემდე უცვლელად უნდა შევხდეთ — მღერის ხალხი.

ან-და, უფრო გვიან, თეიმურაზ I, რომლის ღვაწლი და თავდადება ქართული საქმისათვის ჯერ კიდევ არ არის მთელის სივსებით შეფასებული, თეიმურაზ — ეს შეუხრელი რაინდი, სიბერემდე მებრძოლი საქართველოს თავისუფლებისათვის, ამავე დროს ბრწყინვალე პოეტი იყო. ხმალთან ერთად იგი არ სტოვებდა კალამს, საქართველოს სიმბოლიური არწივის მსგავსად.

ან-და არჩილ, ასევე შეუხრელი მსახური საქართველოს ეროვნული იდეისა, — ქართული პოეზიის ისტორიაში ახალ ერას ამკვიდრებს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ღვაწლი ვახტანგ VI-ისა, ქართული კულტურის ამ კირანახული მესვეურისა, — სჯულმდებელის, ქართულ მატინენტა შემკრებელის, მეცნიერის, — ამავე დროს პოეტის.

ჩვენ აქ უნდა მოვიგონოთ აგრეთვე დიდი სულხან-საბა, რომელიც არა მარტო მწერალი იყო, არამედ სახელმწიფო მოღვაწე, და რომლის უკვდავი „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ დაწერილია როგორც „სახელმწიფო ზნეთა“ მასწავლელი, როგორც სახელმძღვანელო საქართველოს მომავალი მეფის ვახტანგ VI-ისა.

ვახტანგის ძე ვახუშტი — უსაჩინოესი ისტორიკოსია ძველი საქართველოსი; ხოლო მისი გეოგრაფიული აღწერა საქართველომსა არათუ მარტო-ოდენ დიდი მეცნიერული ნაშრომია, არამედ მაღალი რანგის ლიტერატურული ნაწარმოები, სადაც გაცოცხლებულია საქართველოს მიწა-წყალის სახე, როგორც მისი ისტორიული ძეგლებით, ისე მისი მდიდარი და მაღლიანი ბუნებით.

საქართველოს ისტორიულ მოღვაწეთა გალერეაში სხვებიც იყვნენ, რომლებიც აერთებდნენ საქართველოს სიმბოლიური არწივის სასახლო ტრადიციას, სახელმწიფო მოღვაწეობას აერთებდნენ მწერლობასთან.

ამ ბრწყინვალე პლეადას ეკუთვნოდა დიდი თამარი.

დღემდე ცნობილი იყო, რომ თამარ — მფარველი და მეგობარი იყო ქართული მწერლობისა, ქართული მწერლობის ნამდვილი წარმმართველი და სულის-ჩამდგმელი.

ყოველივე, რაც შეიქმნა თამარის ეპოქაში მნიშვნელოვანი ლიტერატურის დარგში — თამარის სახელთან არის დაკავშირებული.

მაგრამ, როგორც ეხლა ირკვევა, თამარ ყოფილა არა მხოლოდ მეცენატი და მწერლობის მეგობარი, არამედ თითონაც თანაზიარი იყო მწერლობისა.

რასაკვირველია, ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს თამარი პროფესიონალი მწერალი ყოფილიყვეს თამარ იყო სტუმარი, იშვიათი სტუმარი ლიტერატურისა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი იყო სტუმარი მეტად საპატიო.

თამარ იყო გენია. და კერძოდ ისიც, რაც მან ლიტერატურაში დაგვიტოვა, აღბეჭდილია მისი დიდბუნებოვანი სახით, აღბეჭდილია მისი მაღალი ნიჰის ელვარებით.

III



რა სახით არის მოღწეული ჩვენ დრომდე თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა

როდესაც ჩვენ ძველი ქართული მწერლობის მემკვიდრეობის შესახებ ვმსჯელობთ, იმისათვის, რომ სწორი პერსპექტივი ვიქონიოთ, არ უნდა გვა-ვიწყებოდეს შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება.

საქმე ის არის, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა დიდი ნაწილი, როგორც ირკვევა, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა; ისინი დაიღუპნენ იმ არა-ერთგზისი პოლიტიკური კატასტროფების შედეგად, რომელიც განიცადა ჩვენმა ქვეყანამ საუკუნეთა განმავლობაში.

კერძოდ თამარის ეპოქიდან, მე-12—13 საუკუნეებიდან, ჩვენ გვაქვს ცნობა ათეულ პოეტურ ძეგლთა შესახებ, რომელთა სახელები ან ავტორები ვიცით, რომლებიც მოხსენებულია ან ციტირებულია გადარჩენილ ტექსტებში, მაგრამ თვით ნაწარმოებნი ჩვენ დრომდე არ შენახულან.

შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა სრულის სახით თვით შოთა ა რუსთაველის პოეტური მემკვიდრეობა. რასაკვირველია რუსთაველის მემკვიდრეობა არ განისაზღვრებოდა მარტოოდენ ვეფხისტყაოსნით. ისეთი სრულყოფილი ხელოვნების ძეგლი, როგორიც არის ვეფხისტყაოსანი ცხადია ერთის ხელშეხებით არ იბადება. ვეფხისტყაოსანზე ადრე შოთას ცხადია დაწერილი უნდა ჰქონოდა სხვა პოეტური ქმნილებანი, და როგორც ეხლა დამტკიცებულია, ჰქონია კიდევ; მაგრამ ისინი დაღუპულა, — ისევე როგორც დაიღუპა ამ ეპოქის სხვა პოეტურ ძეგლთა დიდი უმრავლესობა. ასე დაკარგულია შოთას ადრინდელი პოეტური ქმნილება „ქებანი“, რომლის შესახებაც თვით შოთა ლაპარაკობს ვეფხისტყაოსნის პროლოგში. დაკარგულია ასევე შოთას პოემა იოსებ მშვენიერა, რომლის შესახებაც შენახულია ცნობა მე-16 საუკუნის დასაწყისის ერთ ნაწარმოებში.¹

ან-და მეორე მაგალითი. რა გააჩნდა ქართულ მწერლობას იმაზე ძვირფასი სახსოვარი, იმაზე უფრო ძვირფასი რელიქვია, როგორიც იყო დავით აღმაშენებლის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ჩვენ გვაქვს ცნობა დავით აღმაშენებლის ისეთ ნაწარმოებთა შესახებ, რომლებიც ჩვენ დრომდე არ მოღწეულა.

ასე, მაგალითად, დაკარგულია ის განთქმული ჰიმნი, რომელიც დაუწერია დავით აღმაშენებელს ისეთი ღირსსახსოვარი მოვლენის გამო ქართველი ხალხის ისტორიაში, როგორიც იყო დიდგორის გამარჯვება (1121 წელს). დიდგორის გამარჯვება — ეს იყო მოსაბრუნე თარიღი ქართველი ხალხის ისტორიისა: დიდგორის გამარჯვებამ დაუბრუნა ქართველ ხალხს ტფილისი; დიდგორის გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სახელმწიფოს ახალ საზღვრებში — შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

ეს ჰიმნი დავით აღმაშენებელსა დიდგორის გამარჯვების გამო მოხსენებულია ქართულ მატრიანებში, — ჰიმნი „ოცდახუთ ლექსად“ ყოფილა აღწე-

¹) იხ. პ. ინგოროვეა: რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა (რუსთაველის კრებული, ტფ. 1938 წ., გვ. 12—19).

რელი. (ქართული მატრიანების ცნობას ამ ჰიმნის შესახებ — ჩვენ ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით).

დავით აღმაშენებლის ლიტერატურული მემკვიდრეობა ^{ერეკლე} ჩვენ დრომდე გადარჩენილა მარტოოდენ „გალობანი სინანულისანი“, და ჩვენ მხოლოდ ამ ერთი გადარჩენილი ძეგლის მიხედვით გვეძლევა საშუალება წარმოდგენა შევადგინოთ დავით აღმაშენებლის დიდ ლიტერატურულ ტალანტზე, გავეცნოთ ამ დიდბუნებოვანი ადამიანის სიტყვას, შევიცნოთ სულთმოძრაობა ქართველი ხალხის ამ გენიოსი მოქირანახლისა.

აი ასეთი სახით არის მოღწეული ჩვენ დრომდე ძველი ქართული მწერლობის მემკვიდრეობა.

ძველი ქართული მწერლობის მემკვიდრეობა ჩვენ გვაგონებს ძვირფას გვირგვინს, შემკულს ძვირფასი თვლებით, მაგრამ დაღწეილს ჩვენი ქვეყნის ეამთა-სიავისა და ძნელბედობის ხანაში, ძვირფას გვირგვინს, რომელსაც არა ერთი და ორი ძვირფასი ქვა დაჰკარგვია.

*

ამის შემდეგ მართებულა ვიკითხოთ: რა სახით არის მოღწეული ჩვენ დრომდე თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა?

გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ არა სრულად.

რალა შორს წავიდეთ, — ჩვენ დღემდე ისიც კი არ ვიცოდით დაბეჭდვითებით, რომ თამარს მონაწილეობა მიუღია ქართულს მწერლობაში.

თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენ დრომდე გადარჩენილია მხოლოდ ერთი ციკლი: ფილოსოფიური იამბიკონები.

ამასთან ჩვენ გვაქვს საბუთი დავასკვნათ, რომ თვით ეს ციკლიც — ფილოსოფიური იამბიკონები — არაა მოღწეული სრულად. (რომ თამარის ფილოსოფიური იამბიკონები არ არის სრულად შენახული, ეს ჩვენთვის ცხადი ვახდება, როდესაც განვიხილავთ ჩვენ დრომდე დაცული ხელნაწერის ტიპს: ამ ხელნაწერის სათანადო ნაწილი შეიცავს არა მთლიანს კრებას ცალკე ავტორთა თხზულებებისა, არამედ ქრესტომათიის სახით გამოკრებილს ტექსტებს; თვითეული ავტორი აქ წარმოდგენილია არა სრულად, არამედ მხოლოდ ცალკეული გამოკრებილი ტექსტების სახით).

ეს ერთი გარემოება.

ამის შემდეგ მეორე კითხვა:

განისაზღვრებოდა თამარის პოეტური მემკვიდრეობა მარტო ამ ერთი ჟანრით, — ფილოსოფიური იამბიკონებით? სჩანს არა. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ თამარისათვის ამასთან ერთად არ იყო უცხო აგრეთვე ჟანრი წმინდა საერო პოეზიისა, იმ პოეზიისა, რომელსაც ამ ეპოქაში წარმოდგენდა რუსთაველი.

მაგრამ ყველა აქ აღძრული საკითხები ჩვენ საშუალება გვექნება უფრო სრულად გავაშუქოთ მას შემდეგ, როდესაც გავეცნობით თამარის ჩვენ დრომდე მოღწეულს პოეტურ მემკვიდრეობას. ამ საკითხებს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ამ წერილის ბოლოში.

აქ კი, მაშასადამე, აღვნიშნავთ წინასწარ, — რომ თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა, სჩანს, არ მოღწეულა ჩვენ დრომდე მთლიანად, გადარჩენილა მხოლოდ ერთი ციკლი — ფილოსოფიური იამბიკონები, და ამასთან თვით ეს ციკლიც სჩანს არაა სრულად შენახული.

IV



ქართული ფილოსოფიური პოეზია მე-11 — 13 საუკუნეებისა

(ფორმა. ლიტერატურული სტილი)

თამარის პოეტური მემკვიდრეობა, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით, ცხადია განხილულ უნდა იქმნეს თვით იმ ქანრის ასპექტში, რომელსაც იგი ეკუთვნის.

თამარის ი ა მ ბ ი კ ო ნ ე ბ ი — წარმოვიდგენს ტიპურ ძეგლს მე-11—13 საუკუნეების ქართული ფილოსოფიური პოეზიისა.

ამის გამო, ვიდრე განვიხილავდეთ თამარის პოეტურ მემკვიდრეობას, აქ საჭიროა წინასწარ რამდენიმე შენიშვნა მე-11 — 13 საუკუნეთა ქართული ფილოსოფიური პოეზიის შესახებ, კერძოდ ფილოსოფიური პოეზიის ფორმის შესახებ.



მე-11 — 13 საუკუნეთა ქართულ ფილოსოფიურ პოეზიას აქვს ტრადიციით განმტკიცებული, მკაფიოდ გამოკვეთილი ფორმა და სტილი.

ჭერ რამდენიმე განმარტება ტექნიკური ხასიათისა — მეტრის შესახებ.

ტრადიციული კანონიზირებული მეტრი ქართული ფილოსოფიური პოეზიისა — ეს არის ი ა მ ბ ი კ ო ნ ი (ა ნ უ ი ა მ ბ ი კ ო).

თვით სახელწოდება „იამბიკონი“ || „იამბიკო“ შემდეგი წარმოშობისაა. ქართული იამბიკონური ლექსთწყობა შემუშავებული იყო ბერძნული ი ა მ ბ ი კ უ რ ი ტ რ ი მ ე ტ რ ი ს შეფარდებით. აქედან მომდინარეობს ეს სახელწოდება ამ ქართული მეტრისა — „იამბიკო“, „იამბიკონი“.

იამბიკონის მეტრის ქართულს პოეზიაში გრძელი ისტორია აქვს, მაგრამ ამაზე ჩვენ შეგვიძლია აქ არ შევჩერდეთ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, თუ რას წარმოადგენდა ქართული იამბიკონის უკანასკნელი სახეობა, — ის კლასიკური იამბიკონი, რომელიც დაიმკვიდრა მე-11 — 13 საუკუნეთა ქართულმა ფილოსოფიურმა პოეზიამ.

კლასიკური ქართული იამბიკონი — რიტმიული სტრუქტურის და პროზოდული წყობის მიხედვით — ტიპური ქართული სილაბიური ლექსია. იგი შეიცავს თ ო რ მ ე ტ მ ა რ ც ვ ა ლ ს, ცეზურით მ ე ხ უ თ ე მ ა რ ც ვ ა ლ ზ ე (უფრო ხშირად), ან მ ე შ ვ ი დ ე მ ა რ ც ვ ა ლ ზ ე (უფრო იშვიათად).

იამბიკონი — თეთრი ლექსია; რითმის ხმარება აქ დაუშვებელად ითვლება. (ეს ტრადიცია ურითმო თეთრი ლექსისა ქართულ იამბიკონმა შეითვისა მისი ბერძნული პროტოტიპიდან — იამბიკური ტრიმეტრიდან).

მართალია, ჩვენ იშვიათად გვხვდება რითმიანი იამბიკონებიც, მაგრამ ეს უკვე სტილის დარღვევაა; კლასიკური იამბიკონი — ურითმო უნდა იყოს.

ს ტ რ ო ფ ი კ ა. ქართულ იამბიკონურ ლექსებში მიღებულია სტროფიკის შემდეგი სახეობანი: ორ-მუხლედი, ოთხ-მუხლედი, ხუთ-მუხლედი და შეიდ-მუხლედი.

ძირითადი სტროფული წყობაა ხუთ-მუხლედი იამბიკონი, რომელშიაც ხუთი ხალექსო სტრიქონი შეადგენს ერთს სტროფს. ასეთ სტროფს ძველ-ქართულად ერქვა: „ხუთეული“, „იამბიკო ხუთეული“.

კერძოდ თამარის ლექსებიდან — ხუთი ლექსი დაწერილია ამ ძირითადი სტროფული წყობით — „ხუთეული“ იამბიკონით; ხოლო ერთი ლექსი („მამღენა დედისა და ძისადმი“) — შვიდ-მუხლედ სტროფს შვიცხეულიწესი.



ქართულ ფილოსოფიურ პოეზიას მე-11 — 13 საუკუნეებისა აქვს არა მარტო ტრადიციით განმტკიცებული მეტრი — იამბიკონი, არამედ ამავე დროს თავისი სპეციფიური ენა და სტილი.

ენა ქართული ფილოსოფიურის პოეზიისა — ეს არის იგივე ენა ქართული ფილოსოფიური მწერლობისა, რომელიც გამოიშვა ამავე ეპოქის ფილოსოფიური მწერლობის ფუძემდებელთა — ეფრემ მცირის, არსენი იყალთოელის, ხოლო განსაკუთრებით კი იოანე ფილოსოფოსის მიერ.

ფილოსოფიური პოეზია — როგორც ეს მოსალოდნელი იყო — იცავს მთელს იმ ენობრივს სპეციფიკას, რომელიც დაკანონებულია ამ ეპოქის ფილოსოფიურ მწერლობაში.

ხოლო ეს ენა ფილოსოფიური მწერლობისა — უაღრესად თავისებური კონსტრუქციისა იყო, ზუსტი, მაგრამ ამავე დროს აღბეჭდილი ხელოვნურის იერით. სინტაქსური წყობაც ფილოსოფიური ენისა — ასევე სპეციფიურია, ხელოვნური იერის მქონე.

რომ მკითხველმა უფრო ახლო გაითვალისწინოს, თუ რამდენად სპეციფიური იყო სტილი ფილოსოფიური პოეზიისა, მოგვყავს აქ ამისი ნიმუშები. ფილოსოფიური იამბიკონების კლასიკოსად ითვლებოდა თვით იოანე ფილოსოფოსი, ქართული ფილოსოფიის ეს დიდი ფუძემდებელი. ცენტრალური ფიგურა ქართული ფილოსოფიისა საშუალო-საუკუნეებში.

ერთ-ერთი იამბიკონური ლექსი იოანე ფილოსოფოსისა იწყება ამრიგად:

- 1 „მე მეცნავ ვარო,
 მსიტყველობს იგი ესთა, —
- 2 რიცხვსა ქვიშათას
 და ზომასა ზღვათასა,
- 3 ვუწყი ყოველი,
 ვიმეცნებცა უტყვთაგან,
- 4 ვისმენ ყოველთაგან,
 და არ მოუბნართაცა...“

ახალ ქართულზე თარგმანში ეს ნაწყვეტი აღნიშნავს შემდეგს:

- 1 „მე მეცნიერ ვარო, — მეტყველებს იგი ესრეთ, —
- 2 ქვიშათა რიცხვსა და ზღვათა ზომასა,
- 3 ვუწყი ყოველი, ვიმეცნებ თვით უტყვ [არსებათაგან],
- 4 ვისმენ ყოველთაგან, თვით არ-მოუბნარ [ბუნებისაგან].

ან-და მეორე ლექსი „იამბიკო ხუთეული“ (ხუთ ტაეპოვანი სტროფი), — რომელიც მიძღვნილია ეფრემ მცირისადმი, და რომელშიაც უცნობე-პოეტო-ფილოსოფოსი (მოწაფე ეფრემ მცირისა) აგვიწერს ეფრემის ფილოსოფიურ საქმესა და ღვაწლს:

- 1 ეფრემ მცირემან
ქართლთ ენა აცისკროვნა,
- 2 ელინთ ფილოსოფ-
მუსიკ-ნარიტორებნი —
- 3 იშშორისნა რაჲ
სულმან ნამდვლვე არსმან!
- 4 სარკე განწმენდილ
ექმნა მხმობიარესა,
- 5 რასდენ დაიტევს
სვნიდი კაცთ ნაგისაჲ.

მოგვეყავს ამ იამბიკონის კომენტირებული თარგმანი ახალ-ქართულზე, სახეების გაშიფრვით:

- 1 „ეფრემ მცირემან — ქართველთა ენა გააცისკროვნა,
- 2 მით, რომ — ელინთა ფილოსოფია და [სიტყვის] მუსიკალური რიტორება —
- 3 თვის შორის დაიშკვიდრა მან [ეფრემმან], დიდ-ბუნებოვანმა („სულმან ნამდვლვე არსმან“).
- 4 იგი ექმნა ზენა-გონებას („მხმობიარესა“, სიბრძნისადმი მიმწოდებელს) — ნათელ, განწმენდილ სარკედ [რომელზედაც აღიბეჭდა სიბრძნე],
- 5 რამდენადაც კი ამას დაიტევს ბუნება ადამიანისა“.

უაღრესად ტიპიურია, სტილისტიური მხრით, შემდეგი „იამბიკო-ხუთეული“ (ხუთ-ტაეპოვანი სტროფი) დიმიტრი I-ისა, მიძღვნილი შიო მღვიმელისადმი (შიო ასურისადმი):

„შენის დაფნისა
იშიოებს ასური,

ისავსებს ქართლი
ნილოჲსა ნაკადულთებრ!

მრბობს მოხუცი,
მღვმით ფრთეობს სამყაროდ,

იბერწისწულებს
პრავლად უღაბნო ესე,

ეკონუნული
ზინგლინოსეჟა

სულსა აღმრთისებს,
მტვერისა მტვრად დამტევი.

პოეტი აქ გვიხატავს შიო მღვიმელის ექსტატიურ ამალეებას მატერი-
ლურ ბუნებაზე, რომელიც ორბისებრ აღზევდება ქვენა მსოფლიოდან ზენა
მსოფლიოში („მღვით ფრთეობს სამყაროდ“), და რომელიც „სულსა აღმრ-
თისებს, მტვერისა (ე. ი. წარმავალი და მედინი მატერიალური ბუნებისა)
მტვრად დამტევებელი“.¹

ასევე ხელოვნური სპეციფიური სტილით ყოფილა აღბეჭდილი ფილო-
სოფიური პოეზია მე-12 საუკუნის ავტორის იეზეკიელისა, როგორც ეს სჩანს
გადარჩენილი ფრაგმენტებიდან. მაგალითისათვის იამბიკონი (შვიდ-მუხლე-
დი), მიძღვნილი სვიმიონ მესვეტისადმი:

„ნათელთა შორის
ულამოსა ბრწყინებმან,

დაუვალისა
მზისა ელვარებითა

უმიმწუხროსა
მართალთა საშეებელსა —

თან-შეებულებაჲ
მითხოვე უფლის, სვმონ,

მოსაესა შენსა
მრწემსა იეზეკიელს,

და აწისაცა
ლეღვიანისა ზღვსა

შფოთთა მშველობით
ღირს-მყავ განწილუებად.

ფილოსოფიური ლექსები ზოგჯერ იმდენად დაშიფრულია, რომ მისი
ამოხსნა საძნელო ხდება. მაგალითად შემდეგი იამბიკონი იოანე ფილოსო-
ფოსისა:

¹) აღნიშნავთ ამასთან, რომ ეს იამბიკონი წარმოადგენს აკროსტიხს: ტაეპის დასაწყის
ასოებში იკითხვის: „შიოსი“.



ას-ერვასისთა²
ამათ სულისა მუსთა

ენათ-მაქცევი
აქანტერმათა დაესწყევდ!

სიტყვს მიმოა და
იკან მერიოემან

მან ერმაულად
იმწყვერვალენ, აპოლო!

V

თამარის იამბიკონთა ციკლი

ძველ-ქართული ფილოსოფიური პოეზიის დარგში თამარის იამბიკონებს ღირსებისამებრ უნდა მიეკუთვნოს უაღრესად საჩინო და საპატიო ადგილი. უფრო მეტიც: ვფიქრობ, ჩვენ არ გადავაპარებთ თუ ვიტყვით, რომ თამარის იამბიკონებს ძველ-ქართული ფილოსოფიური პოეზიის შემკვიდრებაში უნდა მიეკუთვნოს პირველი ადგილი, იმდენად დიდის ლიტერატურულის ღირსებებით არიან ისინი აღბეჭდილნი.

თამარის იამბიკონები, თავის-თავად ცხადია, განხილული და შეფასებული უნდა იყვეს იმ სპეციფიური ფორმისა და სპეციფიური სტილის ასპექტში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, კანონიზირებული იყო ამ ეპოქის ფილოსოფიურ პოეზიაში.

თამარი თავის იამბიკონებში იცავს ამ სპეციფიურ ფორმასა და სტილს. ხოლო თამარის იამბიკონებში მიღწეულია ნამდვილი მხატვრული სრულყოფა ამ სპეციფიური ფორმის დარგში. ამ ლექსებს სწერს ნამდვილი არტიტი, რომელიც სრულყოფილად და არტიტიულის თავისუფლებით ჰფლობს ამ თავისებურს სტილს. თამარის ლექსებში იგრძნობა ნამდვილი ბრწყინვალეობა ძველი ქართული ენისა; ამასთან აქ მოცემულია ის მკვეთრი — ლაპიდარული მოზაზვა სახეებისა. ის ლაკონიზმი და აფორისტული ჰედი სიტყვისა, რაც შეადგენდა ფილოსოფიური პოეზიის სპეციფიური სტილის არსს.

ჩვენ უნდა გამოვთქვათ ამასთან ერთად ჩვენი ღრმა მწუხარება იმის გამო, რომ თანამედროვე მკითხველი, რომელიც არ იცნობს ძველ ქართული ფილოსოფიური მწერლობის ენას, მოკლებულია საშუალებას იგრძნოს მთელის სავსებით ეს არტიტიული მხატვრული სრულყოფა თამარის იამბიკონებისა. ძველ-ქართული ფილოსოფიური ენა იმდენად დაცილებულია თანამედროვე ქართულს, რომ იგი, სპეციალური ცოდნის გარეშე, ძნელად მისაწვდომია თანამედროვე მკითხველისათვის.

ამის გამო ჩვენ იძულებული ვართ ამ ლექსებს დაეურთოთ კომენტარებული თარგმანი ახალ-ქართულ ენაზე; მაგრამ ცხადია ეს მაინც არ იძლევა წარმოდგენას ლექსების სიტყვიერი ქსოვილის მხატვრული ელფერის შესახებ.

²) „ას-ერვასი“ — ის-ორმოცდაათი.

*



ქართველთა
მწიგნობართა
კავშირი

გავეცნოთ ამის შემდეგ თამარის იამბიკონებს.

თამარის ჩვენ დრომდე მოღწეული იამბიკონები სამ წყებად იყოფა:

1. იამბიკონთა ჯგუფი „მზის შარავანდის“.
2. მიძღვნა ღედისა და ძისადმი.
3. იამბიკონი სავედრებელი — ქართველთა შამქორს გამარჯვებისათვის.

ეს უკანასკნელი წარმოადგენს ოდას, მაგრამ იგი დაწერილია ფილოსოფიური პოეზიის ფორმითა და სტილით, და შინაარსის მიხედვითაც — მისი პირველი ნაწილი ფილოსოფიურ ხედვას შეიცავს.

VI

«მზის შარავანდი»

ეს ციკლი შეცავს ოთხს იამბიკოს, რომელთაგან თვითმული დაწერილია იამბიკონური სტროფით („იამბიკონური ხუთეულით“ ე. ი. ხუთ-ტაეპო-ვანი წყობით).

ცალკეული იამბიკონები ატარებენ ასეთს სათაურს:

1. „იამბიკო მარიამ მეგვპტელისა“.
2. „გიორგისი“ [კაბადუციელისა].
3. „თედორესი“ [ტირონისა].
4. „თამარისი“.

უკანასკნელი იამბიკო წარმოადგენს ამ ციკლის ეპილოგს.

ამ იამბიკონებიდან ჩვენ ვეცნობით თამარის ფილოსოფიურ სოფლ-ხედვას:—ეს არის ქრისტიანობაში, განათებული ელინური ფილოსოფიის შუქით.

თამარ ამ იამბიკონებში, რომლებიც მედალებს სახით არის გამოკვეთილი, იძლევა ქრისტიანულ მოღვაწეთა სახეებს: მარიამ მეგვიპტელისას, გიორგისას (რომელიც ქართველთა მფარველად ითვლებოდა) და თეოდორე ტირონისას.

ხოლო, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია თამარის ფილოსოფიური სოფლხედვისათვის, თამარ ქრისტიან მოღვაწეთა საქმეში ხედავს — „ატტიკურ სიმხნე“-ს (იხ. იამბიკო გიორგისადმი მიძღვნილი). „ატტიკური სიმხნე“ — ე. ი. სტოიციზმი, ატტიკური (ელინური) ფილოსოფიის მიერ განსაზღვრებული ადამიანის ზნეობისა და საქმის სახელმძღვანელოდ, — აი რა შთაგონებს თამარს.

აქ საჭიროა ხაზი გაუსვათ აგრეთვე მზის სიმბოლიკას, რომელიც ლეიტმოტივის სახით გასდევს მთელი ციკლის ოთხსავე იამბიკონს:

პირველ იამბიკონში: მიმართვა მზისადმი;

მეორე იამბიკონში: მზე შარავანდი ღიდი — ცის ქვეშისა და მზის-ზედასა მსოფლიოსი;

მესამე იამბიკონში: ცის შარავანდის მზეობა;

მეოთხე იამბიკონში: ნათელ-ცისკროვნება მზე-ოქროშარავანდისა.

მოგვყავს ამ იამბიკონთა ტექსტი.

(ტექსტთან ერთად მოგვყავს მათი თარგმანი-კომენტარი ახალ-ქართულზე, პოეტური სახეების ვახსნივით).

იამბიკოს მარიაშ მიხვობალებისა



- 1 გიხილავს — მზომ! —
უცხონი ნიშნი ფრიად,
- 2 ბარნა მღვდარისა
ბუნებისა ესოდენ
- 3 ღაქინიებაულნი
ნიშთნი აროდეს სადა:
- 4 ვითარცა მიწაა —
ზე ეტვირთა ჰაერსა,
- 5 და ნიშთიერთა
ზორცთა სიზრჱა — მწაშრნებსა.

თარგმანი-კომენტარი:

- 1 „მზეო! გიხილავს უცხონი საკვრველებანი ფრიადნი,
- 2—3 მაგრამ ქალური ბუნებისაგან ესოდენ ამაღლება ნივთიერ ბუნებაზე,
[გარდაქმნა მატერიის სტიქიონთა, „ბუნების ნივთთა ესოდენ დაქ-
ნინება“—დამცრობა] არასოდეს გიხილავს:
- 4 თუ ვითარ მიწა — ზე ეტვირთოს ჰაერსა,
- 5 და ნივთიერ სხეულთა „სიზრჱე“ (ქვე-დამზიდველი სიმკვრივე) — ზე
ეტვირთოს წყალსა მწყურნებსა“.

გიორგისი

- 1 კაბადუკით
მზე შარავანდი დიდი
- 2 ცის ქვეშისა და
მზის ზედაჱსა სოფლისაა,—
- 3 ატტიკელ მხნეობს
იგი ნიშებთა ელმებრ!
- 4 შვიდ-გზის მოწაჱა —
აშვიდ-გზისიბს გვირგვინთა,
- 5 და ღმრთის ზიარ-მხნით
გიორგი განვლის ცათა!

თარგმანი-კომენტარი:

- 1 კაბადუკით მოვლენილი — მზე შარავანდი დიდი,
- 2 [არა ნივთიერი მზე, არამედ მზე-მზეთა, მზე-ადამიანი, ორკერძ მანა-
თობელი ორისავე სამყაროსი] — ცის ქვეშისა და მზის ზედაჱსა
სოფლიოსი, —
- 3 ატტიკური სიმხნით (ე. ი. ფილოსოფიური სტოიციზმით) იგი მოაქ-
ლენს საკვირველებათა ელვისებრ:
- 4 შვიდ-გზის წამებულს შვიდ-გზის დაედგმის გვირგვინი
- 5 და ღმრთის ზიარ-ქმნით გვირგი განვლის ცათა!

თევდორასი



- 1 ცის შარავანდი
იხზიან ნიშთა თევდორა.
- 2 მაქსიმოსს ალმოს —
ღმრთისა დიდისა შურსა.
- 3 ძელთ აიგდები
ჭვათა აღსწავს ცეცხლითა.
- 4 ღვაწლთა თმენითა
აგაღნიტებს მსაჯული.
- 5 და ცად ჰმოფს იგი
ქრისტეს შორის სუფივად.

თარგმანი-კომენტარი:

- 1 ცის შარავანდი თვედორე მზეებრ განფენს საკვირველებათა,
- 2 მაქსიმოსს [—რომელთა იმპერატორს, ამ ქვეყნიერ უფალს], ღმრთისა დიდისა შურსა, იგი ტანჯვას ჰგვრის [თავისი შეუღრეველობით],
- 3 ძელზე გაკრული — ქვათა განლევს ცეცხლითა,
- 4 იომენს სატანჯველთ, რომელიც მას მსაჯულმა განუშადა, იწითობა როგორც მაგნიტი ცეცხლში, —
- 5 და ციერად იქცევა ქრისტეს თანა სუფივად.

*

მეოთხე იამბიკო, ზედ-წერილით „თამარისი“, წარმოადგენს, როგორც მოვიხსენეთ, ამ ციკლის ეპილოგს. აქ თვით თამარ ლაპარაკობს თავისი პირით.


ეს იამბიკო მესიანისტური სულისკვეთებით არის გამსჭვალული. იგი იძლევა საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლების მესიანისტურს გამართლებასა და თვითდადგინებას.

თამარ თავის თავს აქ აცხადებს „ქედართა“ მფლობელად — ქვეყნის ოთხივე მხარის მბრძანებელად; იგი აცხადებს თავის-თავს ერთობილ ქრისტიანეთა მფარველად და უმაღლეს მეფედ, რომელსაც ერთად-ერთს მოსაგვს სხივებით მზე ოქრო-შარავანდი.

ამავე მესიანისტურ ასპექტში, იმის გასამართლებლად, რომ საქართველოს მეფე არის მფარველი და ერთად-ერთი უმაღლესი მბრძანებელი ქრისტიანული მსოფლიოსი, იამბიკოში აღნიშნულია აგრეთვე ისიც, რომ თამარ, ბაგრატიონთა გვარისა, არის შთამომავალი დავით მეფესალმუნე — წინასწარმეტყველისა (რომლის შესახებაც წერილმა სთქვა: მისნი ტომნი იქნებიანო ქვეყნის უფალნი).

მოგვყავს ტექსტი ამ იამბიკოსი:

თამარისი



- 1 მუროზს ცის ქვეშე მზე ოქრო-შარავანდი,
მზე ოქრო-შარავანდი,
- 2 ჭრისტეს-სჯულზეთა
ენათელ-ცისკროვნების!
- 3 სამყაროს შუქი
ერთსა ნათლისა-მსხივობს!
- 4 ყვავილ-სუნნელთა
ვმარდ-კინამოხის.
- 5 და კედართ მფლობი
ასულობს თამარ — დავითს!

თარგმანი-კომენტარი:

- 1 მუროზს ცის ქვეშე მზე ოქრო-შარავანდი,
- 2 იგი ჭრისტეს მოსავთა ნათელ-ცისკროვნად ეფინება.
- 3 სამყაროს შუქი მარტოოდენ ერთსა [ერთობილ ჭრისტიანეთა უმაღლეს მეფეთ-მეფესა] მმოსავს ნათლის სხივებით.
- 4 იგი ყვავილ-სუნნელთა [—ედემის სახით დანერგილს ბაღს, ე. ი. ჭრისტიანულ სამყაროს] ვარდ-კინამოდ ეფრქვევა.
- 5 მსოფლიოს მფლობელი („კედართ მფლობი“) თამარ — ასულობს დავითს (ე. ი. შთამომავლობს დავით წინასწარმეტყველისაგან, რომლის შესახებ წერილმა სთქვა: მისნი ტომნი იქნებიანო ქვეყნის უფალნი)*.

ჩვენ გაცეცანით თამარის პოეტური მემკვიდრეობის ამ პირველ ციკლს: „შშის შარავანდი“.

ჩვენ წინაშე ისახება უაღრესად თავისებური სახე მხატვრული სიტყვის დიდი ხელოვანისა.

ჯერ ერთი, მკითხველი მიაქცევდა ყურადღებას, თუ როგორის არტისტიკულობით, როგორის უცთომელის მხატვრულის ტაქტიით არის დაკავშირებული ერთმანეთთან ეს ოთხი განსხვავებულ პოეტურ სახეთა შემცველი იამბიკონები, ამავე დროს შინაგანად შენივთებულნი — ერთის ლეიტმოტივით, ერთი ძირითადი პოეტური მაგისტრალით, — შშის სიმბოლიკით.

შემდეგ, მაღალ მხატვრულ შეფასებას იწვევს თვით ფაქტურა პოეტური სიტყვისა. თამარის პოეტური ფრაზა თითქოს ნაჭედია ძვირფასი ლითონიდან. თამარის პოეტური სიტყვის ეს ფაქიზი სუფთა ფაქტურა უნებლიეთ გვაგონებს ბექა ოპიზარის ოქრო-ქანდაკებას.

*) აბდულ-მესიანში, ბიბლიის სიტყვებზე დამყარებით, ესევა აღნიშნული:

„... დავითისადა — ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცედა:

ანაშობნი შენი, შენ მიერ შშენი, დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა“.

თამარის იამბიკონთა პოეტური სიტყვა — აღბეჭდილია უმბიდროესი მხატვრული ეკონომიით. აქ მართლაც მოცემულია ერთი მხრით — სიმბიდროვე სიტყვათა, ხოლო ამავე დროს სიხალვათე პოეტურეზიუმული განფინისა. ზოგჯერ მთელი პოეტური სახე ნანიშნებია და გამჭვირვალედ გამოხსივებული ერთი სიტყვა-ხატი.

დასასრულ აღსანიშნავია ის არტისტიზმი, რომლითაც აღბეჭდილია თემატიური წრის მხატვრულად დამთავრებული შემორკალვა მცირე ფორმას ფარგლებში. იამბიკონური სტროფი — სულ ხუთი სტრიქონის შემცველი — საკმაოა იმისათვის, რომ თამარმა ამ ხუთ-სტრიქონედის ფარგლებში გამოაქანდაკოს ნამდვილის მხატვრულის სრულყოფით მთლიანი სურათი, ნაკვეთი მედალის სახით. თვითული იამბიკონი თამარისა — ეს არის თითქოს ნაქანდაკევი კამეა.

თავისი კონდენსირებული პოეტური ფორმით და შინაარსეული აესილობით თამარის ხუთ-სტრიქონედი იამბიკონი გვაგონებს კლასიკური სონეტის ფორმას. თამარის იამბიკონური სტროფი არის ისევე მხატვრულად სრულფასოვანი და თავის ფარგლებში მკაცრად შეკრული შინაგანის მთლიანობით, როგორც კლასიკური სონეტი.

განვიხილოთ ამის შემდეგ თამარის დანარჩენი იამბიკონნი. ისინი აღბეჭდილია ასეთივე მაღალი ხელოვნებით.

VII

«მიძღვნა დედისა და ძისადმი»

იამბიკო — «მიძღვნა დედისა და ძისადმი» დაწერილია, როგორც ირკვევა, 1193 წელს.

ამ წელს თამარ — დედა გახდა. იშვა თამარის პირშშო, საქართველოს შემკვიდრე ლაშა-გიორგი.

მემატიანე მოგვითხრობს ლაშა-გიორგის დაბადების შესახებ:

თამარ მეფე მსგავს იქმნაო თვით ღვთის-შშობლისა მარიამისა; თამარ-შაო, — ამბობს მემატიანე, — „განწმედილითა გონებითა, და ტაძრისა ღმრთისა აღმსკუთაულისა — სანთლითა სხეულისაჲთა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა, ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან, მუნ შუა ძე, სწორი ძისა ღმრთისა... რომლისთვისცა ნათელი უკუდავთა ნაწილისა აღმოგვეყუავილა“.

ეს დაწერილია თვით თამარის სიცოცხლეში, როდესაც ლაშა-გიორგი ყრმა იყო.

მემატიანის სიტყვებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რა შარავანდელით იყო შემოსილი თამარის სახელი. პირდაპირ საოცარია ქრისტიანი მწერლის მიერ ეს კანდიერი — ეკლესიური თვალსაზრისით — შედარება თამარისა ღმრთისშობელთან. თამარს ამსგავსებენ მადონას, თამარის სადგომს ტაბახმელას — სადაც იშვა ლაშა — ამსგავსებენ ბეთლემს, ხოლო ძე თამარისი ლაშა წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც ახალი მესია, რადგან თამარისაგან მხოლოდ ღვთაებრივი ნაყოფი, „ნათელი უკუდავთა ნაწილისა“ შესაძლოა წარმოიშვასო.

თამარს, ლაშა-გიორგის დაბადება, როგორც ეს მიღებული წესი იყო, აღუნიშნავს შესაწირავით. თამარს შეუშვია გელათში დასვენებული ხახულის ღვთის-შშობელი, რომელიც საქართველოს ნაციონალურ სიწმიდედ ითვლებოდა.

თამარს ნიშნად მვედრებლობისა, დაუწერია იამბიკო, რომელიც ამოუქან-
დაკებიათ ხახულის ხატზედვე.

ლეთისმშობელი ხახულის ხატზე წარმოდგენილია როგორც დედა ჭეძლი
ყრმით ხელში.

თამარ მიმართავს დედა — დედას.

აი თვით ეს იამბიკონი თამარისა:

- 1 ქალწულებრივთა
სისხლთა შენთაგან, სძალო,
- 2 თბად საიდუმლოდ,
ზინაასა ბანბავისად,
- 3 ძინსა ღმრთისა — ძიდ
მეშვ იმჟინ არსთა მცხოვნად!
- 4 მე, თ ა მ ა რ, მჩინი
ტომთაგან დავითებართათ
- 5 თვისად, — შემაგვევ,
მადიდე, აღმაშაღლე!
- 6 აწ მეცა ხელ-ყვავ
შემკობად ხატსა თაშინსა, —
- 7 დედინსა ძითურთ, —
და მეცა, ძითურთ, მზარავდე!

თარგმანი-კომენტარი:

- 1—2 სძალო [ღმრთის-მშობელო!] შენთა ქალწულებრივთა სისხლთაგან
საიდუმლო შეზავებით, ზენა განგებისამებრ,
- 3 ძედ დაჰბადე ძე ღმრთისა, არსთა საციცოცხლოდ.
- 4 მე, თამარ, შთამომავალი დავით მეფსალმუნე წინასწარმეტყველისა
[და შენი, ღმრთის-მშობელო,] თვისი [ერთ-სისხლი და ნათესავი],
- 5 შემაგვევ, მადიდე და აღმაშაღლე.
- 6 აწ მეცა ხელ-ყვავ შემკობად ხატისა თქვენისა, — დედისა ძითურთ, —
- 7 და მეცა [თამარ], ძითურთ [ლაშა-გიორგით], — დამიფარე!

VIII

იამბიკო სავედრებელი

ძართველთა შამქორს გამარჯვებისათვის.

დიდგორის გამარჯვება — დავით აღმაშენებელის დროს, და შამ-
ქორის გამარჯვება თამარ მეფის დროს, — ეს ორი ღირსსახსოვარი ამბა-
ვი ჭვენი ქვეყნის ისტორიიდან უნდა მოვიგონოთ აქ, — თამარის ამ იამბი-
კონთან დაკავშირებით.

1121 წელს, დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დიდგორთან, ტფი-
ლისის შემოგარესთან, საქართველოს საზღვრებში შემოსული მუსულმანთა
უძლიერესი კოალიციის ლაშქარი, და ამ გამარჯვების შედეგად, როგორც

ზემოთაც აღვნიშნავდით, დავით აღმაშენებელმა განამტკიცა საქართველოს სახელმწიფო — ახალ საზღვრებში, შავი ზღვიდან — კასპიის ზღვამდე.

74 წლის შემდეგ, დავითის დიდი მემკვიდრის — თეიმურაზის დროს, 1195 წელს, ქართველთა მხედრობამ დაამარცხა შამქორთა — განჯის შემოგარესთან, მუსულმანთა სხვა ახალი უძლიერესი კოალიციის შეერთებული საკავშირო ჯარი. ხოლო იმ ლაშქრობათა შედეგად, რომელიც მოჰყვა შამქორს, მე-12 საუკუნის დასასრულსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში, საქართველო იქცა უძლიერეს სახელმწიფოდ ახლო აღმოსავლეთში, და საქართველოს საზღვრები მიტანილ იქმნა ირანის მიმართულებით — ერაყის პროვინციამდე (შიდა სპარსეთი); ბაღდადის ხალიფატის მიმართულებით — მარაღამდე (ურმიის ტბასთან); ანატოლიის მიმართულებით — ვანის ტბამდე — (ხლათის სასულთნოთი) და ეფფრატამდე (— ეზინკის ემირატით); ხოლო შავი ზღვის სანაპირო ხაზით პავლაგონიამდე (ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთ მიჯნამდე).

საქართველოს სახელმწიფოს ორს სახელოვანს მეთაურს, — დავით აღმაშენებელსა და თამარს, — ეს ღირსსახსოვარი გამარჯვებანი ქართველი ხალხისა, — დიდგორისა და შამქორისა, — აღვნიშნავთ ჰიმნებით.

ქართული მატრიანეები ამის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

დიდგორის გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებელს წარუგზავნია გელათში დასაცველად ერთ-ერთი ტროფეი („იავარი“) დიდგორის ბრძოლისა: არაბთა შეფის მანიაკი (ფარღული). ეს მანიაკი ეკუთვნოდა არაბთა შეფეს დორბუზე სადაყაის-ძეს, რომელიც მონაწილეობდა დიდგორის ბრძოლაში (სხვა მუსულმან მფლობელებთან ერთად); როგორც გადმოგვცემს შემატრიანე, როდესაც დამარცხებული მუსულმანთა ლაშქარი ივლტოდა, — ქართველთა მხედრებმა „მოსძარცვეს ქედისაგან დორბუზე სადაყაის-ძისა, ეამსა დიდგორთა გაქცევისათა“, — მანიაკი ოქროსა. შემკული თუალებითა ძვრფასისათა“.

დავით აღმაშენებელმა ეს ტროფეი მანიაკი, როგორც სიმბოლო გამარჯვებისა, წარგზავნა რა დასაცველად გელათში, ხახულის ღვთის-მშობლის წინაშე, რომელიც საქართველოს ნაციონალურ სიწმიდედ და ქვეყნის დემფარველად ითვლებოდა, — ამავე დროს აღწერა და ტროფეისთან ერთად წარგზავნა გელათში ჰიმნი გამარჯვებისა. (უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ გელათი არა მხოლოდ ტაძარი იყო, არამედ გელათი იყო კერა ქართული განათლებისა; აქ იყო განთქმული ქართული აკადემია, რის გამო გელათს უწოდებდნენ „ახალ ათინა“-ს, ანუ „ახალ ელადა“-ს).

დავით აღმაშენებელის ჰიმნი დაწერილი ყოფილა „იამბოკოდ ხუთეულად, ოცდახუთ ლექსად“.

შამქორის გამარჯვება თავისი მნიშვნელობით დიდგორის გამარჯვებას უდრიდა. შამქორმა უნებლიეთ გააცოცხლა იმ-დროინდელს ქართულს საზოგადოებაში დიდგორის ბრწყინვალე სახსოვარი.

და თამარ მოიქცა ისევე, როგორც მისი დიდი წინამორბედი დავით აღმაშენებელი.

ამ მრავალ ტროფეებს შორის, რომელიც ძლევაშისილმა ქართულმა ჯარმა მოიტანა შამქორიდან, იყო თვით ხალიფის დროშა. ეს მწვეანე დროშა მამკაიდისა, ხალიფის, მუსულმანთა უმაღლეს მბრძანებელს, წარმოეგზავნა „ღაზოდ“ ე. ი. სამოშურნოდ (უძლეველობის ნიშნად) — მუსულმან-

თა იმ დიდი საკავშირო ლაშქრისათვის, რომელიც საქართველოსკენ მიმავალია, — და ქართველებმა ეს მწვანე დროშა მაჰმადისა ტყვედ წარმოიყვანეს შამქორის გამარჯვების დროს.

ქართველი გმირი, რომელიც ხელთ იგდო ბრძოლის დროს მაჰმადის ეს მწვანე დროშა, იყო შალვა ახალციხელი (თორელი), რომელსაც ადრევე განთქმული რაინდის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი საქართველოში.

შალვა ახალციხელმა მაჰმადის ეს დროშა პირადად მოართვა თამარს, თამარის ფერხთა წინაშე განდინა.

შამქორის გამარჯვების ტროფეებიდან — თამარმა აირჩია ეს დროშა, როგორც ღირსსახსოვარი სიმბოლო ქართველთა ძლევაშემოსილებისა, და დავით აღმაშენებლის მსგავსად წარგზავნა მაჰმადის ეს დატყვევებული მწვანე დროშა დასაცავად გელათში, ხახულის ღვთის-მშობლის წინაშე. ამასთან თამარმა, აგრეთვე დავით აღმაშენებლის მსგავსად, აღწერა ჰიმნი — „იამბიკო სავედრებელი“ ქართველთა შამქორს გამარჯვებისათვის, და ეს ჰიმნი — ტროფეისთან ერთად წარგზავნა გელათს.

თამარის თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი „შარავანდელთა ისტორია-აზმანთა“ ავტორი, რომლის საისტორიო შრომა დაწერილია მე-12 წელს თამარის მეფობისა, 1195—1196 წლების მანძილზე (ე. ი. იმავე თვეებში როდესაც გადახდილ იქნა შამქორის ბრძოლა), შემდეგს სწერს — ზემოთ აღნიშნულის შესახებ:

„დროშა იგი ხალიფისა, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე [მეფემან თამარ] მონასტერსა დიდსა [გელათს], წინაშე ხახულისა ღმრთის-მშობელისა, მსგავსად მამის-პაპისა მისისა [დავით აღმაშენებელისა], ვითარცა შამინ დიდსა დავითს წარგზავნა მოძრკული ქედისაგან [არაბთა მეფისა] დორბეზე სადაყაღს-ძისა, ეამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი ოქრომსა, შემკული თუალებითა ძვირფასისაჲთა. მიზეზად ძღუნისა შემწირველობისა და მვედრებლობისა ამაჲცა [მეფემან თამარ, მსგავსად დიდისა დავითისა] ესევითარად ესე იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერა“.

*

ამ წინასიტყვაობის შემდეგ ისტორიკოსს მოჰყავს თამარის თვით ენ „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერილი“.

იამბიკონი თამარისა აღბეჭდილია საზეიმო განწყობილებით; აქ გადმოცემულია ერის ზეიმი.

ეს ჰიმნი პირველ ყოვლისა არის პოლიტიკური დეკლარაცია, აბოლოგია საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეისა.

თამარ აქ ლაპარაკობს როგორც მეფეთ-მეფე საქართველოსი და ამავე დროს როგორც უზენაესი მბრძანებელი ქრისტიანული მსოფლიოსი.

შამქორი — ეს იყო დამხობა მუსულმანთა ძლიერებისა და ქრისტიანული საქართველოს აღზევება. და თამარ იამბიკოში მიმართავს ღვთის-მშობელს, როგორც ნათელს ქრისტიანობისას და საქართველოს დედა-მფარველს.

შინაარსი იამბიკონისა შემდეგია.

პირველ ორ სტროფში მოცემულია ფილოსოფიური გაშლა ქრისტიანიზმის იდეისა, საქართველოს ოფიციალური ნაციონალური იდეოლოგიისა.

მესამე სტროფში აღიარებულია საქართველოს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობა; ზოლო ამასთან დაკავშირებით აღიარებულია საქარ-

თველოს მეფეთ-მეფის პირველობა მსოფლიოში, როგორც ქრისტიან ნაღბთა უზენაესი მფარველისა და მბრძანებელისა.

იამბიკონთა ციკლში „მზის შარავანდნი“ ჩვენ უკვე გვევლინება მესიანისტურ იდეას საქართველოს განსაკუთრებულ ისტორიულ მისიის შესახებ ქრისტიანულ სამყაროში. ხოლო ამ პიმნში — ქართველთა შამქორის გამარჯვებისათვის ეს მესიანიზმი გამოხატულია კიდევ უფრო მეტის სიმკვეთრით.

თამარ აღიარებს, რომ იგი, ვითარცა შთამომავალი დავით მეფსალმუნე წინასწარმეტყველისა, არის შტო იმავე ხისა რომლისაგან წარმოიშვა თვით ღვთის-მშობელი და ქრისტე, და ამ-რიგად თამარ არის ერთ-სისხლი და ნათესავი თვით ღვთაებისა; ამის გამო საქართველოს მეფეთ-მეფე მოწოდებულია თვით ღვთაებისაგან, ცხებულა ღვთაების მიერ მსოფლიოს მბრძანებლად. თამარ მიმართავს ღვთისმშობელს:

- 1 შენგან — ქალწულო! —
რომელ შენი თვს დავით
- 2 როკვიდა, ძისა
ღმრთისა ძედ შენდა შობად, —
- 3 მე, თამარ მიწა
შენი და მიერივე
- 4 ცხებულებასა
ღირს-მყავ, და თვსობასა, —
- 5 ედემს, ლადირთად,
სამხრით და ჩრდილოეთით.

მოგვყავს ამ სტროფის გაშიფრული თარგმანი ახალ ქართულზე, — პოეტური და თეოლოგიური სახეების გახსნით:

1. შენგან, ქალწულო, რომლისათვისაც შენი თვსი [შენი ერთ-სისხლი ნათესავი] დავით [მეფსალმუნე]
2. როკვიდა, [და ამით წინასწარმეტყველურად მოასწავებდა] ღვთაების ძის [ქრისტე-მესიის] ძედ შენდა შობას,
3. მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე [მიერი დავით მეფსალმუნისა, დავითის შთამომავალი, და შენი, დავით ასულო, ერთ-სისხლი მკვდრი],
4. ღირს-მყავ შენსა თვსობასა [შენსა ნათესაობასა], და [მეფედ] ცხებულებასა —
5. [მსოფლიოს მფლობელად]: აღმოსავლეთიდან [სადაც ედემი დანერგა ღმერთმა] — ვიდრე დასავლეთამდე [„ლადირთამდე“, — ე. ი. მსოფლიოს დასავლეთ მიჯნამდე — ჰერაკლეს ბჭეებამდე], და სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე.

(აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ „ედემი“ წარმოდგენილი იყო როგორც მდებარე მსოფლიოს აღმოსავლეთ მიჯნაზე, ხოლო „ლადირნი“, ანუ ჰერაკლეს ბჭეები, — მსოფლიოს უკიდურეს დასავლეთ მიჯნაზე).

იამბიკოს ბოლო ორ სტროფში მოხსენებულია „მიზეზი შეედრებლობისა და ძღუნისა შემწირველობისა“, — ქართველთა ძღვეამოსეფი დაშქრობა შამქორს, სადაც, თამარის მეუღლის დავითის წინამძღოლდგინდა ქართველთა მხედრობამ „მოირთხნა, მოსრნა ავარის ნათესაენი“, დასთრგუნა მუსულმანთა ტომნი. თამარ მიართმევს ღვთის-მშობელს, როგორც ერის დედა-მფარველს, ტყვედ წამოყვანილს შაჰმადის დროშას, როგორც სიმბოლოს მუსულმანთა ძლიერების დამხობისა.

ასეთია შინაარსი ამ მესიანისტური ჰიმნისა.

დაწერილია ჰიმნი — კლასიკური იამბიკონით, ფილოსოფიური პოეზიის კანონიზირებული სტილით. იამბიკონს ახასიათებს მკვეთრი ჰელი პოეტური სიტყვისა, მხატვრულის ლაკონიზმით ნაკვეთი სახეები.

მონუმენტალური სტილი ფილოსოფიური პოეზიისა, ზოლო ამასთან ერთგვარი ოფიციალური ტონი იამბიკონთა, — საესებით შეეფერება მესიანისტური იდეოლოგიის იმ დეკლარაციას, რომელსაც წარმოგვიდგენს ეს ჰიმნი. მოგვეყავს ამის შემდეგ სრულად თვით ტექსტი იამბიკონისა.

(პარალელურად მოგვეყავს ტექსტის კომენტარებულ თარგმანი ახალ-ქართულზე, პოეტური და თეოლოგიური სახეების გახსნით).

იამბიკო სავადავადი

ქართულთა შამქორს გამარჯვებისათვის

I

- 1 ცისა-ცათაჲსა
ღაფუჟაჲ არს ღმერთ-მთავრობა.
- 2 ძე — საუკუნოზს,
პირველი, ღა კვალადი.
- 3 სულმან მან ღმერთმან
სრულ-ჰყო მოქმედებადი.
- 4 სამებით სრულმან
ერთითა ღმრთეებითა,
- 5 მიწით პირველსა
ეწარფო პირმშოს კაცთასა.

თარგმანი-კომენტარი:

- 1 ცის სფეროთა (ცისა-ცათაჲსა) დამწყებ-შემოქმედი არს ღმერთ-მთავრობა [—პირველი პირი ღვთაებისა]
- 2 ძე [—მეორე პირი] ასევე მარადისია, — პირველი [—პირველითგანვე არსი] ღა კვალადი [—კვალად განხორციელებადი].
- 3 სულმან მან ღმერთმან [—მესამე პირმან] — სრულ-ჰყო მოქმედებადი ღვთაება.
- 4 სამებით სრულმან ერთ-ღვთაებამან
- 5 ექმნა სახედ (შეეწარფო, თანა-უზიარა) მიწისგან წარმოქმნილს პირმშოს ადამიანთა (პირველ-შობილს ადამს).



II

- 6 შენ-მიერ მისთვის
დრკჟესა მის ბანმბაბალი,
- 7 უდრკჟოჲ მიდრკა
უვნეზი — ვნეზისაღმი,
- 8 ივნო, და ვნეზაჲ
პირველი უვნეზელ-ჰყო!
- 9 შენგან შობილმან
ჩვენ ღირს-გვეყვანა აღმოშობად,
- 10 ბნელით ნათელსა —
ნათელთა მხედველობად.

თარგმანი-კომენტარი:

- 6 შენ მიერ [ღმრთის-შშობელო], მისთვის [ადამისათვის], დრკჟესა [ყოველად განუმარტველისა მრუდისა, სატანის] განმგებელი —
- 7 [ქე შენი იესო], უდრკჟოჲ [მართალი] და უვნეზო — მიდრკა ვნეზისადმი,
- 8 ივნო, და ვნეზა პირველი [ადამის მიერ მოვლენილი] უვნეზელ-ჰყო.
- 9 შენგან შობილმან — ჩვენ ღირს-გვეყო აღმოშობად
- 10 ბნელითგან ნათელსა, ნათელთა მხედველობად.

III

- 11 შენგან — ქალწულო! —
რომელ შენი თვის დავით
- 12 როკვიდა, ძისა
ღმრთისა ქედ შენდა შობად, —
- 13 მე, თამარ, მიწა
შენი, და მიერ ივე,
- 14 ცხებულეზასა
ღირს-მყავ და თვისობასა, —
- 15 ეღმეს, ლადირთად.
სამხრით და ჩრდილოეთით.

თარგმანი-კომენტარი:

- 11 შენგან, ქალწულო, რომლისთვისაც შენი თვისი [შენი ერთი-სისხლი ნათესავი] დავით მეფესალმუნე
- 12 როკვიდა, [და ამით წინასწარმეტყველურად მოასწავებდა] ქე-ღმრთისა [ქრისტე-მესიისა] ქედ შენდა შობას,
- 13 მე, თამარ, მიწა შენი და მიერ ივე [—მიერი დავით მეფესალმუნისა, მისი შთამომავალი, და შენი, დავითის ასულო, ერთ-სისხლი მკვდრი],
- 14 ღირს-მყავ შენსა თვისობასა [ნათესაობასა] და მეფედ ცხებულეზასა —
- 15 [მსოფლიოს მფლობელად]: აღმოსავლეთიგან [—სადაც ედემი დანერგა ღმერთმა] — ვიდრე დასავლეთის მიჯნამდე [— „ლაღირთამდე“ — ჰერაკლეს ბჭეებამდე], და სამხრეთით ჩრდილოეთამდე.

IV

- 16 შუა მფლობელი
იავარს შენდა ვმართმელოზ;
- 17 ხალიფის დროშაჲ,
თანაჲ მანიაჲსა
- 18 შევართე, ცრუ-სჯულთა
მოძღვრისა ლაზოდ მძვანის,
- 19 ვინ და ვით, ძეგბრ
ეფრემის მოისარგან
- 20 მოირთხნა, მოსრნა,
სულტნითა, ათაბაგით.



თარგმანი-კომენტარი:

- 16 ქვეყნის მფლობელი [ნიშნად გამარჯვებისა] იავარის (ტროფეის) შენდა მომართმეველი ვარ:
- 17 მანიაჲს [—ძველს იავარს, რომელიც დიდმა დავით აღმაშენებელმა მოგიძღვნა] — შევემატე დროშა ხალიფისა,
- 18 [მაჰმადის] ცრუ-სჯულთა მოძღვრის მიერ „ლაზოდ“ (სამოშურნოდ) წარმოგზავნილი [ჩვენდა საწინააღმდეგოდ],
- 19 ხალიფისა, — რომელიც დავით [სოსლანმან, ეფრემის შთამომავალ-მან], ეფრემის ძეთაებრ [უცთომელად] მოისარმან,
- 20 დასთრგუნა („მოირთხნა, მოსრნა“) ხალიფის თანაგანმზრახველ სულტანთან და ათაბაგთან ერთად.

V

- 21 ირანს ებრძოლეს
ჩემ-მიერ მისთა სპათა,
- 22 ჩემნი მხედარნი —
მოსავენი შენნი — სძალო!
- 23 მოწყლნეს, მოწყვიდნეს
აბარის ნათესავენი.
- 24 მუნით მოხმულთა
ნივთაბან ამას ერთსა
- 25 შენდა შემწვიკავ!
მიოხე, ძეგბრ, ლმერთო!

თარგმანი-კომენტარი:

- 21 ირანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა [ხალიფის] სპათა
- 22 ჩემნი მხედარნი, შენნი მსასოებელნი, სძალო ქალწულთა!
- 23 მოწყლნეს, მოწყვიდნეს აგარის ნათესავენი [მუსულმანთა ტომნი].
- 24 მუნითგან მოღებულ საბოძვართაგან ამას ერთსა [ხალიფის დროშას]
- 25 შენდა შევეწირავ [ძეო მარიამისაჲ, იესო] ლმერთო, და მეცა ძეებრ შემვიედრე!

IX



თამარი, შოთა რუსთაველი და იოანე ფილოსოფოსი

თამარი თავისი ფილოსოფიური იამბიკონებით ეხმარება ქართული პოეზიისა და ქართული ფილოსოფიური აზროვნების ორს კორიფეს: შოთა რუსთაველსა და იოანე ფილოსოფოსს.

*

შოთა რუსთაველთან ჩვენ გვაქვს უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანი შეხვედრა პოეტიკაში.

თამარის ფილოსოფიური იამბიკონები და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სრულებით განსხვავებულს ქანრებს განეკუთვნება; ამიტომაც შიო უფრო საგულისხმოა და მრავლის-მეტყველი ეს შეხვედრა თამარისა და რუსთაველისა. თამარისთვის იმდენად მახლობელი ყოფილა საერო პოეზიის ტრადიციები, ხოლო განსაკუთრებით იმდენად მახლობელი ყოფილა თამარისათვის რუსთაველის პოეზია, რომ თამარს ფილოსოფიურ იამბიკონებში გადააქვს რუსთაველის პოეტიკის ნიშანდობლივი და სპეციფიური ელემენტები.

რუსთაველის პოეტიკაში ჩვენ გვაქვს ერთი თავისებურება პოეტური მეტყველებისა, აღბეჭდილი ნამდვილის გენიალობით, რომელიც მხოლოდ რუსთაველის პოეზიას ახასიათებს, და რომელიც ჩვენ არ გვხვდება არსად, არც ქართულს პოეზიაში, და არც მსოფლიო პოეზიაში.

ეს არის ის თავისებურება პოეტური მეტყველებისა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ვერბალური ალიტერაცია, ანუ სახეების ალიტერაცია.

საქმე ის არის, რომ რუსთაველის პოეზიაში მიღებულია პოეტური სიტყვის ორკესტრირება არა მხოლოდ ფონეტიკური ალიტერაციის მიხედვით, არამედ რუსთაველს ეს პოეტური პრინციპი ალიტერაციისა გადატანილი აქვს ახალს პლანში; ფონეტიკური ალიტერაციის გვერდით რუსთაველი იძლევა ალიტერაციას თვით სიტყვებისას და სახეებისას.

მოვავონებთ მკითხველს ზოგიერთს ამის მაგალითს:

„მე აღარ მზეობს ჩენთანა, დარი არ დარობს დარულად“.

ან-ღმ:

„ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა,
...სად წაიყვან ხადურხა, სად აღუფხერი ხადით ძირსა!“

ან-ღა:

მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მწვავს მისისა მწველისა...“

და სხვანი. (სხვა მაგალითებს თვით მოიგონებს რუსთაველის მკითხველი).

რუსთაველი პოეტური მეტყველების ამ ახალი სახეობით, ვერბალური ალიტერაციით, სიტყვებისა და სახეების ამგვარი უაღრესად თავისებური მხატვრული ორკესტრირებით აღწევს პოეტური მეტყველების ნამდვილს სრულმშოვანებას, ჰმატებს პოეტურ სიტყვას ახალს ელერას.

და როგორც მოვიხსენეთ, ეს ახალი სახეობა პოეტური მეტყველებისა, პოეტური პრინციპი ვერბალური ალიტერაციისა ჩვენ გვაქვს მხოლოდ რუსთაველის პოეზიაში და არსად სხვაგან.

არავინ ქართული პოეზიის ისტორიის მანძილზე არ გამოხმაურებია სრულზმოვანად რუსთაველს.

ერთად-ერთი პოეტი ქართული მხატვრული სიტყვის ისტორიაში, რომელსაც ბოლომდე ესმის მაგიური ძალერა რუსთაველის პოეზიისა, — ეს არის თამარი.

თამარის ფილოსოფიურ იამბიკონებში მოცემულია სიტყვებისა და სახეების პოეტური ორკესტრირება რუსთაველის პოეტიკის ამ პრინციპის—ვერბალური ალიტერაციის თანახმად.

განვიხილოთ ჭერ თამარის ჰიმნი — ქართველთა შამქორის გამარჯვებისათვის.

ამ ჰიმნის ფილოსოფიურ შესავალში, სადაც დაპირისპირებულია სატანა და მესია, ჩვენ ვკითხულობთ:

„... მიდრკა უენები — ვნებისადმი,
იენო, და ვნებაჲ პირველი — უენებელ-ჰყო“.

ანუ სახეების გაშიფრვით

„უენები (ე. ი. ვნების არ ჰქმედებარე მესია) მიდრკა ვნებისადმი,
იენო, და ვნებაჲ პირველი (ადამის მიერ მოვლენილი) უენებელ-ჰყო“.

როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ გვაქვს ნამდვილი რუსთაველური წყობა პოეტური ფრაზისა — ვერბალური ალიტერაციის პრინციპის მიხედვით. ტაეპები ორკესტრირებულია ერთი და იმავე სიტყვა-ხატით: ვ ნ ე ბ ა (უენები, ვნებისადმი, იენო, ვნებაჲ, უენებელ-ჰყო).

შემდეგ თამარის მეოთხე იამბიკო ციკლიდან „შის შარავანდში“. აქ ვკითხულობთ:

„მუეობს ცის ჰვეშე მზე ოჭო-შარავანდი“.
(სახეების გამოხმაურება: მუეობს... მზე).

შეადარეთ ამას რუსთაველი:

„მზე აღარ მუეობს ჩენთანა, დარი არ დარობს დარულად“.

როგორც ვხედავთ აქ ჩვენ გვაქვს სრული შეხვედრა რუსთაველთან! შემდეგ, ტაეპი იამბიკოდან ქართველთა შამქორის გამარჯვებისათვის:

„შენგან შობილმან ჩენ ღირს გვენა აღმოშობად“.

თამარის იამბიკო, მიძღვნილი გიორგი კაბადუციელისადმი:

„შედ-გზის მოწამე აშუდ-გზისებ გვრგვნთა“.

ეს ტაეპი იძლევა შეხვედრას რუსთაველთან როგორც ვერბალური ალიტერაციით (სახეების გამოხმაურება: „შუდ-გზის... აშუდ-გზისებ“), ისე სიმბოლიკით რიცხვისა — შვიდი.

*

გარდა იმისა, რომ თამარის იამბიკონები ეხმაურება რუსეთის პოეზიას პოეტური მეტყველების ამ ნიშანდობლივი თავისებურებით, რი ალიტერაციის პოეტიკით, ჩვენ სხვა მხრივაც ვაქვს შეხვედრა თამარის იამბიკონებისა რუსთაველის პოეზიასთან.

ეს არის მზის სიმბოლიკა, წარმოდგენილი როგორც თამარის იამბიკონებში, ისე რუსთაველის პოეზიაში.

რუსთაველის ნათელი პოემა — ვეფხის-ტყაოსანი — თითქოს დაფრქვეულია მზის სხივებით. ხოლო, რაც მთავარია, მზის სიმბოლიკის სახით აქ გაშლილია თვით ცენტრალური იდეა პოემისა.

მზის სიმბოლიკის ასეთსავე პლანში არის მოცემული თამარის იამბიკონების ციკლი „მზის შარავანდი“, ასევე დაფრქვეული მზის სხივებით.

მზის სიმბოლიკა გასდევს თამარის ყველა ამ იამბიკონებს ლეიტ-მოტივის სახით:

პირველ იამბიკონში:

„ვიხილვან — მზეო! — უცხონი ნიშნი ფრიალ“...

მეორე იამბიკონში:

„...მზე შარავანდი დიდი, ცის-ქვეშისა და მზის ზედასა სოფლისა“...

„[მზე-ადამიანი] — ატრეკელ მზეობს ნიშნებთა ელვებრ“...

მესამე იამბიკონში:

„ცის შარავანდი — იმზებს ნიშთა“...

მეოთხე იამბიკონში:

„მზეობს ცის ქვეშ მზე ოჭრო — შარავანდი“...

„...ენათელ-ცისკროვნების“...

„...სამყაროს შუბი ნათლისა-სხივობს“...

აქ საჭიროა ზაზი გაუსვათ იმ უაღრესად მნიშვნელოვანს გარემოებას, რომ თამარის იამბიკონებში მზის სახეობა მოცემულია არა როგორც უბრალო წყება მეტაფორებისა, არამედ როგორც მაგისტრალური პოეტური სიმბოლიკა, რომლითაც გაშლილია ცენტრალური იდეა პოემისა. იამბიკონებში დასახული სახეები წარმოდგენილია როგორც გამოშუქება ნათელი დასაბამისა, მზის ოჭროვანი შარავანდელის სახით.

ამ-რიგად, იმის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, ვფიქრობთ ცხადია, რომ თამარის იამბიკონები უახლოესად ენათესავება რუსთაველის პოეზიას; ენათესავება ჯერ ერთი ფორმით, პოეტური მეტყველებით, ვერბალური ალიტერაციის პოეტიკით; ხოლო ამას გარდა აქ არის ერთგვარი კორესპონდირება თვით პოეტური სიმბოლიკის მაგისტრალური ხაზითაც, — მზის სიმბოლიკის ასპექტით.

*

გარდა ამისა, რომ რუსთაველი და თამარ ერთმანეთს ზედებიან როგორც პოეტები, თამარ თავისი ფილოსოფიური იამბიკონებით ეხმაურება აგრეთვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების მეორე კორიფეის — იოანე ფილოსოფოსს.

თამარ სდგას თავისი ეპოქის ფილოსოფიური აზროვნების მთელს სი-
მალღებზე, და ამის გამო თავის-თავად მოსალოდნელი იყო ეს შეხვედრა თა-
მარისა იოანე ფილოსოფოსთან, რომელიც ცენტრალური ფილოსოფიური საშუა-
საშუაუნეთა ქართული ფილოსოფიის ისტორიაში, ნამდვილი ფუძემდებელი
ორიგინალური ქართული ფილოსოფიური სკოლისა.

თამარის ფილოსოფიური სოფლზედა, როგორც აღვნიშნეთ, ეს არის
ქრისტიანობაში, გაშუქებული ელინური ფილოსოფიით.

თამარ გამოდის ქრისტიანობის იდეოლოგიის დამცველად როგორც
უზენაესი მეფეთ-მეფე ქრისტიანული მსოფლიოსი.

მაგრამ ქრისტიანობაში ეს არის არა მარტოოდენ ოფიციალური თვალ-
თახედვა, რომელსაც იცავს თამარ როგორც ქრისტიანულ მსოფლიოს უზე-
ნაესი მბრძანებელი, არამედ ქრისტიანობაში — ეს არის თამარის ფილოსოფი-
ური სოფლზედვის ნამდვილი არსი.

ხოლო თამარის ქრისტიანობაში, თუმცა ორთოდოქსალური, მაინც არ არის
ვიწრო-ეკლესიური ქრისტიანობაში, არამედ, როგორც აღვნიშნავდით, იგი
ელინური ფილოსოფიით არის განათებული.

საგულისხმოა ამ მხრივ, რომ თამარ, იამბიკონების ციკლში „მხის შა-
რავეანდის“, გვიხატავს რა ქრისტიან მოღვაწეთა სახეებს, იგი ქრისტიან მო-
ღვაწეთა საქმეში ხედავს „ატტიკელ მხნეობას“, (იხ. იამბიკო — მიძღვნილი
გიორგისადმი). „ატტიკური სიმხნე“ ე. ი. სტოიციზმი, ატტიკური (ელინური)
ფილოსოფიის მიერ განსაზღვრებული ადამიანის ზნეობისა და საქმის სახელ-
მძღვანელოდ, — აი რა შთაავონებს თამარს.

თუ თამარ ქრისტიანობიდან მოდის ელინიზმთან, იოანე ფილოსოფოსი
ელინიზმიდან სცდილობს გადააბას შემაერთებელი ხიდი ქრისტიანობასთან.

თამარის ფილოსოფიურ იამბიკონებში და იოანე ფილოსოფოსის ტექს-
ტებს შორის ჩვენ შესაძლოა შევეამჩნიოთ ზოგიერთი შეხვედრის ხაზი.

ასე, იოანე ფილოსოფოსი, სცდილობს რა გამონახოს ნათესაობა ელი-
ნური ფილოსოფიის დებულებათა და ქრისტიანობის შორის, შემდგენაირად
ამართლებს ქრისტიანობის ძირითადს დოგმას — სამებას; იოანე ფილოსო-
ფოსი სწერს:

„ხოლო ფილოსოფოსი [პლატონი] თანა მიუხმეებს, ოდეს რაა
„ტიმეოს“ შორის და „პარმენიდის“¹ აცუმიდეს ოქრომძიეთა მათ თვსთა
ჩემი იგი ატტიკელი, რამეთუ იტყვს. ვითარმედ: „მხოლოდ და-
საბამსავე დადრკა და ვიდრე სამობამდის და-
დგა“. და ესეცა წინა-მეთქუესა მას დავითს თანა-დაეღალადების,
რამეთუ მხოლოდ [იტყვს] — ვრთსა და მამასა, და გზად მიდ-
რეკად გამოსავალათ — ძესა, ხოლო დგომად და მისრულებად
სამობისა — სულსა.“²

¹) „ტიმეო“ და „პარმენიდი“ — პლატონის დიალოგები.

²) იხ. იოანე პეტრიწის შრომები, გამოცემა შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილისა
(ტფ., II, 1937 წ., I, 1938 წ.), ტომი II, გვ. 209 — 210.

გადავიტხოთ ამის შემდეგ თეოლოგიური შესავალი, რომლითაც იხსნება თამარის ჰიმნი შამქორს ქართველთა გამარჯვებისათვის; თუბერსწერს;

„ცისა-ცათა მასა დამწყებ არს ღმერთსა მისსა-ბა [—შამა, პირველი პირი ღვთაებისა];

ძესაუკუნობს პირველი [პირველადი, დასამითგანვე არის] და კუალადი [—კვალად განზორციელებადი];

სულმან მან ღმერთმან სრულყო მოქმედებადი;

შემდეგ თამარ მიმართავს ღვთის-შწობელს და გვამცნებს ღვთაების მეორე პირის — ძის — შესახებ:

„შენ მიერ მისთვის დრკუ მასა [სატანის] მის განმგებელი უდრკუოა (ძე-ღმერთი) მიდრკა უვნები ენებისადმი...“

აჲ, როგორც ვხედავთ, ჩვენ ვაქვს, ჯერ ერთი, შეხვედრა იმ ძირითად დებულებასთან, რომელიც მოჰყავს იოანე ფილოსოფოსს:

„მხოლოდ დასაბამსავე დადრკა და ვიდრე სამობამ დის დადგა“.

შემდეგ, ღვთაების მეორე პირის — ძის — შესახებ ჩვენ ვცოთხულობთ ერთის მხრით თამარის იამბიკონში, ხოლო მეორეს მხრით იოანე ფილოსოფოსის ტექსტში:

თამარის იამბიკონში:

„უდრკუოა [ძე] მიდრკა“

იოანე ფილოსოფოსის ტექსტში:

„გზად მიდრკეად ... ძესა“

ღვთაების მესამე პირის შესახებ:

თამარის იამბიკონში:

„სულმან მან ღმერთმან სრულყო მოქმედებადი“.

იოანე ფილოსოფოსის ტექსტში:

„დგომად და მისრულებად სამობისა, — ხულსა“.

ამ-რივად, ამ ნიშანდობლივი პარალელების მიხედვით ცხადია, რომ თამარ ახლო იცნობს იოანე ფილოსოფოსს და იზიარებს იოანეს მიერ წარმოდგენილ ფილოსოფემას სამების შესახებ, დამყარებულს პლატონის ტექსტის თავისებურ ინტერპრეტაციაზე.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ თამარ და იოანე ფილოსოფოსი ხვდებიან ერთმანეთს ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ხაზითაც. თამარის ფილოსოფიურ იამბიკონებში ზუსტად არის დაცული სპეციფიკა იოანეს ფილოსოფიური ტერმინოლოგიისა.

მოგვყავს ამისი მაგალითები.

„უვნები“ — თამარის იამბიკონში „უვნები“ აღნიშნავს ვნებისადმი არ ქვემდებარე უსხეულო არსს, ღვთაებას; ხოლო იოანე ფილოსოფოსი შემდეგნაირად განმარტავს ცნებებს „ვნებადი“ და „უვნები“:

„რამ არს, თუ ყოველი სხეული ბუნებით ვნებადი არს? ესე იგი არს, ვითარმედ ქვევადი სხუად და სხუად; ყოველი უსხეულოდ უვნებ, ესე იგი არს, რამეთუ ნიადაგ ჰგის ერთსა და მსვე თვისა ზედა თვთებასა, ვითარ უქციველი და ნამდვილი არსი“. (II, 138).

ტერმინი „ატტიკელი“ („ატტიკელ მხნეობს“) — დამკვიდრებულია ქართულს მწერლობაში იოანე ფილოსოფოსის მიერ. (იოანეს ფილოსოფიურ ტექსტებში ეს ტერმინი „ატტიკელი“ მიემართება მუდმივი მკითხველისათვის ელინ ფილოსოფოსთ, უფრო ხშირად პროკლე დიადოხოსს, აგრეთვე პლატონს).

ტერმინები „თბე“, „სიზრქე“ („ზრქელი“, „თანა-მზრქელეა“) და სხვანი ჩვენ გვხვდება როგორც თამარის იამბიკონებში და იოანეს ფილოსოფიურ ტექსტებში, ისე სხვა ძველ-ქართულ ტექსტებშიც. მაგრამ, თამარ, როგორც სწანს, უმთავრესად იმყოფება იოანე ფილოსოფოსის ტექსტების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ. ამისი მაჩვენებელია ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ნიუანსები.

მაგ., თამარის იამბიკონში:

„მედრისა ბუნებისგან დაკნინებულნი ნივთნი“

იოანე ფილოსოფოსის ტექსტში:

„იტყვს სოკრატ, ვითარმედ: მესტუესა მედრისა ჰეავსო ნივთი“ (II, 72^{ა-ა}).

„...შეერთებულთა ძალთა — დაუმრავლდების მოქმედებაჲ, ხოლო განწვალბულთა — დაუკნინდების“ (I, 59^{ა-ა}).

თამარის იამბიკონში:

„ძისა ღმრთისა — მეშვ იქმენ“.

იოანე ფილოსოფოსის ტექსტში:

„[ღმრთისა] პირველსა ერთსა და მეშვსა ყოველთასა“ (II, 63^ა).

თამარის იამბიკონი:

„ზნაჲსა განგებისად“.

იოანე ფილოსოფოსი:

„ზნაჲთ შთამომავლისა განგებისა“ (II, 212^{ა-ა}).

ამით ამოიწურება ეს პირდაპირი შეხვედრები იოანე ფილოსოფოსის ტექსტებთან. ეს შეხვედრები თუმცა არაა იმდენად არსებითი, — შეხვედრები უმთავრესად განისაზღვრება ფილოსოფიური ტერმინოლოგიის იდენტულობით, — მაგრამ ყოველ შემთხვევაში იმისი მაჩვენებელია, რომ თამარისათვის იოანეს ფილოსოფიური მემკვიდრეობა უახლოესად ნაცნობი და მახლობელი ყოფილა.

აღსანიშნავია აგრეთვე მთელი რიგი სიტყვათა ფორმებისა, რომლებიც თუმცა არ გვხვდება იოანე ფილოსოფოსის ტექსტებში, მაგრამ თამარს შეუქმნია ეს სიტყვათა ფორმები იოანე ფილოსოფოსის მიერ დაკანონებული სიტყვათა წარმოების წესის მიხედვით; ასეთია თამარის მიერ შემოღებული ახალი სიტყვათა ფორმები:

ნათლისა-მსხივობს, იმზებს, ენათელ-ცისკროვნების, ევარდ-კინამობის, ასულობს, და სხვანი.

ამ-რიგად წარმოდგენილი მიმოხილვის შემდეგ დადგენილად ჩაითვლება, რომ თამარს ჰყავს ორი მასწავლებელი პოეზიაში და ფილოსოფიაში: შოთა რუსთაველი და იოანე ფილოსოფოსი.

X

თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ
 ან არის სრულად მოღწეული. შინაგონიერება

ჩვენი მიმოხილვის დასასრულს საჭიროა სპეციალურად შევჩერდეთ კიდევ ერთ კითხვაზე, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვძარიტ, და რომლის პასუხიც მიმოხილვის ბოლოსათვის გადავდეთ. ეს კითხვა შემდეგია: რა სახით არის მოღწეული თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა, არის იგი შენახული სრულად?

გავეცნოთ ჯერ იმ დედნებს, რომლებშიაც დაცულია თამარის იამბიკონები.

საკითხავია, რა ხასიათისაა ეს დედნები? არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ამ დედნებში ჩვენ გვაქვს თამარის პოეტურ ნაწარმოებთა სრული კრებული?

გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ არა.

ჩვენ დრომდე მოღწეულია ორი ძირითადი დედანი, რომლებშიაც შენახულა თამარის იამბიკონები:

A — დედანი: მე-12 საუკუნის საისტორიო ძეგლი ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“ (თამარის პირველი ისტორია), რომელიც დაწერილია მე-12 წელს თამარის მეფობისა (ე. ი. 1195-6 წწ.), და რომელშიაც მოყვანილია თამარის იამბიკონი—ქართველთა შამქორის გამარჯვებისათვის.

B — დედანი: ხელნაწერი გადაწერილი 1480-1481 წლებში, რომელშიაც მოთავსებულია თამარის ოთხი იამბიკონი ციკლიდან „მზის შარავანდნი“, და ფრაგმენტი იამბიკონისა — ქართველთა შამქორის გამარჯვებისათვის.

ამას გარდა არსებობს რამდენიმე გვიანდელი ხელნაწერი (მე-18 — 19 საუკუნეებისა). რომლებშიაც მოიპოვება თამარის იამბიკონი: „მიძღვნა დედისა და ძისადმი“. (ამ გვიანდელ ხელნაწერებში ჩვენ გვხვდება აგრეთვე თამარის იამბიკონი—ქართველთა შამქორის გამარჯვებისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელი იამბიკონის ტექსტი ვადმოწერილია ზემოთ-აღნიშნული A—დედნიდან, ე. ი. თამარის პირველი ისტორიიდან).

რა დასკვნებს უნდა დავადგეთ ამ ხელნაწერთა განხილვის შედეგად?

A — დედანი („ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“) ცხადია არ შეიცავს და არც შეიძლება შეიცავდეს თამარის პოეტურ ნაწარმოებთა სრულს კრებულს. („ისტორია-აზმანნი“ ეს არის საისტორიო თხზულება, და აქ ისტორიკოსს, როდესაც იგი აგვიწერს შამქორის ომს, მოჰყავს აღწერილობის დასასრულში თამარის ეს იამბიკონი ქართველთა შამქორის გამარჯვებისათვის — როგორც ციტატი, როგორც ნაწარმოები, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ისტორიკოსის მიერ მოთხრობილ ამბავთან).

ამ-რიგად ძირითად წყაროდ ჩვენ გვჩება მხოლოდ B — დედანი.

გავეცნოთ ამ B — დედანს.

ვიძლევიტ B — დედანის დაწერილებითს აღწერილობას, რათა სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ხელნაწერის შედგენილობის ტიპის შესახებ.



B — დე დ ა ნ ი წარმოადგენს სხვადასხვა ნაწარმოებთა (ქუჩაძე, 1914) ხელნაწერი — ეტრატისაა (პერგამენტისა). გადაწერილია ხელნაწერის კალიგრაფიული, იშვიათი სილამაზის მხედრული ხელით. (მხოლოდ თარიღებია ჩაწერილი ნუსხურით).

ფორმატი ხელნაწერისა in 16°.

ხელნაწერი დაზიანებულად არის მოღწეული. ყდა არ შენახულა. ხელნაწერს აკლია თავი, ბოლო, და ნაწილობრივ შუაშიაც. ხელნაწერი ამჟამად სწყდება 58 რვეულზე, ე. ი. შეიცავდა, ვიდრე არსებულ ბოლომდე, 928 გვერდს. თავში აკლია 70 გვერდი, შუაში აკლია 8 გვერდი (— 28 რვეულს), ორი ფურცელიც ნაფლეთებად არის მოღწეული (— 27 რვეულში).

ხელნაწერი, როგორც აღვნიშნეთ, გადაწერილია 1480 — 1481 წლებში. თარიღი ირკვევა გადამწერლის ჩანაწერთა მიხედვით:

28 რვეულის მე-15 გვერდზე დახატულია ჯვარი, წნელის სახით; წნულში ჩაწერილია (ნუსხურით): „ქრონიკონსა რნიც“. თარიღი უდრის 1480 წელს.

შემდეგ, სადაც სრულდება კრებულის პირველი ნაწილი „ძლის-პირნი“ — ჩაწერილია (ნუსხურით):

„სრულ იქმნეს ძლისპირნი ესე ქესა რნით“. თარიღი უდრის 1481 წელს. ამ-რიგად, ხელნაწერის გადაწერა სწარმოებდა 1480 — 1481 წლებში.

ხელნაწერი შინაარსის მიხედვით სამ ნაწილად განიყოფება.

პირველი ნაწილი შეიცავს საეკლესიო საგალობლებს („ძლის-პირნი“).

ჩვენ ამ პირველ ნაწილზე აღარ შევჩერდებით, რადგან აქ აღძრული საკითხებისათვის იგი არ წარმოადგენს ინტერესს. აღვნიშნაეთ მხოლოდ, რომ ეს პირველი ნაწილი გარკვეულ მთლიან წარმოადგენს; ამ პირველ ნაწილს ბოლოში დართული აქვს თავისი საკუთარი „ზანდუკი“ (ე. ი. საძიებელი); ამას გარდა ეს პირველი ნაწილი გამოყოფილია მომდევნო მეორე ნაწილისაგან გადამწერლის ანდერძით (სათარიღო უწყებით).

მეორე ნაწილი ხელნაწერისა უკვე სხვა ხასიათისაა. იგი შეიცავს უმთავრესად იამბიკონებს, რომლებიც ეკუთვნის სხვადასხვა ავტორებს.¹ ამ მეორე ნაწილის იამბიკონთა შორის ჩვენ გვხვდება კერძოდ თამარის იამბიკონები.

რაც შეეხება ხელნაწერის მესამე ნაწილს — იგი შინაარსის მიხედვით უდგება პირველ ნაწილს (შეიცავს საეკლესიო საგალობელთა ახალ ციკლს). ამის გამო ხელნაწერის ამ მესამე ნაწილსაც, ისევე როგორც ხელნაწერის პირველ ნაწილს აქ აღარ ვეხებით.

ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით ხელნაწერის მეორე ნაწილზე, რომელიც შეიცავს იამბიკონებს, და შევეცდებით გავარკვიოთ, თუ რა სახის დედანს წარმოადგენს იგი.

¹) ეს B-დედანი ამჟამად დაცულია ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში (ხელნაწერი № 564).

²) გარდა იამბიკონებისა ამ მეორე ნაწილშიაც ადგილ-ადგილ შერთულია საეკლესიო ჰიმნები.



ხელნაწერის ამ მეორე ნაწილში ტექსტები წარმოდგენილია შემდეგის მოცულობით და შემდეგის თანამიმდევრობით:



1. იამბიკონნი გ რ ი გ ო ლ თ ე ო ლ ო გ ო ს ი ს ა.
2. დ ი მ ი ტ რ ი I-ის იამბიკონი („ხუთეული“) — შიო ასურის შესახებ: „შენის დაფნისა...“
(იამბიკო მოყვანილია უსათაუროდ და ავტორის მოხსენებლად).
3. ნ ი კ ო ლ ა ო ს ი ს იამბიკონი „დოღმატიკონის“ შესახებ: „დოღმატიკონი ვარ მე წიგნი რწმენითთა...“
(მოყვანილია მხოლოდ ნაწყვეტი ამ იამბიკონისა, აგრეთვე უსათაუროდ და ავტორის მოხსენებლად).
4. დ ი მ ი ტ რ ი I-ის იამბიკონი („ხუთეული“): „ღ-თის-მშობელი და ყოვლად პატიოსანი...“
(უსათაუროდ, ავტორის მოხსენებლად).
5. თვეების აღნუსხვა.
6. დ ი მ ი ტ რ ი I-ის იამბიკონი („ხუთეული“): „ცასა ბეწვთა...“
(უსათაუროდ, ავტორის მოხსენებლად).
- 7—10. თ ა მ ა რ ი ს იამბიკონთა ციკლი (მზის-შარავანდნი). ციკლის ეპილოგი წარწერილია ავტორის სახელით: „თ ა მ ა რ ი ს ი“.
11. ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს იამბიკონი ბიბლიოლოგიური კანონის შესახებ: „რომ, კორი...“
(ნაწყვეტი, უსათაუროდ და ავტორის მოხსენებლად).
12. ნაწყვეტი თ ა მ ა რ ი ს იამბიკონისა — ქართველთა შამქორს გამარჯვებისათვის.
მოყვანილია უსათაუროდ, ნაწყვეტის სახით, მხოლოდ ხუთი სტრიქონი: ბოლო ორი სტრიქონი მესამე სტროფისა, და პირველი სამი სტრიქონი მეოთხე სტროფისა.
13. იამბიკონი, რომელიც ლიტერატურაში დღემდე ცნობილი არ იყო, და რომლის არც სათაურია აღნიშნული და არც ავტორია მოხსენებული. თვით ტექსტის ჩვენების თანახმად იგი სჩანს ეკუთვნის დიმიტრი I-ს.
მოგვყავს ტექსტი ამ იამბიკონისა:

„ჰ, დედოფალო, კინიკა¹ ესე ღუწილი —
ქუაბსავე თანა — იმუელილე² დიმიტრისი!
გარნა მახილვე სიმდიდრე დიდებისა —
ძისა შენისა მარჯუნით მდგომარესა,
რათა მესმას მე ხმა იგი კურთხევისა!“

¹) ხელნაწერში: კუნინიკა.

²) ხელნაწერში: იმუწინიე.

როგორც სწავს ამ იამბიკონის ტექსტიდან, დიმიტრის ბუგია ან განუხლებელი სუკლე-სიო შენობა — „ჭუაბი“ — რომელიც მონასტრისა, რომელიც ღვთისმშობლის („დედოფ-ლის“) სახელზე ყოფილა აშენებული; დასრულება მშენებლობისა დიმიტრის ქვეყნისა „ქინი (ე. ი. მცირედი) წულილი“-თ — აღზად „დედოფლის“ ხატის შემკობისა ქრისტიანთა, „ნიშნად მვედრებლობისა“, — დაუწერია ეს იამბიკონი.

14. საგალობელნი შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი.

(ნაწყვეტი, იწყება კანონის მეხუთე მუხლიდან: „ღამითგანა“).

15. ძლის-პირნი და გერნი. — კვრიაკესა მომიხსენენი.

16. იამბიკონური საგალობელნი დავით გარეჯელისა და დოდოს შე-სახებ, რომელიც ეკუთვნის ცნობილს პიმნოგრაფს არსენი ბულმაი-სიმიძეს.

(არსენის ამ იამბიკონიდან მოყვანილია მხოლოდ ნაწყვეტი, სულ სამი სტროფი. ავ-ტორის ვინაობა აღნიშნული არაა).

ამაზე სრულდება ხელნაწერის ეს მეორე ნაწილი, რომელიც იამბიკონთა კრებას შეიცავს.

*

განხილვა ამ სიისა გვიჩვენებს, თუ რამდენად ფრაგმენტალურად არის წარმოდგენილი იამბიკონთა ტექსტები ამ ხელნაწერში.

1) დიმიტრი I-ის იამბიკონებიდან აქ არაა მოთავსებული:

ა) განთქმული იამბიკონი: „შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული“.

ბ) იამბიკონები გელათის აგებისა და ხახულის ღვთის-მშობლის ხატის შემკობის შესახებ („ვითარ ძეფელსადე...“ „ხოლო ახალმან...“);

გ) არაა აგრეთვე მოთავსებული memento: „ნაშრომი საშრომ, მშრომე-ლი უშრომ...“

2) ნიკოლაოსის იამბიკონი ნაწყვეტის სახით არის წარმოდგენილი (იამბიკონი შეიცავს 12 ტაქსს, ხოლო ხელნაწერში მოყვანილია მხოლოდ 5 სტრიქონი).

3) არსენი ბულმაისიმიძის იამბიკონი (დავით გარეჯელისა და დოდოს შესახებ) — რომელიც რამდენიმე ათეულ სტროფს შეიცავს, წარ-მოდგენილია ნაწყვეტის სახით: მოყვანილია მხოლოდ სამი სტროფი, ისიც არა მიყოლებით, არამედ სხვადასხვა ადგილებიდან ამოკრეფილი.

4) ნაწყვეტის სახით არის წარმოდგენილი აგრეთვე შიოს საგალობელნი (იწყება, როგორც აღენიშნეთ, მეხუთე მუხლიდან).

5) იოანე პეტრიწის იამბიკონებიდან მოყვანილია მხოლოდ ერ-თი, ისიც ნაწყვეტის სახით. პეტრიწის იამბიკონი ბიბლიოლოგიური კანონისა შეიცავს 10 ტაქსს, ხოლო ხელნაწერში მოყვანილია მხოლოდ ბოლო ხუთი ტაქტი.

6) ნაწყვეტის სახით არის წარმოდგენილი აგრეთვე თამარის იამ-ბიკონი — ქართველთა შაჰქორს გამარჯვებისათვის; სახელდობრ, როგორც აღენიშნავდით, თამარის ამ იამბიკონიდან მოყვანილია მხოლოდ ხუთი სტრი-ქონი, ისიც სხვა-და-სხვა სტროფებიდან ამოღებული: ბოლო ორი სტრიქონი მესამე სტროფისა, და პირველი სამი სტრიქონი მეოთხე სტროფისა.

ამ-რიგად წარმოდგენილი მიმოხილვიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად ფრაგმენტარულად არის დაცული იამბიკონების ციკლი ამ ხელნაწერში.

ხელნაწერის ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ თამარის იამბიკონები აქ სჩანს მოყვანილია მხოლოდ ნაწილობრივ, გამოკრებილად, ისევე როგორც ნაწილობრივ და გამოკრებილად არის წარმოდგენილი აქ ნაწილობრივ და ნარჩენ ავტორთა იამბიკონები.



ეს რაც შეეხება თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობის ამ ერთს ეანრს — ფილოსოფიურ იამბიკონებს.

ხოლო თუ ჩვენ დრომდე, როგორც სჩანს, არ მოღწეულა სრულად ფეით იამბიკონები თამარისა, მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელი იყო საერო პოეზიის ნაწარმოებთა გადარჩენა.

ფილოსოფიური იამბიკონები — ეს იყო ისეთი დარგი, რომელსაც ეკლესია შეწყენარებით ეპყრობოდა, და რომელთაც გადასწერდნენ ხოლმე საეკლესიო ხასიათის კრებულებში. (ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ კერძოდ აქ განხილულ ხელნაწერშიაც).

რაც შეეხება საერო პოეზიას — მისი ბედი სულ სხვა იყო.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ კატასტროფულად ჩაიძირა ძველი ქართული პოეზიის მემკვიდრეობა. იმ არაერთგზისი პოლიტიკური კატასტროფების დროს, რომელიც განიცადა ჩვენმა ქვეყანამ წარსულში, და რამაც რამდენჯერმე გაამრუდა საქართველოს ისტორიის განვითარების ხაზი, — დაიღუპა დიდი ნაწილი კლასიკური ხანის ქართული მწერლობის ძეგლთა; ხოლო პირველ რიგში და უმთავრესად დაიღუპა სწორედ საერო მწერლობის, საერო პოეზიის ძეგლები. გადარჩა უფრო დაცული სამონასტრო წიგნთსაცავები (ისიც გადარჩა მხოლოდ ნაწილობრივ), ხოლო სამონასტრო წიგნთსაცავებში საერო მწერლობის ძეგლებს იშვიათად თუ ეთმობოდა ადგილი. ამის შედეგია, რომ ძველი ქართული საერო პოეზიის მემკვიდრეობა ასე ფრაგმენტარულად არის მოღწეული.

ამის გამო, როდესაც ვითვალისწინებთ ამ ისტორიულ ვითარებას, ვითვალისწინებთ იმ ბედს, რომელიც ეწია კლასიკური ხანის ქართულს საერო პოეზიას, საეხებით მართებულია აღიძრას საკითხი: განისაზღვრებოდა კი თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა მართოდენ ფილოსოფიური იამბიკონებით? ხომ არ იყო თამარ ამავე დროს თანახიარი საერო პოეზიისა?

რომ თამარისთვის არ იყო უცხო საერო პოეზია, ამას ბევრი რამ გვაფიქრებინებს.

ჯერ მართო თუნდაც ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი მოვიგონოთ, რომ ყველა ძეგლები საერო მწერლობისა, ყველა ძეგლები საერო პოეზიისა, რომლებიც ჩვენ დრომდე მოღწეულა თამარის ეპოქიდან, დაკავშირებულია თამართან, შთაგონებულია თამარის მიერ.

არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ თამარ იყო ნამდვილი მუზა ქართულა პოეზიისა.

თამარის სახე გვინათებს ჩვენ რუსთაველის ვეფხის-ტყაოსნის ნათელი ფურცლებიდან.

თამარის მიერ არის შთაგონებული ჩახრუხაისძის ოდების მთელი ციკლი. „ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“, რომლის ავტორია უბრწყინვალესი ქართველი მწერალი, ნამდვილი პოეტი, რომელსაც თვით ქამთა-აღმწერლობაშიაც გადააქვს საერო პოეზიის ტრადიციები, — ეს ძეგლიც აგრეთვე

დაწერილია „რათა სრულ იქმნას წყალობა და წადილი პატრიარქისა ტკბილისა და სახიერისა“ — თამარისა.

ასევე თამარის სახელთან ყოფილა დაკავშირებული ყველა მსგავსი სა-
ერო მწერლობისა, რომელთა შესახებაც ჩვენ ცნობები მოგვცემს.

ასე, მაგალითად, თამარის ეპოქის ჩვენ დრომდე არ-მოღწეული ოდა-პოემის შესახებ, რომლის ავტორი ყოფილა ვინმე მილისგველი, დატულია ცნობა, რომ ამ პოემაში ავტორმა „სფერო შესახა შამშის“, მზის სფეროებზე დასაბაო თამარ.

და როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ამ გარემოს, ვეცნობით თამარს, ქართული პოეზიის არა მხოლოდ მეცენატს, არამედ ქართული პოეზიის ნამდვილს შთამაგონებელს და წარმმართველს, — უნებლიეთ იბადება ის აზრი, რომ თამარ, ეს მუზა პოეზიისა, თვით ბრწყინვალე მწერალი, ავტორი იმ კლასიკური ფილოსოფიური იამბიკონებისა, რომელთაც ჩვენ გავცეანით, სა-
ერო პოეზიის მონაწილე უნდა ყოფილიყო.

მაგრამ შესაძლოა ამაზე მეტიც ითქვას.

რომ თამარისთვის საერო პოეზიის მეტყველება არ იყო უცხო, რომ თამარისათვის საერო პოეზიის ტრადიციები მართლაც მახლობელი ყოფილა, ეს ჩვენ დავეინახეთ თამარის ფილოსოფიური იამბიკონების პოეტიკის განხილვის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიური იამბიკონები სრულებით განსხვავებულს ეანრს განეკუთვნება, თამარ აქაც ვერ თავისუფლდება საერო პოეზიის ტრადიციებისაგან, თამარს თავის იამბიკონებში უნებლიედ გადააქვს საერო პოეზიის პოეტიკის ნორმები.

თამარ თავის იამბიკონებში, როგორც ვნახეთ, სრულზმოვანად ეხმაურება რუსთაველს, იცავს რუსთაველის პოეტიკის ისეთს ნიშანდობლივს თავისებურობას, როგორიცაა სიტყვებისა და სახეების ორკესტრირება ვერბალური ალიტერაციის პრინციპის მიხედვით.

ასეთია ის სურათი, რომელიც ისახება ჩვენ წინაშე.

ყოველივე მას შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, ჩვენ საფუძველი გვიძლევს წარმოვადგინოთ ორი ჰიპოთეტიური დებულება:

თამარის ფილოსოფიური იამბიკონები სჩანს არ არის ჩვენ დრომდე მოღწეული სრულად;

თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა საფიქრებელია არ განისაზღვრებოდა მხოლოდ ამ ეპოქით — ფილოსოფიური იამბიკონებით, არამედ საფიქრებელია, რომ თამარისთვის არ იყო უცხო საერო პოეზია.

XI

თამარის სიტყვაები.

წერილი თამარისა.

თამარის პოეტურ მემკვიდრეობასთან ერთად აქ საჭიროა მოვიხსენოთ აგრეთვე თამარის სიტყვები.

თამარ, გარდა იმისა, რომ მწერალი იყო, თვით ცოცხალი სიტყვა თამარისა აღბეჭდილი ყოფილა ნამდვილის ბრწყინვალეობით.

თამარის თანამედროვე ისტორიკოსი საჭიროდ სთვლის ზეგანულად აღნიშნოს თავის მატთანში თამარის „სიტყვის სინარჩაჲ“ და „ზრახვისა სიმკვეთრე“.

თამარის ისტორიკოსებს მოჰყავთ თამარის ზოგიერთი სიტყვების გამოყენება შემოკლებული ვადმონაცემის სახით, მაგრამ თვით ამ მოკლე ვადმონაცემშიაც იგრძნობა ეს „სინარჩაჲ“ და „ზრახვისა სიმკვეთრე“ თამარის სიტყვებისა.

ასე, მაგალითად, სიტყვა, რომელიც თამარმა წარმოსთქვა სრულიად საქართველოს სახელმწიფო საეკლესიო კრებაზე (—რომელიც გაიხსნა ვამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკოლოზ გულაბერისძის თავმჯდომარეობით),—თამარის ეს სიტყვა აღბეჭდილია სახელმწიფო მოღვაწის დიდი ტაქტით, და ამავე დროს მოწმობს თამარის ბრწყინვალე საორატორო ტალანტს¹.

ან-და ის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა თამარმა სახელმწიფო დარბაზის სხდომაზე, როდესაც დარბაზს მსჯელობა ჰქონდა გიორგი რუსის საქართველოდან გაძევების შესახებ. ისტორიკოსი ვადმოგვეცემს, რომ თამარმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა:

„...და არა მიძღა ეს აჩრდილსა მრუდისა ხისასა გვანმართვად, და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა...“

რა ელვარე, სრულ-სახოვანი შედარება! შესაძლოა განმართვა თვით მრუდი ხისაც კი, ხოლო რა განმართავს აჩრდილს მრუდისა ხისას! ეს ბრწყინვალე თქმა—გენიალობის ბეჭედს ატარებს.

აქ არაა ზედმეტი მოვიგონოთ აგრეთვე საბასუხო ებისტოლე თამარისა—მიმართული ივანისის ჰულტანის რუენ-ედინისადმი, რომელიც თურქთა ურდოებით მოემართებოდა საქართველოსაკენ. რა ღირსებითაა აღბეჭდილი ეს წერილი თამარისა! რუენ-ედინის ველურსა და თავზედურ წერილზე თამარ უპასუხებს ბრძნულის დარბაისლობით; ხოლო ამავე დროს თამარის ამ წერილში არის ის „სიმკვეთრე ზრახვისა“, რომელიც გვირობის სულით ავსებდა ქართველობას, და განამტკიცებდა რწმენას საქართველოს გამარჯვებისას—მართალს საქმეში—თავდაცვის ომში. თამარ ასე ამთავრებს ამ წერილს:

„წარმომივლენია მხედრობა ქრისტეს მოსახელე არა თავყვანის-ცემად, არამედ დამხობად შენდა, ზევისა მავისს.. ხოლო მე ვუწყვი დახსნილობა მსახურთა შენთა, ამისთვის წარმომიგზავნიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართვას, და განგაკრძალოს, რამეთუ ჩემ-მიერ წარმოვლენილთა სპათა ფერხნი ამა ესერა კართა შენთა ზედა დგანან!“.

აქ ლაპარაკობს არა ქალი, არამედ ერის ბელადი.

XII

უკანასკნელი გამოთხოვება.

დასასრულ, თამარის უკანასკნელი გამოთხოვება ქართველ ერთან.

შეუძლებელია აუღელვებელად გადაკითხვა ქართულ მატთანეთა იმ ფურცლებისა, რომელშიაც აღწერილია თამარის უკანასკნელი დღეები და ვადმო-

¹) იხ. თამარის მატთანე ბასილი ეზოთ-მოძღვარისა, ქართლის-ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 404—405.

ცემულია თამარის უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა ქართველ ხალხთან. რა დიდ-ბუნებოვანობის სულით არის აღბეჭდილი ეს გამოთხოვნილი ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ნაზმა ქალურმა ბუნებამ ვერ აიტანა განუწყვეტელი 27-წლოვანი შრომა ერის საკეთილდღეოდ, რომელსაც ეწეოდა ეს ბრძენი და ქვეყნის მოჭირახულე ქართველთა დედა. თამარ დასწრულდა ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თამარ დიდხანს არ იმჩნევდა ავადმყოფობას, „დიდ ხანს ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს, გარნა ურგებელ იქმნა ჭირი იგი, არა მიმთვალველი კურნებისა“. ხოლო როდესაც თამარის უახლოესმა თანამოღვაწეებმა შენიშნეს თამარის დაავადება, უკვე გვიანდა იყო. თამარ, ჭერ კიდევ ახალგაზრდა, 41 წლის ქალი, რამდენსაჲმე თვეში დადნა ვითარცა ავლი, დასწრულეზული ქლექით. ყოველი ცდა შეურნალობისა უკვე უჭმი აღმოჩნდა.

და თამარ შეხვდა თავის აღსასრულის დღეს როგორც ნამდვილი ბრძენი, თავისი დიდი ვალის მთელის შეგნებით, და იმ სტოიციზმით, რომელიც შთაავგონებდა ამ დიდ-ბუნებოვანს ადამიანს მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე. თამარ, სიკვდილის პირას მდგომი, გამოეთხოვება ერს.

ისტორიკოსი მოგვითხრობს:

„ბრძენმან ბრძნისა ნეტარება აქაცა მოიღო თამარ, რამეთუ შემოუწოდა ყოველთა სამეფოთა თვისისათა წინაშე მისსა, განიმტკიცა თავი თვისი და მხნედ მჭდომარე ასრე იტყოდა:

„ძმანო და შვილნო!.. თქვენ ყოველნი თვით მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა წინარე მაქნდა სიყვარული თქვენი, და სარგებელსა და სათნოსა თქვენსა არა დავაკლე... აწ მეცა წარვალ მამათა ჩემთა თანა, გზასა ჩემგან უცხოსა, ბრძანებითა საშინელითა, და განყოფითა საკვირველითა...“

თამარის უკანასკნელი საზრუნველი თვით ამ უკანასკნელ წუთების დროსაც ეს იყო — სამეფო ქართველთა და ერი ქართველთა. თამარ ეთხოვება ერს და მიანდობს თავის თანამოღვაწეებს ერის წალმარით საქმეს.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე, ქართველი ერის ხსენებით, — დაღუპდება თამარის ბაგე.

„ლექსები და სიმღერები ლავჩინტი ბერიძე“

საბლიტბაში 1941 წ.

ამხანაგ ლ. პ. ბერიძის ყოველდღიური დახმარებით, ყურადღებითა და ზრუნვით ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ მნიშვნელოვან შემოქმედებითს წარმატებებს მიიღწია სოციალისტური მშენებლობის მხატვრულად ასახვისა და საბჭოთა ხალხის გმირულ გავრცელებათა მხატვრულად განსახიერების საქმეში.

ამხანაგ ლ. პ. ბერიძე მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკების უშუალო ხელმძღვანელი. იგი სტალინური სიმბოლოებით ანადგურებდა ქართველი ხალხის ყოველგვარ მტრებს, სტალინური ტრადიციებით ზრდიდა და მიყავდა წინ ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტიული ორგანიზაციები.

იგი პირველი იყო, რომელმაც პარტიული ისტორიკოსის შექმნა გაანათა ამიერ-კავკასიისა და საქართველოში დიდი სტალინის რევოლუციური მუშაობის მთელი ისტორია. ამხანაგ ლ. პ. ბერიძის წიგნს „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“—სამართლიანად ეწოდა ძვირფასი განაზი ბოლშევიზმის მატრიცაში. ამ წიგნმა უდიდესი შთაბრძნებელი როლი ითამაშა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მან კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა ხალხის სიყვარული დიდი სტალინისადმი, მის გმირულ ცხოვრებისადმი. ამ წიგნით შთაბრძნებულმა ქართველმა მწერლებმა შექმნეს მრავალი ნაწარმოები, რომლებიც ასახვენ დიდი ბელადის რევოლუციური მუშაობის წარსულ ეპიზოდებს.

საქართველოს სამეურნეო და კულტურული აჯყაების ყოველგვარი დარღვის უდიდესი წარმატება უშუალოდ დაკავშირებულია ამხანაგ ლ. პ. ბერიძის სახელთან, შესანიშნავად დაახასიათა ლავრენტი ბერიძის მოღვაწეობის ეს მხარე ამხ. ე. პაჩაძემ თავის მოხსენებაში „ლენინ-სტალინის დროში ბრძოლისა და გამარჯვების 20 წელი“, ის ამბობდა: „საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ იციან, რომ საქართველოს მეურნეობის, ქართველი ხალხის კულტურის, ზელოვნების გაფორმება და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება განუწყობდა არის დაკავშირებული დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის სახელთან, ლავრენტი პავლესძე ბერიძის სახელთან, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ზელომძღვანელობდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, და რომელმაც საქართველოს ხალხი აღზარდა საბჭოთა ზელოსუფლებისადმი, ლენინ-სტალინის პარტიის და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით“.

სწორედ ამიტომ გახდა ისე საყვარელი ამხანაგ ბერიძის სახელი ქართველი ხალხისათვის, ეს სიყვარული და პატივისცემა ამ სახელისადმი უდიდესი სისათუთით და მოწიწებით გამოითქვა ქართველი ხალხის საუცეთესო პოეტების ლექსებსა და სიმღერებში.

ქართველმა პოეტებმა ამ ლექსებში გამოიჩინეს გულწრფელი სიყვარული, პოლიტიკური სიმბილიზმი, ლირიკული განცდის სიღრმე, თითქმის ყოველი ქართველი საბჭოთა პოეტის შემოქმედებაში ჰყოფა გამოძახილი ამ მტკიცე სტალინელისადმი სიყვარულმა, მადლობისა და პატივისცემის გრძობამ.

ეს ლექსები და სიმღერები საესეა წარმატაცი პოეტური თქმებით, სახეებითა და შედარებებით.

საქ. ა. ლ. კ. კ. საბაგშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობამ შესანიშნავი ლექსე გააკეთა, იმით, რომ შეკრიბა და ცალკე წიგნად გამოცა ამხანაგ ბერიძისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსები და სიმღერები. ეს წიგნი შესანიშნავად მეტყველებს იმაზე თუ რამდენი სიყვარული დაუთესია საქართველოს მშრომელებში ამხანაგ ლ. პ. ბერიძის.

ამ ლექსების ლეტიმოტივია სამშობლოს აღორძინება, ხალხის შედინერება. პოეტი ალიო მამაშვილი ასე ხატავს აღორძინებული სამშობლოს სურათს:

„ჩემო სამშობლო, დღეს შენი ერი
განახლებული ქართლის ერია,
ასე ხშიერად და ბედნიერად
შენ არასოდეს არ გიმღერია.
აღისფერია შენი მიდამო,
ცხვ შენი დროშაც აღისფერია,
შენი სიციხბლე არის სტალინი,
შენი მარჯვენა არის ბერია“.

ალიო მამაშვილის ეს ლექსი „იმინი სამშობლოს“ არაა შეტანილი სარეცენზიო კრებულში, რადგან უშუალოდ არაა მიძღვნილი ამხანაგ ბერიასადმი, მაგრამ იგი პირველი ლექსია ქართულ პოეზიაში, რომელშიაც ლავრენტი ბერიას დიდი ღვაწლი ასე ორგანიზულადა დაკავშირებული დიდი სტალინის სახელთან.

ა. მ. ო. ს. ა. შ. ე. ლ. ს. ლექსი „ლავრენტი ბერიას“, არის პირველი ლექსი უშუალოდ ლ. ბერიასადმი მიძღვნილი. ისიც ამ დიდებული ადამიანის სახელს სამშობლოს აღორძინებას უკავშირებს: ჩემო ძველანაგ შენი შავი წარსულის წიგნი დაიხურა „მოვიდა დრო და მოვიდა გმირი შენი ნამდვილი მოპირანახლეო“. მისაშვილი პოეტური გულწრფელობით ასახავს ბერიას მუშაობის სტალინურ სტილს. ლექსი ბოლოვდება ბერიასადმი ერთგულების გამოხატული შესანიშნავი სტრიქონებით:

„ჩვენ შენთან ვდგევართ კლდესავით მტკიცე,
ღამეა, დღე თუ დილა სინჯამი,
რომ შენს ძახილზე სამშობლოს მივცეთ
ჩვენი სიციხბლის ყველა მისხალი!“

ამ ლექსებში ყველა პოეტი ერთნაირი გულწრფელობის მოტივებს გამოთქვამს, მაგრამ ყველა ისეთ ახალ დეტალს და სახეს ამხვეილებს, რომელიც საგრძნობლად ანსხვავებს მათ ერთმანეთისაგან.

ი. ა. ბ. ა. შ. ე. ლ. ს. ლექსი „საოკტომბრო მიძღვნა ამხანაგ ლ. ბერიას“ სწორედ ასეთი პოეტური სიახლით ხასიათდება, იგი მახვილად გამოთქვამს თავის ერთგულებას და სიყვარულს ამხანაგ ლ. ბერიასადმი. პოეტი თითქო შიშობს: „იქნებ ეს ლექსი ვერ ჰქვდეს ისე, როგორც ქუხს ხალხში შენზე თქმულება“-ო.

„განა შენ არ სთქვი:—ბუდე აქ არის,
მისი პირველი სიტყვა კაცური,
შენ განთიადის წიგნი მართალი
ხალხს გადუშალე ვით საგანძრია“-ო.

მიმართავს პოეტი ლ. პ. ბერიას.

ლექსი თავდება შესანიშნავი სურვილით. ოქტომბრის რევოლუციის სამოცი წლის თავზედაც გვემღეროს შენთვის „შაირი ხობა და მისალაიცო“, ეს ლექსი ერთი საუკეთესოთაგანია ამ შესანიშნავ წიგნში.

საქართველოს გლეხობის აღორძინებისა და კოლხიდის აყვავების სურათს ხატავს ი. ა. ბ. ა. შ. ე. ლ. თვის „კოლხიდის კოლმურნე“-ში. იგი პოელობს თბილ სტრიქონებს იმისათვის, რომ კოლხიდელი კოლმურნის ახალი ყოფა ასახოს, წინად ტანჯვისა და ცრემლის ქვეყანა ბაღად ქცეულა, მისი ოჯახიც აყვავებულა. ჭოხის მავიერი მას ოდა უდგას „შენი ხელებით დარგულ ნაირიგებს ესაუბრებო, როგორც მინდიას“-ო. ეუბნება პოეტი კოლხიდელ კოლმურნეს და იქვე მიმართავს ამ ახალ ადამიანთა ბედნიერების შემქმნელს დიდ სტალინს და მის ერთგულ მოწაფეს და თანამებრძოლს ლ. ბერიას:

„იციხბლე დიდხანს, ბელადო სტალინ,
იყავ დღევრძელი ჩვენი ბერიაგ“.

ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილ ლექსებს შორის ერთი შესანიშნავი ლექსითაგანია კ. კ. ა. შ. ე. ლ. ს. „მართა ლავრენტი ბერიას“. ლექსში კ. კ. ა. შ. ე. ლ. ს. თვის ჩვეული პოეტური

ოსტატობითაა გამოკეთილი ყოველი სტრიქონი, რომელშიაც ბერიასადმი სიყვარული და მადლობა იგრძნობა. ლექსი გადმოცემს ამხანაგ ბერიას მოსკოვში გატყვევების შემდეგ, პატარა ბაღის მართობას, სადაც ცხოვრობდა ამხანაგი ბერია: დილით, [ტუშუქ] [ჭყუჭყუჩინ-ველითი ფრთხილებს და ვარდები, რომლებიც ხელუბლებლად იფურჩუნებია, ნიღვლებენ რადგან:

„იციან: მათი მოამაგე მოსკოვს წაიდა
ბაღს არ ახარებს მდუმარება მაღალ აივნის
მაგრამ უცდიან, კიდევ მოვა, ერთი წამითაც,
ფიქრით გასართყელად, ხეივანში ისევ გაივლის“.

პოეტი ლირიკულ ფიქრებს ეძლევა, ამ ადამიანის შთაგონებით აყვავებულ ბუნების, მშენებლობის, დიდი სტალინის იდეების საქმეზე, იმაზე თუ როგორ დაერქვა ბელადის სახელი—„განთიადის დიდი სახელი“ თვითნებლად გამარჯვებას.

ბერიას ამავით საქართველო და ქართველი ხალხის პედნიერება გავს ბულბულის სტეინით დამტკბარ ბაღს. — აი იღვა ს. ჩიქოვანი ს. ლექსისა.

პოეტი ა. თევზაძე ასე ხატავს ქართველი ხალხის პედნიერებას, საქართველოს აყვავებას: „ლექსი რად უნდა შენს ნაამაგარს: თვითონ ამბობენ ქართლის ველები!“. კიდევ უფრო ლამაზადაა პოეტის მიერ თქმული: „საქართველოში არ არის ცაცო, რომ შენს სიყვარულს არ განიცდიდეს!“. სიყვარულის ეს განცდა მუდამ ღვივის ხალხის გულში. ჩანგსაც კი არაიენ იედერებს ისე, რომ ბერიას სახელი არ ახსენოსო ამბობს პოეტი ვ. გაბუცკირია; „მის ნაზ სიმეზე ისე არვის არ უმღერია, რომ არ ახსენოს სიყვარულით ლექსში ბერია“.

თავის ლექსში „ლაერენტი ბერია იმერეთში“ ა. ადამიაც აქვთენ ამბვილებს თავის ყურადღებას: „შენ გიშადლიან, შენი მარჯვენის ძალამ დასტამბა სიმღერა გულთა“. ეს ხალხის სიმღერაა ბერიასადმი „სიმღერა შრომის და გამარჯვების, სიმღერა შრომით გამარჯვებულთა“. იგი ღირსია ამ სიმღერის, რადგან შ. აფხაძის სიტყვით, რომ ვთქვათ მას ცხოვრების აზრად გადაუტყვევია ბელადის სიბრძნის ცხოვრებაში გატარება.

ამხანაგ ბერიას სახელი არა მარტო პოეტების დიდების საგანი გახდა, არამედ ხალხური სიმღერებისაც, სადაც ხალხისათვის დამახასიათებელი სიმახელითა და ნიჭიერებითა გამოთქმული ბერიასადმი ღრმა სიყვარული და ერთგულება.

როგორც ყანას უხდებია ნიაგი, მთის კალთებს ხშირი ყვავილი, ისე ჩვენს სამშობლოს შენი სახელია — ამბობს ხალხური მთქმელი ქუშხეველი. შესანიშნავადაა გამოთქმული ხეცსურთა მადლობა და სიყვარული ხეცსურულ ხალხურ ლექსებში. საუცხოოა ლექსებია „ლაერენტი ბერია ხეცსურთში“ და „მოხუცის ნაამბობი“. პოეტური დიდების შარავანდებით მოსავს ბერიას სახელს ხეცსურის თქმული ლექსი. „ლაერენტი ბერია მთაში“:

„საქართველოს ხელმძღვანელი
მთაში მოვიდა ბერია,
მავისი ფიქრი-გონება
სიტყვით სითქმელად ძნელია,
სტალინის ერთგულ მოწაფეს
მაისის ვარდი ჰყვანია
იმ ვარდზე ბულბული გალობს,
რა კარგი შესასმენია“ და სხვა.

ხალხური ლექსები და სიმღერები საქართველოს საამაუო შეილს დღეგრძელობასა და პედნიერებას უსურვებენ. ჩვენ ვუსურვოთ დიდი ხანი ამ უბადლო წინამძღოლსა—ო ამბობს ერთი სიმღერა. „შრომა გეყვალა, ჩვენს ველებზე გაზაფხული სუნთქავს და ბერიას საღეგრძელო ხალხს სიმღერით უთქვამს“—ო დაძვენს მეორე სიმღერა. ქართველი ხალხის საუკეთესო პოეტები და ხალხური მთქმელები სიხარულით მღერიან მათი მოამაგის, ერთგული შეილის ამხანაგ ბერიას დიდებას, ჭებას, დღეგრძელობას და მადლობას.

ალ. სულავე.

ფრიდრიხ შილერი — ლექსები.

თარგმანი გერმანულიდან ხარიტონ მარდოშვილის მიერ.
გამომცემლობა „ფედერაცია“, 1941 წ.

გერმანული კლასიკური პოეზიის გადმოქართულების საქმეში პაინეს ლექსების შემდეგ სარეკენზიო წიგნი უსათოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ხარიტონ ვარდოშვილმა ამ თარგმანით ნაწილობრივად შეავსო ის სივრცე, რომელსაც მკითხველი დიდიხანია გრძობდა: ჩვენ დღემდე არ გავაჩნდა შილერის ლირიკის ნიმუშები ქართულ ენაზე, თუ მზედველობაში არ მივიღებთ, სხვადასხვა დროს თარგმნილ, რამოდენიმე ლექსს. ეს წიგნი ერთგვარად ავსებს ამ ხარეზს და წარმოდგენას იძლევა შილერის პოეტურ სამყაროზე.

ვარდოშვილს სათარგმნელი მასალისადმი დიდი გულმოდგინება და სიყვარული გამოუჩენია და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი მაღლა დგას თავისი ადვილტურობით, ეფლანტრობითა და საერთო პოეტური კულტურით.

შე არ ვეთანხმები მათ ვინც მთარგმნელისაგან მკაცრ სიტყვა-სიტყვით თარგმანს მოითხოვენ და ენის თავისებურებას და იდიომატიკას ანგარიშს არ უწყევენ.

სიტყვა-სიტყვით თარგმანი დედნის აზრის გადმოსაცემად ყოველთვის არ ვარგა და მთარგმნელი თუ ამ გზას გაჰყვა უმრავლეს შემთხვევაში სასაცილო უაზრობამდე მივაბა რა იქნება რომ გერმანული გამოთქმა „Dürch Blumen sprechen“—**ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ზ ე ლ ა პ ა რ ა კ ა დ ვ თ ა რ გ მ ნ ი თ ა ნ და ქ ა რ თ ლ ი ი დ ი ო მ ი — ს ი ტ ვ ა ს ბ ა ნ ზ ე ნ უ ა დ ე ბ —** სიტყვა-სიტყვით გადაიტანონ სხვა ენაზე? ასეთი თარგმანი გაუგონარი აბღუბდა გამოვა-

სადაც ენა მოიხდენს (ამ შემთხვევაში ქართული) დედნის აზრი სიტყვა-სიტყვით უნდა იქმნას გადმოცემული, სადაც არა და იქ უცხო ენის იდიომატის შესაბამისი ქართული სიტყვებით უნდა გამოიხატოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თარგმანს დედნის აზრი აღარ შერჩება და ესთეტური ღირებულებაც დაეკარგება.

ვარდოშვილი საერთოდ რამდენადაც კი შესაძლებელია ზუსტად მისდევს დედნს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ძალიან თავისუფლად თარგმნის. მაგ. დედანში ვკითხულობთ:

და მხნედ უქაჩებს ნაბიჯს,
ხედავს; შუა ტყეშია.
უცებ ვიწრო ბილიკზე
ორი მკვლეელი უღობავს გზას.
ბრძოლისათვის უნდა მოემზადოს იგი,
მაგრამ მალე დაღლილი ეშვება ხელი,
რომელსაც ჩანგის ნაზი სიმები დაუჭიშია
და შეიღდის ლარი კი არასოდეს“.
„იბიკოსის წეროები“ გვ. 289.

ვარდოშვილი თარგმნის:

„შვოსანს ხალისი გაუღვივდა გულის სიღრმეში —
იგრძნო სიამე ლურჯ ფოთლებით დაბურულ ტყეში.
მაგრამ გაოცდა, შეტორტმანდა განახლები:
ხედავს მოდიან ბასრ მახვილით მისკენ მკვლელები.
სურს შეებრძოლოს, აეაზაკებს დასცეს თავხარი,
მაგრამ ვაგლახ, მყის ძირს ეშვება აწვილი ხელი,
რითაც მრავალგზის მოუშარბათვს ჩანგი ნარნარი,
და არასოდეს უსროლია ისარი მკრედი.“

როგორც ხედავთ სტროფის პირველი სამი სტრიქონი სრულიად დამოკიდებულია დედანს. დანარჩენი სტრიქონები თითქოს ჰყავს დედნის აზრს, მაგრამ თუ ჩავეყვარდებით, შეცვლილია ის განწყობილება და სული, რომელიც ავტორსა აქვს ამ სტრიქონში. სტრიქონი „შილერს აქ მშვენივრად ჰყავს დახასიათებული ნაზი ბერძენი მგოსანი, რომელიც შილოდ სიმღერისათვისაა განწინილი. ამიტომ როცა მგოსანს მოულოდნელად, მკვლელები ეღობებიან წინ, იგი იძულებულია ბრძოლისათვის უღონო ხელი აღმართოს და ბოროტ-მოკმედებისაგან თავი დაიკვას. ამ მდგომარეობის შესაფერისად გამოსახატავად ამზობს შილერს:

„ბრძოლისათვის უნდა მოემზადოს იგი“.

მთარგმნელი კი ასე გადმოსცემს ამ ადგილს:

„სურს შეებრძოლოს, ავაზაკებს დასცეს თავზარი“.

ჯერ ერთი იბიკოს არ სურს შეებრძოლება და მეორედ—იგი ავაზაკებს ვერ დასცემს თავზარს, რადგან იგი სუსტია და როგორც მომღერალს, ბრძოლაში სხვებისათვის თავზარის დაცემა არ შეუძლია—ეს შეუფერებელია მისი პიროვნებისათვის. ყოველშეშვებევაში დედანი არ იძლევა ამის საფუძველს. არც ისაა კარგი რომ ვარდოშვილმა ჩანგის მომართვა ისრის გასროლას შეადარა, იმ დროს, როცა შილერმა ჩანგის სამის დატვიშვა მშვილდის ღარის მოწიდვას შეადარა. ესეც ერთგვარი გაუფერულებაა დიდებული პოეტური შედარებისა:

ან კიდევ; დედანში ეკითხულობთ:

„აი ხედავენ ხომალდების სვლას
ათასეული ხმები ჰკვირან: „გამარჯვება!
მტრის უბედურებისაგან თავისუფალი ვართ,
ქარმა გააჰანტა კრეტელები,
ომი დამთავრდა!“

გვ. 286.

ვარდოშვილი თარგმნის:

ევალად გაისმა შვებით გზნებულო,
ხალხის გუფური აღტაცებულო:
— „ჩვენ გავიმარჯვებთ—მედგარი ბრძოლით
მტრის ხომალდები ჩაეძირეთ ზღვაში,
ტალღებმა შთანთქმეს გრგვინვა—განგაშით,
დამარცხდა მტერი, დამთავრდა ომი.“

ესადაა აქ შეცდომა. მთარგმნელი პირდაპირ ეწინააღმდეგება ავტორის განზრახვას. „შილერმა გარკვეული მოსახრებით გაათანტენა ქარს კრეტელების ლაშქარი, რადგან ეს იყო ახალი ბედნიერება, ღმერთების მიერ პოლიკრატესადმი მიძღვნილი. პოლიკრატეს ჯარს რომ უომრად ხვდა გამარჯვება, ეს უფრო დიდი ბედნიერება იყო, ვიდრე ბრძოლით მოპოებული გამარჯვება. შილერს სურს უბრძოლველად შიანტიკოს პოლიკრატეს ჯარს გამარჯვება, რათა უფრო შეაშფოთოს სტუმრად მოსული ეგვიპტის მეფე, რომელსაც სწამს რომ ამდენ ბედნიერებას ღმერთები უტყუარად უბედურებას მოაყოლებენ... ვარდოშვილი სცდება როცა თარგმნის:

„ჩვენ გავიმარჯვებთ—მედგარი ბრძოლით
მტრის ხომალდები ჩაეძირეთ ზღვაში
ტალღებმა შთანთქმეს გრგვინვა განგაშით“.

პოლიკრატეს ჯარს მტრის ხომალდები არც ბრძოლით ჩაუძირავთ და არც სხვა საშუალებით. ხომალდების ჩაძირვაზე დედანში არაფერია ნათქვამი. პოლიკრატეს ჯარს ბრძოლაში სრულიად არ მიუღია მონაწილეობა, რადგან კრეტელების ხომალდები ქარიშხალმა გაათანტა და სხვა მოწინააღმდეგე კი აღარ იყო. ისე რომ მთარგმნელი პოლიკრატეს უდანაკარგოთ მოპოებულ ბედნიერებას ჩრდილავს და ამით ეწინააღმდეგება ავტორის განზრახვას.



ზოგ ადგილას მთარგმნელი ვერ გადმოგვცემს ორიგინალის შესატყვის სახეს, შედარებას:

დედანში ვკითხულობთ:

„ბრუნდებიან მშობლიური ნაპირებისაკენ
გემები, ტყვავით ხშირი ანძებით.“

„პოლიკრატეს პეჭედი“ გვ. 285.

ვარდოშვილი თარგმნის:

„ნაპირს მოადგა, ახრილი ანძით
ხომალდების ტყე, აურაცხელი.“

გვ. 80.

გაუგებადია რატომ ხომალდების ტყე, როცა დედანში ანძების ტყეზეა ლაპარაკი? სრულიად ბუნებრივია, რომ სწორეთ ამართული მრავალი ანძა ტყის შთაბეჭდილებას ქჷნის, ხომალდების ტყე კი ძნელი წარმოსადგენია.

ასევე უხერხული გამოთქმა გვხვდება „იბიკოსის წეროებში.“ მეხუთე სტროფში ვარდოშვილი თვითონ უმატებს შემდეგ სტრიქონს!

„ან ვინ უშველის მგზავრს, ჩაეარდნისლ შავს განსაცდელში.“

გვ. 92.

ამ სტრიქონის შესატყვისი დედანში არ არის.

თარგმანში გვხვდება შემთხვევები, როცა არსებითი სახელი შეცვლილია, ან შეცდომითაა ნათარგმნი, დრო ხშირად არაა შეთანხმებული, ზოგი ეპიტეტი გამოცვლილია და სხვა საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სარეცენზო წიგნის თარგმანი საერთოდ კარგადაა შესრულებული. მთელი რიგი ლეჷსები და ბალადები მშვენიერადაა ნათარგმნი.

ვარდოშვილის მიერ შესრულებული თარგმანი საინტერესოდ იკითხება. ოდნავადაც არ მინდა რომ ჩემს მიერ აღნიშნულმა მცირე შენიშვნებმა ვარდოშვილის საერთოდ მშვენიერ თარგმანს ჩრდილი მიაყენოს. ჩემი მოსაზრებანი მხოლოდ მოკრძალებული რჩევაა დაინტერესებული მკითხველისა, რათა მთარგმნელმა მომავალში ანგარიში გაუწიოს მსგავს შეცდომებს და რამდენადაც შესაძლებელია უფრო უზადო თარგმანი მოგვცეს.

ქართველ მკითხველს ამ თარგმანით საშუალება მიეცა დედა-ენაზე გაეცნოს და გარკვეული წარმოდგენა იქონიოს დიდი გერმანელი მწერლის პოეტურ შემოქმედებაზე.

თ. შანშიაშვილი

კრიტიკა — „აფხაზური კოეზია“.

ბავშვობა „ფადრატია“ 1941 წელი, თბილისი.

„ფედერაცია“ გამოსცა აფხაზი პოეტების ნაწარმოებთა კრებული „აფხაზური კოეზია“, რომელიც თარგმნეს ქართველმა პოეტებმა და რომელშიაც წარმოდგენილია საბჭოთა აფხაზეთის ახალგაზრდა ლიტერატურის ძირითადი კადრი, კრებული იხსნება ან. მ. დელბას წერილით, მასში მოკლედ განხილულია აფხაზი პოეტების შემოქმედება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთის შრომელი ხალხი ჯერ თურქი ასურების, შემდეგ, მეფის თვითმყრობელობის და ბოლოს მენშევიკების უღელქვეშ გმინავდა. ბარონ უსარისა და გენერალ ბარტოლომეის „ზრუნვა“ აფხაზური დამწერლობის შექმნისათვის, წარმოადგენდა აფხაზი ხალხის დაბეჩავეებისა და ჩავერის ახალ საშუალებას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის დადმა პარტიამ, მისმა ნაციონალურმა პოლიტიკამ მისცა აფხაზეთის ნიკიერ და მამაც ხალხს ბედნიერება, თავისუფლება და შეძლებული ცხოვრება. მხოლოდ საბჭოთა პარობებში შეიქმნა შესაძლებელი აფხაზი ხალხის კულტურის გადურჩენა და განვითარება. ამის ბრწყინვალე ილუსტრაციას წარმოადგენს სარეცენზიო კრებული.

ამ ბედნიერ ცხოვრებას უმღერის აფხაზეთის ლიტერატურის ფუძემდებელი, აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია თავის ლექსებში.

თუ რევოლუციამდე მისი ლექსები რაზმავდა აფხაზეთის შრომელ ხალხს უკეთესი მომავლისთვის საბრძოლველად,—დღეს დიმიტრი გულია აღფრთოვანებით და გატაცებით უმღერის იმას, ვინც საბჭოეთის ყველა ხალხების სამუდამო ოცნებას ფრთები შეასხა, სიწმინდელიდ აქცია იგი:

„მაღალ მთებზე მზე ანათებს,
ეხედავ ნისლებს განაშუქარს,
ჩვენი სიყვარულს,— გულის ნადებს,
შენ მოგართმევთ, ვით საჩუქარს...
... თუ კი დასტეკს მები ცაში,
და იფეთქებს ომის ალი,
ჩვენი ჰეყენის საზღვრებს მაშინ,
ჩვენ დავიცავთ ორკეც ძალით.
სტალინი! ჩვენი შენ სალამი,
ვინც გამართვ ხალხი წელში.
სტალინი! ჩვენი შენ სალამი,
ვინც გამართვ ხალხი წელში.“

მთელი აფხაზი ხალხი დღეს უღრმესი მადლობითა და სიყვარულის გრძნობით არის გამსჭვალული დიდი სტალინისადმი.

„ვისი ხელიც აღემატა ზღაპრულ გმირთა ძალას,
ხალხის სიბრძნით აღიჭურვა, ხალხის მრავალ ხელით,
ოხ, რა კარგი იწებოდა, მოსწრებოდა ამას
მამაჩემიც, რომ ეგემა ლუკმა სანატრელა“...
... დიდ სტალინის სადღეგრძელოს ჩვენ შეესვამდით ერთად“.

ამბობს პოეტი ლექსში „მეგობრების ნადიმზე“.
კრებულში მოთავსებულია აფხაზი პოეტის ლევარსან კვიცინიას ქვესი ლექსი. კარგია მისი ლექსები „გორი“, „რია“ „დიდი ბელადი“ და სხვ.

პოეტი გულწრფელად უმღერის იმ დიდ გმირს, რომელმაც ხალხს ნათელი დღეები დაუმკვიდრა:

„ხალხის იმ გმირზე ვიმღერო მინდა,
რევოლუციის ვინც პირშია არის,
ვინაც ღრუბელი ცას გადასწმინდა,
შეგობარია შვისა და მთეარის“.

ქ ა რ ე ნ უ ლ ი
შ ი ზ ლ ი რ ი თ ე ჯ ა

ვეციონია აფხაზი ხალხის ერთერთი საუკეთესო მომღერალია, მისი ლექსი „ჩემი სტალინი“, ცნობილია ქართველი მკითხველებისთვის. კარგი იქნებოდა ეს ლექსი ამ კრებულში მოქცეულიყო.

აფხაზეთის ახალგაზრდა ლიტერატურა დღითიდღე იზრდება. მის წინ სწევნ ახალგაზრდა ნიჭიერი წარმომადგენლები. პოეტების ჭიაზიმ აგუშას, ბაგრატ შინკუბას, ალექსი ჯონუას და სხვათა ლექსები ამას ნათლად ადასტურებენ.

ჭ ი ა ზ ი მ ა გ უ შ ა ა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია იმ თაობისა, რომელმაც უკანასკნელ წლებში მკითხველის სიყვარული დაიმსახურა. მისი ლექსები „მე მიყვარს კაცეი“ და „ბაღში“ ლირიკული სინაზით, პოეტური უშუალოებით გადმოგვცემენ ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის საუკეთესო გრძნობებს, მის სიყვარულს სიმშობლოსადმი. აგუშაა სახელოვანი კომკავშირის გამოზრდილია და მის სწამს, რომ

„ვინც ახარებს სტალინის გულს,
ვის შეხარის ხალხი გმირი,
ვინც სიძნელეს არ უდრება,—
ეწოდება კომკავშირი“.

მის სწამს, ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდობის გამარჯვება, იმ დიადი მომავლისათვის ბრძოლაში, რომელსაც კომუნისში ეწოდება:

„ბავშვი არა ვარ ჩემი ასაკით,
არც მოხუცი ვარ გრძელ ყავარჯენით;
მიყვარს სწორი გზა, გზა დანასხი
ჩენი სურვილით, ჩემი მარჯვენიით“...

ამბოზს აგუშა ერთერთ ლექსში.

ბაგრატ შინკუბას ლექსებში აგრეთვე იგრძნობა პოეტური უშუალობა, პეიზაჟის განცდა და მგრძნობელობა („შემოდგომის ზღი“) აღსანიშნავია მისი ლექსი „ყოველივეს გააზნობ“, რომელშიც პოეტი ვატაკეებით უმღერის სოციალისტურ მიმდგრების კოლმეტურნე გოგონას.

„წვანახშირს ვიღებ, თუ ვანგრევ კლდეებს,
ჩრდილო პოლუსზე თუ გამყავს გზები,—
შენ შთამაგონებ, შენ, ამ იღებებს
შენ დამაქროლებ უძლეველ ფრთებით,
მყინვარ-მთებს ვარღვევ, ცას ვეუფლები,
რადგან მკერდით შენ გატარებ გზნებით“.

ამბოზს შინკუბა ლექსში „სიმღერა კომკავშირის ბილეთზე“, შინკუბას ეს ლექსი სიყვარულით და ახალგაზრდული აღფრთოვანებითაა დაწერილი.

პოეტი ლირიული სინაზითა და განცდით იძლევა ახალი აფხაზეთის მშვენიერ და წარმატაც სურათებს:

„შვიარული გულით მინდა
გადავიხიო მთელ მიდამოს.
სიკბატუე დაგრჩეთ წმინდა
ვაგყოლოდეთ სამუდამოდ“.

გულწრფელია პოეტის ეს სიმღერა მარადიულ ახალგაზრდობაზე, გულწრფელია მისი სიყვარული ჩვენი ნათელი დღეებისადმი

ახალგაზრდა პოეტის ალექსი ჯონუას პოეტურ შესაძლებლობას უკუქმოდ ადასტურებს ამ კრებულში მოთავსებული მისი ლექსები, აღსანიშნავია „მზა“ „მთვარე“ და სხვ.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გავსევას მის მშვენიერ ლექს „მახაჯრუჯ ჯაქოუჩევიტე“-თურქ ასკრების ჩაგვრით გამოწვეული ტანჯვა-წვალება, აფხაზი გლეხის დარდი და მწუხარება უსათფოდ ნიჭიერად აქვს მოცემული ჯონუას:

„ჩემს სიყვარულს და განზრახვას, ვით ეგშენს ეტოვებ,
შენს ნაპირზე ზღვა შრისხანებს და მღელვარებს ტუში.
მტკა მიწა წამოვიღე და ნუგეშად ეპოვე,
და შენს ტრფობას სიკვდილამდის შევიჩინაზე გულში.
უცხო შარეს, უცხო კუბოს დამაყრიან მიწას,
დავმშვიდდები მხოლოდ მაშინ სამუდამ ძილით.
ოდესმე შენც დაგისნიან, გაცოცხლდები წმინდა
და სხივებო, შენც მაქნობე, რომ ამდგარხარ დილით“.

კრებულში მოთავსებულია ნიჭიერი პოეტის იუა კოლონიას რამდენიმე ნაწარმოები.

მის ნაწარმოებებში ელვარე ფერებითაა მოცემული აფხაზეთის წარმტაცო პეიზაჟი, გაცოცხლებულია აფხაზი ხალხის სათაყვანო გმირების ნათელი სახეები.

კოლონიას პოეტურ შემოქმედებას ნათლად ეტყობა აფხაზეთის მდიდარი ფოლკლორის ცოდნა და გავლენა. აღსანიშნავია მისი „ნაეფი მზაური“, სადაც ქალი ვაგაკურთხად სძლევს ბოროტებას და სამაგიეროს უზღავს სულმდაბალსა და მეგობრობის უარმყოფელს. კოლონიას „ხასხან-ანბა და ეანა ბესლანის შეილები“ ხატავს აფხაზი ხალხის დაუძინებელი მტრების, —თავად-ანნატრების ეერავობას.

ახალგაზრდა პოეტის ს ა ნ დ რ ო ს ა ნ გ უ ლ ი ა ს რამდენიმე ლექსი მოწმობს, რომ მისი სახით აფხაზურ ლიტერატურას ეზრდება საკმაოდ უნარიანი ახალგაზრდა პოეტი.

ამ კრებულის გამოცემით ქართველმა მწერლებმა ფრთად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს.

ალ. შიხშილია.

რატუნ გვებამე — „რჩეული“

გამომცემლობა „ფედერაცია“. 1941 წლი.

რატუნ გვებამეს სარეცენზიო წიგნი შეიცავს რჩეულ პროზაულ ნაწარმოებთა კრებულს. იგი პატარა, წერიალ მოთხრობებითა და ნოველებით იხსნება. ბირველი ორი ნაწარმოები „გზაზე“ და „სოუკ-სუ“ დიდი სტალინის არალეგალურ რევოლუციურ მუშაობის ზოგიერთ ეპიზოდების აშახველია. ნოველა „გზაზე“ ჭიათურის ფონზეა გაშლილი. ბელადს პოლიციელები დაედევნებინ, გზაში ნაცნობი მუშა შემოხვედება, რომელსაც დიდი სურვილი აქვს გრძელი საუბარი გაუმართოს მას, მაგრამ ბელადმა იცის რომ უკან პოლიციელები მისდევენ, სიტყვას სწრაფად მოუჭრის, გამოართმევს მუშას ტომარას, მოიკიდებს ზურგზე და დაწინაურდება. ჩამორჩენილ მუშას ჩაფრები დაეწვიან. მუშა მათ მოხერხებული ლაპარაკით დააბნევს და ბელადი ამგვარად ხელიდან უსბლტება ჩაფრებს. ეს ისტორიული ამბავი სათანადო მხატვრულ სახეებშია მოცემული.

„სოუკ-სუ“ კიდევ უფრო მოხდენილი ნაწარმოებია და სარჩულად მასაც ცნობილი ისტორიული ამბავი უდევს. ბელადი ბათუმში არალეგალურ მუშაობას ეწევა და რევოლუციურად განწყობილ მუშათა მასებს რაზმავს. მუშაობა სწარმოებს სასტიკ კონსპირაციულ პირობებში. ილარიონი სოუკ-სუს შესაფლავე და მისი ცოლი ალათი, სასაფლაოსთან, ერთ პატარა ქოხში უცხოვრობენ. მოძღვრად წოდებულ სტალინის სწორედ ამ სასაფლაოზე, ილარიონის ქოხში აქვს დანიშნული მუშათა არალეგალური კრება. ეს კრება შესდგება მოძღვარი თავის საჭმეს აკეთებს, მეორე დღეს ამ ადგილს ეწვევიან დაგეშილი ჩაფრები და იასაულები ჯულაშვილის სამებრად, ილარიონის დაკითხვა და მისი წინასწარ მოფიქრებული მიაშტური და გულუბრყვილო პასუხები ჩაფრებს აბნევს და გზაკვალს უკარავს. ეს შშენიერი ეპიზოდი გაკეთებულია ცოცხლად, სადა და დიდი მხატვრული ზომიერებით.

„ბაში-აჩუკი“ მცირე ყალბის მოთხრობაა.

მასში მოთხრობილია აკაკის სტუმრობა „სივარდო და სამაისო“ ქუთაისში, მაისის ერთ-ერთ დღეს. მაშინდელი ქუთაისის პეიზაჟი და აკაკის გარშემო მოფუსფუსე პერსონაჟები გულწრფელობით და სიყვარულით არის დახატული. სადგურზე სასტუმრო „კოლხიდის“ მებატრონე ტელიძესთან შეხვედრა და დილოგი მოხდენილად და დამაჯერებლად არის მოცემული. ასევე დამაჯერებლად არის ნაჩვენები ხალხის მასების და ინტელიგენციის უდიდესი მოკვალება, პატრივისცემა და სიყვარული აკაკისადმი. თვით სიუჟეტი პრიმიტიულია და მისი ფაბულარული განვითარება ნაწილობრივად დამაჯერებლობას მოკლებულია. აკაკიმ ქუთაისში თან ჩამოიტანა ახლად დამთავრებული, ქართული პროზის შედგენის „ბაში-აჩუკის“ ტექსტი, რომელიც ჩემოდანში აქვს და რომელიც ჩამოსვლისას სასტუმროს მებატრონეს დაუტოვა. პოეტს ავიწყდება, რომ ეს ჩემოდანი ტელიძეს დაუტოვა, მის შობაჟის დააბრალებს ახლად გაშიდრებულს, დიდს მლაყობს, შევიქვის ერთერთ მოწვეულს, რომელიც მას ეწვია, ეს ხმა ჭიათურადღე მიდის, მიდანი ჭიათურლები პოეტთან, ზადიშობენ მასთან და საკომპენსაციოდ ფულსაც შესთავაზებენ, ფულის თვლის დროს შემოდის ბელიძე და ნაწარმოების ევანი იხსნება—გაუგებრობა ირკვევა და უფულოდ დარჩენილი აკაკი, ტელიძეს შეეზურება:—„შე ფეხებ მოსამტრევეო, ცოტახანს მიანც დაეცადა, რას შოაბრენინები მაგ ჩემოდანსო“, თუმცა ბოლოს დასძენს—„ეს, ათასი კი არა, ათი ათასი ლირსო“.

მოთხრობა „ზღვა და სიყვარული“ თუ არ ვცდებით, ლაშვრის სადამოების ერთი თავია. ის არ არის არც ძველის და არც ახალი ცხოვრების აშახველი, თემა მოგონილია, სიუჟეტი ყალბი და ხელოვნურობის შთანქვილებას სტოვებს.

„ჩაფხან დაღუშქელიანი“ ამგვარად ნაწარმოებია, მაგრამ მეტი რეალისტური განხრით გაკეთებული. მასში მოცემულია რევოლუციამდელი ამბავი პირველი იმპერიალისტური ომის ფონზე. ამბავი ხდება თბილისში ქართული კლუბის საზაფხულო სადგომში. მოქმედ

პირებად გამოყენილია ცნობილი ისტორიული პირები: დიდი მომღერალი შალიაბაძე, ეანდარშერიის პოლოცონიკი დრაგოშარიცი, ვორონცოვის ნათლული გენერალ ლახარტის ქალი, თბილისის ქალაქის მოურავი ხატისოვი და სხვები. ამ ნაწარმოებში რეალისტური მხარეა — ამ პირთა სახელები, ხოლო ტერორისტული ამბავი, რომლის თემაზეცაა ეს ნაწარმოები, დანტასტიკურია და ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებული.

დიდი ხალხით და ინტერესით იკითხება პატარა მოთხრობა „ოჭროს მამალი“. ეს მშვენიერი ნაწარმოები გვისახავს თანამედროვე ცხოვრებას თავისი ფართო გაქანებით. იგრძნობა ამ ცხოვრების სუნთქვა და შაჯისცემა. ნაწარმოების ოქმია: — ადამიანების გარდაქმნა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. უსაქმური, მცონარე და ძილის მოყვარე, გულმოდარო შადის პატრონი ლეღენდერა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პირობებში ხდება პატიოსანი და ერთვულ მშრომელად. ადამიანის გარდაქმნის ეს პროცესი ნაწარმოებში ასახულია დამაჯერებლად და ოსტატობით. ლეღენდერა ძველი შებნეული ცხოვრებისაგან დაგლახებული და დანაჩანაკებული ადამიანია. კოლმეურნე გლახუნას რჩევა-დარიგება და ლეღენდერას კოლექტივის გზაზე შეყენება, განსაკუთრებით ლეღენდერას შიში, მისი ერთადერთი საკუთრების — ოჭროს მამლის დაკარგვაზე უეჭველად მხატვრული ზომიერებით არის გაკეთებული. კულაკებმა მოინდომეს თავის მხარეზე ლეღენდერას გადაბირება და მისი მვენებლობის გზაზე დაყენება, მაგრამ ლეღენდერა აგრე იოლად როდი წამოეგო მათ ანკესზე, ცეცხლს არ მისცა კოლექტივის ჭუნება, როგორც ურწმუნდენ და გლახუნას გავლენით, პირიქით, ვახდა ამ კოლექტივის ერთგული და პატიოსანი მეშაკი, გამარჯებულმა კულაკებმა მის მამალს თავი წააწყვიტეს და კარბთინ დაუდგეს, მაგრამ ამით კიდევ უფრო დააჩქარეს ლეღენდერას სწრაფ გზაზე დადგომა.

„ტატაშ ხეარი“ გამოკონებული, მაგრამ მეტად ლამაზი პატარა მოთხრობაა. ტატაშ ხეარი აფხაზეთის ფეოდალური წოდების წარმომადგენელია. მისი ვაჟი ეგირი საბჭოთა ეპოქის პირში შვილი, პირველი აფხაზი შოფერი, იგი თეაზე შეყვარებული. ტატაში წინააღმდეგია, რომ ეგირმა თეა ითხოვოს. ამ წინადაგზე მამა-შვილს შორის სასტიკი შეხლავა. რაშიც მონაწილეობას იღებს დედაც. მამა რომ ევრაფერს ვახდა, ბოლოს იძულებულია გამოტყდეს და აღიაროს რომ თეა პირში შვილია მისი და პრინცესასი. თავის დროზე ვადამალული და დაკარგული. ეს თავზარდამცემი ამბავია ეგირისთვის და სხვა არაფერი დარჩენია მას თუ არა რევოლუციით თავის მოკვლა. ამ საქმეში ერევა დედა და შვილს თვით-შეკვლელობიდან იხსნის. იმით რომ სასოწარკვეთილ შვილს ეუბნება — დამშვიდდი, შენ მამის შვილი არა ხარ და თეა შენი და არ არისო. ნაწარმოებში ფარდა ისე ეშვება, რომ არ სჩანს დედამ ეს შვილის გადარჩენისათვის მოიგონა, თუ ნამდვილი ამბავია.

ბელარუსული ნოველები „მახრა“ და „სკირგაილა“ მეტად დახვეწილი და მძაფრ სოციალურ შინაარსზე აგებული ნაწარმოებებია. ეს ნოველები დაწერილია მომწე ბელარუსის წარსული ცხოვრების თემაზე. ნოველა „მახრას“ შინაარსი საშოქალაქო ომის ფონზეა გაშლილი, ხოლო „სკირგაილა“ ძველი ფეოდალური ცხოვრების სიდუხჭირესა და მაშინდელ ძალმომრეობას გვისახავს. ორივე ნაწარმოებში მოქმედება ვითარდება მძაფრ სოციალურ პირობებში. ნოველები დახვეწილი და ლაკონური ენითაა დაწერილი, სიუჟეტი მოხდენილიადაა განვითარებული და დიდი ინტერესით იკითხება, თუმცა იგრძნობა ზომასზე მეტად გატაცება ყალბი, ხელოვნური სამკაულებით.

„არტულში“ ავტორის შეუტანია რომანები „თეო“ და „კიაკოკონა“, რასაც მკითხველები კარგად იცნობენ და რის შესახებაც ჩვენ აქ აღარ განვაგრძობთ სიტყვას. წიგნი გამოცემულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის-თავისათვის, ჩამოხლია კარგ ყდაში და ტექნიკურად კარგად არის გაფორმებული.

შინაარსი



გვ.
3

სტალინური პრემიის პირველი ლაურეატები

მხატვრული ლიტერატურა

გალაკტიონ ტაბიძე — პარიზის კომუნა	7
კონსტანტინე გამსახურდია — მშვენიერება	10
ალექსანდრე ქუთათელი — საირმე	21
გრიგოლ აბაშიძე — ლექსები	24
დავით სულიაშვილი — სემინარიის კედლებში	30
ბონდო კეშელავა — წიგნი და მამა	59
მარკ რაბივილი — შიმოთაომა	60

შეხვედრის განხილვა

გ. ნატროშვილის წერილში „ქარლო კალაძის პოეზია“, მე-113 გვ. მე-3 აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

„ქარლო კალაძის უკანასკნელი პერიოდის ლექსები გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის სულით, მისთვის ეს პატრიოტიზმი არ არის შიშველი ფრაზა. ის გვიჩვენებს ამ დიდებულ გრძნობას, როგორც ადამიანის სიცოცხლის გამართლებას, როგორც ამ სიცოცხლის ორგანიულ ნაწილს. ამას ვგრძნობთ ჩვენ როცა ვკითხვლობთ კალაძის იმ ციკლის ლექსებს, რომელნიც სამხედრო თემებს ეხებოდა. მათში პოეტი ხატავს ჩვენი ძლევაშისილი წითელი არმიის გმირულ საქმეებს, მის განუყრელ მთლიანობას ხალხთან. პოეტი გვიხატავს როგორ იმპორჩილებენ დიდი სტალინის გენიით შთაგონებული წითელი მეტროლები მიუვალ მათათა მწვერვალებს, როგორ გმირულად დგანან ისინი ჩვენი სამშობლოს საზღვარზე ოქტომბრის უმეორფასეს მონაპოვართა დასაცავად“.

აღ. შენგელია — კრებული „აფხაზური პოეზია“
 გ. მებუჯე — რ. გვატაძე

160

И Н А Т О Р И

ТОЧНОСТЬ РАБОТЫ

შინაარსი



სტალინური პრემიის პირველი ლაურეატები 83-3

მხატვრული ლიტერატურა

გალაკტიონ ტაბიძე — პარიზის კომუნა	7
კონსტანტინე გამსახურდია — მშვენიერება	10
ალექსანდრე ქუთათელი — საირმე	21
გრიგოლ აბაშიძე — ლექსები	24
დავით სულიაშვილი — სემინარიის კედლებში	30
ბონდო კეწელავა — წიგნი და მამა	59
ვლადიმერ უბილავა — შემოდგომა	60
უიარაღო — მაძიებელი (ნაწილი მეორე)	61



თარგმანები

ლეონიდ პერვოშაისკი — უსათურო ლექსებიდან (თარგმანი კონსტანტინე დიმიტრიძის)	95
რობერტ ბერნსი — ლექსები (თარგმანი გ. ძიგვაშვილისა)	96

პ რ ი ტ ი ძ ა

გ. ნატროშვილი — კარლო კალაძის პოეზია	99
--	----

წაკსულიდან

პავლე ინგოროყვა — თამარ მეფის იამბიკონნი	115
--	-----

ბიბლიოგრაფია

ალ. სულავა — „ლექსები და სიმღერები ლავრენტი ბერიაზე“	154
თ. შანშიაშვილი — ფრიდრიხ შილერი — ლექსები	157
ალ. შენგელია — კრებული „აფხაზური პოეზია“	160
გ. მებუჯა — რ. გვეტაძე — „წიგნი“	

სტალინური პრემიის პირველი ლაურეატები

სტალინური პრემიის პირველი ლაურეატები

სტალინური პრემიის პირველი ლაურეატები

№ 4 335.

41-189



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ